K 188 784
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. აჯულაძე

ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი 1983

614.8(ს41)+91(ს922)
615.8(с41)
53.54(2Г)
91+615—838](47.922)
ъ 206

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კურორტის — ბორჯომის წარსული და აწმყო; ნაჩვენებია მისი როგორც კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტის მნიშვნელობა; ფართოდაა განხილული ბორჯომის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გზები.

К 18878
ქ. ფოთლის სახ. საჯ. ბიბლიოთეკა
სპეციალური
ბიბლიოთეკა
10601—100
А ———————— 81—83
М 601 (08) — 83
სპეც-2000
ეროვნული ბიბლიოთეკა

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1983

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი I

ბორჯომის ხეობა პალეოლითის ხანიდან XVI საუკუნემდე (ზოგადი მიმოხილვა)

დღევანდელი ბორჯომის ხეობის უძველესი სახელწოდებაა თორის მხარე. იგი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრისა და მისი მარჯვენა შენაკადების (შავი წყალი, გუჯარეთის წყალი, ნეძვურა და სხვ.) ხეობაში. ამ ხეობის ფართობი 1180 კვ. კილომეტრია, რომელიც, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ცალკეულ ისტორიულ ეპოქებში იცვლებოდა, მაგრამ მის ძირითად ტერიტორიულ ბირთვს მაინც ბორჯომის ხეობა შეადგენდა.

ქართველი არქეოლოგების აღმოჩენებმა დაადასტურა პირველყოფილი-თემური წყობილებისდროინდელი ადამიანის ცხოვრების კვალი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. წარმოების იარაღების აღმოჩენამ და შესწავლამ საშუალება მისცა მეცნიერებს, გაერკვიათ ამ ეპოქის ადამიანთა სოციალური ცხოვრების ფორმები.

ბორჯომის ხეობა არქეოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებადაა შესწავლილი, მაგრამ ის მცირეოდენი არქეოლოგიური ძეგლი, რაც აქაა მოპოვებული, მოწმობს, რომ აქ უცხოვრიათ პირველყოფილი-თემური წყობილებისდროინდელ ადამიანებს. მაგალითად, სოფელ ბალანთაში (ბორჯომის რაიონი) აღმოჩენილია ობსიდიანის დაუმუშავებელი იარაღები (ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში), სოფ. ტაბაწყურში ნაპოვნია ქვის ცულები და კაჟის დანები (ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში), ისინი ძალზე პრიმიტიულად არიან დამუშავებული და ზედა პალეოლითის ხანას უნდა მივაკუთვნოთ. პალეოლითის ხანის იარაღების აღმოჩენაზე ბორჯომის ხეობაში საუკეთესო ცნობებს გვაწვდის პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი: „Во многих местах

Боржомского района были найдены ножи, скребы и пилы из вулканического стекла — обсидиана, месторождения которого имеются в изверженных лавах на южном берегу Табацкури, многие из етих находок поступали в свое время в Тифлисский музей. Несколько таких объектов были найдены мною лично»[1].

პალეოლითის ხანის ადამიანები საცხოვრებლად ხელსაყრელ ადგილს ირჩევდნენ. ძველი თორის მხარეში პალეოლითური იარაღების აღმოჩენა და ამ მხარის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მოწმობს, რომ აქ პალეოლითის პერიოდში ადამიანს უცხოვრია, თანაც თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბორჯომის ხეობა უშუალოდ ესაზღვრება თრიალეთს, სადაც 1936 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფ. კუფტინის ხელმძღვანელობით პალეოლითის ნაშთები აღმოაჩინა,[2] მაშინ ეს მოსაზრება სწორი უნდა იყოს. რაკი თორის მხარეში არქეოლოგიური მონაპოვრებითა და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, პალეოლითური ხანის არსებობა დასტურდება, მაშინ აუცილებლად უნდა ვივარაუდოთ გვაროვნული საზოგადოების არსებობაც, ვინაიდან პალეოლითის ზედა საფეხურზე საბოლოოდ ყალიბდება თანამედროვე ადამიანის ტიპი და გვაროვნული საზოგადოება.

ნეოლითის ხანის იარაღი ბორჯომის ხეობაში მრავლადაა აღმოჩენილი, მათგან აღსანიშნავია: საფხეკები, დანები, მიკროლითები, ისრის წვერები, ხერხი და სხვ. ყველა ეს იარაღი კაჟისა და ობსიდიანისაგან არის დამზადებული, შეიმჩნევა დამუშავების (პალეოლითის იარაღებთან შედარებით) მაღალი ტექნიკა და ამიტომ ისინი ნეოლითს უნდა მივაკუთვნოთ (ამ იარაღების უმრავლესობა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება). ჩანს, ბორჯომის ხეობის უძველესი მოსახლეობა ფართოდ იყენებდა ობსიდიანისა და კაჟის იარაღებს და მათი დამზადებაც იცოდა. ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ეს პერიოდი, მორგანის აზრით, რაშიც ენგელსიც ეთანხმება, ველურობის ზედა საფეხურია, ე. ი. ნეოლითის ხანაა. ნეოლითის ხანა საქართველოში 12—10 ათასი წლის წინათ იწყება და 6—5 ათასი წლის წინ მთავრდება. ამ პერიოდში

---

1 Виноградов-Никитин П. Археология Боржомского района, с. 7, (ხელნაწერი დაცულია ბორჯომის მუზეუმში).

2 ავტორთა კოლექტივი. საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცდება მატრიარქალური გვაროვნული თემი, უმჯობესდება სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, გაადვილდა ნადირობა, შესაძლებელი გახდა ცხოველების მოშინაურება და საფუძველი ჩაეყარა პირველყოფილ მიწათმოქმედებას, იწყეს ხორბლეულის თესვა და მოყვანა. მატრიარქატის უფრო მაღალ საფეხურზე ჩაისახა ხელოსნობა, ადამიანებმა ისწავლეს თიხის ჭურჭლის დამზადება, რთვა და ქსოვა. ამრიგად, იმ არქეოლოგიური მონაპოვრების საფუძველზე, რაც ჩვენს ხელთ არის, ბორჯომის ხეობაში ნეოლითის ხანის არსებობა, რასაც სოციალური ცხოვრების სფეროში მატრიარქალური გვაროვნული თემი შეესაბამება, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს.

ბორჯომის ხეობაში სხვადასხვა დროს წარმოებული სპეციალური გათხრებისა თუ სხვა სამუშაოების დროს ნაპოვნი სამარხები, ბრინჯაოს იარაღები, სამკაულები და სხვა არქეოლოგიური ნაშთები, იმაზე მიგვითითებენ, რომ აქ ბრინჯაოს ხანაში უცხოვრიათ ადამიანებს, რომლებიც საკმაოდ დაწინაურებული ყოფილან. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია წაღვერისა და გომნას აღმოჩენები.

1911 წელს პროფ. ი. გოროდცევს წაღვერში გათხრები ჩაუტარებია და ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი სამი კულტურული ფენა აღმოუჩენია. მესამე ფენაში მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთები უნახავს, ხოლო სახელოსნოს იატაკზე ბრინჯაოს ჩამოსასხმელი 10 ცალი თიხის ყალიბი. აქვე აღმოჩენილა თიხის ტიგელების ნატეხები. ერთ-ერთ მათგანში სპილენძის მადნის ნამსხვრევები და წიდა ყოფილა. უნახავთ, აგრეთვე თიხის საბერვლის ნამტვრევი, ბრინჯაოს ნივთები ჯართის სახით, ობსიდიანისა და ძვლის იარაღები, ანდეზიტის ქვისაგან გაკეთებული ორი ცალი როდინი, რომლებიც სპილენძის მადნის ან სხვა რაიმე მაგარი ნივთიერების დასამტვრევ-დასაფხვნელად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

აღმოჩენილი ნივთების მიხედვით, უდავოა წაღვერში არსებობა მეტალურგიული სახელოსნოსი, რომელშიც ხდებოდა სპილენძის მადნისაგან სპილენძის გამოდნობა და სპილენძ-ბრინჯაოსაგან სხვადასხვა იარაღის ჩამოსხმა. ვინაიდან კალა და ანტიმონი აღმოჩენილი არ არის და ისინი ბორჯომის ხეობაში არ მოიპოვება, ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ ამ სახელოსნოში ბრინჯაოს მიღება წარმოებდა. სავარაუდოა, რომ აქ ბრინჯაო მოჰქონდათ სხვა მეტალურგიული ბაზებიდან — თრიალეთიდან ან სამხრეთდასავლეთ საქართვე-

ლოდან (მდინარე ჭოროხის აუზი). პროფ. ი. გოროდცევი წაღვერში აღმოჩენილ მეტალურგიულ სახელოსნოს ათარიღებს ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნით, ხოლო პროფ. გ. ნიორაძის აზრით, იგი XIII საუკუნეზე (ძველი წელთაღრიცხვით) ადრეულ პერიოდს არ უნდა მივაკუთვნოთ. წაღვერში წარმოებული გათხრების შემდეგ სოფელ დიდ მიტარბში (წაღვერთან ახლოს) აღმოჩნდა კოლხური ცული (ინახება ბორჯომის მუზეუმში), რომელიც წაღვერში აღმოჩენილ ყალიბს კარგად მოერგო, რაც ადასტურებს, რომ როგორც ყალიბი, ისე ცული ადგილობრივი წარმოებისაა და წაღვერის სახელოსნოში აღმოჩენილი თიხის ყალიბები კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბები უნდა იყოს.

ამრიგად, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ როგორც კოლხური ტიპის ბრინჯაოს ცულები, ისე სხვა სამეურნეო და საომარი იარაღები, აგრეთვე სამკაულები წაღვერის მეტალურგიულ სახელოსნოში მზადდებოდა და რომ ეს სახელოსნო წაღვერის მიდამოებში, უზნარიანის ციხის ძირას, არსებობდა.

1941 წელს, ბორჯომ-ახალციხის რკინიგზის ხაზის გაყვანისას, სოფელ ქვედა გომნაში (ბორჯომ-ბაღიდან 3 კმ ახალციხის მიმართულებით) აღმოჩნდა 3 სამარხი. ამ სამარხებში ნაპოვნი ნივთებიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს სამკაულები, ხანჯალი, შუბის წვერი, სამაჯურები სვასტიკის გამოსახულებით, ბრტყელი ისრის წვერი, სპილენძის ორყურიანი ქვაბი, სხვადასხვა ფორმისა და ზომის შავად გაპრიალებული თიხის ქოთნები, ძვლის ბრტყელი ნივთი. გომნაშივე აღმოაჩინეს მრგვალი ფორმის ბრინჯაოს საკიდი მზის სიმბოლური გამოსახულებით, უძველესი სანადირო და საომარი იარაღი — გურზი, ობსიდიანის ისრის წვერი, კაჟის ქვის ხერხი და სხვ. პროფ. გ. ნიორაძე გომნაში აღმოჩენილი ნივთების შესახებ წერდა: „ადგილ გომნაში აღმოჩენილ ნივთებს პარალელები მოეპოვება როგორც საქართველოში, ისე მის მოსაზღვრე ქვეყნებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებში და სინქრონიულად ეფარდებიან მცხეთაში (სამთავროში) აღმოჩენილ ქვენიადაგის (გრუნტის) სამარეებს, ე. ი. სამთავროში ჯერჯერობით ცნობილ ყველაზე ძველ სამარეებს, ამიტომ როგორც უკვე არაერთხელ გვქონდა აღნიშნული, ისინი არ უნდა მივაკუთვნოთ XIII საუკუნეზე (ძველი წელთაღრიცხვით) უფრო ადრინდელ დროს“.[1]

[1] გ. ნიორაძე. არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქ. სახ. მუზ. მოამბე, 1941, გვ. 210—211.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორებს ე. თაყაიშვილსა და პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინს სოფ. ბანისხევში გათხრების დროს აღმოუჩენიათ ბრინჯაოს სამაჯურები, შუბის პირები და ბუნიკი. 1941 წელს სოფ. ახალდაბასთან კი ორი კოლხური ცული, ბრინჯაოსაგან დამზადებული ხანჯლის ტარი, შუბის წვერები, რგოლები და ჯაჭვი.

სოფ. ჭობისხევში აღმოჩენილია ბრინჯაოს აღმოსავლურ-ქართული ცულები. ასეთი ცულები ბორჯომშიც ნახეს. სოფ. დიდ ცემში ნაპოვნია ქამრის ბალთები (ბრინჯაოსი). სოფელ ქვაბისხევში აღმოაჩინეს ბრინჯაოს სამაჯურები, ქინძისთავები და შუბის წვერები, რომლებსაც თავები გადალესილი აქვთ. საფიქრებელია, რომ მათ იყენებდნენ მიწიდან ფესვების ამოსათხრელად და არა საბრძოლო იარაღად. სოფ. თელოვანში აღმოჩენილია ბრინჯაოსა და სპილენძის ბარები, ნიჩბები, თოხი და ხელეჩო. უდავოა, ეს იარაღები მიწისა და ხის დასამუშავებლად გამოიყენებოდა.

ბორჯომის ხეობის სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების უმრავლესობა სპილენძისა და ბრინჯაოსაგანაა დამზადებული. ამ იარაღებთან ერთად (იშვიათად) გვხვდება ობსიდიანისა და ქვის იარაღებიც. მონაპოვართა შორის ბევრია სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების თიხის ჭურჭელი. ყველა ამ იარაღის შესწავლა და მათზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამ ნივთებს აწარმოებდნენ და ხმარობდნენ, შრომის იარაღების წარმოებაში საკმაოდ დახელოვნებული ყოფილან და წარმოების კულტურის მხრივ განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგარან. ზემოთ დასახელებული წარმოების იარაღების უმრავლესობა შუაბრინჯაოს ხანას უნდა მივაკუთვნოთ (XVII—XIII სს. ძვ. წ. აღრ.), ამ ისტორიულ ეპოქაში ბორჯომის ხეობაში მცხოვრები ადამიანები ამზადებდნენ და ხმარობდნენ ძირითადად სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღებს, აგრეთვე თიხის ჭურჭელს, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ობსიდიანისა და ქვის (კაჟის) იარაღები. რკინის იარაღების წარმოება მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ. ცხადია, ეს ადამიანები ბარბაროსობის შუა საფეხურზე იდგნენ, რაც შუა ბრინჯაოს ხანას შეესაბამება. ამ საკითხთან დაკავშირებით ფ. ენგელსი წერს: „ამ საფეხურის (ბარბაროსობის შუა საფეხური) სამრეწველო მონაპოვართა შორის ორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი: პირველია საქსოვი დგამი, მეორე ლითონის მადნის გადადნობა და ლითონის დამუშავება. ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპილენძს, კალას და მათგან შედუღე-

ბულ ბრინჯაოს. ბრინჯაო გამოსადეგ ხელსაწყოსა და იარაღს ი-ლეოდა, მაგრამ მას არ შეეძლო ქვის იარაღი გაედევნა, ეს მხოლოდ რკინას შეეძლო; რკინის მოპოვება ადამიანმა ჯერ კიდევ არ იცოდა".[1]

ზემოთ დასახელებული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბორჯომის ხეობა (თორის მხარე), წალვერის მეტალურგიული სახელოსნოს სახით, წარმოადგენდა ბრინჯაოს მეტალურგიის მიკრორაიონს იმ ორი დიდი რაიონისას, რომლებიც ამ ხანაში საქართველოსა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე ჩამოყალიბდნენ და რომლებიც „დასავლეთ-ქართულ" და „აღმოსავლეთ-ქართულ" რაიონებად იწოდებოდნენ. სამართლიანად აღნიშნავდა აკად. გ. მელიქიშვილი, როდესაც წერდა: „უეჭველია, რომ ასეთი კვლევა-ძიება მომავალში გამოავლენს არა ერთ მიკრო რაიონს ჩვენი დღევანდელი „დასავლურ-ქართული", თუ „აღმოსავლურ-ქართული" კულტურის წიაღში".[2]

თელოვანში აღმოჩენილი სპილენძისა და ბრინჯაოს ბარები, თოხი, ნიჩბები და ხელეჩო, ახალდაბასა და მიტარბში აღმოჩენილი კოლხური ცულები, გომნის სამარხებში კი შინაურ ცხოველთა უამრავი ძვლები და აქვე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, რომელიც რძის დამუშავებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, იმაზე მიგვითითებს, რომ ბორჯომის ხეობაში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა მეურნეობის წამყვანი დარგები იყო. ჩანს, აქ მცხოვრებ ადამიანებს გაუუმჯობესებიათ ცხოვრების პირობები. საზრდოდ იყენებდნენ ხორცს, რძის ნაწარმს, პურეულს,[3] შეეძლოთ შალის ტანსაცმლისა და საქონლის ტყავისაგან ფეხსაცმლის დამზადება, საცხოვრებელი ბინის აგება და სხვ.

ბრინჯაოს ხანაში ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, რაც საწარმოო ძალთა განვითარებით იყო გამოწვეული, წარიმართა პატრიარქალური საოჯახო თემის (გვარის) განმტკიცების მიმართულებით, ამის პარალელურად ხდება ტომის,

---

1 ფ. ენგელსი. ოჯახის, სახელმწიფოს და კერძო საკუთრების წარმოშობა, 1938, გვ. 163.

2 გ. მელიქიშვილი. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, 1965, გვ. 73.

3 ენგელსის აზრით, ბარბაროსობის შუა საფეხურზე ადამიანებმა პურეული მცენარეებიც აღმოაჩინეს (დასახ. შრ., გვ. 162—163).

როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედის განვითარება, „გვარი“ კი უკანა პლანზე გადადის.

სწორად მიგვაჩნია პროფ. გ. ნიორაძის აზრი ბორჯომის ხეობაში ადამიანთა ცხოვრების შესახებ კაცობრიობის ისტორიის საწყის (პრეისტორიის) პერიოდში. გ. ნიორაძე წერდა: „ზემოთ დასახელებული სხვადასხვა დროის ძეგლები, საერთოდ, გვეუბნება, რომ მტკვრის ხეობაში (ბორჯომის ხეობაში. ვ. ა.) მეტად ძველი დროიდან ყოფილა მოსახლეობა, გვეუბნება, რომ ამ ადგილებში უცხოვრია მაღალი კულტურის მატარებელ ხალხს, რომელიც II ათასეულისა და უფრო ადრეც ცხოვრობდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ხალხის კულტურა მჭიდრო ნათესაურ კავშირშია საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილ ძეგლებთან“[1].

ამრიგად, თორის მხარეში (ბორჯომის ხეობა) პირველყოფილი-თემური წყობილების პერიოდში უცხოვრიათ ადამიანებს, რომლებსაც საკმაოდ კარგად განუვითარებიათ იარაღები და მეურნეობის ცალკეული დარგები, ხოლო მათი სოციალური წყობა ერთნაირი უნდა ყოფილიყო საქართველოს ბარის მთელი მოსახლეობისათვის.

წერილობითი წყაროები, რომლებიც ცნობებს გვაწვდიან ბორჯომის ხეობის უძველესი პერიოდის შესახებ, ძალზე ცოტაა. ერთი ცნობა ამ ხეობის შესახებ დაცული აქვს ლეონტი მროველს, იგი წერს: „მაშინ ფარნავაზ[2] უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳისთაგან და მეფე იქმნა ყოველთა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი... მეექვსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტასისკარიდგან, ვიდრე არსიანმთამდის, ნოსტის თავიდგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“[3].

ისტორიკოსი ჯუანშერი აღნიშნავს, რომ ვახტანგ გორგასალის ძემ — დაჩიმ, თავის ძმას მირდატს მისცა ჯავახეთი ფარავნიდან მტკვრამდე, ტასისკარიდან, ვიდრე სპერამდეო. ეს ცნობები იმაზე მიუთითებს, რომ ძველი დროიდანვე ბორჯომის ხეობა, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, ადმინისტრაციულად სამცხის შემადგენ-

---

1 გ. ნ ი ო რ ა ძ ე. დასახ. შრომა, გვ. 220—222.

2 იგულისხმება IV საუკუნის დასასრული ძველი წელთაღრიცხვით.

3 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 24.

ლობაში შედიოდა. ტერმინი „ბორჯომის ხეობა“ იმ ტერიტორიის სახელწოდებად, რომელსაც იგი დღეს მოიცავს, ისტორიულ წყაროებში 1819 წლიდან იხსენიება. მანამდე ეს მხარე „მტკვრის ხეობად“, ანუ „ხეობად“ იწოდებოდა (XV—XVIII სს-ში), ხოლო უფრო ადრე, „თორის მხარედ“. სახელწოდება თორი, როგორც ბორჯომის ხეობის აღმნიშვნელი ტერმინი, ძველი დროიდანვე არსებობდა, რაც დასტურდება VII საუკუნის ძეგლის, უსახელო გეოგრაფიის იმ ნაწილიდან, სადაც ნათქვამია: „გაივლის მტკვარი ჯავახეთის ძირობაზე, ჩამოეშვება სამცხეში, მოექცევა მტკვარი აღმოსავლეთისაკენ გავლით ქართვლის ზენა სოფელზე და ჰყოფს მხარეებს თ ო რ ი, გოვათის-ხევი, ტორნისხეობა, მანგლისის ხეობა, ხოლო ჩრდილოეთით დიდი მდინარე მტკვრისა არგვეთის მთიანეთია და იმავე მხარიდან ველი დვანისა“[1].

ყველა მეცნიერი (სენ-მარტენი, სუკრი, ადონცი, კაკაბაძე) იმ აზრისაა, რომ უსახელო გეოგრაფიის ავტორი არის ეროვნებით სომეხი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს მეცნიერთა შეთანხმებული აზრი იმის შესახებ, თუ როდის არის დაწერილი ეს შრომა. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით (სუკრი, კაკაბაძე), ეს შრომა VII საუკუნისაა. გეოგრაფიის უცნობი ავტორი თვითონვე აღნიშნავს, რომ მის მთავარ წყაროს ამ შრომის შედგენისათვის წარმოადგენდა პაპი ალექსანდრიელის შრომა „ხოროგრაფია ოიკუმენიკე“. როგორც ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი, პაპი ალექსანდრიელი IV საუკუნეში ცხოვრობდა. ანონიმი გეოგრაფი თავის ნაშრომში სამჯერ იხსენიებს პაპ ალექსანდრიელს და წერს: „პტოლემეოსისაგან აიღო ცნობები და შეამოკლა პაპმა ალექსანდრიელმა, რომლისაგან ჩვენ ავიღეთ ცნობები... საერთო დებულებათა აღწერილობის შემდეგ შევუდგეთ ცალკე ქვეყანათა აღწერას პაპ ალექსანდრიელის აღწერილობის მიხედვით, დაწყებული დასავლეთ ოკეანედან, ესპანეთიდან...“[2]

გეოგრაფიის უცნობი ავტორის მიერ იბერიის აღწერაში მოცემული ფაქტები ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნის სინამდვილიდან არის აღებული და იგი ძირითადად პაპი ალექსანდრიელის აღწერას ეყრდნობა. აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ

---

1 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. გიორგი მერჩულე, 1954. გვ. 396.

2 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხი, საისტორიო მოამბე, თბილისი, 1924, გვ. 41—42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორი, როგორც იბერიის ერთ-ერთი ოლქი (საერისთავო, მხარე) IV საუკუნეში არსებულა.

გამოსარკვევია, თუ სად მდებარეობდა თორის ოლქი და თვით დაბა თორი, საქართველოს ტერიტორიის რომელ ნაწილს მოიცავდა იგი. ეს საკითხი სწორად გადაჭრა პ. ინგოროყვამ. მისი აზრით, დაბა თორი მდებარეობდა ბორჯომის ხეობაში და წარმოადგენდა თორის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრს, თორის მხარე კი მოიცავდა დღევანდელი ბორჯომის ხეობას (მტკვრის მარცხენა ნაპირის გამოკლებით) და შეადგენდა ქართლის ნაწილს[1].

მართლაც ანონიმი გეოგრაფის აღწერას თუ კარგად დავუკვირდებით, არ შეიძლება სხვა აზრი არსებობდეს თორისა და მისი მხარის ადგილმდებარეობის შესახებ. ზემოთ მოყვანილ ამონაწერში ნათქვამია: „ხოლო ჩრდილოეთით დიდი მდინარე მტკვრისა არგვეთის მთიანეთია“.

არგვეთის მთიანეთი ლიხის მთის ის ნაწილია, რომელიც ბორჯომის ხეობას ჩრდილოეთით აკრავს და იმერეთიდან საზღვრავს. მართალია, არგვეთის მთებად ლიხის მთის ეს ნაწილი წყაროებში ხშირად არ მოიხსენიება, მაგრამ საკმაო საბუთია იმისა, რომ ეს მოსაზრება გამართლდეს.

აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „კავკასიის მთავარი უღელტეხილისაგან მრავალი შტოები გამოდის, თუ დასავლეთით დავიწყებთ, პირველი დიდი მთა, „რომელი გამოვალს ჰშტოდ კავკასიისაგან, არის მთა-მცირე, რომელსა ჰქვან ლიხი“, ეს მთა იყო საეგროს საზღვარი აღმოსავლეთით, იგი ქართველთა მიწა-წყალს ორ ნაწილად ჰყოფდა. ამიერ და იმიერ საქართველოდ: „მცირით მთიდგან, რომელ არს ლიხი, იწყებოდა მარგუეთი და დასავლეთისაკენ იყო გადაჭიმული“[2].

ამრიგად, ლეონტი მროველის ცნობებისა და ივ. ჯავახიშვილის დასკვნის მიხედვით, ლიხის მთიდან დასავლეთით იწყებოდა საეგრო, ე. ი. ეგრისი, კერძოდ კი მისი აღმოსავლეთი მხარე — „მარგუეთი“ და ეს მთა (ლიხის) ქართლ-მარგუეთის საზღვარი იყო.

„მარგუეთი“ ისტორიულ წყაროებში „არგვეთადაც“ იხსენიე-

---

1 პ. ინგოროყვა. დასახ. შრომა, გვ. 396.

2 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ნაწილი II, 1948, გვ. 13.

ბა. ვახუშტი ბატონიშვილი საინტერესო ცნობებს გვაწვდის არგვეთის შესახებ. იგი წერს: „ხოლო რაჭის სამხრით არს, მთას იქით არგვეთი, ანუ მარგვეთი... ხოლო საზღვარი არგვეთისა არს: აღმოსავლით ქართლის საზღვარი, ლიხის მთის დასავლის კერძო"[1]. „ლიხის მთის დასავლის კერძო" სწორედ მთის ის ნაწილია, რომელიც თორის მხარის პირდაპირ, მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით მდებარეობს და იმის გამო, რომ იგი არგვეთის აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარეობდა როგორც ძველად (მროველის დროს), ისე გვიან ისტორიულ პერიოდში (ვახუშტის დროს), არგვეთის მთად იწოდებოდა.

არსად სხვა ადგილზე, თორის პირდაპირ, მტკვრის ჩრდილოეთით, არგვეთის მთები არ არის, ამიტომ ისტორიული თორი მხოლოდ ის თორია, რომელიც ბორჯომის ხეობაში არსებობს და თორის ოლქსაც ამ ხეობის ტერიტორია შეადგენდა.

უსახელო გეოგრაფიის იმ ნაწილიდან, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ, ირკვევა, რომ თორის მხარე ადმინისტრაციულად ქართლის ნაწილს შეადგენდა „გავლით ქართლის ზენა სოფელზეო". მაგრამ თუ ბორჯომის ხეობას მთლიანად ისტორიული თორის მხარედ ჩავთვლით და ეს მხარე კი ქართლის შემადგენელი ნაწილი იყო, მაშინ ამ ფაქტს როგორღა შევუფარდოთ ლეონტი მროველის ცნობა იმის შესახებ, რომ სამცხე ვრცელდებოდა „ტასისკარიდგან, ვიდრე ზღუამდე სპერისა"[2]. ამ შემთხვევაში საჭიროა, შევაჯეროთ ლეონტი მროველის ეს ცნობა უსახელო გეოგრაფის ცნობასთან. იგი წერს: „თორის ოლქის პირდაპირ, მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით არის არგვეთის მთები", ამრიგად, თორის ოლქის ჩრდილო საზღვარი მდინარე მტკვარი ყოფილა და მის ჩრდილოეთით არგვეთის მთა იყო. ჩანს, რომ თორის ოლქს ბორჯომის ხეობის მტკვრის მარცხენა მხარე არ ეკუთვნოდა და იგი (მტკვრის მარცხენა მხარე) სამცხის შემადგენლობაში შედიოდა.

ზემოთ განხილული ისტორიული წყაროებიდან თორის მხარის მდებარეობის შესახებ შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: ბორჯომის ხეობა (დღევანდელი) IV საუკუნეში ქართლისა და სამცხის სასაზღვრო („კერძოთა ქართლისათა... ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა"[3]) მხარეს წარმოადგენდა და ორ ნაწილად იყოფოდა.

---

1 ვ ა ხ უ შ ტ ი. ქართლის ცხოვრება, 1941, გვ. 162.

2 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 9.

3 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართ. ერის ისტორია, ნაწ. II, გვ. 32.

ერთი ნაწილი, მტკვრის მარჯვენა მხარე (დღევანდელი ბორჯომის ხეობის დიდი ნაწილი, ახალდაბიდან აწყურამდე, წაღვერის, ბაკურიანის გუჯარეთის მიდამოები) თორის მხარეს შეადგენდა და ადმინისტრაციულად ქართლის შემადგენლობაში შედიოდა. მეორე ნაწილი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, დაწყებული ტაშისკარიდან ახალციხის მიმართულებით, სამცხეს ეკუთვნოდა.

სახელწოდება „თორის მხარე", ანუ „თორის ოლქი", დაბა თორიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ამ მხარის ადმინისტრაციული ცენტრი იყო და თორელთა საგვარეულო ადგილ-სამყოფელს (რეზიდენციას) წარმოადგენდა. სად მდებარეობდა ისტორიული თორი? ბორჯომის ხეობაში დღესაც არსებობს თორი (მდებარეობს იგი ბაკურიანიდან დასავლეთით 8 კილომეტრის მანძილზე), მაგრამ მდებარეობდა თუ არა ძველი (ისტორიული) თორი დღევანდელი თორის ადგილზე? მიჩნეულია, რომ ძველი თორი სწორედ იმ ადგილზე მდებარეობდა, სადაც დღევანდელი თორია. ჩვენი აზრით, ეს დებულება სწორი არ არის. დღევანდელ თორში, თითქმის, არავითარი ნაშთი არ არის, რომლითაც შეიძლება დადასტურდეს ამ ადგილზე ძველი დაბა თორის არსებობა. დღევანდელ თორში არის ერთი პატარა ეკლესიის ნანგრევები, რომელიც ახალი დროის ნაგებობაა და იგი არ გამოდგება იმის დასადასტურებლად, რომ აქ არსებობდა ისტორიული თორი, ამიტომ ისტორიული თორი უნდა ვეძებოთ სხვა ადგილზე — დღევანდელი თორის მახლობლად.

დღევანდელ თორთან ახლოს, 4—5 კილომეტრზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე შავიწყლის მარცხენა ნაპირზე, არსებობს ნანგრევები ძველი დარბაზებისა. ნანგრევებს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უჭირავს და ეს ადგილი „ნადარბაზევად" იწოდება. ნადარბაზევი ისტორიულ წყაროებში ბორჯომის ხეობაში მოხსენიებული არ არის.

ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ძველი თორის ადგილმდებარეობის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „არამედ სადგერი არს მაგარი და შეუალი, ეკლესია შემუსრული აღაშენა და შეამკო ხატი მისი ჟ. დ. (94) მეფემან ვახტანგ. ამ სადგერს ზეით, დასავლით არს დაბა თორი"[1].

ამ ამონაწერიდან ირკვევა, ვახუშტი დაბა თორად გულის-

---

[1] ვახუშტი. აღწერა, გვ. 83.

ხმობს ნადარბაზევს და არა დღევანდელ თორს, ვინაიდან ნადარბაზევი მდებარეობს სწორედ იმ ადგილზე, სადაც თორის არსებობას მიუთითებს. ვახუშტი რომ დღევანდელი თორის შესახებ ლაპარაკობდეს და ამ ადგილზე გულისხმობდეს ძველ თორს, მაშინ იტყოდა: „სადგერიდან დასავლით", ვინაიდან დღევანდელი თორი სწორედ სადგერის დასავლეთით მდებარეობს. ვახუშტი ამბობს: სადგერს ზეით, დასავლით არს დაბა თორიო. სადგერს ზევით დასავლეთით სწორედ ნადარბაზევი მდებარეობს და არა დღევანდელი თორი. ვახუშტიმ, ზუსტად რომ მიეთითებინა ძველი თორის ადგილმდებარეობა, დაწერა: „სადგერს ზეით — დასავლით". ამ მოსაზრებას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ვახუშტის, ნადარბაზევი თავის გეოგრაფიაში მოხსენიებული არა აქვს, ასეთი მნიშვნელოვანი პუნქტის გამოტოვება კი მას არ შეეძლო. ვახუშტის მიერ ბორჯომის ხეობა დეტალურად არის აღწერილი, პატარა ნასოფლარი, ციხე, ეკლესიის ნანგრევიც კი აღწერის გარეშე არ არის დატოვებული. ამ მეცნიერს ყველაფერი თავისი თვალით უნახავს და აღუწერია, და როგორღა შეიძლებოდა ნადარბაზევი მხედველობიდან გამორჩენოდა? ვახუშტის დროს, და არც შემდეგ, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, ბორჯომის ხეობაში ნადარბაზევის არსებობა წყაროებით დადასტურებული არ არის. ამ ადგილს (ნადარბაზევს) ვახუშტის დროს თორი ერქვა და ამიტომ იგი მას თორად იხსენიებს. ახალი თორი (დღევანდელი თორი მოსახლეობის მიერ ახალ თორად იწოდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ძველი თორიც არსებულა, რომელიც სხვა ადგილზე მდებარეობდა) ვახუშტისათვის ცნობილი არ ყოფილა. იგი, რა თქმა უნდა, არსებობდა, მაგრამ ამ დროისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. ახალი თორის ხელმეორედ დასახლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა (1853 წელს მეფისნაცვალმა ვორონცოვმა პოლტავის გუბერნიიდან თორში გადმოასახლა უკრაინელები, 1944 წელს თორის მოსახლეობა გადასახლდა ახალციხის რაიონის სოფელ თისელში. დღეისათვის თორში მოსახლეობა არ არის) და სწორედ ამ დროიდან ისტორიული თორისათვის ნადარბაზევი უწოდებიათ, მოსახლეობის მიერ იგი ზოგჯერ თორადაც მოიხსენიება.

ბუნებრივია, IX, X, XI საუკუნეებში ახალ თორში სახლობდა თორელთაგან ვინმე, რომელსაც დარბაზი და ეკლესიაც ექნებოდა, მაგრამ თორელთა რეზიდენცია იგი არ იქნებოდა. ამის დამადასტურებელი ნაშთები იქ არ არის.

რატომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ ისტორიული თორი იმ ადგილზე მდებარეობდა, სადაც ნადარბაზევია? არსებობს თუ არა აქ რაიმე მატერიალური კულტურის ძეგლი? რა თქმა უნდა, ასეთი ძეგლები აქ მრავლად არის შემორჩენილი.

დღევანდელი თორიდან (ახალი თორი) ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთნახევარ კილომეტრზე მდებარეობს ნაოხარი, რომელსაც მოსახლეობა „მოსაქცევს" უწოდებს. აქ მრავლად არის ნანგრევი, რაც ერთმანეთზე მიდგმული დიდი ლოდებით ნაგებ შენობათა ნაშთებს წარმოადგენს (შენებისათვის დუღაბი არ არის გამოყენებული). რაკი შენობები დიდი ლოდებით ყოფილა ნაშენი, ნანგრევები კარგად არის დაცული, ლოდები გაფანტვა-დაზიანებას ადვილად გადარჩენია. ყველა შენობა დარბაზული ტიპისა ყოფილა და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. ერთ შენობას მეორეში გასასვლელი ჰქონია, ასე, რომ ყველა ეს შენობა ერთ მთლიან კომპლექსს წარმოადგენდა. ირკვევა, რომ ასეთ შენობათა ერთი კომპლექსი მეორე კომპლექსთანაც ყოფილა დაკავშირებული (კომპლექსები ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს). აღმოსავლეთის უკანასკნელი კომპლექსი მცირე მრგვალი დარბაზით მთავრდება, საიდანაც იწყება ხვრელი, რომელიც უფსკრულის (ხევის) პირამდე მიდის. ხვრელი ფიქალით არის გადახურული. ხევის პირას, კლდეებში, ჩანს რამდენიმე შესასვლელის კვალი, რომელიც ნანგრევებისაკენ მიემართება. მოსაქცევის დასავლეთით, ხევს გაღმა, პატარა ნასოფლარის ნაშთებია. ეს ნანგრევები მოსაქცევის ნანგრევების ტიპისაა. ნასოფლარის ახლოს ლოდებით ნაგები მცირე მოცულობის ეკლესიაა დაცული. იგი ქრისტიანული ეკლესიაა, რასაც ადასტურებს შესასვლელის ერთ-ერთ ქვაზე გამოსახული ჯვარი.

საინტერესოა ნადარბაზევი. იგი მდებარეობს ახალი თორიდან აღმოსავლეთით ხუთ კილომეტრზე. ნადარბაზევში, თითქმის ექვს კვადრატულ კილომეტრზე, ერთმანეთისაგან არც თუ ისე დაშორებით, არსებობს მრავალი ნანგრევი. ალბათ, ამ ნანგრევებზე ძველად ცალ-ცალკე დასახლებული პუნქტი არსებობდა და მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ერთიმეორესთან. საკოჭავ-თორის გზის ნაპირას არის უტყეო ვაკე, რომელზედაც მდებარეობს ნადარბაზევის ყველაზე დიდი და ამგვარ ნაგებობათა შორის ყველაზე ტიპური ნასახლარები. შენობები აშენებული ყოფილა ლოდებისაგან, შენებისათვის არ არის გამოყენებული დუღაბი, ყველა შენობა დარბაზის ტიპისაა, ოთახებს ერთიმეორეში გასასვლელი და მეზობელ შენო-

ბებს საერთო კედელი აქვს. ამრიგად, რამდენიმე შენობა ქმნის ერთ მთლიან კომპლექსს. ნანგრევების განაპირას დგას ერთნავიანი საკმაოდ მოზრდილი ეკლესია, თითქმის ისეთივე ტიპის, როგორიც დაბის ეკლესიაა (დაბის ეკლესია ბორჯომის ხეობის სოფელ დაბაშია), იმ განსხვავებით, რომ მას არავითარი მხატვრობა და მორთულობა არა აქვს, იგი აღწერილი ნაგებობების ხნოვანებასთან შედარებით, გვიანდელი პერიოდისაა.

დასახელებული ეკლესიის ახლოს, 500—600 მეტრის მანძილზე, ნამოსახლარების კიდევ ერთი ჯგუფია, ისეთივე ტიპის, როგორიც ჩვენ მიერ აღწერილი ნადარბაზევის ნაგებობებია, იმ განსხვავებით, რომ აქ უკეთესად არის დაცული (მერცხლისებური) კონუსის ფორმის სათავსები. ნადარბაზევის ნამოსახლარებში დიდი რაოდენობითაა ორმოები, რომლებიც ხორბლის შესანახად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ორმოები გადახურულია ტლანქად გათლილი, წისქვილის ქვის მსგავსი ქვებისაგან, რომელთაც შუაში ნახვრეტი აქვთ, საიდანაც, ალბათ, ხორბალს ჰყრიდნენ. ორმოს თავი შენობის ბანთან არის გასწორებული, ხოლო ძირი შენობის იატაკიდან ოდნავ მაღლა დგას. ხორბლის გამოსაღებად სარკმელი ჰქონია დატანებული. ორმოს მოცულობა, საკმაოდ დიდია.

ნადარბაზევისა და მოსაქცევის ნამოსახლარების მსგავსი ბევრია ბაკურიანის, ციხისჯვრის, დაბაძველისა და ჭობისხევის მიდამოებში. ნადარბაზევისა და მის ახლომახლო მდებარე ნასახლარები იმას მოწმობს, რომ აქ იმ დროს, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობა იქმნებოდა და გვაროვნულ-თემური წყობილება იშლებოდა, ხალხი მრავლად სახლობდა. ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა ნაგებობა დიდი ქვის ლოდებითა და დუღაბის გამოუყენებლად არის აშენებული იმაზე მიგვითითებს, რომ ისინი უძველესი დროისანი არიან. მაინც საჭიროა, განისაზღვროს ნადარბაზევის ნაგებობათა ხნოვანება. ნადარბაზევ-მოსაქცევის ნაგებობანი იმ დროს განეკუთვნებიან, როდესაც გვარი ქმნიდა დასახლებულ პუნქტს. გვარის წევრები ერთ სახლობას ქმნიდნენ, გვარს ჰქონდა საერთო სახლი.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის ერთ-ერთ ლექციაში 1936 წელს ამბობდა: ტერმინი „სახლი“ საქართველოში უძველესი დროიდან იხმარებოდა გვარისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი შენობის აღმნიშვნელად. ეს იმას ნიშნავს, რომ გვარს ერთი შენობა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, შენობათა კომპლექსი (სახლთა კომპლექსი)

ჰქონდა საცხოვრებლად, სადაც თითოეული შენობა მეორესთან კარებებით (გასასვლელებით) იყო შეერთებული. მაგრამ თუ ნადარბაზევში არსებულ შენობათა თითოეულ კომპლექსს, გვარის საცხოვრებელ სახლად ჩავთვლით, მაშინ გამოდის, რომ აქ, შედარებით პატარა ტერიტორიაზე, ერთიმეორისაგან მცირე მანძილით (600—800 მეტრით) დაშორებული, რამდენიმე გვარი ცხოვრობდა (აღნიშნულ ტერიტორიაზე მრავალი ასეთი კომპლექსია). მეცნიერების მიერ ჯერჯერობით არ არის დადასტურებული, რომ ერთ პატარა ტერიტორიაზე ეცხოვროს რამდენიმე გვარს. ჩვენი აზრით, ნადარბაზევ-მოსაქცევში ძველად არსებულ საცხოვრებელ კომპლექსებში დიდი საოჯახო კოლექტივები ცხოვრობდნენ, ისინი ურთიერთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და ქმნიდნენ ერთ გვარს, ერთ გვაროვნულ ერთეულს. ეს საოჯახო კოლექტივები დიდი პატრიარქალური ოჯახები უნდა ყოფილიყვნენ.

მოსაქცევ-ნადარბაზევისა და საერთოდ თორის მოსახლეობის შესახებ, ჩვენ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრი: „მე, მაგალითად, ისე წარმომიდგენია, რომ ძველი თორელები დიდ ოჯახებად და შედარებით პატარა სოფლებად მოსახლეობდნენ“[1]. ქრონოლოგიურად ნადარბაზევ-მოსაქცევის ნაგებობათა კომპლექსები იბერიის სახელმწიფოს შექმნის (IV საუკუნე ძველი წელთაღრიცხვით) უწინარეს ხანას უნდა მიეკუთვნოს. ამ დათარიღებას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ნაგებობებთან ახლოს ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი. როდესაც იბერიაში ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა (337 წელი), მაშინ წარმართული სარწმუნოების ძეგლებს ანგრევდნენ და ანადგურებდნენ, მაგრამ საერთო ნაგებობანი რჩებოდა, ე. ი. ძველი საცხოვრებელი სახლები შემორჩა, ქრისტიანული ეკლესიები კი მოგვიანებითაა აშენებული.

ნადარბაზევ-მოსაქცევში არსებული ნაგებობების მსგავს ნაგებობათა სიმრავლე ბორჯომის ხეობაში (ციხისჯვარში, დაბაძველში, ჭობისხევის მახლობლად და ბაკურიანის მიდამოებში) იმას ადასტურებს, რომ აქ (თორის მხარე) იბერიის სახელმწიფოს შექმნის წინაპერიოდში, გვაროვნულ-თემური წყობილების რღვევის პროცესში, მოსახლეობა ყოფილა და მას იმ დროის კვალობაზე

1 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, 1964, გვ. 253.

ქ. ფარნავის სახ. საქ. ხელოვნების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

К 182.384

საკმაოდ განვითარებული კულტურა ჰქონია. ამ დებულების გამტკიცება იმითაც შეიძლება, რომ თორის მხარე უშუალოდ ესაზღვრებოდა თრიალეთის მხარეს, სადაც თემურ-გვაროვნული ხანის ადამიანთა ცხოვრება დადასტურებულია. ბუნებრივია, რომ თორის მხარეც ამ ისტორიული განვითარების ფერხულში იქნებოდა ჩაბმული. აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც. 1913 წელს ბორჯომის მინერალური წყლების ბაღში საკაპტაჟო სამუშაოების წარმოების დროს აღმოაჩინეს 6 აბაზანის ნაშთი, რომელთა ხნოვანება პროფ. პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინმა ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნით დაათარიღა. ეს მოწმობს, რომ ქართველი ერის ისტორიის ადრეულ პერიოდში (პირველი საუკუნე ახალი წელთაღრიცხვით) თორის მხარე დასახლებული ყოფილა და ბორჯომის მინერალურ წყალს სამკურნალოდ იყენებდნენ, რაც მათი განვითარების მაღალ დონეზე მიგვითითებს.

ის ფაქტი, რომ უსახელო გეოგრაფიაში თორი მოხსენიებულია ცალკე მხარედ (ოლქად) და ეს ცნობა ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეს განეკუთვნება, იმაზე მიუთითებს, რომ ამ დროისათვის თორის საერისთავო უკვე არსებობდა. უნდა ვიფიქროთ, რომ თორის საერისთავოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება ისეთივე იყო, როგორიც იბერიის სხვა საერისთავოებისა.

შემორჩენილი მატერიალური კულტურის ზოგიერთი ძეგლი იმაზე მიგვითითებს, რომ აქ, ადრეფეოდალურ ხანაში მცხოვრებ ადამიანთა კულტურის დონე საკმაოდ მაღალი იყო.

ბორჯომის ხეობაში მდებარეობდა უძველესი ციხე დემოთი. მისი ნანგრევები დღესაც დაცულია ბორჯომის ხეობის სოფელ ქვაბისხევის ჩრდილოეთით 8 კილომეტრზე, მდინარე ქვაბისხევურას მარცხენა ნაპირას. დემოთის შესახებ ქართლის ცხოვრებაში ასეთი ცნობაა დაცული: „აღაშენა ციხე ქვეყანასა ოძრხევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსაც ჰქვია დემოთი, მოკიდებულად მთასა ღადოსსა“[1]. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „სადღაც ღადოს მთაში უნდა ყოფილიყო დემოთი“[2]. აკად. ნ. ბერძენიშვილი ისტორიული დემოთის არსებობას ბორჯომის ხეობაში, სოფ. ქვაბისხევთან ვარაუდობს,[3] და მართლაც, სოფ. ქვაბისხევთან არსებული ციხის ნანგრევები, რომელსაც ხალხი „დემოთის

1 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 47.
2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული ერის ისტორია, ნაწ. II, გვ. 53.
3 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. შრომა, გვ. 225.

ციხეს“ უწოდებს, უეჭველს ხდის აქ ისტორიული დემოთის არსებობას.

III საუკუნიდან სპარსეთი იწყებს ბრძოლას ამიერკავკასიის ხელში ჩასაგდებად, ამ ბრძოლაში ებმება რომიც. ორი დიდი მტაცებლის ჭიდილში იბერია-ლაზიკამ კარგა ხანს, მოქნილი პოლიტიკისა და გმირული ბრძოლების შედეგად, დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ვახტანგ გორგასალის მეთაურობით მარცხით დამთავრდა. ქართლს ირანი დაეპატრონა, VI საუკუნის დამდეგს მეფობა გააუქმა, მძიმე ხარკი დაადო და სამხედრო ვალდებულება დააკისრა. ამავე დროს ქრისტიანობის ნაცვლად მაზდეანობის გავრცელება დაიწყო.

სპარსეთთან ომებმა ქართლს დიდი ზიანი მიაყენა. სანახევროდ მოიშალა მეურნეობა, დაინგრა საკულტო და სამეურნეო ნაგებობანი. მრავალი ადამიანი შეეწირა ბრძოლას. სპარსელთა ძალადობისაგან შედარებით დაცული ყოფილა თორის მხარე, ასევე მთელი სამცხე. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ამ მხარეში V—VII საუკუნეების მრავალი ნაგებობაა, რომელთა დიდი უმრავლესობა დღესაც დაცულია. V—VI—VII საუკუნეების ნაგებობებიდან აღსანიშნავია: ლიკანის, საკირისა და საკოჭავის ნამოსახლარები, ყველა ისინი დარბაზული ტიპისანი არიან. მკვლევარი ირ. ციციშვილი ლიკანის ნაგებობებს ასე ახასიათებს: „ლიკნის შესანიშნავი დარბაზები ხასიათდებიან მაღალი გვირგვინით, რომელიც ამოყვანილია მცირე ფილების (კუთხური) წყობით და ახლავთ ასეთივე ტიპის ხორბლის შესანახი ორმოები. მათი თარიღი ჯერ საბოლოოდ დაზუსტებული არაა (შესაძლებელია, ადრინდელ ფეოდალურ ხანასაც მიეკუთვნოს), მაგრამ წარმოშობის სიძველე უეჭველია“[1].

დასახელებულ ნასახლარებთან ადრეული ქრისტიანული ეპოქის ეკლესიებიც არის შემონახული. ეს ნასახლარები, სწორედ ადრეულ ფეოდალურ ხანაში ადამიანთა საცხოვრებლად იყო გამოყენებული. მათი სიმრავლე ბორჯომის ხეობაში იმის მაუწყებელია, რომ აქ მოსახლეობა მჭიდროდ იყო დასახლებული. ამ დებულების დასადასტურებლად გამოდგება ბორჯომის ხეობაში დაცული მრავალი ბაზილიკური ტიპის ტაძარი. როგორც ისტორიული წყაროებით ირკვევა, ასეთი ტიპის ტაძრების მშენებლობა საქართველოში

---

1 ირ. ციციშვილი. ქართული არქიტექტურის ისტორია, 1955, გვ. 28.

VI საუკუნიდან იწყება, რასაც შემდგომ ისტორიულ პერიოდში სხვა ტიპის მშენებლობანი ცვლიან. ასე რომ, როდესაც ქართლში სპარსელები დამკვიდრდნენ და ისინი ცხოვრების წინსვლას ყოველნაირად აბრკოლებდნენ, მაშინ ბორჯომის ხეობაში ცხოვრება წინ მიდიოდა, ტაძრები და დაბა-სოფლები შენდებოდა. ჩანს, რომ ბორჯომის ხეობა კარგად ყოფილა დაცული, რის გამოც სპარსელებისათვის იგი მიუვალი გამხდარა. საფიქრებელია, რომ ამ დროს ქართლიდან მოსახლეობა თორის მხარისა და სამცხისაკენ ილტვოდა.

V—VI—VII საუკუნეებში შექმნილ სამნავიან ბაზილიკათა რიგს მიეკუთვნება: ლიკანის, ჩითახევისა და გუჯრიხევის მონასტრები, სოფ. საკირის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მონასტრის ნანგრევი, სოფ. ტაძრისის სამხრეთით მდებარე მონასტრების ნანგრევები, სოფ. საკირის ციხის გადაღმა არსებული ეგრეთ წოდებული „მიწის საყდარი“, ფოთოლეთის მონასტრის ნანგრევები, დაბა ბაკურიანის დასავლეთით მდებარე ეგრეთ წოდებული პანტნარის სამნავიანი ტაძრის ნანგრევი, სოფ. ჭობისხევის ეკლესია (დაცულია მხოლოდ საძირკვლები) და სხვ. აქ ერთიმეორეშია არეული საყდარი, ეკლესია, მონასტერი და შესაძლებელია ეს ტერმინები დანიშნულებისამებრ არ იყოს ნახმარი, მაგრამ ჩვენ იაევე დავწერეთ ეს სახელწოდებანი, როგორც მას ღღეს ხალხი ხმარობს.

გასარკვევია, ჩვენი წინაპრები რას უწოდებდნენ ეკლესიას, საყდარსა და მონასტერს. ქრისტიანთა სამლოცველოს ძველად ეკლესია ერქვა, ეკლესია ბერძნული სიტყვაა და ქართულად შესაკრებელს ნიშნავს. ეს სიტყვა საქართველოში ქრისტიანობის შემოღებისთანავე შემოდის და იმაზედაც მიუთითებს, რომ საქართველოში ქრისტიანობა საბერძნეთიდან გავრცელდა. ძველ საქართველოში საყდარი იმას ნიშნავდა, რასაც XI საუკუნიდან ტახტი ეწოდა, ქართულ საისტორიო ძეგლებში ხშირადაა აღნიშნული „მღვდელ მთავარი დაჯდა საყდარსაო“. ამასთანაა დაკავშირებული საყდრის მეორადი მნიშვნელობაც — საყდარი ისეთ ეკლესიას ერქვა, სადაც ეპისკოპოსი იჯდა (ეპისკოპეო — ბერძნული სიტყვაა და ქართულად ზედამხედველს ნიშნავს). ხუცესთა ზედამხედველი „ეპისკოპოს-ხუცესად“ იწოდებოდა, ჟამთა მსვლელობაში „ხუცესი“ ჩამოშორდა ამ სიტყვას და დარჩა მარტო ეპისკოპოსი. X—XI საუკუნეებიდან საქართველოში საყდარი მხოლოდ იმ ეკლესიას ერქვა, სადაც ეპისკოპოსი იჯდა, დანარჩენი სამლოცველოები ეკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიად იწოდებოდნენ. თორის მხარეში კი რამდენი საყდარიც მოვიხსენიეთ, იმდენი ეპისკოპოსი, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა, ამიტომ ზოგიერთ ეკლესიას საყდრის სახელი პირობით აქვს მიკუთვნებული.

მონასტერი (მონასტერიო) — ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს შენობათა ისეთ ჯგუფს, სადაც მონაზვნები ცხოვრობდნენ. აქ მართლაც შენობათა ჯგუფი იყო — მონაზვნებს ჰქონდათ: სენაკები (სამლოცველო), სატრაპეზო (სამაგიდო), ე. ი. სადაც საჭმელს ჭამდნენ, მას შემდეგში საოსტიგნო დაერქვა; ჰქონდათ სამზარეულო, სამკერვალო, საავადმყოფო, რასაც სასნეულო ეწოდებოდა. მონასტრებს მეუდაბნოენი აარსებდნენ. უდაბნო სიტყვა დაბიდან წარმოდგება — „დაბა“ სოფელს ერქვა, „უ“ კი უარყოფითი ნაწილაკია, ე. ი. უდაბნო იმ ადგილს ერქვა, სადაც სოფელი არ იყო, სადაც ხვნა-თესვას არავინ ეწეოდა, სადაც მოსახლეობა არ იყო (სვანურად დაბან — მოხნულ მიწას ნიშნავს,უდაბან — მოუხნავს — აქედან უდაბნო). ის ადამიანები, რომლებიც უდაბნოში მიდიოდნენ და იქ მონასტრებს აარსებდნენ, მეუდაბნოებად იწოდებოდნენ.

საკულტო დაწესებულებებიდან უნდა აღინიშნოს ეკვტერი (ბერძნული სიტყვა — ეკვტერიო — სამლოცველოს ნიშნავს), რომელიც ეკლესიისაგან განსხვავდებოდა. იგი პატარა მოცულობის იყო და ხშირად ეკლესიაზე იყო მიშენებული, იქ მხოლოდ ლოცვა შეიძლებოდა, წირვა კი არა. XVII საუკუნიდან ეკვტერი საგვარეულო სასაფლაოდ — სამარეად გადაიქცა.

თორის მხარეში დღემდე შემორჩენილი V—VI—VII საუკუნეების საკულტო ნაგებობებისათვის დამახასიათებელია შენობის თავისებური სტილი. მათ ახასიათებთ კვადრატული გეგმა, რომლებიც კედლებითაა გაყოფილი სამ ნაწილად და შვერილი წრიული აბსიდი აღმოსავლეთის მხარეს. შიგნით სამივე ეკლესიას ღრმა ნალისებური ფორმის აბსიდები აქვს. ეკლესიას შემოსასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა. ცენტრალურ ეკლესიას ორი კარი აქვს, ერთი სამხრეთიდან, მეორე დასავლეთიდან, რაც შეეხება ჩრდილო ეკლესიას, აქ მოხვედრა მხოლოდ შუა ეკლესიიდან შეიძლება. შენობის ცენტრალური ნავი აღემატება გვერდით სადგომებს როგორც სიმაღლით, ისე სიგანით, რის შედეგად ძეგლის გარეთა მასები სამნავიანი ბაზილიკის სახეს ღებულობენ[1].

---

1 ი რ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი. დასახ. შრომა, გვ. 4.

ბორჯომის ხეობაში არსებულ საკულტო ნაგებობებს ახასიათებს მონასტრისათვის დამახასიათებელი ნიშნები: საძვალე, სენაკები და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. ზემოთ დასახელებული ნაგებობანი აშენებულია ტლანქად გათლილი ქვის კვადრატებით და მხატვრული გაფორმება არ ახასიათებს. ის ფაქტი, რომ თორის მხარეში არსებულ საკულტო ნაგებობათა საკმაოდ დიდი რაოდენობა სამონასტროდ არის აგებული (ლიკანის, გუჯრიხევის, ჩითახევის, ტაძრისის, საკირის და ზედა ფოთოლეთის ტაძრები), ამ მხარის დიდ კულტურულ საქმიანობაზე მიუთითებს.

VIII საუკუნეში თორის მხარეს არაბ დამპყრობთა შემოსევებით განადგურება განუცდია. არაბებმა დიდი ზიანი მიაყენეს ქართლს და ამ საერთო მოვლენას, რა თქმა უნდა, თორის მხარეც ვერ აცდებოდა. ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ მურვანის შემოსევამ ქართლი ძლიერ დააზიანა და „იქმნა განრყუნილ ქვეყანა ქართლისა, სომხეთისა და რანის, რომ არღარა იპოებოდა ნაშენები, არც საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე"[1].

როგორც ცნობილია, არაბებმა 735—738 წლებში დიდი ლაშქრობა მოაწყვეს მურვან-ყრუს სარდლობით ამიერკავკასიის დასაპყრობად. ამ ლაშქრობის შესახებ ქართლის ცხოვრებაში შემდეგია მოთხრობილი: „მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია... და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა"[2]. იქვე მითითებულია: „და მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრხისთა, რამეთუ იყო მაშინ ქალაქი იგი სახელოვანი"[3].

გიორგი მერჩულეს ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ თორის მხარეს არაბთა შემოსევისაგან დიდი აოხრება განუცდია. იგი ამ ფაქტს შემდეგნაირად აღწერს: „ზოგად ქართლისა და სამცხისა არეთა მათ უდაბნოთა". ქართლ-სამცხის სანაპირო მხარე თორის მხარე იყო და იგი არაბების შემოსევის გამო ისე გავერანებულა, რომ მას მერჩულე უდაბნოდ იხსენიებს.

თორის მხარის ხელახალი აღორძინება დაწყებულა VIII საუკუნიდან და IX—X საუკუნეებში იგი კულტურულად და ეკონომიკურად საკმაოდ დაწინაურებულა. ამ მხარის ახალ აღმშენებლო-

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 239.
2 იქვე. გვ. 234.
3 იქვე.

ბათა დამწყებად თეოდორე ნეძველი და ქრისტეფორე კვირიკეწმიდელი ითვლებიან. ისინი გრიგოლ ხანძთელის მოწაფეები ყოფილან და თავდაპირველად ხანძთაში უმოღვაწიათ, შემდეგ თორის მხარეში გადმოსულან და აქ IX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლო წლებში (840 წლის ახლო ხანებში) თეოდორეს დაუარსებია სავანე ნეძვი, ქრისტეფორეს კი კვირიკეწმიდის სავანე (მონასტერი). ნეძვი და კვირიკეწმიდა, კლარჯეთის თორმეტ სავანესთან ერთად, ძველი ქართული კულტურის კერებია. ნეძვისა და კვირიკეწმიდის სავანეების ადგილმდებარეობის შესახებ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ნათქვამია: „კერძოთა ქართლისათა... ზოგად ქართლისა და სამცხისა არეთა... იმყოფებოდა ნეძვი დიდებული ლავრა... და მონასტერი კვირიკე წმიდა“[1].

ნეძვის სავანის ადგილმდებარეობა ცნობილია. სადგურ ახალდაბიდან აღმოსავლეთით 8 კილომეტრის მანძილზე მდინარე ნეძვურას ხეობაში არის სოფელი ნეძვი, აქვე დაცულია ნეძვის დიდებული ლავრის ნანგრევები, ასე, რომ ნეძვის სავანის თორის მხარეში არსებობის საკითხი ეჭვს არ იწვევს.

ნეძვის სავანეში ბაგრატ მეოთხეს (1027—1072 წწ.) სამოღვაწეოდ მოუწვევია XI საუკუნის ცნობილი მწერალი და მეცნიერი გიორგი მთაწმინდელი (ათონელი). „მისცა ადგილნი შუენიერნი, ლავრანი დიდებულნი, განსასვენებლად და საყოფელად მისდა, პირველად ნეძვი ქართლისა შინა და შემდგომად მცირედისა შატბერდი, დიდებული ლავრა კლარჯეთისა შინა“[2]. როგორც ჩანს, საკმაო ხანს უმოღვაწია ნეძვის დიდებულ ლავრაში გიორგი მთაწმინდელს.

დღემდე სადავოდ არის მიჩნეული და დაუდგენელია კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობა. არის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სავანე კვირიკეწმიდა (კვირიკეთი) არსებობდა დღევანდელ ახალციხის რაიონში, აწყურის მახლობლად, რუგეთის მთის კალთებზე[3]. ასეთი მოსაზრება შემდეგ დებულებებს ემყარება: 1. გიორგი მერჩულეს თხზულებაში მეორე სავანის სახელად დასახელებულია „კვირიკეთი“ და „კვირიკეწმიდა“. ასეთი სახელწოდების

---

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ნაწ. II, გვ. 32.

2 ს. ყუბანეიშვილი. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1946, გვ. 123.

3 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 394—395.

პუნქტები ახალციხე-ბორჯომის რაიონების სასაზღვრო ადგილებში დღეისათვის ცნობილი არ არის, ამიტომ ბორჯომის რაიონის სოფელ დვირთან არსებული საკვირიკე არ შეიძლება მივიჩნიოთ კვირიკეთად ან კვირიკეწმიდად.

2. რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით „კვირიკეთი“ (კვირიკეწმიდა) სხვაა და „საკვირიკე“ სხვა, ე. ი. ისინი სხვადასხვა პუნქტებია, ამიტომ ბორჯომის ხეობის „საკვირიკე“, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სავანე „კვირიკეწმიდად“ (იგივე „კვირიკეთად“).

3. „ვილაიეთის დიდ დავთარში“, აწყურის რაიონის ახალციხის ლივაში არსებული სოფლების სიაში მეშვიდე სოფლად ძირითად ტექსტში დასახელებულია „კვირიკეწმიდა“, სარჩევში კი „კვირიკე“, და სწორედ ეს „კვირიკეწმიდა“ (იგივე „კვირიკე“) არის მერჩულეს თხზულებაში დასახელებული სავანე „კვირიკეწმიდა“.

4. კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობა განსაზღვრულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სოფლების სიის თანამიმდევრობიდან. სახელდობრ, რაკი „ვილაიეთის დიდ დავთარში“ სოფლები გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით თანამიმდევრობით არიან დასახელებული და კვირიკეწმიდა (კვირიკე) დასახელებულია სოფლებს—ორფოლა, ბლორძა, ხიდეთი, გელაანთუბანი, კოპეთი, კვირიკეწმიდა, საყუნეთი და ტყემლოვანას შორის, ამიტომ კვირიკეწმიდა მდებარეობდა აქ აღნიშნულ უბანში — საყუნეთის თემის ფარგლებში, სოფლების: ბლორძა, კოპეთი (კოპაძე), საყუნეთის სექტორში.

5. მკვლევარს მოტანილი აქვს მონღოლთა ბატონობის ხანის ქართველი ისტორიკოსის ჟამთააღმწერელის ცნობა, სადაც ნათქვამია: „სამძივარი (ბრძოლის მონაწილე ქართველი მთავარი) ცხენმოკლული ივლტოდა და აწყურს შევიდა. მხედართმთავარი თათართა ყურუმჩი ბადურ მოიკლა და (თათარნი) უწესოდ დაბნეულნი, გზისა სამეოტოსა ვერ დამპყრობელნი შეივლტოდეს მთად რუგეთისა, ალმართსა ძნელად სავალსა, სოფელსა რომელსა ჰქია კვირიკეწმიდა“[1]. ასეთია ის დებულებები, რომლითაც მკვლევარი სავანე კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობას აწყურის მახლობლად, საყუნეთის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მიიჩნევს. ვფიქრობთ,

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 266.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამ დებულებებით კვირიკეწმიდის საყუნეთის სექტორში ა-
სებობა ვერ დადასტურდება და აი, რატომ: იმ დებულების აღია-
რება, რომ თითქოს, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“
სოფლები და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები გეოგრაფიული მდე-
ბარეობის თანამიმდევრობით არიან დასახელებული, სწორი არ
არის, ვინაიდან თუ „დავთარს“ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ
უმრავლეს შემთხვევაში პუნქტების დასახელების დროს თანამიმ-
დევრობა დაცული არ არის, რომ „დავთრის“ შემდგენლებს მიტა-
ცებული ტერიტორიის დასახლებული პუნქტების ადგილმდებარეო-
ბა კარგად არ სცოდნიათ. ამ დებულების დასამტკიცებლად მოვი-
ყვანთ ზოგიერთ მაგალითს. აწყურის რაიონის (ახალციხის ლივა)
სოფლების ჩამოთვლის დროს მეცხრე სოფლად დასახელებულია
სოფელი საყუნეთი, რომელიც აწყურიდან სამხრეთით მდება-
რეობს, მეთერთმეტე სოფლად კი სოფელი დვირი. სოფ. დვირი
აწყურის ჩრდილო-აღმოსავლეთით 14 კილომეტრამდე მდებარეობს,
ე. ი. საყუნეთის შემდეგ გამოტოვებულია ხუთი სოფელი, რომლე-
ბიც სხვა ადგილზე არიან დასახელებული. პეტრეს რაიონის სოფ-
ლების დასახელების დროს მეთოთხმეტე სოფლად დასახელებულია
სოფელი ყვიბისი (მდებარეობს ბორჯომიდან ჩრდილო-აღმოსავ-
ლეთით 4 კილომეტრზე), მეთხუთმეტე სოფლად კი ციხისჯვარი,
რომელიც ბორჯომის სამხრეთით 40 კილომეტრზე მდებარეობს. ამ
ორ სოფელს შორის, თითქმის, ათამდე სოფელია გამოტოვებული
და ისინი სხვა ადგილზე არიან მოხსენებული. ასეთი ფაქტები მრავ-
ლადაა. დასკვნა ერთია — „ვილაიეთის დიდ დავთარში“ სოფლები
უმრავლეს შემთხვევაში გეოგრაფიული მდებარეობის თანამიმდევ-
რობით არ არიან დასახელებული. ამიტომ არ შეიძლება გადაჭრით
ითქვას, რომ სავანე კვირიკეწმიდა აუცილებლად საყუნეთის სექ-
ტორში არსებობდა. შესაძლებელია, საყუნეთის სექტორში იმ
ადგილზე, სადაც მკვლევარი მიუთითებს, მართლაც, არსებობდა
სოფელი კვირიკეწმიდა, რომლის არსებობის კვალი დღეისათვის
მიკვლეული არ არის, მაგრამ ამით იმის დამტკიცება, რომ სავანე
(მონასტერი) კვირიკეწმიდა აუცილებლად აქ იყო, რა თქმა უნდა,
არ შეიძლება. აქ რომ მონასტერი არსებულიყო, მისი კვალი აუ-
ცილებლად დარჩებოდა, ამიტომ სწორად მოიქცა პროფ. ს. ჯიქია,
როდესაც „გურჯისტანის ვილაიეთის“ რუკაზე საყუნეთის სექტო-
რში პუნქტი კვირიკეწმიდა არ აღნიშნა (იხილეთ აღნიშნული რუ-
კა. იგი თან ერთვის „ვილაიეთის დიდი დავთრის“ III წიგნს). ეამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თააღმწერლის მიერ ზემოთ მოყვანილი ცნობიდანაც შეუძლებელია სავანე კვირიკეწმიდის საყუნეთის სექტორში არსებობის დადასტურება, ამ ცნობით მხოლოდ იმის დამტკიცება შეიძლება, რომ აქ სოფელი კვირიკეწმიდა არსებობდა, რასაც ჩვენ არ უარვყოფთ.

ჩვენი აზრით, სავანე (მონასტერი) კვირიკეწმიდა (იგივე კვირიკეთი), რომელიც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშია" მოხსენიებული, მდებარეობს თორის მხარის სოფელ დვირის სექტორში, ამ სოფლიდან დასავლეთით 3 კილომეტრზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სწორედ იქ, სადაც დღეს ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურის მთავარი საგუბარია (საგუბარიდან მარჯვნივ 200 მეტრის მანძილზე). ეს პუნქტი „ვილაიეთის დიდ დავთარში" დასახელებულია აწყურის რაიონის ახალციხის ლივაში მეთვრამეტე რიგში და იწოდება „საკვირიკედ". აღნიშნულია იგი „ვილაიეთის" რუკაზედაც, სწორედ, სოფ. დვირთან ახლოს 3 კილომეტრის მანძილზე. შეიძლება გვეფიქრა, რომ ბორჯომის ხეობის სოფელ დვირთან არსებული საკვირიკე არ არის „ხანძთელის ცხოვრებაში" მითითებული კვირიკეთი, ანუ კვირიკეწმიდა, ვინაიდან სახელები არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ეს მოსაზრება შეიძლება უარვყოთ, ვინაიდან „ვილაიეთის დიდ დავთარში" ბევრი სოფლის სახელი დამახინჯებულად არის შეტანილი (ბევრი დამახინჯებული სახელი შეასწორა და ნამდვილი სახელწოდება აღადგინა პროფ. ს. ჯიქიამ). მაგალითად, საყუნეთის სექტორში მდებარე სოფელი კვირიკეწმიდა ტექსტში მოხსენიებულია „კვირიკედ", სარჩევში კი „კვირიკეწმიდად"; ასევე შესაძლებელია, რომ დვირთან მდებარე „საკვირიკე" ტექსტში შეტანილია „კვირიკეთის", ანდა „კვირიკეწმიდის" მაგიერ, ამას ის გვაფიქრებინებს, რომ დღეს სოფ. დვირის მოსახლეობა ამ ისტორიულ ადგილს „კვირიკეწმიდას" და „კვირიკესაც" უწოდებს. ვფიქრობთ, მოსახლეობას უფრო დაეჯერება, ვიდრე XVI საუკუნის თურქ მოხელეებს, რომლებმაც „დავთარი" შეადგინეს. ეს მოსაზრება მით უფრო დასაჯერებელია, რომ სოფ. დვირში და მის მოსაზღვრე სოფლებში (დგვარი, ტაძრისი, საკირე, ჭობისხევი და ქვაბისხევი) ცხოვრების მაჯისცემა არ შეწყვეტილა ამ მხარის თურქთაგან მიტაცების შემდეგ. აქ მოსახლეობა მუდამ იყო და იგი ამ დიდებული სავანის სახელწოდებას სწორად შემოინახავდა, ამიტომ მათი აზრი სანდოა. დვირის „კვირიკეწმიდას" ისტორიული სავანის „კვირიკეწმიდად" მიჩნევა, მით უფრო სწორია, რომ აქ დღემდე შემონახულია მონასტრის

ნანგრევები. ეს სავანე სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. ცენტრალური და სამხრეთის ნავის თაღი ჩამონგრეულია. ჩამონგრეულია სამხრეთის ნავიც. ცენტრალური ნავის საკურთხეველის კედელზე შემორჩენილია მხატვრობა, ხოლო ჩრდილოეთის საკანში არის ქვა-კუბო, შესაძლებელია, რომ მასში დასაფლავებული იყო ამ სავანის დამაარსებელი ქრისტეფორე ან სხვა ვინმე წარჩინებული საეკლესიო მოღვაწე. ამ მონასტრის ნანგრევებთან არის ნაშთები მონასტრისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის ნაგებობისა. და კიდევ, რუგეთის მთად, რომელსაც ჟამთააღმწერელი იხსენიებს და რომლის ძირას მდებარეობდა სოფ. კვირიკეწმიდა, იწოდება არა ის მთა, რომელიც საყუნეთის სექტორშია, არამედ დვირი-ტაძრისის მთების ის ნაწილი, რომელიც სოფ. დვირთან მდებარე საკვირიკედან იწყება და სამხრეთით სოფ. ტაძრისისაკენ მიემართება. ამიტომ სოფ. დვირთან არსებული საკვირიკეს სავანეს კვირიკეწმიდად მიჩნევა სრულიად ბუნებრივია.

ზემოთ გამოთქმული მოსაზრების შემდეგ შეიძლება უეჭველად მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სავანე „კვირიკეწმიდა“ მდებარეობდა ბორჯომის ხეობაში — სოფ. დვირის მახლობლად, სწორედ იქ, სადაც დღეს ნანგრევებია შემორჩენილი და „კვირიკეწმიდად“ იწოდება. სავანე „კვირიკეწმიდის“ ბორჯომის ხეობაში არსებობის შესახებ სწორი აზრი გამოთქვა აკად. ნ. ბერძენიშვილმა: „ვინ იცის, ის ფეიზულა ბეგი, რომელი ქართველი აზნაურის ჩამომავალი იყო, ან რა დროიდან დაეპატრონა ამ აზნაურის სახლი გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწის ქრისტეფორეს მიერ IX საუკუნეში აშენებულ კვირიკეწმიდას (ვგონებ, რომ გიორგი მერჩულეს თხზულებაში მოთხრობილი ეპიზოდი სწორედ ამ პუნქტს გულისხმობს)“[1].

ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ XI საუკუნის დამდეგისათვის სოფ. ტაძრისში არსებობდა დედათა მონასტერი. ამჟამად იქ ორ ადგილზე, გუჯრიხევსა და ტაძრისის სასაფლაოზე არსებობს ორი მონასტერი, ძნელია იმის თქმა, ამ ორთაგან რომელი იყო დედათა მონასტერი, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ დედათა მონასტერი ტაძრისში იყო. ტაძრისი თორის მხარეში ადრიდანვე იხსენიება და ეს სახელწოდებაც, ვფიქრობთ, ტაძრების არსებობის გამო უნდა მიეღო

---

1 ნ. ბერძენიშვილი. საქ. ისტ. საკითხები, I, 1964, გვ. 250.

ამ სოფელს. ცნობილია, რომ გიორგი მთაწმინდელს (ათონელს) დაწყებითი სწავლა-განათლება ტაძრისის დედათა მონასტერში მიუღია.

გიორგი ათონელის ცხოვრების აღმწერელი ასეთ ცნობებს იძლევა: „გიორგი ათონელის მამას იაკობს, ესხნეს სამნი ძენი და სამნი ასულნი“..., უფროსი შვილი თეკლე სამი წლისა რომ შესრულებულა, „წარიყვანეს იგი სამცხეს მონასტერსა სადედოსა, რომელსა ტაძრისი ეწოდების და მისცეს იგი ხელთა წინამძღვარსა მის მონასტრისასა, რომელსა საბაია ეწოდებოდა, დედაკაცსა ღირსსა და წმინდასა, რომელმაც შეიწყნარა იგი, ვითარცა შვილი თავისი და კეთილად აღზარდა“... შემდეგ, როდესაც თეკლეს უმცროს ძმას გიორგის შვიდი წელი შესრულებია, ისიც ტაძრისის მონასტერში მიუყვანიათ აღსაზრდელად — „და ესრეთ ახალ-ნერგი შუენიერი იზრდებოდა მონასტერსა მათ შინა და ისწავლიდა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან ღირსისა დისა თვისისა“[1].

ზემოთ განხილული საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ თორის მხარეში უმოღვაწია თეოდორე ნეძველს, ქრისტეფორე კვირიკეწმიდელს, გიორგი მთაწმინდელსა და მრავალ სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს. მართალია, ბევრი მათგანის აქ მოღვაწეობის ფაქტი ჯერ კიდევ უცნობია, მაგრამ ის, რაც ცნობილია, მოწმობს იმას, რომ თორის საერისთაო IX—X—XI საუკუნეებში ქართლის საერისთაოებს შორის, კლარჯეთთან ერთად, ყველაზე დაწინაურებული საერისთაო ყოფილა როგორც კულტურის, ისე სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მხრივ. თორის მხარის ისტორიული განვითარება დროებით შეაფერხა არაბ დამპყრობთა თარეშმა, რასაც მოწმობს ის, რომ VII საუკუნის მეორე ნახევრისა და VIII საუკუნის მატერიალური კულტურის ძეგლები არ შემოგვრჩენია. ხოლო როდესაც არაბთა ბატონობა ქართლში შესუსტდა, ამ დროიდან თორის მხარის, კლარჯეთთან ერთად, ნამდვილი აყვავება იწყება, რასაც მოწმობს IX—X საუკუნეებში აქ აგებული კულტურის ძეგლები, ისეთები როგორიცაა ნეძვი, კვირიკეწმიდა, ტაძრისის დედათა მონასტერი და სხვ.

ცნობილია, რომ მონასტრები კულტურის კერებს წარმოადგენდნენ, რომ იქ იქმნებოდა ლიტერატურული და მეცნიერული

---

[1] კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1, 1946, გვ. 190—192.

შრომები, ხდებოდა თარგმნა ასეთივე შრომებისა უცხოური ენებიდან, იქ ღებულობდა განათლებას ახალგაზრდობა. დღევანდელ



კიმოთესუბნის მონასტერი

მესხეთში დაცულია ძველი ხალხური თქმულება, რომლის მიხედვითაც დიდ შოთა რუსთაველს სოფელ ქვაბისხევის (ბორჯომის ხეობაშია) მარიამწმიდის მონასტერში მიუღია განათლება. შესაძლებელია, ეს ხალხური თქმულება მართალიც იყოს, ვინაიდან მარიამწმიდის მონასტრის (რაც დღესაც დაცულია ქვაბისხევში) სამხრეთის ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს, წითელი ჩარჩოთი გამოყოფილ ნაწილში, დახატულია ორი საერო პირი — ქალი და მამაკაცი. ქალის სურათის გასწვრივ მარჯვნივ არის წარწერა „იაი“, ხოლო მამაკაცის სურათის გასწვრივ წერია „შ ო თ ა“. ძნელია ითქვას, რომ ამ სურათზე შოთა რუსთაველია გამოსახული, მაგრამ შესაძლებელი კი არის. ეს საკითხი კვლევა-ძიებას მოითხოვს[1].

---

1 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 227—229.

VIII—IX—X—XI საუკუნეები ქართლისათვის „ავბედობის“ ხანა იყო. მან არაბთა ურდოების თავდასხმები განიცადა. ბატონობა, არაბთა ბატონობის სიმკაცრე IX—X საუკუნეებში შესუსტდა, მაგრამ მათი ბატონობის შედეგები კიდევ იგრძნობოდა. XI ს. 60-იანი წლებიდან ქართლს თავს დაატყდა ახალი უბედურება — თურქ-სელჩუკთა შემოსევა, რამაც ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა. არაბთა ბატონობის პერიოდში ქართლიდან ხალხმა დაიწყო ლტოლვა თორის მხარისა და მესხეთისაკენ. ამ პერიოდში ეყრება საფუძველი ტაო-კლარჯეთის სამთავროს, იქ სამონასტრო მშენებლობასა და კულტურულ აღმავლობას. როგორც ჩანს, ეს მხარე არაბებისა და შემდგომ თურქ-სელჩუკებისაგან შედარებით დაცული ყოფილა, თუმცა სამხრეთ საქართველო თურქებმა არაერთხელ ააოხრეს.

თურქების შემოსევას ვერც თორის მხარე ასცდა, მაგრამ იგი ამ შემოსევებით ისე არ დაზიანებულა, როგორც დანარჩენი ქართლი. ბორჯომის ხეობა მტრისათვის შედარებით მიუვალი იყო — მით უმეტეს აღმოსავლეთიდან მოსული მტრისათვის, რომელიც მთა-ტყეებსა და ხეობებში მოძრაობას შეგუებული არ იყო.

1065 წელს თორის მხარეს თურქ-სელჩუკების ურდო შემოესია ალფ-არსლანის მეთაურობით. ამ ამბის შესახებ „მატიანე ქართლისაის“ ავტორს აღნიშნული აქვს: „და მასვე დღესა ჩამოუწია თორსა და ღ ვის-ხევს და თ თ დადგა თრიალეთს სამ დღე“[1]. შემდეგ თურქები ჯავახეთში გადასულან, ახალქალაქი მოურბევიათ— „აღიღო განძი და ტყუე ძლიერი და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა“[2].

ქართველი ხალხის ბრძოლას ქვეყნის გაერთიანებისა და გადამთიელთა შემუსვრისათვის 1089 წელს სათავეში ჩაუდგა დავით IV (აღმაშენებელი), რომლის გონიერი მეთაურობითაც მომხდურნი ძლეულ იქნენ და ქართველი ხალხი ერთიან ეროვნულ სახელმწიფოდ გაერთიანდა.

XII საუკუნეში ფეოდალურმა საქართველომ ძლიერების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ამ ძლიერებას კი დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში (1089—112 წწ.) ჩაეყარა საფუძველი. დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების — გიორგი III-ისა (დავით აღმა-

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 306.
2 იქვე, გვ. 306.

შენებლის შვილიშვილი) და თამარის (გიორგი III-ის შვილი) დროს საქართველო მთელ წინააზიაში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო გახდა. იგი ძლიერი იყო როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და კულტურულად.

ამ ეპოქაში, ე. ი. გაერთიანებული საქართველოს ხანაში, თორის მხარე წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულ მხარეს, რომელსაც ცნობილი ფეოდალები — თორელები ფლობდნენ. „თორი, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — XII საუკუნეში ერთ-ერთი ძლიერი სამხედრო ერთეული ჩანს საქართველოს სხვა ასეთ ერთეულებს შორის (სადროშო)"[1].

XII—XIII საუკუნეებში თორელები მაღალ ადმინისტრაციულ და სამხედრო თანამდებობებზე გვევლინებიან. ცნობილია გამრეკელი თორელი, რომელიც ჯერ ამილახორი, შემდეგ კი ამირსპასალარია, შალვა თორელ-ახალციხელი, მხედართმთავარი და მეჭურჭლეთუხუცესი, ივანე თორელ-ახალციხელი კარის (ყარსის) მფლობელი — თამარ მეფის დიდი მოხელე, კახა თორელი (იგივე კახა ჯავახი), ახალქალაქის ერისთავთერისთავი რატი თორელი და „სხვა მრავალნი თორელნი", რომლებიც მოხსენიებულნი არიან ჩვენი ერის მატიანეში.

საკითხავია, ვინ არიან ეს თორელები, რა დროიდან იცნობს მათ ჩვენი ისტორია? „თორელობა" საპატიო სახელი იყო და წარმოდგებოდა სახელწოდება თორიდან. თორელები თორის საერისთავოს განაგებდნენ და ამიტომ თორელებად იწოდებოდნენ, ხოლო მათი ნამდვილი გვარი სამძივარი ყოფილა[2].

სამძივარი პირველად იხსენიება ანდრია მოციქულის მიმოსვლის ქართულ თარგმანში, რაც, ლ. მუსხელიშვილის აზრით, იქ შეტანილი უნდა იყოს მისი მთარგმნელის ექვთიმე მთაწმინდელის მიერ (ექვთიმე მთაწმინდელი ცხოვრობდა X საუკუნის მეორე ნახევარსა და XI საუკუნის პირველ მეოთხედში). აღნიშნული წყაროს მიხედვით, როდესაც ანდრია აწყურში მისულა, იქ მაშინ მთავრობდა „დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი"[3]. ეს იმას ნიშნავს, რომ X საუკუნის II ნახევარში სამძივრები აწყურში სხედან

---

1 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, გვ. 253.

2 ლ. მუსხელიშვილი. არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, 1941, გვ. 57—79.

3 ლ. მუსხელიშვილი. დასახ. შრომა, გვ. 60.

და მთავრობენ. საფიქრებელია, რომ ამ დროისათვის აწყურიც თორ-
რის მხარეში შედიოდა, და არა მარტო აწყური, არამედ სამცხის
საკმაოდ დიდი ნაწილიც, რომ ამ დროს თორის ერისთავებად სამ-
ძივრები სხედან და აწყურში მჯდომი სამძივარი, აუცილებლად მა-
თი ახლობელი, მათი ნათესავთაგანია. თუ რა დროიდან მოვიდა
თორში სამძივართა გვარი ჯერჯერობით კვლევა-ძიებას მოით-
ხოვს, მაგრამ X საუკუნის II ნახევრისათვის თორში სამძივართა
გვარის არსებობა უდავოა.

საინტერესოა, თუ საიდან წარმოდგა და მოვიდა სამძივართა
გვარი თორში. ლ. მუსხელიშვილს მიაჩნია, რომ სამძივართა გვა-
რი შეიძლება დაკავშირებული იყოს დიდი ლიახვის სათავეში მდე-
ბარე სოფელ „მძივისთან", ანდა ხონის (წულუკიძის) მახლობლად
მდებარე ადგილ „სამზიაროსთან" და, რომ სამძივართა გვარი თორ-
ში გადმოსახლდა ქართლიდან ან იმერეთიდან. ჩვენ ვფიქრობთ,
რომ ამ საკითხში უფრო დასაჯერებელია აკადემიკოს ნ. ბერძენი-
შვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სამძივართა გვარი უნდა
უკავშირდებოდეს XV საუკუნის წყაროებში მოხსენიებულ მესხეთ-
ში მდებარე სამძივის ხევს[1].

თორელებში გავრცელებული იყო სახელები: კახა, შალვა, ივა-
ნე, გამრეკელი და სხვ. (ხშირად გამრეკელი სახელადაც მოიხსე-
ნიება და გვარადაც). გადმოცემით, დღევანდელი გვარი გამრეკე-
ლი თორელებს გამოყოფია. ადრინდელ პერიოდში კი (X—XI—
XII სს.) გამრეკელი თორელის აღმნიშვნელად იხსენიება. გამ-
რეკელების შესახებ, როგორც ამას ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს,
პირველ ცნობას სომეხი ისტორიკოსი ასოღიკი იძლევა (დაახლოე-
ბით 998 წელს). ადარბადაგანის ამირა მამლანთან ბრძოლის აღ-
წერის დროს იგი იხსენიებს „სახელოვან ძმებს მესხ გამრეკლებს".
აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც სამძივარი, ასევე გამრეკელი
და თორელი ისტორიულ წყაროებში ერთდროულად (X საუკუნის
მეორე ნახევარი) იხსენიებიან. წყაროებში არსად ჩანს, რომ წო-
დება „გამრეკელი" — თორელების გარდა ვინმე სხვას ეტარები-
ნოს. ამიტომ ეს სახელოვანი ძმები მესხი — გამრეკლები, უცილობ-
ლად თორელები არიან. 1060 წელს იხსენიება ვინმე „ბერი ბასი-
ლი, თორელ ყოფილი", რომელსაც ოთხთავი გადაუწერია კალი-

---

1 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 1, 1959, გვ. 68.

პოსის მონასტერში (სირიაში). 1065 წლისათვის იხსენიება ერისთავი ვარაზ I ბაკურ-გამრეკელი, რომელიც აგრეთვე თორელი უნდა იყოს.

1065 წლის შემდეგ, თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე, თორელები ისტორიულ წყაროებში აღარ იხსენიებიან. 1163 წელს იხსენიება თორელი, რომელიც ანისში ზის და ამაგრებს მას. „ეს უნდა იყოს, — აღნიშნავს ლ. მუსხელიშვილი, — XII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გამრეკელი-თორელი"[1], მას მემატიანე უწოდებს დიდსა და სახელგანთქმულ მოლაშქრეს. როგორც ირკვევა, დიდი თორელი XII საუკუნეში ერთი იყო, სახელდობრ, გამრეკელი.

ამ გამრეკელ-თორელის შესახებ ცნობა დაცული აქვს სტეფანოზ ორბელიანს. მისი სიტყვით, ბატონიშვილ დემნას განდგომის დროს (1177 წ.) მას მიემხრნენ სხვა დიდებულებთან ერთად „ჯავახი კახა და შვილნი მისნი და დიდი გამრეკელი და ჯაყელი მემნა და სხვა"[2]. აქ ციტირებულ მასალასთან დაკავშირებით, ლ. მუსხელიშვილს გამოთქმული აქვს მეტად საინტერესო აზრი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თორის ახლომდებარე ციხისჯვრის („ციხისჯუარი") დაწინაურებისა და ჯაყელთა გვარის აღზევების მიზეზების გარკვევისათვის: „გამრეკელ-თორელის გვერდით რომ მემნა ჯაყელია დასახელებული, ეს შემთხვევითი არ არის. შესაძლებელია, მემნა ჯაყელი იყო კრავაი ჯაყელის მამა და, ამგვარად, გამრეკელის სიმამრი"[3]. უცილობლად მიგვაჩნია სხვანაირად ჯაყელთა გვარის აღზევება, თუ არა თორელებთან მათი დამოყვრების (დანათესავების) გზით. მით უმეტეს, ჯაყელთა რეზიდენციის, ციხისჯვრის, თორთან ასე ახლომდებარე პუნქტის (სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრია თორსა და ციხისჯვარს შორის) დაწინაურება შეუძლებელი იქნებოდა. ფეოდალიზმის პერიოდში როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებშიც, ხშირად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა დანათესავებას. ამ ფაქტს ისიც უნდა დაემატოს, რომ ამ დრომდე ისტორიაში არ ჩანს ჯაყელთა გვარის აღზევების კვალი. ჯაყელები სწორედ XII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩანან ისტორიის სარბიელზე. ამ საკითხს ჩვენ ქვევით

---

[1] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. შრომა, გვ. 59.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 61.
[3] ი ქ ვ ე. გვ. 69.

კიდევ შევეხებით, ახლა ისევ გამრეკელ-თორელს დავუბრუნდეთ. 1187 წელს თამარს გამრეკელ-თორელისათვის ამილახვრობა მიუცია, ხოლო 1190—1191 წლებში იგი უკვე ამირსპასალარია.

დიდ თორელს — ამირსპასალარს, მემატიანე ხან „თორელს“ ეძახის, ხან — „გამრეკელ-თორელს“, ხან კიდევ — „გამრეკელს“. ერთხელ კი მემატიანე გარკვევით აღნიშნავს, ეს ის გამრეკელ-თორელია, რომელიც შემდგომად სარგის მხარგრძელისა ამირსპასალარიცა იქმნაო. ეს გამრეკელ-თორელი ამ დროს თმოგვის მმართველია და წყაროებში კახა-თორელის-ძედ მოიხსენიება (კახა 1), რომელიც თეძმისის ხეობის ერისთავი იყო და რომელმაც აღაშენა საორბისის ეკლესია და მასზე წარწერა გააკეთებინა (საორბისი ჯავახიშვილების მამული იყო და ჯავახიშვილები თორელთა შთამომავლებია. კახა ერისთავთერისთავიც თორელია. თორელები თეძმისის ხეობაში XII საუკუნეში დამკვიდრებულან). როგორც ირკვევა, XII საუკუნეში თორელებს ჯავახეთიც სჭერიათ. გამრეკელი თმოგვის მფლობელი იყო, თმოგვი კი ჯავახეთშია. გამრეკელ-თორელის გარდაცვალების შემდეგ ისტორიის სარბიელზე მისი შვილები შალვა და ივანე ახალციხელ-თორელები ჩანან და სახელოვან მხედართმთავრებად იწოდებიან. 1204 წლამდე შალვა და ივანე ახალციხელები ჯავახეთის მფლობელნი არიან. ფლობენ ისინი, ალბათ, საკუთრივ თორსაც, მაგრამ როგორც ჩანს, ამ დროისათვის თორის საერისთაო ტერიტორიულად ძლიერ გაფართოებული ყოფილა, იგი მოიცავდა მთელ მესხეთ-ჯავახეთს და მტკვრის სამხრეთ მხარეს (ქართლში).

1204 წელს ქართველთა ჯარმა აიღო ქალაქი კარი (ყარსი), რომელიც თამარ მეფეს საგამგებლოდ ივანე ახალციხელ-თორელისათვის უბოძებია.

ქართველების მიერ კარის აღებამ ძლიერ განარისხა რუმის სულთანი რუქნადინი. მან შეკრიბა დიდძალი ჯარი და საქართველოზე გამოილაშქრა. ქართველები მტერს მოულოდნელად დაესხნენ ბასიანში და სასტიკად დაამარცხეს. ეს იყო ბასიანის ომი, რომელიც 1205 წელს მოხდა.

ბასიანის ომში თავი ისახელეს შალვა და ივანე ახალციხელ-თორელებმა და „სხვა მრავალმა თორელმა“. თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი ბასიანის ომის შესახებ წერს: „ხოლო წინა მებრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი, შალვა და ივანე. დაღათუ

შალვა მანდატურთუხუცესი იყო, ჭიაბერი და სხვანი თორელნი, და წარემართნეს ბასიანის კერძოსა"[1].

როგორც ჩანს, წინამებრძოლებად ამ დიდ ომში თორელები შალვა და ივანე იყვნენ. წესად იყო ამ გვარის „წინამბრძოლობა" (მოწინავეობა). ყამთააღმწერელი წერს: ვითარ წესად არს სახლისა მათისა წინამბრძოლობაო[2]. შალვა და ივანე ახალციხელებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი გარნისის ომში, რომელიც ქართველმა ხალხმა 1225 წელს ხვარაზმის შაჰის — ჯალალ ედ-დინის ურდოთა წინააღმდეგ გადაიხადა.

ყამთააღმწერელი გარნისის ომის შესახებ მოგვითხრობს: „ხოლო მოიწივნეს დვინსა და ამობერდს: და დაებანაკა ხუარაზმელთა სოფელსა, რომელსა ჰქვიან გარნისი, და მი-რა-ვიდეს სპანი მეფისანი, წინა განეწყო სულტანი ჯალალ დინი. აქათ ივანე ათაბაგმან განაწყო სპანი მეფისანი, იმიერნი და ამიერნი, და აჩინა წინამბრძოლად თორელნი და ძმანიცა იგი ორნი ახალციხელნი, შალვა და ივანე, სახელოვანნი იგი მებრძოლნი, ვითარ წესად არს სახლისა მათისა წინამბრძოლობა... ხოლო ვინადგან წინა მბრძოლნი თორელნი და უმეტეს ახალციხელნი შალვა და ივანე ახოვან იყვნეს და წყობათა შინა სახელოვანნი, არღარა რიდეს სიმრავლესა სულტნისა სპათა, ვითა მხეცნი ზედა მიეტევნეს, და იქმნეს ძლიერნი ომი... და ვითარ გაგრძელდა ომი ორთავე ძმათა ახალციხელთა დაუხოცეს ცხენნი, და ქუეითი მხნედ იბრძოლეს და მოისრნეს ორგნითვე ურიცხუნი, და უმეტეს თორელნი, და ვითარ შენივთდა ძლიერად ომი, მრალნიცა ახალციხეთანი გატყდეს ჩაბალახსა ზედა, მაშინ ივლტოდეს ქართველნი. ხოლო შალვა მუნვე შეპყრობილი იქნა სიმრავლისა ფრიადისა მიერ. და ივანე გარნისისა კლდეთა შელტოლვილი, ზენაკერძო მოტოვებულითა ქვითა მოიკლა, ხოლო შალვა წარედგინა სულტან ჯალალდინსა წინაშე, რომელი იცნეს ნახჭევნელთა და ადარბადაგანელთა და მოახსენეს სულტანსა ახოვნება და წყობათა შინა სიქველე მისი. ხოლო მან არ მოკლა, არამედ თვისთა თანა იპყრო დიდი პატივითა და მიანიჭა ქალაქნი ადარბადაგანისანი, და თავადთა თვისთა თანა პატივი სცა. ხოლო შემდგომად წელიწადისა ერთისა მოიკლა სულტნისა მიერ, არა დატევებისათვის სჯულისა"[3].

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 136.
2 იქვე, გვ. 169.
3 იქვე. გვ. 169—171.

ასეთია გარნისის ომის ტრაგედია. ამ ომში ივანე დაიღუპა. ხოლო შალვა ტყვედ ჩაუგდია ხელში ჯალალ ედ-დინს და ერთი წლის შემდეგ სჯულის არდატევებისათვის სიკვდილით დაუსჯია. ასე დაიღუპნენ სამშობლოსათვის მებრძოლნი — ძმები თორელნი და სხვა მრავალნი თორელნი.

მომდევნო პერიოდში კიდევ მრავალი თორელია ისტორიის სარბიელზე. 1234 წლისათვის შალვა ახალციხელ-თორელის შვილი ფარადავლა რუმის სულთან ყიასედდინთან ჩანს (მასთან იყო შეხიზნული) და იბრძვის მონღოლთა წინააღმდეგ, რაკი ყიასედ-დინმა მონღოლთაგან დამარცხება განიცადა, მან ფარადავლა მოკლა[1].

1234 წლისათვის იხსენიება შალვა თორელის უფროსი შვილი გამრეკელ-თორელი (ეს გამრეკელ-მეორეა), რომელიც დროებით მონღოლებს „მინდობია“, შემდეგ კი, 1245 წლისათვის, მონღო-ლებს მისთვის საგამგებლოდ მიუციათ „სამცხე, ჯავახეთი, ვიდრე ჯარნუ ქალაქამდე“. ამის შემდეგ გამრეკელ-თორელს (გამრეკელ II-თორელი) მონაწილეობა მიუღია კოხტას თავის შეთქმულება-ში. „მიუხედავად იმისა, — წერს დ. გვრიტიშვილი, — რომ ქარ-თველებმა მონღოლთა უზენაესობა აღიარეს და ლაშქრად გასვლა და ხარკის გადახდა იკისრეს, საქართველო მონღოლთა ბატონობას არასოდეს შეგუებია. მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის ფორმა სხვადასხვა იყო: ხან აშკარად გამოდიოდნენ, ხან იარაღს ჰკიდებ-დნენ ხელს, ხან შეთქმულებას ახდენდნენ, ხან ბრძოლის სხვა ხერხს მიმართავდნენ. ერთ-ერთი ასეთი შეთქმულება კოხტას თავ-ზე (ჯავახეთში) მოხდა“[2]. კოხტას თავს შეკრებილან „ყოველნი მთავარნი საქართველოსანი... იმერნი და ამერნი“. თათბირზე დამს-წრეთა შორის ჟამთააღმწერელს დასახელებული ჰყავს: ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე ჯაყე-ლი, შოთა კუპრი, გამრეკელი-თორელი, სარგის თმოგველი, თორ-ღვა პანკელი და „სხვანიც ბერ-კახნი, ქართველნი, მესხნი და ტაო-ელნი“[3]. თათბირის მონაწილენი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მონ-ღოლთა ბატონობისაგან თავდასაღწევად საჭიროა შეიარაღებული

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 192, 194.

2 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 1962, გვ. 191.

3 ქართლის ცხოვრება, ტ. II. 215.

აჯანყება და კიდეც „დაამტკიცეს ომი“. შეთქმულთა შორის მონღალატენიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც შეთქმულება გასცეს. მონღოლებმა შეთქმულნი დააპატიმრეს. გადარჩნენ მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან შეთქმულების მონაწილენი — ცოტნე დადიანი და სხვანი. შეთქმულთა მიზანი — შეიარაღებული აჯანყების მოწყობა — ვერ განხორციელდა. ამიტომ ამ შეთქმულებას, რეალური შედეგი არ მოჰყოლია და იგი მხოლოდ ისტორიულ ფაქტად დარჩა.

1249 წლისათვის მოხსენიებულია თორელი ლიპარიტი, რომელიც თორში ზის და თორის საერისთავოს ერისთავია. ჟამთააღმწერელი მის შესახებ გადმოგვცემს: „და მოიწია თორს ლიპარიტ თორელისასა, რომელსა დევის-ყურცა ეწოდებოდა, მან უძღვნა ცხენი და შესამოსელი და წაჰყვა ქუთათისს... და მეფე ჰყვეს დავით რუსუდანისძე აფხაზთა ვიდრე ლიხთამდე“[1].

1259 წლისათვის ახალქალაქის ერისთავთერისთავს კახა თორელს ვხედავთ მეფის ვაზირად (მეჭურჭლეთუხუცესად).

1300 წელს ისტორიულ წყაროებში იხსენიება გამრეკელი კახას-ძე (კახა II თორელ-მეჭურჭლეთუხუცესის შვილი), რომელსაც ბექა ჯაყელი აქტიურ დახმარებას უწევს ოსთა მთავრის მაყათარის წინააღმდეგ ბრძოლაში. XIV საუკუნიდან თორელები იშვიათად იხსენიებიან ისტორიაში. როგორც ჩანს, მათ ადგილს ჯაყელ-ციხისჯვრელები იჭერენ.

1260—1270-იანი წლებიდან იწყება თორის დაქვეითება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს მეფემ სადუნ ათაბაგი ქალაქ კარის (ყარსის) გამგებლად დანიშნა; ამ დროს კარის მიმდგომი ქვეყანა, რომელიც შალვა თორელის მემკვიდრეთა სამფლობელოს შეადგენდა, სადუნ ათაბაგის მფლობელობაში გადავიდა[2].

თორის მხარის მოსახლეობის მონღოლ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირული ბრძოლის მაგალითია 1159—1160 წლის ულუ დავითის აჯანყება. მონღოლთა ყაენმა ულუ დავითი თავისი ჯარით ეგვიპტეში სალაშქროდ იხმო. დავით მეფე დიდი ჯარით თორის მხარეში მივიდა, საიდანაც ყაენთან ერთად ეგვიპტეს უნდა წასულიყო სალაშქროდ. დავითმა ყაენს უღალატა — ეგვიპტეში არ წაჰყვა და მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. სარგის

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 229.

2 პ. ინგოროყვა. თხზულებანი, ტ. I, 1963, გვ. 667.

ჯაყელ-ციხისჯვრელი, რომელიც ამ დროს სამცხის სპასალარი (მხედართმთავარი) იყო, აგრეთვე განუდგა ყაენს და აჯანყებულ მეფის ჯარს შეუერთდა. ყაენმა აჯანყებულ ქართველთა წინააღმდეგ დამატებით 20000 კაცი გამოგზავნა არღუნ ნოინის წინამძღოლობით. არღუნმა სურამიდან 6000 კაცი შეუსია ბორჯომის ხეობას (მოწინავე ლაშქარი). მეფე დავითის ჯარს, რომელსაც თორელთა ლაშქარი შეუერთდა, სარგის ჯაყელ-ციხისჯვრელი სარდლობდა, რომელმაც 1500 მოწინავე მხედარი დასაზვერად გაგზავნა ახალდაბა-ტაშისკარის მიმართულებით. განვლო ქართველთა ლაშქარმა ახალდაბის ხიდი და იქვე ახლოს შეხვდა (ტაშისკართან) არღუნ ნოინის 6000-იან ჯარს. გააფთრებულ ბრძოლაში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მონღოლები, რომლებმაც თავს გაქცევით უშველეს.

ქართულ საისტორიო წყაროებში ციხისჯვრის შესახებ მრავალი ცნობა მოიპოვება. პირველად იგი იხსენიება „მატიანე ქართლისაში“, სადაც ნათქვამია, რომ ბაგრატ მეოთხისაგან (1027—1072 წწ.) გამდგარმა კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტმა, დადიანთან და იოანე ერისთავთან ერთად „გაიყვანა ანისით დედოფლისაგან აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯვარისა“[1]. ამავე წყაროში აღნიშნულია, რომ მეფემ, როდესაც მას დატყვევებული ლიპარიტი მიჰგვარეს, დასჯის ნაცვლად "უბოძა მამულობით ციხისჯვარი და ოძრხე ბოდოკლდით და სხუანიცა“[2], ე. ი. ციხისჯვარი პირველად იხსენიება XI საუკუნეში, ამის შემდეგ იგი ხშირადაა მოხსენიებული საისტორიო წყაროებში და მის მფლობელებად ჯაყელ-ციხისჯვრელები (გვარი ჯაყელი, ალბათ, ჯაყის ციხისფლობელიდან წარმოსდგა).

XIII საუკუნეში ციხისჯვარელმა ჯაყელებმა ათაბაგობა მიიღეს, სამცხის მთავრებიც იყვნენ და მის სპასალარებადაც იწოდებოდნენ. ჯაყელთაგან პირველი ათაბაგი სარგის I ჯაყელ-ციხისჯვრელი იყო (1281—1284 წწ.)[3]. აქამდე მიჩნეული იყო, რომ ჯაყელ-ციხისჯვრელთა რეზიდენცია — ციხესიმაგრე ციხისჯვარი, მდებარეობდა თორის მხარეში, თორთან ახლოს 4—5 კილომეტრზე, იქ, სადაც დღეს სოფელი ციხისჯვარია (ბორჯომის ხეობის სოფე-

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 300.
2 იქვე, გვ. 305.
3 პ. ინგოროყვა. თხზულებანი, ტ. I, გვ. 583.

ლი ციხისჯვარი) და სადაც ისტორიული ციხის საძირკველი და გალავანი დღემდეა შემორჩენილი.

უკანასკნელ პერიოდში ისტორიული ციხისჯვრის დაბა თორთან ახლოს არსებობა საეჭვო გახდა. ლ. მუსხელიშვილის აზრით, ისტორიული ციხისჯვარი მდებარეობდა ოძრხის (აბასთუმანი) აღმოსავლეთით, აწყურის ჩრდილო-დასავლეთის სექტორში.

არც ერთ ისტორიულ წყაროში ციხისჯვრის ადგილმდებარეობა მითითებული არ არის სხვაგან, გარდა თორის სიახლოვისა. იგი ყოველთვის თორის ახლო მდებარედ იხსენიება. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ციხისჯვარი დასახელებულია პეტრეს ლივაში, პეტრესვე რაიონში, თორთან და ყვიბისთან ერთად[1]. საქმე ის არის, რომ პეტრეს ლივაში აწყური არ შედიოდა და არც აწყურის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სოფლები. ამიტომ ამ დოკუმენტის მიხედვით ციხისჯვარი მხოლოდ და მხოლოდ თორის მახლობლად მდებარეობს, დღევანდელი ციხისჯვრის ადგილზე. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ „ვილაიეთის დიდ დავთარში“ სხვაგან ციხისჯვარი არსად არ არის დასახელებული. ვახუშტიც ციხისჯვარს თორთან ახლომდებარედ ასახელებს. იგი წერს: „ამ სადგერს ზეით დასავლით არს დაბა თორი, იმას ზეით ციხის-ჯუარი და ციხე მისი შავწყალსა ზედა დასავლისაკენ“[2]. შეიძლებოდა ამ საკითხზე კიდევ მრავალი საბუთი მოგვეტანა, მაგრამ ის, რაც ამ დებულების დასადასტურებლად მოვიტანეთ, საკმარისია იმისათვის, რომ დანამდვილებით ვთქვათ: ისტორიული ციხისჯვარი მდებარეობდა დაბა თორის ახლოს და წარმოადგენდა, თორთან ერთად, დიდი მნიშვნელობის სტრატეგიულ და ადმინისტრაციულ პუნქტს თორის მხარეში. იგი ჯაყელ-ციხისჯვრელთა რეზიდენცია იყო.

როგორც დასახელებული წყაროებიდან ჩანს, ჯერ კიდევ თორის ძლიერების ხანაში იწყება ციხისჯვრის ამაღლება. რატომ უნდა მომხდარიყო ერთ საერისთაოში, თორის გვერდით, ციხისჯვრის დაწინაურება? ეს მეტად საინტერესო საკითხია. ამის მსგავსი საქართველოს ისტორიაში თითქმის არ გვხვდება და იგი კვლევა-ძიებას მოითხოვს. ისმის კითხვა, ვინ არიან ჯაყელები, საიდან მოვიდნენ ისინი ციხისჯვარში, ხომ არ არიან ისინი ლიპარიტ ბალვაშის

---

1 ს. ჯიქია. ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 21.
2 ვახუშტი. აღწერა, გვ. 83.

შთამომავალნი, ანდა ბაგრატ მეოთხემ რატომ უბოძა ლიპარიტს ციხისჯვარი, რომელიც თორთან ახლო მდებარეობდა და თორელებს ეკუთვნოდა? ამით თორელთა შეზღუდვა ხომ არ სურდა? ხომ არ არსებობდა მეფესა და თორელებს შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა? ყველა ამ საკითხის გარკვევა ამ შრომაში შეუძლებელი ხდება და არც საამისო დოკუმენტები ჩანს ჯერჯერობით. ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ზოგიერთი საკითხის გარკვევით.

ცნობილია, რომ XII საუკუნეში სამძივრები (თორელები) და ჯაყელები დამოყვრდნენ. დიდმა გამრეკელ-თორელმა ცოლად შეირთო მემნა ჯაყელის ასული კრავაი. როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ დამოყვრება-დანათესავებას გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ სანამ ეს დამოყვრება მოხდებოდა, მანამდეც სამძივრებსა და ჯაყელებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა ყოფილიყო დამყარებული.

არსებობს ბექა მანდატურთუხუცესისა (ჯაყელ-ციხისჯვრელი) და კახა თორელის (სამძივრის) კეთილმოყვრობის წიგნი, რომელიც 1285—1308 წლებში უნდა იყოს შედგენილი და რომელშიც ბექა წერს: „ნათესავნი ყოფილან ჩვენი სახლი და თქუენი, ოდეს მამ (აი—იყო) და მათი უკანით, რაი მე დავრჩი ჩუენისა სახლისა (ე)რთმანეთისა მოყუარენი, მომხმარებელნი, ნეშუელნი (ვიყავით)... აწ ამას იქით ვიყუნეთ ჰაგრეთვე ;ვითა წი/ნას ყოფილ ვართ გაუყრელნი და მოდაწერილნი“[1]. ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ სამძივრები და ჯაყელები ძველითგანვე „ნათესავნი ყოფილან“, ამიტომ ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ის აზრი, რომ კრავაი ჯაყელი გამრეკელ-თორელის ცოლი იყო. ჩანს აგრეთვე, რომ ეს ორი გვარი „მოდაწერილნი“ იყვნენ. „მოდაწერილი“ ნიშნავს ხელწერილს (ხელშეკრულებას) ორ ფეოდალს შორის, ორ ფეოდალურ გვარს შორის, რომლებიც ვალდებულებას კისრულობენ, ამიერიდან მათი მტერი და მოყვარე საერთო იყოს და ერთმანეთთან მოყვრულად იცხოვრონ, ამავე დროს მეფის საწინააღმდეგო არაფერი გააკეთონ. ამ დოკუმენტში ხშირად ასე წერია: ხელმწიფის საზიანო ნუ შევიქმნებითო. ეს ხელწერილი მეფესთან შეთანხმებით უნდა შედგენილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მეფე მას

---

[1] ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 7—8.

დაარღვევდა[1].თუ არა მიზეზი ნათესაობისა და „მოდაწერილობისა“, ჯაყელთა აღზევება-დაწინაურება თორელთა გვერდით შეუძლებელი იქნებოდა. ადრინდელ (XII ს.) წყაროებში არ ჩანს ამ ორ გვარს შორის შურისა და მტრობის ფაქტები, ხოლო XIII საუკუნის 1 მეოთხედის წყაროებში მოხსენიებულია, რომ ივანე ათაბაგსა (მხარგრძელსა) და თორელებს შორის უკვე გარნისის ომის პერიოდში შური და მტრობა ყოფილა. ათაბაგობა დიდი თანამდებობა იყო, რომელიც იმდროისათვის მხარგრძელებს ეკავათ. თორელებსაც სხვადასხვა დროს დიდი თანამდებობა ეჭირათ და სწორედ ამ ორ გვარს შორის, ალბათ, ცილობა იყო ათაბაგობაზე, ამიტომ მათ შორის მტრობაც და შურიც იარსებებდა.

გარნისის ომის მსვლელობის აღწერის დროს ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: „ხოლო ვინათგან წინამბრძოლნი თორელნი და უმეტეს ახალციხელნი შალვა და ივანე ახოვან იყვნეს და წყობათა შინა სახელოვანნი, არღარა რიდეს სიმრავლესა სულტნისა სპათასა, ვითა მხეცნი ზედა მიეტევნეს და იქმნეს ძლიერნი ომნი, მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ. და ძლიერად მბრძოლობდეს შალვა და ივანე ახოვანთა და ძლიერთა სვრიდეს და განგრძელდა ომი სასტიკი, ხოლო ივანე ათაბაგი და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანა მონათესავეთა და ერთსჯულთა, ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა და მათ თანა მრავალთა სახელოვანთა, არამედ დგეს შორით და არა ინება შველა ივანე ათაბაგმან, რომელსა შურითა იტყვან ამას ყოფად და არა თუ შიშითა“[2].

ჩანს, რომ ივანე ათაბაგი (მხარგრძელი), რომელიც გარნისის ომში ქართველი ჯარის მთავარსარდალი იყო, არ მიეშველა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს შალვა და ივანე ახალციხელებს (თორელებს). ბრძოლას იგი შორიდან უყურებდა. ეს მას შიშით კი არ მოუვიდა, არამედ შურით. ამ ბრძოლაში ორივე თორელი (და სხვა თორელნი) დაიღუპა. 1212 წელს თამარ მეფემ ახალი სამოხელეო ინსტიტუტი — ათაბაგობა დააწესა, რომელიც

---

1 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. XV საუკ. ფეოდალური ურთიერთობიდან, მასალები საქართველოს და ა/კ ისტორიისათვის, ნაკ. I, 1937; ამავე საკითხზე იხილეთ: ა. კ ი კ ვ ი ძ ე. სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, თბილ. სახუნტის შრომები 1949, გვ. 92.

2 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 170.

ივანე მხარგრძელს (ამირსპასალარს) უბოძა[1]. შემდეგში ათაბაგობა სადუნ მანკაბერდელის ხელშია (1271—1281 წწ.), ხოლო 1281 წლიდან ათაბაგობა ჯაყელთა ხელში გადადის. ჯაყელთაგან პირველი ათაბაგი სარგის I ჯაყელ-ციხისჯვარელი იყო (1281—1284 წწ.). 1284—1289 წლებში ათაბაგად ტარსაიჭ ორბელს ვხედავთ. XIV საუკუნის დასაწყისიდან ამ დიდ სამოხელეო ინსტიტუტს კვლავ ჯაყელები ეუფლებიან[2]. ბუნებრივია, რომ ათაბაგობის ხელში ჩაგდებისათვის ჯაყელებსა და თორელებს შორის ქიშპი და მტრობა დაიწყებოდა.

ჯაყელ-ციხისჯვრელთა და თორელთა შური და მტრობა სწორედ იმ დროს უნდა დაწყებულიყო, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდა. ეს მოხდა მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ და მანამდეც, რუსუდანის მეფობის პერიოდში. როგორც ჩანს, ამ ორ დიდ ფეოდალურ გვარს შორის ბრძოლაში თორელები დამარცხდნენ, ჯაყელ-ციხისჯვრელებმა გაიმარჯვეს და ამიერიდან ისტორიის სარბიელზე ჯაყელ-ციხისჯვრელები არიან. შესაძლებელია, თორელთა დამცრობა-დაქვეითებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ გარნისის ომის შემდეგ (1226 წ.), რომელშიც სახელოვანი თორელები, ძმები შალვა და ივანე დაიხოცნენ, თორელთაგან ნიჭიერი და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ენერგიული მებრძოლები აღარც კი იყვნენ.

თორის მხარე თავისი აყვავება-გაძლიერების უმაღლეს დონეს XI—XII საუკუნეებსა და XIII საუკუნის დასაწყისში აღწევს. ამ პერიოდში თორელებს ყველგან ვხვდებით, ქართლსა და სამცხე-ჯავახეთშიც. XII—XIII საუკუნეებში სამეფო კარზე თორელები დიდი პატივით სარგებლობენ. ისინი ერისთავები, ერისთავთერისთავები, მთავარსარდლები და მეფის ვაზირნი არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ თორელები, ერთსა და იმავე დროს, როგორც დარბაზის რიგის (ვაზირი), ასევე საქვეყნოდ გამრიგე (ერისთავთერისთავი) მოხელენი არიან, რაც XII—XIII საუკუნეების საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. „საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა შორის, — წერს პროფ. დ. გვრიტიშვილი, — პირველი ადგილი ერისთავთერისთავებსა და ერისთავებს ეკუთვნოდათ“[3]. მთელი სა-

---

1 დ. გვრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (XIII—XIV სს.), 1962, გვ. 85.

2 პ. ინგოროყვა. თხზულებანი, ტ. I, გვ. 583.

3 დ. გვრიტიშვილი. დასახ. შრომა, გვ. 90.

ქართველო, „ადმინისტრაციული თვალსაზრისით, დაყოფილი იყო საერისთავთ-საერისთაოებად, ხოლო ეს უკანასკნელი — საერისთაოდ“[1]. ერისთავითერისთავი თავის სამოხელეო ტერიტორიაზე როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო ხელისუფალიც იყო. მას მეფე ნიშნავდა. ერისთავი, ერისთავთერისთავს ემორჩილებოდა. XII—XIII საუკუნეებში თორელებიდან 5 ვაზირია წყაროებში მოხსენიებული, სახელდობრ:

1. კახა 1 თორელი, ერისთავთერისთავი (თორი-ჯავახეთისა), ამირახორი (ვაზირი) 1162—1177 წწ.
2. გამრეკელი 1 (კახა 1-ის ძე) თორელი-ერისთავთერისთავი (თორი-ჯავახეთისა), ამირახორი (1184—1187), ამირსპასალარი (ვაზირი) 1187—1191 წწ.
3. შალვა თორელ-ახალციხელი, მეჭურჭლეთუხუცესი 1204/5 წწ.
4. გამრეკელი II თორელი, ერისთავთერისთავი (თორი-ჯავახეთისა) 1225—1257 წწ. მესხეთის მხარეთა სადროშოს (სამხედრო ოლქის) მხედართმთავარი — „დუმნის თავი“ 1242—1248 წწ., მეჭურჭლეთუხუცესი 1250—1257 წწ.
5. კახა II თორელი, ერისთავთერისთავი (თორი-ჯავახეთისა), მეჭურჭლეთუხუცესი 1257—1270 წწ.[2]. თორელები 1125—1204 წლებში დვინის ერისთავთერისთავებიც იყვნენ[3].

გიორგი მესამისა და თამარის მეფობის ხანაში წარმოებულ ომებში თორელები ყველგან აქტიური მონაწილენი, სარდლები და ზოგჯერ მთავარსარდლებიც არიან. ხშირად წყაროებში მოხსენიებულია „და თორელნი“, „და სხუანი მრავალნი თორელნი“. „გამოჩენილნი თორელნი“ და თორის მხარის ხალხი მედგრად იბრძოდნენ სამშობლოს დაცვისათვის წარმოებულ ომებში.

XIV საუკუნის ბოლოს საქართველოს ახალი უბედურება დაატყდა თავს. ამჯერად იგი თემურ-ლენგის ურდოთა სათარეშო ასპარეზად იქცა. თემური, საქართველოში რვაჯერ ლაშქრობის დროს, სამჯერ სამცხედან შემოიჭრა და შემდეგ ქართლში გადავიდა. ბუნებრივია, თორის მხარე თემურის ურდოთა თავდასხმას თავიდან ვერ აიშორებდა. ივ. ჯავახიშვილი თემურ-ლენგის მეექვსე შემოსევის შესახებ წერს: „იგი (თემურ-ლენგი) თავისი ლაშქრი-

---

1 დ. გვრიტიშვილი. დასახელებული შრომა. გვ. 91.
2 პ. ინგოროყვა. თხზულებანი, ტ. I, გვ. 581.
3 იქვე, გვ. 559.

თურთ მაშინვე საქართველოს ერთი უძლიერესი მთავართაგანის ივანე ჯაყელის საგამგეოში გაეშურა, სადაც ჩვეულებისამებრ ციხეები და სახლები დაანგრევინა"[1].

IV საუკუნიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე თორის მხარის ცენტრია დაბა თორი. იგი თორელთა რეზიდენცია, მათი ადმინისტრაციული ცენტრი იყო. მიუხედავად იმისა, რომ თორის მხარის ტერიტორია XI—XII საუკუნეებში ძლიერ გაფართოვდა, მის შემადგენლობაში შევიდა მესხეთ-ჯავახეთი და ზემო ქართლის ნაწილიც, მაგრამ მხარის ცენტრად მაინც თორი დარჩა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ თორი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე მდებარეობდა. ბორჯომის ხეობა, სამხრეთ საქართველოს სხვა ადგილებთან შედარებით, მტერთაგან დაცული და მიუდგომელი იყო, სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თურქთაგან ამ მხარის მიტაცებამდე (XVI საუკუნის ბოლოს) იგი ყველაზე ნაკლებად დაზიანდა. გარდა აღნიშნულისა, თორის მნიშვნელობას ისიც აძლიერებდა, რომ აქ გადიოდა ორი დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო სტრატეგიული მნიშვნელობის გზა. ერთი სამცხიდან მტკვრის ხეობით ქართლში მიმავალი და მეორე — სამცხე-ჯავახეთიდან ცხრაწყაროს უღელტეხილით, აგრეთვე, ქართლში მიემართებოდა. ორივე ამ გზას თორი მის მხარეში მდებარე ციხე-კოშკებით ადვილად უწევდა კონტროლს. შემდეგ, როდესაც თორმა მნიშვნელობა დაკარგა, იმის გამო, რომ მისი მფლობელი თორელნი „დამცრობილ იქნენ" და ჯაყელთა გვარმა წამოიწია, ადმინისტრაციულ ცენტრად აქვე მდებარე ციხისჯვარი იქცა. ცენტრს შორს არ გადაუნაცვლებია. ვინაიდან ციხისჯვარიც ასევე სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე მდებარეობდა, ე. ი. ბორჯომის ხეობას (ძველი თორის მხარეს) მნიშვნელობა არც შემდეგ, საქართველოს დაცემა-დაქვეითების ხანაში, დაუკარგავს. იგი მაინც სამცხე-საათაბაგოს ცენტრი იყო.

თორის მხარეში კულტურული და სამეურნეო აღმავლობა, რომელიც IV საუკუნიდან დაიწყო და რომელსაც VII—VIII საუკუნეებში არაბთა შემოსევამ შეუშალა ხელი, მომდევნო საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა.

XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში თო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, 1941, გვ. 208.

რის მხარეში აუგიათ ტიმოთესუბნის დიდებული მონასტერი, რომელიც დღესაც კარგადაა შემონახული. ამ მონასტერს დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ მხარისათვის. ტიმოთესუბნის მთავარი ეკლესიის უკან დგას მცირე ეკლესია, რომლის სარკმლის ზემოთ (დასავლეთის სარკმელი) ქვაზე წარწერაა. ეს წარწერა აკად. ნ. ბერძენიშვილმა ასე წაიკითხა: „ქრისტე ადიდე სული შალვა ერისთავთერისთავის“ და ბერძენიშვილისავე აზრით, „ეს მონასტერი შალვა თორელის განსასვენებელი ადგილია“[1]. XIV საუკუნეშია აგებული სოფ. დაბის მონასტერი, რომელიც კარგადაა დაცული. მასზე წარწერაა, რომლითაც ვგებულობთ, რომ იგი გიორგი ბრწყინვალეს (1314—1346 წწ.) აუშენებია. მშენებლობა დათარიღებულია 1333 წლით. გიორგი მეხუთეს (ბრწყინვალეს) მეფობის ხანა შედარებით მშვიდობისა და აღმშენებლობის განახლების პერიოდია, რაც თორის მხარეშიც საგრძნობი ყოფილა.

XIII საუკუნიდან თორის მხარე ადმინისტრაციულად სამცხის შემადგენლობაში შედის. ათაბაგების რეზიდენცია სოფელი ციხისჯვარია, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, თორის მხარეში, დაბა თორის მახლობლად, მდებარეობდა. ამიერიდან თორის მხარის ისტორია იგივეა, რაც სამცხის ისტორია. სამცხე დიდ ტერიტორიას მოიცავდა. იგი საქართველოს ერთ მესამედს უდრიდა და გადაჭიმული იყო „ტასისკარიდგან, ვიდრე ერზერუმამდე“[2]. მას საუკეთესო გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა, იშვიათი კლიმატითა და მდიდარი ბუნებით ხასიათდებოდა, რის გამოც აქ სოფლის მეურნეობა კარგად იყო განვითარებული. დაწინაურებული იყო ხელოსნობა და ხუროთმოძღვრება. ყოველივე ეს სამცხეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

XIII საუკუნეში ისეთი ისტორიული ვითარება შეიქმნა, რომ სამცხემ პირველმა წამოიწყო ერთიანი საქართველოდან გამოყოფისათვის ბრძოლა, რაც 1266 წელს მონღოლთა მხარდაჭერით განხორციელდა. ამ წელს სარგის ჯაყელმა მონღოლებისაგან ხასობა მიიღო და სამცხე ულუსიანად იქცა. ამ დროიდან მოყოლებული XIV საუკუნის 20-იან წლებამდე სამცხე ქართლისა და იმერეთის სამეფოებისაგან განსხვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში

---

1 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, გვ. 233—234.

2 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 24.

იმყოფებოდა. სამცხის მთავართა პოლიტიკური გეზი ძირს უფრო-
და ცენტრალური ხელისუფლების ძლიერებას და ფეოდალური

სოფ. დაბის ეკლესია

დაშლის მოკავშირედ გამოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ XIII—XIV—XV საუკუნეებში სამცხე ხშირად დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა, მას საქართველოსთან პოლიტიკური კავშირი ამ პერიოდშიც არ გაუწყვეტია. ამ დებულების დამადასტურებლად ბექა I-ისა და აღბუღა I-ის მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა შეიძლება დავასახელოთ. ამ საკითხზე სწორი აზრი გა-

მოთქვა პროფ. ა. კიკვიძემ: „სარგის ჯაყელს სამცხე სრულ მის უფლებაში მოუქცევია. ის, როგორც ფეოდალურ ცენტრალურ მმართველობაზე უშუალოდ დამოკიდებული, მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენელი, აღარ ემორჩილება ცენტრს, უშუალოდ მონღოლებს ემორჩილება, მაგრამ სამცხე, ქართულ სახელმწიფო ორგნიზაციაში მოქცეული, მისი ორგანული ნაწილი, ამ ორგანიზაციაშივე რჩება. სამცხის მთავარი სამეფოსაგან შეუვალად ხდის სამცხეს და თვით პატრონობს მას, თუმცა კვლავ მეფის ყმაა (ვასალია)"[1].

ულუსიანად ქცეული სამცხის საშინაო საქმეებში მონღოლები არ ერეოდნენ. ისინი სამცხისაგან ხარაჯის გადახდასა და ომში დახმარებას მოითხოვდნენ მხოლოდ. სარგის ჯაყელის მომდევნო მთავარს, ბექა ჯაყელს, სამცხეში წესიერება დაუმყარებია, საკანონმდებლო კრებაც მოუწვევია და სამართლის წიგნი შეუდგენია, რაც ქართული სამართლის ისტორიის საყურადღებო ძეგლია.

XIV საუკუნის I ნახევარში დიდი პოლიტიკური მოღვაწის გიორგი V-ის დროს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწილებული საქართველო კვლავ გაერთიანდა, შემოერთებულ იქნა სამცხეც, რაც იმით გაფორმდა, რომ გიორგი V-მ სამცხის მმართველად 1334 წელს, სარგის II-ის გარდაცვალების შემდეგ, მისივე შვილი ყვარყვარე დაამტკიცა.

გიორგი V-მ მონღოლთა სახელმწიფოში დაწყებული არეულობით ისარგებლა და საქართველოს მათი ბატონობის უღელი მოხსნა. ამავე პერიოდში (XIV საუკუნის დამდეგისათვის) მონღოლთა უზარმაზარმა სახელმწიფომ თავისი დღენი დალია. გონიერი ხელისუფლის, გიორგი V-ის ხელმძღვანელობით საქართველომ ეკონომიკურ აღორძინებას მიაღწია. სამართლის ნორმებიც მოწესრიგდა, ფულის სისტემაც განმტკიცდა და საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტიც აღდგა. აღორძინება და წინსვლა, ალბათ, თორის მხარესაც შეეხო; რის ფაქტადაც სოფ. დაბის მონასტრის აგება გამოდგება, სოფ. დაბის ეკლესიის წარწერიდან ირკვევა, რომ იგი აშენებულია გიორგი V-ის მიერ 1333 წელს. ჩანს, რომ თორის მხარის ერთი ნაწილი (ახალდაბიდან წაღვერამდე) მეფის კუთვნილება გამხდარა. უნდა ვივარაუდოთ, როდესაც

---

[1] ა. კიკვიძე. სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, თბილისის სახუნტის შრომები, 1949, გვ. 69.

მეფე გიორგი V-მ დაშლილი საქართველოს მთლიანობა აღადგინა. დაშლის ინიციატორები — ათაბაგები (ჯაყელები) დასაჯა და მათი მამულის ერთი ნაწილი თვითონვე დაიკავა, ამ ფაქტს უნდა გამოეწვია თორის მხარეში მეფის მიერ მონასტრის აგებაც.

თემურ ლენგის მიერ საქართველოს აოხრების შემდეგ ქართველმა ხალხმა კვლავ ფართოდ გაშალა განმაახლებელი მუშაობა XV საუკუნეში, ალექსანდრე მეფის დროს (1412—1443 წწ.), მაგრამ ალექსანდრე I-ის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა საქართველოს ერთიანობა ვერ იხსნა, ვინაიდან მისი შენარჩუნება მარტო გარეშე მტრების ალაგმვაზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ ადგილობრივ ფეოდალთა წინააღმდეგობის დაძლევაზედაც, რაც იმ დროისათვის მოუხერხებელი შეიქნა.

XV საუკუნის დამდეგს აშკარა ურჩობა საქართველოს მეფეს სამცხის მთავარმა ივანე ათაბაგმა (ჯაყელმა) გაუწია. ალექსანდრე I-მა 1415 წელს სასტიკად დაამარცხა ივანე აღბუღას ძე და ტყვედ წაიყვანა. „მეფე ალექსანდრე შევიდა სამცხეს და დაიპყრნა ყოველნი ციხენი და ექსორიაჰყვნა ურჩნი და რომელნიმე უმკვიდრო ჰყვნა და დასხნა ერისთავნი თვისი“[1]. მაგრამ ალექსანდრეს შეუწყნარებია ივანე აღბუღას ძე და ათაბაგობა მისთვისვე შეუნარჩუნებია.

ნახევარი საუკუნის შემდეგ ახალი ბრძოლა დაიწყო. ამჯერად ბრძოლა ყვარყვარე II ათაბაგსა და საქართველოს მეფე გიორგი VIII-ეს შორის მოხდა. ათაბაგს საქართველოსაგან სამცხის მთლიანად ჩამოშორება ჰქონდა განზრახული. ამ ბრძოლაში გურია-იმერეთის მთავართა დახმარებით ათაბაგმა გაიმარჯვა. მისი სამფლობელო (სამცხე) ძლიერების მწვერვალზე იმყოფებოდა და იგი თავისი გავლენის გავრცელებას საქართველოს სხვა ნაწილებზე ლამობდა. „ყვარყვარე II-ისა და მისი პოლიტიკის გამგრძელებლის მზეჭაბუკის სახელმწიფო მოღვაწეობას აშკარა მონარქისტული მისწრაფება ემჩნეოდა“[2].

სამცხის არისტოკრატიის საკმაოდ დიდი ნაწილი, მიწათმფლობელობის ფეოდალური წესის თანახმად, მცხეთის საკათალიკოსოსა და ქართლის სახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული. ისინი

---

1 ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, ნაწ. II, თხ., 1913, გვ. 235.

2 ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები, XV—XVIII სს. 1958, გვ. 148.

ათაბაგებს არ ემორჩილებოდნენ და ოპოზიციაში უდგნენ. ეს იყო ათაბაგთა ხელისუფლების შინაგანი წინააღმდეგობა, რისი დარღვევისათვისაც ყვარყვარე II-მ დაიწყო ბრძოლა. მაწყვერელს, ე. ი. აწყურის ეპისკოპოსს, კანონის თანახმად მცხეთის კათალიკოსი ამტკიცებდა, ე. ი. სამცხის ეკლესია მცხეთის (ქართლის) ეკლესიას ემორჩილებოდა. ყვარყვარე შეეცადა, სამცხე ქართლისაგან საეკლესიო საქმეშიც ჩამოეცილებინა. ამ ბრძოლაში ყვარყვარე ძლეულ იქნა მცხეთის კათალიკოსისაგან და ქართლის საეკლესიო მთლიანობა აღდგენილ იქნა. მაგრამ ათაბაგი მას არ დაემორჩილა, მეფეს (გიორგი VIII) გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა და 1462 წელს კიდევაც დაამარცხა იგი. ბრძოლა შემდეგშიაც გაგრძელდა და დამთავრდა იმით, რომ სამცხე დამოუკიდებელი დარჩა. ათაბაგი ფორმალურად აღიარებდა საქართველოს მეფის უფლებას.

როდესაც საქართველოში ათაბაგებსა და მეფეებს შორის გამუდმებული შინა ომები წარმოებდა (XV საუკუნე), სწორედ ამ დროს მოხდა მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტი, რომელმაც საქართველოზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

1453 წელს თურქებმა ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი აიღეს, საქართველო მოწყდა კულტურულ ბიზანტიას და დასავლეთიდან მას მეზობლად აგრესიული თურქეთი გაუჩნდა. ასეთივე აგრესიული მეზობელი ჰყავდა აღმოსავლეთითაც, ირანის სახით. XVI საუკუნეში ირან-თურქეთს შორის გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს ხელში ჩასაგდებად. ამ ბრძოლაში საქართველომ თავისი ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი დაკარგა. სამცხე და აჭარა თურქეთმა მიიტაცა.

თავი II

ბორჯომის ხეობა XVI საუკუნიდან XIX საუკუნის 50-იან წლებამდე

§ 1. საავალიშვილოს წარმოქმნის საკითხისათვის

ფეოდალურ საზოგადოებაში მთავარი საწარმოო საშუალება მიწაა. სამიწათმოქმედო ურთიერთობა განსაზღვრავს ფეოდალური წარმოების წესს. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში აზ-

ნაურობა და მოლაშქრეები ცენტრალური სამეფო ხელისუფლების მთავარი სოციალური და პოლიტიკური დასაყრდენნი იყვნენ. აზნაურებს მიწა სამოხელეოდ ეძლეოდათ მეფისაგან და ისინიც მოვალენი იყვნენ ერთგულად ემსახურათ მისთვის.

XIII—XIV საუკუნეებში აზნაურობას ცალკე ფენად გამოეყო დიდებულები, მათ ყმა-მამულების მიჩემება (სამემკვიდრეოდ გადაქცევა) დაიწყეს, ეს კი აზნაურ-დიდებულებსა და მეფეს შორის ბრძოლას იწვევდა, რაც საბოლოოდ პირველთა გამარჯვებით დამთავრდა.

როდესაც აზნაურ-დიდებულები მეფისაგან სამოხელეოდ მიცემულ მიწებს მიიჩემებენ და სამემკვიდრეოდ გადააქცევენ, ამიერიდან მათგან თავადთა წოდება იქმნება.

XIII—XV საუკუნეებში გარეშე მტერთა მიერ საქართველოს ხშირმა დალაშქვრამ, მისმა აოხრებამ, მთავარი მწარმოებელი ძალის — ყმა-გლეხებისა და მოლაშქრეების დიდი რაოდენობით განადგურებამ ქვეყანა ისე დაასუსტა, რომ მან საუკუნეთა განმავლობაში ვეღარ შეძლო აღდგენა. გაჩანაგებული ინტენსიური მეურნეობის (მებაღეობა-მევენახეობა) გამოკეთება მწარმოებელი ძალის სიმცირის გამო შეუძლებელი ხდებოდა. „ქვეყნის ეკონომიკური განადგურების მომასწავებელი იყო ის სიტყვები, რომლებიც ასე გახშირდა XV საუკუნის შემდეგ ქართველი ხალხის მეტყველებასა და მწერლობაში: ნაფუძარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, პარტახი და სხვა“[1]. სწორედ ამ ადგილებში ადრე ხალხი ცხოვრობდა და მეურნეობას ეწეოდა, ახლა კი ორივე გამქრალიყო. მოიშალა და დაქვეითდა საქალაქო ცხოვრებაც. დაკნინდა და დაცარიელდა დიდი ქალაქები თბილისი, ქუთაისი, გორი, ახალციხე და სხვ. მთლიანად დაეცა ისეთი ქალაქები, როგორიც იყო სამშვილდე, თმოგვი, დმანისი და სხვ. სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ექსპლოატატორული და ექსპლოატირებული მოსახლეობის რიცხობრივი შეფარდების აღდგენისათვის შედეგი ვერ გამოიღო. რიცხობრივად შემცირებული ყმა-გლეხები მომრავლებულ თავადებს, აზნაურებსა და მეფე-მთავრებს ვეღარ არჩენდა. ექსპლოატატორებმა ყმა-გლეხებს ფეოდალური ტვირთი დაუმძიმეს. იზრდებოდა გადასახადები როგორც ახლის შემოღებით, ისე ძველის გადიდებით; ეს უკანასკნელი შეუმჩნევლად, შე-

---

[1] ავტორთა კოლექტივი, I, 1958, გვ. 260.

პარებით ხდებოდა. ქართველი ფეოდალები ძველ საზომ-საწყაოებს ადიდებდნენ. ასე წარმოიშვა ახალი საზომ-საწყაოები, რაც 4—6-ჯერ მეტი იყო მათ თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით. ეკონომიკური დაცემის პირობებში საკმაოდ შეთხელებულ მოლაშქრეთა ფენაც დაიბეგრა, რამაც მათი ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე გააუარესა, ამიერიდან მათ უკვე აღარ შეეძლოთ ომში გამოსვლა თავისი ხარჯითა და იარაღ-საჭურვლით. ეს სოციალური ფენა, რომელიც სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი იყო, დაიშალა, გაიფანტა. ამასთან დაკავშირებით შეიცვალა ლაშქრის ორგანიზაციაც — „ჩნდება თავადსა და აზნაურზე შეწერილი ლაშქარი“[1].

სამეფო ხელისუფლება იძულებული გახდა, დამყარებოდა სათავადო ლაშქარს. ყოველივე ამან თავადთა გაძლიერება გამოიწვია და სამეფო ხელისუფლება დაასუსტა. ამრიგად, ძირითადი მწარმოებელი ძალის, ყმა-გლეხების რიცხვის მნიშვნელოვნად შემცირებამ მათი ფეოდალური ტვირთის დამძიმება გამოიწვია, რამაც კიდევ უფრო გააუარესა ამ კლასის მდგომარეობა; ამასთან მოლაშქრეთა ფენაც მოისპო, ყველაფერმა ამან ძალზე შეამცირა საწარმოო ძალთა განვითარების მასტიმულირებელი მიზეზები და ქართული ფეოდალიზმი ჩიხში მოამწყვდია. სწორედ, ამან გამოიწვია თავადთა წოდებისა და სათავადოების წარმოშობა.

საქართველოში სათავადოების ჩამოყალიბება XIV საუკუნიდან იწყება და XVI საუკუნეში მთავრდება. სათავადოები წარმოიშვა მეფის მიერ სხვადასხვა დროს ფეოდალისა და მოხელისათვის საგამგებლოდ მიცემული მიწის მითვისების (მისაკუთრების) შედეგად. სათავადოების წარმოშობის შესახებ პროფ. დ. გვრიტიშვილი წერს: „ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების შედეგად საქვეყნოდ გამრიგე მოხელე ერისთავები სამოხელეო სარგოს, რომელიც მათ ოდესღაც მეფისაგან მიიღეს, თანდათან სამემკვიდრეოდ გადააქცევენ. ეს პროცესი არის ერისთავთა საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებიდან, მათი დამოუკიდებელ ფეოდალებად გადაქცევის

---

[1] ავტორთა კოლექტივი, საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 262.

პროცესი"[1]. ამას გარდა სათავადოში შედიოდა მებატონის მამულებ-
პეული საკუთრება და თავისუფალ მიწათმომქმედთათვის წართმე-
ული მიწები. „სათავადოს ერთ-ერთ არსებით ნიშანს წარმოადგენ-
და ტერიტორიული ერთობა: თავადის ყმა-მამულს, ძირითადად,
ერთი გარკვეული ტერიტორია უნდა სჭეროდა. სათავადოს უნდა
ჰქონოდა თავისი პოლიტიკური ცენტრი — თავადის რეზიდენ-
ცია — სასახლე, ციხესიმაგრე და ეკლესია-მონასტერი, თავისი
აპარატიც ჰყავდა თავადს, ამასთანავე სათავადო შეადგენდა გარ-
კვეულ ადმინისტრაციულ და სამხედრო ერთეულსაც"[2]. XVI საუ-
კუნისათვის, როდესაც სათავადოების ჩამოყალიბება დამთავრდა,
სამცხე-საათაბაგოში 22 სათავადო იყო[3], მათგან ერთ-ერთს წარმო-
ადგენდა საავალიშვილო, რომელიც ახლანდელ ბორჯომის ხეობას
მოიცავდა. იმის შესახებ, თუ როდის დამკვიდრდნენ ბორჯომის
ხეობაში ავალიშვილები და როდის შეიქმნა მათი სათავადო, ძლიერ
ცოტა და ისიც არაპირდაპირი საბუთები მოგვეპოვება, ამიტომ
ძნელი ხდება ამ სათავადოს შექმნის დროის დადგენა. განვიხილოთ
რამდენიმე საბუთი: 1. ბორჯომიდან ახალციხის მიმართულებით
4 კილომეტრზე, გზის მარჯვნივ მდებარეობს სოფელი ლიკანი, ამ
სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით, ახოების წყლის ხეობაში, მო-
ზრდილი კომპლექსის ნანგრევებია, რომელიც ნამონასტრალი უნ-
და იყოს. მიუხედავად იმისა, რომ იგი დანგრეულია, მაინც მო-
ნასტრად იწოდება. აკად. გ. ჩუბინაშვილის აზრით, ლიკანის მო-
ნასტერი სამნავიანი ბაზილიკაა და აშენებული უნდა იყოს VII
საუკუნის მეორე ნახევარში. გვიან ხანაში მონასტრისათვის მიუ-
შენებიათ სამრეკლო, რომლის მეორე სართულზე, შესასვლელის
მარცხენა მხარეს, გაკეთებულია წარწერა: „ქწ. იპრიანა ლიკნისა
ღვთისმშობელმა და აღვაშენე სამრეკლო ესე მე ქიშვად ავალის-
შვილმა და თანამეცხედრემან მეფეთ მეფისა ასულმა თამარ და
მათთა მშობელთა"[4]. პროფ. ვ. ბერიძის აზრით, ეს წარწერა XVI
საუკუნეშია შესრულებული. როგორც წარწერიდან ჩანს, ლიკანის
მონასტრის სამრეკლო ქიშვად ავალიშვილს აუშენებია. აკად.
გ. ჩუბინაშვილი კი ლიკანის მონასტრის სამრეკლოს წარწერას

---

1 დ. გვრიტიშვილი. დასახ. შრომა, გვ. 68.
2 ავტორთა კოლექტივი, დასახ. შრომა, გვ. 272.
3 იქვე.
4 ვ. ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება, 1955, გვ. 217.

XIV—XV საუკუნეებით ათარიღებს. ლიკანის მონასტრის წარწერის ანალოგიური წარწერაა კოთელიის (ჯავახეთში) ეკლესიაზეც, საიდანაც ჩანს, რომ ეს ეკლესია ქიშვადსა და მის თანამეცხედრეს მეფის ასულ თამარს აუშენებიათ, ხოლო გვარი ავალიშვილი ნახსენები არ არის. ვ. ბერიძის აზრით, ლიკანის მონასტრის სამრეკლოსა და კოთელიის ეკლესიის აღმშენებელი ერთი და იგივე პიროვნება — ქიშვად ავალიშვილია და წარწერებიც ერთსა და იმავე დროს (XVI საუკუნეში) არის შესრულებული. ლიკანისა და კოთელიის წარწერებს შეეხო ვ. ცისკარიშვილიც, რომელმაც გაიმეორა ვ. ბერიძის მოსაზრება[1]. განხილული საბუთიდან შეიძლება ის აზრი გამოვიტანოთ, რომ ავალიშვილთა გვარი XVI საუკუნეში უკვე დამკვიდრებულია ბორჯომის ხეობაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი მოსვლა აქ უფრო ადრე მოხდებოდა. 2. ვახუშტი ბაგრატიონი გვატყობინებს, რომ: „დიასამიძე ელია დემოთის ციხეში საავალიშვილოს შეუყენეს, წაართვა ამან ციხე და განძი მრავალი და საფარიც დაიჭირა. გოგორისშვილმან ბეჟანმან ჯვარციხე ფაშას მისცა და ჩვენც ახალდაბას ჩამოვედით, მერმე მარტსიე, ქს, ჩფპ, ქრსოვ. მოვსრენით ჩვენნი მოღალატენი და ნიჯათითა მეფის სვიმონისათა დავიპყარით სამცხე და ოსმალთაც დავეზავენით“[2]. ჩანს, რომ დემოთის ციხე, რომელიც ბორჯომის ხეობაში მდებარეობდა, თავად ავალიშვილების საკუთრება იყო და იგი სამცხის თავად ელია დიასამიძეს, რომელიც თურქებს მიემხრო, ავალიშვილებისათვის წაურთმევია. ეს მომხდარა 1588 წლის წინა ხანაში. ავალიშვილებისათვის ამავე წლებში წაურთმევია და თურქებისათვის გადაუცია ციხისჯვარი მოღალატე თავად გოგორისშვილს. ამრიგად, XVI საუკუნის 80-იან წლებში ბორჯომის ხეობა ავალიშვილებს უჭირავთ და აქ მათი სათავადოს არსებობა უტყუარ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. ისიც საგულისხმოა, რომ ავალიშვილები ამ დროს კი არ ქმნიან სათავადოს, არამედ სათავადო კარგა ხნის შექმნილი აქვთ და ახლა მათ სამცხის მოღალატე თავადები ედავებიან და კიდევაც ართმევენ

---

[1] ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, 1959, გვ. 19, 20.

[2] ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, ნაწ. II, 1913, გვ. 253.

სათავადოს ნაწილს, დემოთის ციხესა და ციხისჯვარს. კოტე ყიფიანის შრომაში «Кое-что из истории Боржома»[1] — ასეთი ფაქტია აღნიშნული: «Известный тогда ученый Грузии Платон Игнатьевич Иоселиани в одном из Боржомских второстепенных ущелий, Ликанском, набрел в лесу на древний храм Ликанской богородицы и над южными вратами его увидел каменную плиту с несколькими строками древнего церковно-грузинского письма. Имея в виду только науку, и не уделяя злобе... ни малейшего внимания, он описал надпись и перевел на русский язык. Оказалось, что южные эти врата храма возобновили **лет полтораста или двести тому назад, Гиви Авалишвили и супруга его царевна Софья.** Значит Авалишвили были здесь не бурмистрами, а такие князья, родства с которыми и цари не гнушались»[2].

ლიკანის მონასტრის აღსავლის კარებზე არსებული წარწერა პ. იოსელიანს ამოუკითხავს XIX საუკუნის 40-იან წლებში (1848—49 წწ.) და მას იგი XVII საუკუნის პირველი ნახევრით დაუთარიღებია. ამ წარწერიდან იროკვევა, რომ გივი ავალიშვილსა და მის თანამეცხედრე მეფის ასულ სოფიოს XVII საუკ. პირველ ნახევარში (შეიძლება ადრეც) ლიკანის მონასტრის აღსავლის კარები განუახლებიათ. უდავოა, რომ ავალიშვილები XVII საუკუნეშიც ბორჯომის ხეობის მფლობელნი იყვნენ. ზოსიმე კუმურდოელის წიგნში აღნიშნულია: „ბუმბულისძენი, მათი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ავალიშვილთა და სლესართა აქუს“[3]. სოფ. სლესა და სლესის ციხე მდებარეობს სწორედ იქ, სადაც ბორჯომის ხეობა მთავრდება (აწყურის ახლოს) — დემოთის ციხის სამხრეთ-დასავლეთით. ალბათ, ბუმბულისძენი სლესა-დემოთს

---

1 კოტე (კონსტანტინე) დიმიტრის ძე ყიფიანი (1849—1921) მსახიობი და მწერალი, ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის შვილი. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მეცნიერული შრომა. 1900 წელს მას დაუწერია შრომა «Кое-что из истории Боржома», მაგრამ მის დაბეჭდვაზე დიდ მთავარს, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვს, უარი უთქვამს, ვინაიდან იგი, როგორც ბორჯომის სამაიორატო მამულის მეპატრონე, ამ შრომაში გაკრიტიკებული იყო. კ. ყიფიანის ხსენებული შრომა (ხელნაწერი) დაცულია საქ. თეატრალურ მუზეუმში (ვ. ა.).

2 Кипиани К. Кое-что из истории Боржома, 1900, с. 12.

3 ქრ. შარაშიძე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 32.

შორის არსებულ ტერიტორიას ფლობდნენ და ამ დროისათვის მათზე და მათ ქონებაზე ხელი ჰქონდათ სლესარებსა და ავალიშვილებს. საფიქრებელია, რომ შემდეგში ბუმბულისძენი ქვიშხეთში გადასახლდნენ და იქ დღემდე შემორჩენილმა ციხემ, რომელიც „ბულბულის“ („ბუმბულის“) ციხეთ იწოდება, სახელწოდება, როგორც ჩანს, ამ გვარისაგან მიიღო. სლესა-დემოთის მიდამოებშივე ცხოვრობდა ალბათ, აზნაური ქუელის ძე, რომელიც აგრეთვე, სლესართა და ავალიშვილთა ყმა ყოფილა. ამის შესახებ ზოსიმე კუმურდოელის წიგნში ნათქვამია: „ქუელის ძე მისით სასაფლაოთა და მონასტრითა სლესარსა და ავალიშვილსა აქვს“[1]. ზოსიმე კუმურდოელის წიგნი შედგენილია დაახლოებით 1516 წელს და იმ დროისათვის, როგორც ვხედავთ, ავალიშვილები სლესა-დემოთის მიდამოების მფლობელებად ჩანან[2].

ვახუშტი ბაგრატიონი სამცხის თავადთა სიაში ავალიშვილებსაც იხსენიებს: „ხოლო სამცხეს: ჯაყელი, ეს არს აწ ათაბაგი და ფაშა ახალციხისა, შალიკაშვილი, თადგირიძე, დიასამიძე, ქობლიანიძე, ამილახორი, ავალიშვილი, სუბატისშვილი, თუხარელი, ღალანიძე და სხვანი“[3]. ავალიშვილთა ბორჯომის ხეობის მფლობელობაზე არაერთი ცნობა აქვს მოტანილი ე. თაყაიშვილს „საქართველოს სიძველეში“, მაგრამ ისინი XVI საუკუნეზე უფრო ადრეულ პერიოდს არ ეკუთვნიან და ამიტომ აქ მათი მოტანა საჭიროდ არ მიგვაჩნია. XVI საუკუნეზე უფრო ადრე წერილობით საბუთებში ავალიშვილები არ იხსენიებიან, ამ საუკუნის ცნობაც კი ერთადერთია, ეს არის სამცხის ფეოდალთა ნუსხა, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. აკად. ნ. ბერძენიშვილი ავალიშვილების ბორჯომის ხეობაში მოსვლის დროდ XVI საუკუნეს ასახელებს. ივი წერს: „ერეკლე მეორეს აქ სადგერს ჰყავდა ერთგული მენაპირე ავალიშვილი, ჯერ ისევ XVI საუკუნიდან ხეობაში შემოსული მებატონე“[4]. შემდეგდროინდელ საბუთებში ავალიშვილები ჩანან ქართლში, კახეთსა და იმერეთში. ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი საბუთების განხილვისა და შეჯერების შედეგად დასტურდება, რომ ავალიშვილები XVI საუკუნისათვის ბორჯომის ხეობაში დამკვიდრებული

---

1 ქრ. შარაშიძე. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 33.

2 ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 1958, წიგნი III, გვ. 144.

3 ვახუშტი. აღწერა, გვ. 26.

4 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 270.

არიან და არსებობდა კიდეც მათი სათავადო — „საავალიშვილოს“ სახელწოდებით, ხოლო ამ სათავადოს შექმნა უნდა მივაკუთვნოთ უფრო ადრინდელ ხანას, ყოველ შემთხვევაში XV საუკუნეს მაინც[1]. სამცხის თავადთა ნუსხიდან ირკვევა, რომ ავალიშვილები ამ მხარის თავადები არიან, ეს ჩანს კოთელიის წარწერიდანაც. სამცხეში თურქების გაბატონებამდე საფარის მონასტრის წინამძღვრობა ავალიშვილთა საგვარეულო კუთვნილება ყოფილა[2]. თურქობამდე ზოგი ავალიშვილი იქიდან აყრილა და ბორჯომის ხეობაში დასახლებულა (ასეთად ჩანს ქიშვად ავალიშვილი), ხოლო სამცხეში თურქების გაბატონების შემდეგ ავალიშვილებს სამცხე დაუტოვებიათ, ერთი ნაწილი ბორჯომის ხეობაში, ხოლო სხვანი ქართლ-კახეთსა და იმერეთში დამკვიდრებულან, სადაც ისინი აქაურ მეფეებს ყმა-მამულებით უხვად დაუჯილდოებიათ. ასე რომ, ავალიშვილები ბორჯომის ხეობაში, ქართლსა, კახეთსა და იმერეთში სამცხედან მოსულან.

ძნელი არ არის საავალიშვილოს საზღვრების დადგენაც. ჩრდილო-აღმოსავლეთით მისი საზღვარი ტაშისკარი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან სამცხე, როცა საქართველოს სამეფოს გამოეყო, იგი სწორედ ტაშისკარიდან იწყებოდა და საავალიშვილო კი სამცხის ჩრდილო-აღმოსავლეთით უკიდურესი განაპირა მხარე იყო. შემდეგ საზღვარი ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით სურამის მთაგრეხილს მისდევდა. უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს სლესა-დემოთს შორის უნდა გაევლო, სამხრეთ-დასავლეთით დვირი-ტაძრისის მთები იქნებოდა, სამხრეთით კი ბაკურიანის მთა (ცხრა წყაროს უღელტეხილი). აღმოსავლეთის საზღვარი,

---

1 თორის მხარეში მდებარე დაბის ეკლესიის 1333 წლის სამშენებლო წარწერა გიორგი ბრწყინვალის მოლარეთუხუცესისა მოწმობს, რომ ეს მხარე საქართველოს მეფეს ექვემდებარება და თორელები თორს აღარ ფლობენ.

„ინდიქტიონსა მეფეთ-მეფისა გიორგისსა,
ძისა დიმიტრისა მეცხრამეტისა. სიტყვსა
ღმერთისა ხორცთ შესხმისა მიზეზო,
აღვაშენე ტაძარი ესე ჟამსა მეფეთ-მეფისა
გიორგისა მე, მათმან მოლარეთ-უხუცესმან

...ქ-კსა კა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია ტ. III, გვ. 258). სამწუხაროდ, მოლარეთუხუცესის ვინაობა არ ჩანს, შესაძლებელია იგი თორის მხარის ახალი მემამულე ავალიშვილია.

2 ვ. ცისკარიშვილი. დასახ. შრომა, გვ. 120.

ალბათ, გუჯარეთის ხეობის დასავლეთი მხარე იქნებოდა, ვინაიდან ეს ხეობა (გუჯარეთის) საციციანოში შედიოდა[1]. შემდეგ, როდესაც მთელი საავალიშვილო რომანოვების სამფლობელო გახდა, აღმოსავლეთის საზღვარი კვლავ აქ დაწესდა (დღევანდელ სოფ. მაჭარწყალზე გავლით), რაც იმას ნიშნავს, რომ გუჯარეთის ხეობის მეტი ნაწილი თავის დროზე ავალიშვილებს არ ეკუთვნოდათ. XVI საუკუნის დასაწყისიდან ბორჯომის ხეობა (საავალიშვილო) ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ჩანს (იგი, ალბათ, სამცხე-საათაბაგოს ჩამოსცილებია). ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: „ქართლის სამეფოს საზღვრებათ სწავლულ კაცთ აღნიშნული აქვთ: ... ლიჩი ღოდორა ქეფინის ხევი და ჩხერის ციხე და მას ზემოთი ისრე გაყოლით მთის აქეთი ხეობა ვიდრე დვირამდის, კოდიანს გადმოღმართი, ნინოს ხევი რომ ჩამოივლის გაღმით სამგორისაკენ"[2]. ვახუშტის აღწერილობიდანაც ჩანს, რომ ბორჯომის ხეობა „ზემო ქართლის სადროშოში" შედიოდა და ამ სადროშოს დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები შემდეგნაირად აქვს აღწერილი: „დასავლით ძირულას იქითი მთა კოლბეურისა, მცირე, რომელი მიჰყვება ჩრდილოთ კერძ პერანგამდე, მუნიდამ ერწოკუდარამდე და ესევ მთა კოლბეურისა; გეფინის — ხევსა და ამაშუკეთს შუა, მიჰყვება სამხრით ვერტყვილამდე; ვერტყვილიდამ ხაზი ჩხერიმელის დაბის ქვაბამდე, და მუნიდამ მახვილოს მთის გამჭრელი დვირამდე და ბაკურიანის მთამდე"[3]. დვირი, ბაკურიანი და კოდიანის მთა ბორჯომის ხეობის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარია, მაშასადამე, მთელი ბორჯომის ხეობა ზემო ქართლის სადროშოს ფარგლებშია. რომ საავალიშვილო (სათავადო) ზემოქართლის სადროშოში შედიოდა, ამის შესახებ ცნობას ალექსანდრე ამილახვარი გვაწვდის. იგი წერს, რომ ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა შემდეგი სათავადოები და სამფლობელოები: „საამილახორო, სააბაშიო, საფალავანდიშვილო, საფავლენიშვილო, სახერხეულიძო, სადავითაშვილო, საამირაჯიბო, საავალიშვილო"...[4]

ყველა დოკუმენტის შეჯერების შემდეგ, პროფ. დ. გვრიტი-

---

1 დ. გვრიტიშვილი. დასახ. შრომა, გვ. 129.

2 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, 1948, გვ. 152.

3 ვახუშტი. აღწერა, გვ. 72.

4 ალ. ამილახვარი. გეორგიანული ისტორია, გ. ქიქოძის თარგმანი, მნათობი № 8, 1939, გვ. 128.

შვილმა ზუსტად დაადგინა ზემო ქართლის სადროშოში შემავალი სათავადოებისა და სამფლობელოების ნუსხა: „ამრიგად, — წერს დ. გვრიტიშვილი, — ზემო ქართლის სადროშოში შემდეგი სათავადოები და სამფლობელოები შედიოდა: საამილახორო, სააბაშიძეო, საფალავანდიშვილო, საფავლენიშვილო, ხერხეულიძეების სათავადო, დავითაშვილების სათავადო, ამირაჯიბების სათავადო, საავალიშვილო...[1], ასე რომ, ყველა დოკუმენტიდან დასტურდება ბორჯომის ხეობაში XVI საუკუნისათვის ავალიშვილთა სათავადოს არსებობა. XVI საუკუნიდან თორელები აღარ იხსენიებიან წყაროებში, როგორც ჩანს, მათ ადგილს ჯაყელ-ციხისჯვრელები იჭერენ. XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისისათვის ტერიტორიულად თორის მხარე ძლიერ გაფართოებულია, სწორედ, ამ გარემოებას უნდა გამოეწვია ადმინისტრაციული ცენტრის თორიდან ახალციხეში გადატანა. რაკი XIII საუკუნის დასაწყისში შალვა და ივანე თორელები ახალციხელებადაც იწოდებოდნენ, შესაძლებელია, ამ დროს ახალციხე თორელთა ადმინისტრაციული ცენტრი იყო. 1261 წლისათვის ჯაყელ-ციხისჯვრელთა ადმინისტრაციულ ცენტრს ისევ ციხისჯვარი წარმოადგენდა, მაგრამ XIV—XV საუკუნიდან სამცხე-საათაბაგოს ადმინისტრაციულ ცენტრად მაინც ახალციხე უნდა ვიგულოთ, თუმცა ათაბაგთა რეზიდენციას ყოველთვის ახალციხე არ წარმოადგენდა. XVI საუკუნის 70-იანი წლებიდან, იტალიელი მოგზაურის თომაზო მინადოისა და დონ-ხუან-სპარსელის ცნობებით — ათაბაგთა რეზიდენცია ალთუნ-ყალა (ოქროს ციხე) იყო[2]. ციხე-სიმაგრე ალთუნ-ყალა დღესაც ასეთი სახელწოდებით არსებობს აბასთუმნის მახლობლად, იგი მტერთათვის უფრო მიუდგომელი იყო, ვიდრე ახალციხე. ჩანს ათაბაგებს, სტრატეგიული მოსაზრებით, რეზიდენცია ახალციხიდან ალთუნ-ყალაში გადაუტანიათ. ეს იყო მხოლოდ დროებითი ღონისძიება. მას შემდეგ, რაც სამცხე-საათაბაგო ოსმალებმა მიიტაცეს და ახალციხის საფაშო შეიქმნა, ადმინისტრაციული ცენტრი კვლავ ახალციხეში გადაიტანეს. ხოლო იმ დროიდან, როდესაც ძველი თორის მხარეში ავალიშვილების სათავადო (საავალიშვილო) შეიქმნა, მისი ადმინისტრაციული ცენტრი სადგერი გახდა.

---

[1] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. შრომა, გვ. 290.

[2] გ. ტ ი ვ ა ძ ე. სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI საუკუნეში. ჟურნალი მნათობი, 1947, გვ. 141—142.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი ბორჯომის ხეობა იმ დროს (XV—XVI სს.) სამ ხეობად იყოფოდა: 1. მტკვრის ხეობა — ტაშისკარიდან სლესის ციხემდე, მტკვრის აყოლებით — მისი ორივე სანაპირო, 2. სადგერის ხეობა, რომელიც სადგერიდან იწყებოდა, წაღვერ-ტიმოთესუბანსა და თორ-ბაკურიანის მიდამოებს მოიცავდა. ეს ორი ხეობა საავალიშვილოს შეადგენდა, 3. გუჯარეთის ხეობა, რომელიც საციციანოში შედიოდა. სამივე ხეობა ადრე ერთ—თორის ხეობად ყოფილა გაერთიანებული და თორის მხარეს (საერისთავთერისთაოს) შეადგენდა. დასახელებული ხეობები ბუნებრივად გამაგრებული და მტრისაგან შეუვალი იყო. აქ არსებობდა არაერთი ციხესიმაგრე. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ახალდაბის, ყვიბისის, პეტრეს, ჭობისხევისა და ზორეთის ციხეები იცავდნენ, ხოლო მტკვრის მარცხენა სანაპირო სლესის, დემოთის, გოგიასა და სალის ციხეებით იყო გამაგრებული. სამხრეთიდან შემოსასვლელ გზებს ტაძრისისა და ციხიხჯვრის ციხეები კეტავდა. სადგერის ხეობას სადგერისა და უზნარიანის ციხეები ამაგრებდა. გუჯარეთის ხეობას ჩრდილო აღმოსავლეთით თოთხამის, მომწვარასა და ალეწის ციხეები დარაჯობდა.

ვახუშტის გადმოცემით: „არს ესე მტკვრის ხეობა ვენახიანი, ხილიანი, ვიწრო და მწირი, მაგარი და შეუვალი მტრისაგან, კაცნი ჰაეროვანნი, მთანი ნადირიანნი, ნაძოვან-ფიჭოვანი, ირემი, თხა, არჩვი, და სხვა ნადირნი მრავალნი“[1]. ვახუშტისავე თქმით, სადგერისა და გუჯარეთის ხეობა თუმცა უვენახო იყო, მაგრამ მოსავლიანი, ბალახ-საძოვრებით, ტყით და ნადირით მდიდარი. XVI საუკუნეში საავალიშვილო საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული და 56 სოფელს მოიცავდა, სახელდობრ: დვირი, დგვარი, ტაძრისი, მოქცევი, საკვირიკე, ზორეთი, ქვაბი (ქვაბისხევი), დემოთია, ეშმაკთუბანი, მალაჩათუბანი, დღვაშისხევი, ლიკანი, მაყურაზ, ლომსათუბანი, ეკლესიისკარი ნახუცვარათუბანი, იანკათუბანი, მელქუაძე, ზღასთავი, გომნა, ნუა, ყვიბისი, ციხისჯვარი, ჭალა, თორი, გორისთავი, ჭობისხევი, ჩითახევი, დაბა, სერსემი (ცემი), წაღვერი, სამზიოსხევი (მზეთამზე), გოგოსუბანი, ყურსოფელი, ვიკრათუბანი, ქამარზა, ნეძვი, ახალდაბა, პეტრესციხის რაბათი, ხოხაშენი, ვანთა, ფაფა, ღამზა, ზნახა, მძოვრეთი, ზუზნა, სადგერი (ქაშვეთი), კიმოთისმანი (კიმოთესუბანი), რველა, ზანავი,

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა, გვ. 84.

კორტანეთი, ბუზათუბანი, ბაკურიანი, მიტარბი, სავანელი და ქიმერეთი.

აღნიშნული 56 სოფლიდან დღეისათვის ბორჯომის ხეობაში ცნობილია 26, სახელდობრ: დვირი, დგვარი, ტაძრისი, მოქცევი, ზოვრეთი, ქვაბისხევი, ლიკანი, გომნა, ყვიბისი, ციხისჯვარი, თორი, ჭობისხევი, დაბა, სერსემი (ცემი), წალვერი, სამზიოსხევი (მზეთამზე), კიმოთისმანი (კიმოთესუბანი), რველა (რველი), ზანავი, კორტანეთი, ბაკურიანი, მიტარბი, ნეძვი, ახალდაბა, ფაფა, სადგერი (ქაშვეთი). მართალია, ამჟამად ნეძვი, ზოვრეთი, თორი, მოქცევი, გომნა (ზედა გომნა) დასახლებულ პუნქტებს აღარ წარმოადგენენ, მაგრამ მათი ადგილ-მდებარეობის დადგენა ძნელი არ არის, ვინაიდან ამ სოფლებიდან მოსახლეობა მხოლოდ ახლახან (1944 წელს) გადასახლდა სხვა სოფლებში (ნეძვიდან — ახალდაბაში, ზოვრეთიდან — დვირში, თორიდან — თისელში და გომნა-მოქცევიდან — ახალციხის რაიონში) და მათი სახელწოდებანიც შემონახულია. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან გაუკაცრიელებული ბორჯომის ხეობის დასახლება ხელახლა დაიწყო; მოახალშენენი სწორედ ამ პუნქტებში დასახლდნენ და ძველი სახელწოდებანიც აღადგინეს; სხვა დაცარიელებული პუნქტები დაუსახლებელი დარჩა, მათი სახელწოდებაც დავიწყებას მიეცა. ამ ძველად დასახლებული და თურქთა ბატონობის პერიოდში დაცარიელებული სოფლების ადგილმდებარეობის დაძებნა-მიკვლევაა საჭირო. მისაკვლევ ნასოფლართა რიცხვი 30-ს უდრის, ესენია: საკვირიკე, დემოთია, ეშმაკთუბანი, მალაჩათუბანი, დღვაშისხევი, მაყურაზ, ლომსათუბანი, ეკლესიისკარი, ნახუცვართუბანი, იანკათუბანი, მელქუაძე, ზღასთავი, ნუა, ჭალა, გორისთავი, ჩითახევი, გოგოსუბანი, ყურსოფელი, ვიკრათუბანი, ქამარზა, პეტრესციხის რაბათი, ხოხაშენი, ვანთა, ღამზა, ზნახა, მძოვრეთი, ზუზნა, ბუზათუბანი, სავანელი და ქიმერეთი. საკვირიკეს, დემოთიას, ჭალასა და ნუას შესახებ ჩვენ ზემოთ გამოვთქვით აზრი და რამდენადაც შესაძლებელი იყო, მათი ადგილმდებარეობაც დავადგინეთ. დასადგენი დარჩა 26 პუნქტის ადგილმდებარეობა. „ვილაიეთის დიდ დავთარში“ ბევრ შემთხვევაში დასახლებული პუნქტები გეოგრაფიული მდებარეობის თანამიმდევრობით არ არიან დასახელებული, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დასახელების დროს ეს თანამიმდევრობა დაცულია. ეს შეინიშნება მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე არსებული პუნქტების დასახელების დროსაც, ე.ი. ჯერ მტკვრის

მარცხენა მხარეზე მდებარე პუნქტებია თანმიყოლებით ჩამოთვლილი, შემდეგ კი მარჯვენა სანაპიროზე მდებარენი ან პირიქით. აღწერა-დასახელების აღნიშნული ხერხის გათვალისწინება შეიძლება ნაწილობრივ მაინც დაგვეხმაროს ზოგიერთი პუნქტის ადგილმდებარეობის დადგენაში. დასაძებნი პუნქტების სახელწოდებანი დღეისათვის ბორჯომის ხეობაში შემორჩენილი არ არის, მაგრამ შემორჩენილია მრავალი ძეგლი, ნასოფლარი, ეკლესია-მონასტრის ნანგრევები და სწორედ ამ ადგილებში უნდა მოინახოს დღეს დავიწყებას მიცემული და თურქ დამპყრობელთა მიერ განადგურებულ-აოხრებული სოფლები. რომელთა მოკვლევას ჩვენ „ვილაიეთის დიდ დავთარში“ დასახელებული თანამიმდევრობით დავიწყებთ.

ე შ მ ა კ თ უ ბ ა ნ ი, ვახუშტისა და ს. ჯიქიას რუკებზე ეს სოფელი აღნიშნულია მტკვრის მარცხენა ნაპირას სოფ. ყვიბისის პირდაპირ. სწორედ ამ ადგილზე დღეს სოფ. ზედა ვაშლოვანი მდებარეობს, რომლის არსებობა ამავე ადგილზე XIX საუკუნის 60-იან წლებამდე არ ჩანს, ამიტომ სოფ. ვაშლოვანის გაჩენა აქ XIX ს. II ნახევრის დასაწყისში მომხდარი და სახელიც აქ დასახლებულ მცხოვრებლებს სამცხედან მოუტანიათ. სოფ. ზედა ვაშლოვანში შეიმჩნევა ძველი ნასოფლარი, აქვეა შემორჩენილი შუაფეოდალური ხანის ეკლესია. ამ ნასოფლარს მარცხენა მხარეზე ხევი აკრავს, რომელიც „ეშმაკის ხევად“ იწოდებოდა 1955 წლამდე (ახლა იგი „ქალთა ხევად“ იწოდება). ვახუშტი ამ ხევს იხსენიებს „ეშმაკთუბნისხევად“[1]. ვფიქრობთ, რომ სახელწოდება „ეშმაკთუბანი“ ამ ხევის სახელიდან უნდა იყოს წარმომდგარი, ან პირიქით, ხოლო სოფ. ეშმაკთუბანი დღევანდელი ზედა ვაშლოვანის ადგილზე უნდა არსებულიყო.

ს ო ფ. დ ღ ვ ა შ ი ს ხ ე ვ ი. ლიკანის სანატორიუმის ეზოს რომ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან პატარა ხევი აკრავს, დღვაშისხევად იწოდება. ამ ხევსა და თვით სანატორიუმის ეზო-მიდამოებში კარგად შეიმჩნეოდა ნასოფლარი ამ სამი ათეული წლის წინათ, მაგრამ სააღმშენებლო ქვა, რომელიც აქ მრავლად ყოფილა მიმოფანტული, სანატორიუმის მშენებლობაზე გამოუყენებიათ. ზოგიერთ ადგილზე, დღესაც შეიმჩნევა ადამიანის ნასადგომარი, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სოფელი დღვაშისხევი დღევანდე-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა, გვ. 84.

ლი სანატორიუმის მიდამოებში მდებარეობდა, მითუმეტეს, ამ ძველი სოფლის სახელწოდება ხევის სახელწოდებას ემთხვევა.

ლიკანის სანატორიუმის ეზოდან დღვაშისხევს ჩრდილოეთით თუ გავყვებით, 2 კილომეტრზე ამ ხევს ჩრდილო-დასავლეთიდან პატარა ხევი ე. წ. „კოშკიღელე“ უერთდება. აქ („კოშკიღელეში“) ნასოფლარია (დარბაზული ტიპის სახლების ნანგრევები). თუ იმ თვალსაზრისს გავიზიარებთ, რომ „ვილაიეთის დიდ დავთარში“ დასახლებული პუნქტები, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, თანამიმდევრობით არიან დასახელებული, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ სოფ. მალაჩათუბანი „კოშკიღელეში“ არსებობდა. სხვა ცნობა ამ სოფლის ადგილმდებარეობის შესახებ ჩვენ ვერ მოვნახეთ. „კოშკიღელის“ ხევიდან დასავლეთით 2 კილომეტრზე ლიკანის ხევია, სადაც კარგად შეიმჩნევა ნასოფლარები. ერთი ნასოფლარი ლიკანის მონასტრის მიდამოებშია და აქ შესაძლებელია, სოფ. ეკლესიისკარის არსებობა ვივარაუდოთ, ვინაიდან თვით სახელწოდება „ეკლესიისკარი“ ამ სოფლის ეკლესიასთან (მონასტერთან) ახლოს მდებარეობიდან უნდა იყოს წარმოშდგარი. მეორე ნასოფლარი ლიკანის მონასტრის ჩრდილო-დასავლეთით, 1,5 კილომეტრზე, ე. წ. „მეყავრის მიწაზე“ შეიმჩნევა; ხოლო აქედან დასავლეთით იმავე მანძილზე მდებარეობს მესამე ნასოფლარი. ამ ადგილს ხალხი დღეს „მალაგნებს“ ეძახის. სამივე ნასოფლარი დარბაზული ტიპის სახლთა ნანგრევებს წარმოადგენს. ეს, ე. წ. მეორე ნასოფლარი, ჩვენ პუნქტ ლომსათუბნად მიგვაჩნია, ხოლო მესამე მაყურაზად. შესაძლებელია, ლომსათუბანი იმიტომ დაერქვა ამ სოფელს რომ აქ ლომსაძეანთ ხვარი ცხოვრობდა (ასე ფიქრობს პროფ. ს. ჯიქია). ისიც შესაძლებელია, რომ სახელწოდება ლომსათუბანი ლომისმთისგან იყოს ნაწარმოები და, მართლაც, ეს სოფელი ხომ ლომისმთის კალთაზე მდებარეობდა?!

საძიებელი სოფელი გორისთავი „დავთარში“ დასახელებულია თორის შემდეგ, რომელსაც თან მოსდევს სოფ. ჭობისხევი. ასე, რომ გორისთავის არსებობა თორსა და ჭობისხევს შორის უნდა ვივარაუდოთ. თორსა და ჭობისხევს შორის არსებული ტერიტორია ამჟამად დაბაძველად იწოდება, სადაც სამ ადგილზე კარგად შეიმჩნევა ნასოფლარი. ერთ-ერთი ნასოფლარი დაბაძველის ტბის (კახისის ტბის) აღმოსავლეთით, თორის მიმართულებით 1,5 კილომეტრზე, ე. წ. „საფიქლიის გორაზე“ მდებარეობს, შესაძლებელია, რომ ეს ნასოფლარი იყოს ძველი სოფელი გორისთავი.

ამ მოსაზრებას სახელწოდებაც ამართლებს — იგი მართლაც გორის (საფიქლიის გორა) თავზე ყოფილა გაშენებული.

სოფ. ჩითახევი. ამ სახელწოდების სოფელი ამჟამად ბორჯომის ხეობაში არ არსებობს. ს. ჯიქიას რედაქტორობით შედგენილ რუკაზე ჩითახევი აღნიშნულია სოფ. ჭობისხევის ჩრდილოეთით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, იქ, სადაც ელექტროსადგურია. აქ შეინიშნება ნასახლარები და ეს ადგილი დღესაც ჩითახევად იწოდება, ამიტომ სრულიად სამართლიანად ფიქრობს ს. ჯიქია სოფ. ჩითახევის ამ ადგილზე არსებობას[1]. ამ ნასოფლარიდან ბორჯომის მიმართულებით 2 კილომეტრზე მტკვარს ჩრდილოეთიდან პატარა ხევი ერთვის — ისიც ჩითახევად იწოდება. აქ არსებობს „ჩითახევის მონასტერი", იგივე „მწვანე მონასტერი". მონასტრის ახლო მიდამოებში არ ჩანს ნასოფლარი, ამიტომ სოფ. ჩითახევის არსებობა მხოლოდ ელექტროსადგურის მიდამოებშია სავარაუდო.

სოფ. გოგოსუბანი. ვახუშტის ატლასზე იგი აღნიშნულია ტიმოთესუბნის აღმოსავლეთით. ამჟამად ბორჯომის ხეობაში ასეთი სახელწოდების სოფელი არ არსებობს, ხოლო სოფ. ტიმოთესუბნის აღმოსავლეთით, 2 კილომეტრზე მდებარე პატარა ადგილი გოგოსუბნად იწოდება. აქ ნასახლარებიც შეიმჩნევა და ეკლესიის ნანგრევებიც; ალბათ, ამ ადგილზე არსებობდა სოფ. გოგოსუბანი.

ჯერჯერობით არ მოხერხდა იმის დადგენა, თუ სად მდებარეობდნენ დასახლებული პუნქტები: ყურსოფელი, ვიკრეთუბანი და ქამარზა. ეს პუნქტები არც რუკებზეა აღნიშნული და მათ არც ვახუშტი იხსენიებს. შეიძლება, ამ პუნქტების არსებობა გვეფიქრა წაღვერ-ტიმოთესუბნის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიდამოებში, ვინაიდან აქ მრავალ ადგილზე შემორჩენილია ნასოფლარი. მაგრამ იმის გარკვევა, თუ დასახელებული სამი სოფლიდან რომელი სად მდებარეობდა, არ მოხერხდა.

სოფ. პეტრეს-ციხის რაბათი. ამ პუნქტის მეორე სახელია ყვერბილი. ვახუშტის ატლასზე ყვერბილი აღნიშნულია პეტრეს-ციხის დასავლეთით, 600—700 მეტრის მანძილზე, მტკვრის მარჯვენა მხარეზე. ვახუშტით: „მტკვრის კიდესა ზედა სამხრით არს პეტრეს-ციხე, ფრიად მაგარი და შეუალი მტრისაგან. ამ ციხეს

---

1 ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გვ. 480.

დასავლით უდის ყვერბილის-ხევი"[1]. ახლაც პეტრესციხის დასავლეთით (100 მეტრის მანძილზე) არსებულ ხევს ყვერბილის ხევი ეწოდება. სწორედ ამ ხევის დასავლეთით უნდა ყოფილიყო დასახლებული პუნქტი — ყვერბილი. ოსმალთ აღმწერლებს, ალბათ ეს დასახლებული პუნქცი ჰქონდათ მხედველობაში და გადასახადიც (15000 ახჩა) მას შეაწერეს. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით პეტრესციხის რაბათში მოსახლეობა არ ჩანს; გადასახადი კი შეწერილია, ე. ი. აღმწერლები პეტრესციხის რაბათად დასახლებულ პუნქტს — ყვერბილს გულისხმობდნენ. სოფ. ყვერბილის აქ მდებარეობას ადასტურებს, აგრეთვე, ამ მიდამოებში დღემდე შემორჩენილი ნასახლარები და ეკლესიის ნანგრევები.

გაუკაცრიელებულ-დანგრეულ-განადგურებული სოფლების: ხოხაშენის, ვანთას, ღამზას, ზნახას, მძოვრეთის, ზუზნას და ბუზათუბნის ადგილმდებარეობის გარკვევა ამჟამად ვერ მოხერხდა.

სოფ. სავანელი. საქართველოს ისტორიულ რუკაზე და ვახუშტის ატლასზე ახალდაბასთან მტკვრის მარცხენა ნაპირზე აღნიშნულია სავანისხევი. სწორედ აქ გულისხმობს პროფ. ს. ჯიქია სოფ. სავანელის არსებობას და ფიქრობს, რომ სავანისხევზე არსებულ სოფელს სავანელი უნდა რქმეოდა[2]. ს. ჯიქიას ეს მოსაზრება სწორია და შესაძლებელი ხდება დავაზუსტოთ სოფ. სავანელის ადგილმდებარეობა. სოფ. ახალდაბასთან მტკვარს მარცხნიდან (ჩრდილოეთიდან) მიერთვის სავანისხევი (სავანელისხევი). ამ ხევის ჩრდილოეთით, 2 კილომეტრის მანძილზე, სამკურნალო-მინერალური წყალია. სწორედ ამ მინერალური წყლის პირდაპირ, მარჯვნივ, ტყით დაბურულ ფერდობზე, ყურადღებას იქცევს ნასახლარების სიმრავლე და ეკლესიის ნანგრევები (ეს ადგილი დღეს „პანტნარად" იწოდება). ჩვენი აზრით, აქ უნდა ყოფილიყო სოფელი სავანელი. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ახალდაბის მიდამოებში. სხვა ადგილზე ნასოფლარი ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

სოფ. ქიმერეთი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" ქიმერეთი დასახელებულია სოფ. სავანელის შემდეგ. ვა-

---

1 ვახუშტი. აღწერა, გვ. 84.

2 ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდა დავთარი, წ. III, თბ., 1958. გვ. 494.

ხუშტი ქიმერეთის ხევს ასახელებს ახალდაბის ზევით. „კვალად ახალდაბას ზეით, — წერს ვახუშტი, — ერთვის მტკვარს სამხრიდამ ხევი ქიმერეთისა“[1]. ამრიგად, სოფ. ქიმერეთის არსებობა ქიმერეთისა და სავანის ხევების მიდამოებში უნდა ვივარაუდოთ. ვახუშტის ატლასზე და საქართველოს ისტორიულ რუკაზე სოფ. ქიმერეთი აღნიშნულია ქიმერეთის ხევის მარცხნივ, მტკვრის სანაპიროდან 5 კმ დაშორებით. ამ ადგილზე დღემდე შემორჩენილია ნასახლარები და ორი ნახევრადდანგრეული ეკლესია. მოსახლეობა ამ ადგილს დღეს „ფოთოლეთს“ ეძახის. ვფიქრობთ, რომ „ვილაიეთის დიდ დავთარში“ დასახელებული სოფელი ქიმერეთი, რომელიც იმ დროისათვის გაუკაცრიელებული ჩანს, არსებობდა სოფ. ახალდაბის სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, დღევანდელი ფოთოლეთის ადგილას.

მასალების უქონლობის გამო, ძნელი დასადგენია საავალიშვილოში შემავალი სოფლების კომლობრივი შემადგენლობა. საავალიშვილოში შემავალი სოფლების ადგილმდებარეობის დადგენა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მეშვეობით მოხერხდა[2]. ვინაიდან მთელი საავალიშვილო XVI საუკუნის ბოლოსათვის ოსმალების მიერ მიტაცებული აღმოჩნდა, ადმინისტრაციულად გურჯისტანის ვილაიეთში შევიდა და შეადგინა ამ ვილაიეთის პეტრეს ლივა (პეტრესა და ქაშვეთის რაიონები), ხოლო 8 სოფელი: დვირი, დგვარი, ტაძრისი, მოქცევი, საკვირიკე, ზორეთი, ქვაბი (ქვაბისხევი) და დემოთია ახალციხის ლივაში მოექცნენ[3] რიგორც აღვნიშნეთ, ავალიშვილთა რეზიდენცია სადგერი იყო, იგი ქაშვეთადაც იწოდებოდა. ს. ჯიქიას აზრით, სადგერი ამ პუნქტის ძველი სახელია, ქაშვეთი კი წმ. გიორგის ეკლესიის აშენების შემდეგ უნდა შერქმეოდა. სადგერი მდებარეობს ბორჯომიდან სამხრეთ აღმოსავლეთით 6 კილომეტრის მანძილზე ე. წ. „ვორონცოვის პლატოს“ გაგრძელებაზე. ქართულ საისტორიო წყაროებში სადგერი XI საუკუნიდან იხსენიება. XI—XIII საუკუნეებში სადგერი მჭიდროდ დასახლებული პუნქტი ყოფილა. საფიქრებელია, იგი ამ დროს და უფრო ადრეც ქალაქი იყო, რაზედაც აკად. ნ. ბერძენიშვილი შეუთითებს: „ამრიგად შესაძლოა, ვიფიქროთ,

---

1 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 83.

2 ს. ჯ ი ქ ი ა. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 9, 20, 21; წიგნი III, გვ. 127—132, 145, 469, 475.

3 ი ქ ვ ე. გვ. 9, 10.

რომ ეს ვულკანური მაგიდა (ზემოთ, რომ აღვნიშნეთ) მთლიანად სადგერს ეჭირა, რომ სადგერი მართლაც „დედაქალაქი“ (მეტროპოლისი) იყო ამ ქვეყნისა“[1] მაგრამ ვინ იყო საკუთრივ სადგერის მფლობელი ადრეულ ხანაში? ეს გამოურკვეველია. ავალიშვილები, როგორც უკვე ვთქვით, XV—XVI საუკუნიდან გახდნენ მისი მფლობელნი. სადგერიდან ადრიდანვე გადიოდა სავაჭრო გზა, რომელიც სადგერს ზევით ორ შტოდ იყოფოდა. ერთი შტო წაღვერზე გავლით, გუჯარეთის ხეობით, ატენის ხეობაში გადადიოდა და იქიდან ქართლზე გამავალ მთავარ სავაჭრო გზას უერთდებოდა. სადგერიდან მიმავალი მეორე გზა ხელმარჯვნივ მიჰყვებოდა ბაკურიანის წყალს (შავი-წყალი) ასპინძა-ახალქალაქისაკენ ბაკურიანზე გავლით. სადგერი სავაჭრო პუნქტიც ყოფილა. ერთ ისტორიულ წყაროში აღნიშნულია: „ცის კიდეთამდის აქ მოვლენ, სადაც არს ხმელთ საზღვარია“. გვიან ფეოდალურ ხანაში სადგერი საბაჟო სადგური იყო. სოფელ სადგერში დღემდე შემონახულია წმ. გიორგის ეკლესია და ციხე-გალავნის ნანგრევები. ეკლესია კარგადაა დაცული, ციხე-გალავანი კი დანგრეულია. სადგერის ეკლესია ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით მდარეა და ამიტომ ვ. ბერიძე მას XV საუკუნის ძეგლად თვლის[2]. ი. აბულაძისა და ქრ. შარაშიძის აზრით, სადგერის ეკლესიისათვის კარიბჭე XV საუკუნეში მიუშენებიათ[3]. სადგერის ეკლესიასთანაა დაკავშირებული ყორანთის ცნობილი ჯვრის საკითხი, რომელიც სადგერის ეკლესიაში მოუტანიათ ყორანთიდან, აქედან კი, თურქთა მოძალების გამო, იმერეთში (ჩხარში) გადაუტანიათ. სადგერის ციხეც XV საუკუნეში უნდა იყოს აშენებული. სადგერის ციხისა და ეკლესიის XV საუკუნის ძეგლებად მიჩნევა მრავალი მოსაზრებითა და ფაქტით შეიძლება დავადასტუროთ. ბორჯომის ხეობაში ავალიშვილთა სათავადოს შექმნას, რაც XV საუკუნეში მოხდა, და მის ადმინისტრაციულ ცენტრად სოფ. სადგერის გამოცხადებას ამავე სოფელში ციხე-გალავნისა და ეკლესიის აგება უნდა გამოეწვია. სათავადოს რეზიდენციისათვის ეს აუცილებელი ატრიბუტი იყო. სწორედ ამიტომ სადგერის ციხისა და ეკლესიის აგება XV საუკუნეში უნდა მომხდარიყო. გარდა აღნიშნულისა, მხედველობა-

---

1 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 273.

2 ვ. ბერიძე. დასახ. შრომა, გვ. 199, 200.

3 К вопросу об имени и родине Руставели, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. 1941, გვ. 681—688.

ში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ XVI საუკუნე სამცხე-საათაბაგოსათვის (და ბორჯომის ხეობისათვისაც) ძნელბედობისა და გამუდმებული სამკვდრო-სასიცოცხლო ომების საუკუნე იყო და ბუნებრივია, რომ ამ დროს ეკლესია-მონასტრებისა და ციხეების მშენებლობისათვის არც დრო და არც მატერიალური პირობები იქნებოდა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ ბორჯომის ხეობაში XVI საუკუნეში შექმნილი მატერიალური კულტურის ერთი ძეგლიც კი არ გაგვაჩნია[1]. პ. ინგოროყვა იმ აზრისაა, რომ XIV—XV საუკუნიდან თორის მხარის ცენტრი დაბა თორიდან სადგერში იქნა გადატანილი[2].

პ. ინგოროყვა უდავოდ სწორია, როცა XIV—XV საუკუნეებიდან თორის მხარის ცენტრად სადგერს მიიჩნევს. მაგრამ, შევნიშნავთ, ცენტრმა თორიდან სადგერში კი არ გადაინაცვლა, არამედ ახალციხეში. სწორედ იქ გადავიდნენ ჯერ თორელნი (შალვა, ივანე), შემდეგ კი ჯაყელ-ციხისჯვრელები. რაც შეეხება ძველი თორის მხარეს (მის ძირითად ტერიტორიულ ბირთვს — ბორჯომის ხეობას) აქ XV საუკუნეში შეიქმნა ავალიშვილთა სათავადო, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი — სადგერი გახდა. ამრიგად, აქ ცენტრის გადანაცვლება კი არა, არამედ სათავადოს ცენტრის შერჩევა მოხდა. საავალიშვილო რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში წარმოიშვა, რამაც განაპირობა მისი უმყარობა და სისუსტე. ეს სათავადო არ იყო ისეთი ძლიერი და მტკიცე ფეოდალური ერთეული, როგორც მაგალითად: საამილახვრო, საციციანო, საბაშიო და სხვა; სწორედ ამიტომ საავალიშვილო უფრო ადრე მოიშალა, ვიდრე სხვა ქართული სათავადოები.ამ ფაქტის ნათელსაყოფად განვიხილოთ საავალიშვილოს პოლიტიკური მდგომარეობა.

§ 2. ბორჯომის ხეობა ქართველი ხალხის ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში (XVI—XVIII სს.)

XVI საუკუნის პირველ ნახევარში სამცხის ათაბაგებმა გამარჯვებით დაასრულეს ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოს მეფის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის დროს მათ საათაბაგო მეფის მომხრე

---

1 ჩვენ მხედველობაში გვაქვს სადგერის ე. წ. „ახალი ეკლესია და ციხეგალავანი", ადრე კი „მაინცადამაინც ადამიანის ბინადრობის" მეგალითურ პერიოდში სადგერი ადამიანს ათვისებული უნდა ჰქონოდა" (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. შრომა, გვ. 269).

2 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. გიორგი მერჩულე, გვ. 397.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადებისაგან გაწმინდეს. ზოგი ამოწყვიტეს, ზოგიც განდევნეს, მათი მამულები კი თავიანთ მომხრე თავადებს დაურიგეს. ასე მოექცნენ ისინი მეფის მომხრე საეკლესიო ფეოდალებსაც (ეპისკოპოსებს). ბოლოს მეფეს მოსტაცეს ჯავახეთი და საათაბაგოს შეუერთეს. სამცხე-საათაბაგო არახელსაყრელ გარემოცვაში მოხვდა, დასავლეთიდან მისი მეზობელი თურქეთი იყო, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი, ირანის მიერ დაპყრობილი ქართლი ესაზღვრებოდა. ირანი და ოსმალეთი სამცხე-საათაბაგოს დაპყრობას ლამობდა. საკუთარი ძალებით სამცხეს ირან-თურქეთის გამკლავება არ შეეძლო და ქართლ-იმერეთის მოშველიებაზედაც უარს ამბობდა, ვინაიდან ათაბაგების აზრით, ქართლ-იმერეთის მეფეები მიშველების საზღაურად ყმა-მამულებს ჩამოართმევდნენ და დამოუკიდებლობას დააკარგვინებდნენ; ამიტომ ათაბაგები ირანთან და ოსმალეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, ერთგულებას ეფიცებოდნენ და ძალაუნებურად ირან-ოსმალეთის აგენტები ხდებოდნენ. „მორჩილ სამცხეზე გამოვლით და ათაბაგთა შემოძღოლით ოსმალები, თუ ყიზილბაშები, ხან ქართლს აოხრებდნენ, ხან ლიხთ-იმერეთს, ამგვარად, ათაბაგებმა, საქართველოს დამარცხებაში მტრებს ხელი შეუწყვეს, მაგრამ დამპყრობლები მაინც ვერ მოირიგეს და ხელმწიფეობის ნაცვლად მონობა მოიმკეს“[1].

ასეთი ორმხრივი პოლიტიკის გატარებაში ათაბეგებს ხელს უწყობდნენ და ყოველნაირად ეხმარებოდნენ მათი მომხრე თავადები, მათ შორის ავალიშვილებიც.

1512 წელს სულთანმა სელიმ I-მა საქართველოს დასაპყრობად დიდძალი ჯარი გამოგზავნა. სამცხის ათაბაგმა მზეჭაბუკმა მოსახლეობა ციხეებში დახიზნა და თვითონ ოსმალებთან გამართა მოლაპარაკება. ვახუშტი გადმოგვცემს: „ხოლო სერასკარ-მან პატივითა შეიწყნარა და ითხოვა მზე-ჭაბუკისაგან საზრდელი და ყოლაუზობა იმერეთსა ზედა, მზე-ჭაბუკმა აღუსრულნა ყოველნი და წარუძღვა იმერეთს“[2].

მოუმზადებლობის გამო ბაგრატ იმერთა მეფემ შებრძოლება ვერ გაბედა. ოსმალთ დაწვეს ქუთაისი და გელათი, აოხრეს მთელი იმერეთი და იმავე გზით (სამცხეზე გავლით) უკან დაბრუნ-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, გვ. 319.

2 ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, II, გვ. 241.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, ამჯერად სამცხე უვნებლად გადარჩა. ბაგრატმა სამცხის ათაბაგის ასეთი მოქმედების სამაგიეროდ 1535 წელს ახალქალაქთან (მურჯახეთს) სასტიკად დაამარცხა მზეჭაბუკის მომდევნო ათაბაგი ყვარყვარე. შემდგომ წელს ბაგრატი ისევ შემოიჭრა სამცხეში, მაგრამ სამცხე ვერ დაიპყრო[1], აწყურის ღვთისმშობლის ხატი ციხისჯვარს წაასვენა. აქედან ირკვევა, რომ მურჯახეთის ომის შემდეგ საავალიშვილო ბაგრატის ხელში ყოფილა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა აწყურის ღვთისმშობლის ხატის წასვენება ციხისჯვარში. 1535 წლის შემდეგ სამცხე-საათაბაგომ (1545 წლამდე) დამოუკიდებლობა დაკარგა და ბაგრატ იმერთა მეფეს დამორჩილდა. 1545 წელს სოხოისტას დიდი ომი მოხდა, ამ ომში ბაგრატს ქართლის მეფე ლუარსაბი დაეხმარა. ომის ბედი მესხი თავადების ღალატმა გადაწყვიტა, რომლებიც თავისი ჯარით ბრძოლის ველს გაეცალნენ. ოსმალებმა ამ ომში გამარჯვება მოიპოვეს, სამცხე-საათაბაგო დაიჭირეს და ქაიხოსროს ათაბაგობა მისცეს. მოღალატე მესხ თავადთა შორის ავალიშვილებიც იყვნენ.

ქაიხოსრო II-ის ათაბაგობის დროს (1545—1573 წწ.) სამცხე-საათაბაგოს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ოსმალეთი მძლავრობდა და მთელი საქართველოს დაჭერა სურდა. ასეთივე სურვილი ჰქონდა ირანსაც. ეს ორი მტაცებელი საქართველოს დაპყრობაში ერთიმეორეს ეცილებოდა. სოხოისტას ომის შემდეგ ოსმალებმა საათაბაგოს საგადასახადო ტვირთი ძალზე დაუმძიმეს. ათაბაგმა ქაიხოსრომ დამძიმებული ტვირთის შემსუბუქებისა და დამოუკიდებლობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის ირანის გამოყენება სცადა და შაჰ-თამაზს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლას სთხოვდა. შაჰ-თამაზი სამცხისაკენ გამოემართა, შეიტყო რა ეს სულთანმა სულეიმანმა, მანაც სამცხეს მიაშურა. სამცხე-საათაბაგო მტრის ორმხრივ რკალში მოემწყვდა. ქაიხოსრო ათაბაგმა, ქვეყნისათვის ამ განსაცდელის ჟამს, იშვიათი დიპლომატიური ნიჭი გამოიჩინა, რითაც თავის ქვეყანას მომაკვდინებელი საფრთხე თავიდან ააცილა. ათაბაგმა შაჰ-თამაზს სთხოვა, მოეწერა მისთვის რისხვა-მუქარის წერილი. ეს თხოვნა შაჰმა შეუსრულა, ვინაიდან მას ამჯერად ოსმალებთან ბრძოლის თავი არ ჰქონდა. შაჰ-თამაზის წერილის შინაარსს ვახუშტი ასე გადმო-

---

1 მთელი სამცხე ვერ დაიპყრო, მისი ნაწილი — საავალიშვილო კი ბაგრატის ხელში გადასულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვცემს: „ვინაიდგან მიეც ქვეყანა ჩემი ოსმალთა, ამისთვს მოვიდე მოვსრა ქუეყანა შენი და შენცა ვერ-ვინ გაგარინოს ხელთა-გან ჩემთა, მოგკვეთო თავი და მივსცე მძორი შენი ძაღლთა"[1]. ეს წერილი, თავისი წერილის დართვით, ოთარ შალიკაშვილს (ათაბაგის ვეზირს, ვ. ა.) სულთანისათვის გაუგზავნია: „ხოლო ოთარ-მან წიგნი მსწრაფლ წარუვლინა სულტანს მეტყველ-მან, მოგეც ქვეყანა ციხეებითურთ და დაგემორჩილენით ყოველნი. ამისათვს ამისი მცნებელი ყეენი მოსრულ-არს მტრად ჩვენდა და აწ თქვენცა გნებავსთ მოწყვეტა ჩვენი, რომელნი ველოდით მოწყალებასა. აჰა წიგნი შაჰ-თამაზისა უკე თუ ვართ რისამე შემცოდენი"[2]. ამის გამგონე ხონთქარი გაკვირვებული დარჩა, ჯარი უკან გაიწვია, სამცხე უვნებელი გადარჩა, შაჰ-თამაზიც სპარსეთს წავიდა. ასეთი პოლიტიკით ათაბაგები ზოგჯერ აღწევდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და ქვეყნის ხსნას. ირანი და თურქეთი თანდათან ეძალებოდნენ საათაბაგოს და ამას შინა აშლილობაც თან ერთვოდა, დიდგვარიანთა მიხდომ-მოხდომა და სისხლის ღვრა. მალე შაჰ-თამაზის გაბრუნების შემდეგ, იმერთა მეფე გიორგიმ სამცხე მოარბია, ხოლო სულთან-სულეიმანმა სამცხის ურჩი თავადები ამოწყვიტა და შემდეგ როგორც ვახუშტი გვატყობინებს, სამცხეში შაჰ-თამაზმა თავისი შვილი ისმაილი წარმოავლინა, რომელმაც „აღიღო კარი, შემუსრნა, მოსწყვიტნა და მოსწვნა ცეცხლითა"[3]. წყაროებში აღნიშნულია სამცხეში კვლავ მოსვლა შაჰ-თამაზისა, რომელსაც ქვეყანა სასტიკად აუოხრებია.

1555 წელს ირან-ოსმალეთს შორის დაიდო ზავი. რომლითაც კახეთი, ქართლი და აღმოსავლეთ მესხეთი ირანს ერგო, დასავლეთ საქართველო და დასავლეთ მესხეთი ოსმალებს[4]. ქართლსა და აღმოსავლეთ მესხეთს ირანის მორჩილებაში ყოფნა არ უნდოდათ, ამიტომ დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლა გააჩაღეს. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ქართლის მეფე ლუარსაბ I (1532—1556), რომლის სიკვდილის შემდეგ ბრძოლა მისმა შვილმა, სიმონ I-მა (1556—1601) განაგრძო. ამ ბრძოლებში სამცხის ათაბაგები, ერთი მხრივ ოსმალთა დაპყრობისაგან თავის გადარჩენისა და მეო-

---

1 ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ცხოვრება, II, გვ. 245.

2 ი ქ ვ ე.

3 ი ქ ვ ე, გვ. 246.

4 ვ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი. ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957; გვ. 342.

რე მხრივ — ქართლისაგან დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ირანის მხარეზე იდგნენ. ქართლის დამოუკიდებლობისათვის სიმონ მეფის ბრძოლის პირველი პერიოდი იმით დამთავრდა, რომ იგი მოღალატე თავადების წყალობით 1569 წელს ირანელებმა ტყვედ ჩაიგდეს. 1576 წელს შაჰ-თამაზი გარდაიცვალა და ირანის სამეფო კარზე არეულობა დაიწყო. ამით ოსმალებმა დრო იხელთეს და 1678 წელს სულთანმა მურადმა ლალა ფაშა დიდძალი ჯარით საქართველოს დასაპყრობად გამოგზავნა. გადამწყვეტი ბრძოლა ირან-ოსმალთა შორის ამავე წლის 9 აგვისტოს მოხდა ჩილდირის ტბის რაიონში. ირანელები ამ ომში სასტიკად დამარცხდნენ. ამიერიდან ოსმალეთი ქართლის დაპყრობას შეუდგა. ირანმა საპასუხო ზომები მიიღო, ტყვე სიმონ მეფე გაათავისუფლა და ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართლში გამოგზავნა.

სიმონი 1578 წლის შემოდგომაზე ქართლში მოვიდა და მის შემომტკიცებას შეუდგა. ამ დროს ქართლის უმთავრესი ციხე-ქალაქები ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. სიმონი ოსმალებს 20 წლის განმავლობაში ებრძოდა და ქართლში ოსმალური წეს-წყობილების დამყარების საშუალებას არ აძლევდა, თუმცა ოსმალები მთლიანად ვერ უკუაგდო, მაგრამ ქართლის გაოსმალებაზე ხელი აიღებინა.

ჩილდირის ომის წინა წლებში საათაბაგოში შინაფეოდალური ომი დაიწყო. მესხი თავადები, შალიკაშვილების მეთაურობით, ათაბაგებს აუჯანყდნენ. მთელი 6 წლის განმავლობაში არბევდნენ ისინი ერთიმეორის ციხე-ქალაქებს, რითაც ქვეყანა ძლიერ დასუსტეს და მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევის ძალა დაუკარგეს. ქართლის დაცვის მიზნით ბორჯომის ხეობის ჩაკეტვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სიმონ მეფეს უფიქრია ამ ხეობის ჩაკეტვა, მაგრამ მას ლალა ფაშამ დაასწრო. მან მანუჩარ ათაბაგი ოსმალთა ჯარით ქართლის დასარბევად გამოგზავნა. მანუჩარმა სიმონ მეფესთან კავშირი დაამყარა. ოსმალთა 20 000-იანი არმია ბორჯომის ხეობაში მოტყუებით შემოიყვანა და სიმონ მეფის ჯარს ამოაწყვეტინა. ამიტომ ოსმალთა ჯარის გადარჩენილი ნაწილი ქართლში ვეღარ ჩავიდა და სადგერის ხეობის დარბევით დაკმაყოფილდა[1]. როგორც აღვნიშნეთ, სიმონ მეფის მედგარმა წინააღმდეგობამ ოსმალებს ქართლის მიტაცების მცდელობაზე დროებით ხე-

---

[1] გ. ტივაძე. დასახ. შრომა, გვ. 146—148.

ლი ააღებინა. მათ მომხრე თავადები გაიჩინეს და ამ მხარის მეფეს მომტკიცებას შეუდგნენ. მოღალატე თავადებმა ამჯერად კვლავ განაახლეს ბრძოლა ათაბაგის წინააღმდეგ, ბევრი ციხესიმაგრე და სტრატეგიული პუნქტი ნებაყოფლობით გადასცეს ოსმალებს. სწორედ ამ დროს მოხდა დიასამიძეებისა და გოგორიშვილების მიერ დემოთისა და ციხისჯვრის ციხეების გადაცემა ოსმალებისათვის და საავალიშვილოში მათი დამკვიდრება. ოსმალთა საათაბაგოში დამკვიდრება-გაძლიერების შემდეგ, მანუჩარ ათაბაგს სამცხეში აღარ ედგომებოდა და ახალდაბაში ჩასულა. ახალდაბაზე სიმონ მეფეს ხელი მიუწვდებოდა და სავარაუდოა, რომ ავალიშვილები სადგერში ჯერ კიდევ მყარად იდგნენ. წყაროებში არ ჩანს ავალიშვილთა მონაწილეობა XVI საუკუნის 70-იანი წლების მესხ თავადთა აჯანყებაში. ის ფაქტი, რომ დიასამიძეებმა და გოგორიშვილებმა ავალიშვილებს დემოთისა და ციხისჯვრის ციხეები წაართვეს და ოსმალებს გადასცეს, ავალიშვილთა ათაბაგების მხარეზე ყოფნას გვაფიქრებინებს. 1590 წელს ირან-თურქეთს შორის ზავი დაიდო, რის შედეგადაც საქართველო ოსმალეთს ერგო. ოსმალები საქართველოში დამკვიდრების სამზადისს შეუდგნენ, მაგრამ რამდენადაც ამ დროს მათ სამცხე-საათაბაგო დაპყრობილად მიაჩნდათ, ამიტომ ოსმალური წესწყობილების დამყარება ჯერ აქ დაიწყეს. ფაქტიურად, 1584—94 წლებში სამცხე-საათაბაგოში ოსმალობა დამყარდა. ოსმალური წესწყობილების დაწყებისა და საგადასახადო საქმის მოგვარების მიზნით სამცხე-საათაბაგო აღწერეს პირველად 1587 წელს, ხოლო მეორედ — 1595 წელს. ამ უკანასკნელი აღწერის საგადასახადო წიგნი, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ სახელწოდებით, მოღწეულია დღემდე. დავთარში აღწერილია საათაბაგოს ყველა სოფელი და ნასოფლარი, ყველა გლეხი, შემოსავლის ყველა წყარო. ოსმალებმა მიტაცებულ მხარეში მიწათმფლობელობისა და მიწით სარგებლობის თავიანთი წესები შემოიღეს, რის მიხედვითაც მიწისმფლობელი მხოლოდ სამხედრო პირი შეიძლებოდა ყოფილიყო. სამხედრო თანამდებობისათვის კი მაჰმადიანობა იყო აუცილებელი. საათაბაგოს ქართველი ფეოდალების წინაშე ასე დაისვა საკითხი: ან მაჰმადიანობის მიღება, ოსმალთა სამხედრო სამსახურში შესვლა და მიწისმფლობელობის შენარჩუნება, ან მიწისმფლობელობის დაკარგვა. ქართველ ფეოდალთა ერთი ნაწილი სამცხიდან გაიქცა, ერთმა ნაწილმა მაჰმადიანობა მიიღო, სამხედრო სამსახურში შევიდა და

მიწა შეინარჩუნა. მიწის დიდი ნაწილი კი ოსმალთა სამხედრო მო-
ხელეების ხელში გადავიდა. ქართველ ყმა-გლეხს ბატონი გამოეცვა-
ლა და ახალი (ოსმალური) მკაცრი საგადასახადო წესის შესრუ-
ლება ებრძანა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მი-
ხედვით ირკვევა, რომ საქართველოდან ჩამოცილებული სამცხე-
საათაბაგო ოსმალეთის ვილაიეთად (პროვინციად) გამოცხადდა. ეს
პროვინცია 8 ადმინისტრაციულ ერთეულად (ლივად) დაიყო, ლივა
კი რაიონებად იყოფოდა. საავალიშვილომ პეტრეს ლივა შეადგინა,
რომელიც ორი რაიონისაგან (პეტრესა და ქაშვეთის, ანუ სადგე-
რის) შედგებოდა. პეტრეს ლივას ადმინისტრაციული ცენტრი პე-
ტრეს ციხე (ბორჯომთან ახლოს) ყოფილა, სადაც ოსმალთა გარ-
ნიზონი იდგა. პეტრეს ლივას საავალიშვილოს 47 სოფელი დაექვემ-
დებარა, მასვე დაექვემდებარა საციციანოს ერთი (სავანელი) და
სააბაშიოს ერთი სოფელი (ტაშისკარი). საავალიშვილოში შემავა-
ლი 8 სოფელი (დვირი, ქვაბი (ქვაბისხევი), დემოთია, ზოვრეთი,
საკვირიკე, ტაძრისი, მოქცევი და დგვარი) აწყურის ლივაში შევი-
და. ბორჯომის ხეობის ის ნაწილი, რომელიც საავალიშვილოში არ
შედიოდა და საციციანოს ეკუთვნოდა (გუჯარეთის ხეობა), ჩანს,
ოსმალებს ვერ დაუპყრიათ და ამიტომ აღწერაში არ მოხვედრი-
ლა. ალბათ, იგი საციციანოს შემადგენლობაში დარჩა.

„ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ ირკვევა, რომ 1595 წლისა-
თვის გურჯისტანის ვილაიეთში (სამცხე-საათაბაგოში) ცხოვრობ-
და 12370 კომლი, თუ კომლზე საშუალოდ 5 სულს ვიანგარიშებთ,
მაშინ აქ მცხოვრებთა რიცხვი, დაახლოებით, 61 850 სულს მიაღ-
წევდა. 12 370 კომლზე შეწერილი იყო გადასახადი 9 672 516 აჩა;
სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობას ყოველწლიურად ან ეს თანხა უნ-
და გადაეხადა, ანდა ამ ღირებულების სოფლის მეურნეობის სხვა-
დასხვა სახის პროდუქტი. თუ დასახელებულ საგადასახადო თანხას
ხორბალზე გადავიტანთ, მაშინ იგი უდრის 806 043 ქილა ხორბლის
ღირებულებას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ 1 ქილა
უდრის 40 ლიტრს, მაშინ მივიღებთ 2 015 407 ფუთი ხორბლის
ღირებულებას. ბორჯომის ხეობის სოფელ სადგერზე (ქაშვეთი),
რომელშიც 6 კომლი ცხოვრობდა, შეწერილი იყო 30 000 აჩა; ეს
უდრის 2500 ქილა ხორბლის ღირებულებას (ერთ კომლზე 416
ქილა). ამას ემატებოდა შემთხვევითი გადასახადები (ბაჟი, ჯარი-
მა); ეს გადასახადის ისეთი ოდენობაა, რომლის გადახდის შემდეგ

მწარმოებელს საარსებო საშუალება აღარ რჩებოდა და ნადგურდებ-
ბოდა.

დაპყრობილ ტერიტორიებზე ოსმალებმა ყველაფერი დაბეგ-
რეს და მძიმე გადასახადებით მოსახლეობა განადგურებამდე მი-
იყვანეს. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრით“ შემდეგი სა-
ხის გადასახადების არსებობა დასტურდება: უშრი, ხარაჯა, ჯიზია
და ზექათი; გარდა ამისა იყო ადათ-წესებსა და ჩვეულებებზე და-
ყარებული მრავალფეროვანი და სხვადასხვა სახის გადასახადი.
„კანონ-ნამეებით გათვალისწინებული და ადათ-წესებზე დამყარე-
ბული გადასახადების გარდა, ოსმალეთის იმპერიაში არსებობდა
მთელი რიგი სხვადასხვა ხასიათის გამოსაღებები, ჯარიმები, სა-
ბეგრო ვალდებულებანი, ბაჟები, კონტრიბუციები და სხვა მრავა-
ლი, რომლითაც ხდებოდა მწარმოებელი საზოგადოების ინტენსიუ-
რი ექსპლოატაცია“[1]. უ შ რ ი, ეს იყო სოფლის მეურნეობის ყველა
დარგზე გაწერილი გადასახადი, რომელიც მოსავლის ერთ მეა-
თედს უდრიდა. იგი უნდა გადაეხადა როგორც ქრისტიანს ისე მუს-
ლიმანს. უშრი მეტად მძიმე გადასახადი იყო, რეალურად იგი
ზოგჯერ მოსავლის ნახევარსაც შეადგენდა და შეწერილი იყო
სოფლის მეურნეობის ყველა დარგზე: ხორბალზე, ბოსტნეულზე,
ფუტკარზე, ღორზე, ცხვარზე, მსხვილფეხა-რქოსან საქონელზე,
ხილზე, საძოვრებზე, წისქვილზე, თევზჭერაზე, ვენახზე და სხვ.
ხ ა რ ა ჯ ა. მიწაზე დაწესებული გადასახადი იყო, ქრისტიან-
თათვის ამ გადასახადს ი ს ფ ე ნ ჯ ი ერქვა. ჯ ი ზ ი ა არამუსლიმან-
თათვის დაწესებული სულადი გადასახადი იყო. ზ ე ქ ა თ ი
იყო გადასახადი მთელ შემოსავალზე, რაც მის 1/40 ნაწილს
უდრიდა. ქრისტიანთათვის დამატებით დაწესებული იყო სპე-
ციალური გადასახადი — ოსმალური ადმინისტრაციის შესანა-
ხად, რასაც „მურახასიე“ ერქვა. ჰაერზედაც კი გადასახადი იყო
დაწესებული, მას „ბალჰავას“ ეძახდნენ. დაწესებული იყო საქორ-
წინო გამოსაღები და სხვ. ბაჟი იყო დადებული ყველაფერზე, რაც
კი გაიყიდებოდა. ბუნებრივია, ქართველი გლეხობა ასეთ მძიმე პი-
რობებს ვერ ურიგდებოდა და დამპყრობლებისადმი თავის პრო-
ტესტს იმით გამოხატავდა, რომ ბევრი მათგანი მამაპაპურ საცხოვ-

---

1 ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა. გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI საუკუნის ოსმალეთში. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვ. 2, 1962, გვ. 123—124.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელ ადგილს ტოვებდა და საქართველოს შიდა რაიონებში (იმერეთი, ქართლი) სახლდებოდა. ამ საკითხზე ვ. გაბაშვილი წერს: „გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნი და საგადასახადო ნუსხები ასახელებენ მრავალნაირ გადასახადსა და გამოსაღებს, რომელთა ჩამოთვლას აქ აღარ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „თათრის ხარაჯობამ“ დააცარიელა გლეხებისაგან სამცხე-საათაბაგოს სოფლები. გამოთქმა „ცარიელია რეაიასაგან“ „დავთრის“ მრავალ ადგილზე გვხვდება. აყრილ-გაქცეული გლეხები ქართლისა და იმერეთის მიმართულებით გარბოდნენ“[1]. მოსახლეობის გაქცევამ და გამუდმებულმა ომიანობამ საათაბაგოს მოსახლეობა თითქმის გაანახევრა. აყრა-გაქცევა უფრო მასიური გამხდარა პეტრეს ლივაში. სამცხე-საათაბაგოს ეს რაიონი საქართველოს შიდა რაიონებთან ტერიტორიულად უფრო ახლო იყო, ამიტომ იქიდან გაქცევაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა. ნათქვამის დასადასტურებლად მოვიტანთ რამდენიმე ფაქტს: „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მონაცემებიდან ირკვევა, რომ საავალიშვილოში შემავალი 56 სოფლიდან, 1595 წლისათვის 43 სოფელი ცარიელი იყო რეაიასაგან (გლეხებისაგან), მხოლოდ 12 სოფელი ჩანს დასახლებული. ეს სოფლებია: ქვაბი (ქვაბისხევი) — 5 კომლით, დემოთია — 3 კომლით, მოქცევი — 19 კომლით, ტაძრისი — 3 კომლით, დვირი — 8 კომლით, ციხისჯვარი — 12 კომლით, დაბა — 2 კომლით, სერსემი (ცემი) — 4 კომლით, სამზიოსხევი (მზეთამზე) — 3 კომლით, გოგოსუბანი — 3 კომლით, ქაშვეთი (სადგერი) — 6 კომლით, კიმოთესმანი (კიმოთესუბანი) — 2 კომლით. სულ 12 სოფელი — 70 კომლით[2].

ბორჯომის ხეობის ნასოფლარების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ თითოეულ მათგანში 20—30 კომლზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდის მიხედვით, საავალიშვილოში დაახლოებით 1100—1500-მდე კომლს უნდა ეცხოვრა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ავალიშვილები ყმაალმატებული თავადები ყოფილან და, ალბათ, თავის დროზე დიდ თავადთა რიცხვში მოიხსენიებოდნენ. 1100—1500 კომლის 72 კომლამდე შემცირება საავალიშვილოს

---

[1] ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 343.

[2] ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, თბ., 1941, გვ. 95—101, 325—331.

გაუკაცრიელება-მოშლის მაუწყებელია. „ოსმალობის პერიოდში“ კარგი დღე არც თავადებს დადგომიათ. ნაწილი თავადებისა გამაჰმადიანდა და ოსმალთა სამსახურში შევიდა, ნაწილმა კი დატოვა სამცხე-საათაბაგო და საქართველოს სხვადასხვა რაიონს შეაფარა თავი. ბორჯომის ხეობის ავალიშვილები XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში ისევ ბორჯომის ხეობაში ჩანან, სადგერის ციხე-სასახლეც არსებობს და იქ მოსახლეობაც არის. მხოლოდ XVII საუკუნის მეორე მეოთხედში, როდესაც მდგომარეობა ბორჯომის ხეობაში თურქთა მოძალების გამო გამწვავებულა და ხეობა მოსახლეობისაგან თითქმის დაცარიელებულა, ავალიშვილები თავიანთი ყმებით ქართლში გადასულან და იქ როსტომ მეფის მიერ ნაწყალობევ სოფელ ბრეთში (ქარელის მახლობლად) გაუჩენიათ ბინა და მამული. ერთ-ერთ სიგელში, რომელიც 1633 წლით არის დათარიღებული, ნათქვამია: „ესე წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძე/თ/ ჩუენ, მეფემან, პატრონმან როსტომ, თქუენ, ჩუენთა ერთგულთა ყმათა დავითაშვილთ, ბოქაულთ უხუცეს დავითს და შენთა შვილთა ელიზბარს და კონსტანტილეს, ასრე რომე ბრეთის წიგნები გქონდა და ბრეთი ავალიშვილს ქაიხოსროს მივეცით. და სადამდი ამ ქვეყანას იყოს, მისთვის გვიბოძებია, და რა ის თავის ალაგს წავიდეს და აქ აღარ იყოს, თქუენთვის გვიბოძებია, ყოვლის კაცის უცილობლად“[1]. ამ სიგელიდან ჩანს: 1) ბრეთის მფლობელნი ადრე ყოფილან დავითაშვილები, რომლებმაც როსტომ მეფეს სათანადო საბუთი წარუდგინეს 1633 წელს, 2) როსტომ მეფეს 1633 წელს ბრეთი ქაიხოსრო ავალიშვილისათვის უწყალობებია, მაგრამ არა სამუდამოდ, არამედ თავის საკუთარ მამულში, ე. ი. ბორჯომის ხეობაში დაბრუნებამდე, 3) ავალიშვილებს თავისი მამული ბორჯომის ხეობაში სამუდამოდ კი არ ჰქონდათ დატოვებული, არამედ დროებით. მართალია, ავალიშვილებმა ბრეთში გაიჩინეს ყმა-მამული, მაგრამ ბორჯომის ხეობაზე ხელი არ აუღიათ და სარგებლობდნენ მთელი ორნახევარი საუკუნის მანძილზე (XIX საუკუნის II ნახევრის დასაწყისამდე) და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა იმ პოლიტიკურ, სოციალურ-

---

[1] ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909, გვ. 159.

ეკონომიკურ და სამხედრო საქმიანობაში, რომლებიც ბორჯომის ხეობასთან იყო დაკავშირებული. არის საბუთი, რომლითაც მტკიცდება, რომ XVIII საუკუნის I მეოთხედში ავალიშვილები ბორჯომის ხეობაში არიან. აი ეს საბუთიც: იმამ ყულიხანს (1703—1722 წწ.) „... ერთი ოქმი ავალიშვილისათვის ხეობაში მიეწერა, ერთი ოქმიც გუჯარელებისათვის მიეწერა..“[1]. თუმცა ბორჯომის ხეობამ მტერთაგან დიდი რბევა-აოხრება განიცადა, მაგრამ ცხოვრების მაჯისცემა აქ მთლიანად არასდროს შეჩერებულა. მართალია, მცირე, მაგრამ მოსახლეობა ცალკეულ დაბა-სოფლებში მაინც იყო. ამ მხარის აოხრების მაუწყებელია დღემდე შემორჩენილი ნასოფლარები, ნაციხარები და ეკლესია-მონასტრების ნანგრევები. ამავე ფაქტის მაუწყებელია უცხოელ მოგზაურთა აღწერილობანი. ფრანგ მოგზაურს, ჟან შარდენს, რომელმაც 1672—73 წლებში საქართველოში იმოგზაურა, ბორჯომის ხეობაშიც მოუხდა გავლა. იგი წერს: „უსვერიდან (აწყურიდან, ვ. ა.) ორ ეჯზე გადასასვლელია მთა, რომელიც ყოფს აქ სპარსეთს ოსმალეთისაგან, გადავიარეთ ეს მთა და მერე სიგრძეზე ჩავყევით, მთაზე ბევრი სოფელია გაშენებული, ძირს მომდინარეობს მტკვარი, რამდენსამე ადგილას მოჩანს კოშკების, ციხეებისა და ეკლესიების ნანგრევები. ეს არის ნაშთი საქართველოს დიდებისა და ოსმალეთ-სპარსეთის მძვინვარებისა, გავიარეთ ათი ეჯი და ღამე დავდექით ერთ პატარა ქალაქში“[2]. გარდა იმისა, რომ აქ ბორჯომის ხეობის ძველი დიდების შესახებაა ლაპარაკი, შარდენის ცნობები სხვა მხრივაცაა საინტერესო. აღნიშნულია, რომ სოფელ დვირთან ამ დროს გადიოდა ირან-ოსმალეთის საზღვარი (ის მთა, რომელიც შარდენმა გადაიარა, დვირი-ტაძრისის მთაა — 2 ეჯზე სწორედ ეს მთა მდებარეობს). ეს ფაქტი სხვა ისტორიული წყაროებითაც დასტურდება. ვახუშტი წერს: „ამ ხევთ ზეით არს ჭობისხევი და არს დვირამდე ქართლისა“[3]. 1599 წელს სიმონ I-ის მიერ გორის აღებამ, ოსმალთა გარნიზონის ამოწყვეტამ, შაჰ-აბასის მიერ 1603

---

1 საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, საქმე 5048.

2 ჟ. შ ა რ დ ე ნ ი. მოგზაურობა საქართველოში, 1935, გვ. 57.

3 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა, გვ. 84.

წელს ერევნის აღებამ და 1609 წელს, გიორგი სააკაძის მეთაურობით, ქვიშხეთის ომში თათარ-ხანის დიდი ლაშქრის განადგურებამ, ოსმალეთი აიძულა უკან დაეხია და 1613 წლის ზავით, რომელიც ირან-ოსმალეთს შორის დაიდო, ქართლი, შირვანი და სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი ირანისათვის დაეთმო. ამ ზავით, ძირითადად, 1555 წლის ზავის პირობები იქნა აღდგენილი. 1613 წლიდან ქართლის საზღვარმა ოსმალეთთან, ბორჯომის ხეობის მიმართულებით, ტაშისკარიდან სოფელ დვირში გადაინაცვლა, ე. ი. საავალიშვილო ამიერიდან ადმინისტრაციულად ქართლს დაემორჩილა. ეს საზღვარი ოსმალთა სამცხეში ბატონობის მთელ პერიოდში (1829 წლამდე) აღარ შეცვლილა. საინტერესოა ისიც, რომ შარდენი დვირ-ტაძრისის მთის მიდამოებში აღნიშნავს სოფლების არსებობას და არა ნასოფლარებისას. ასევე იგი ახალდაბას იხსენიებს ქალაქად და არა ნაქალაქარად. ბორჯომის ხეობის სოფელი ახალდაბა, ძველად ქალაქი ყოფილა, რომელიც ვახტანგ გორგასალის მემკვიდრეებს მირდატსა და დაჩის აუშენებიათ. მონღოლთა შემოსევის შედეგად იგი განადგურებულა და სოფლად ქცეულა. ჟამთაღმწერელის ცნობით, ქვიშხეთთან მოხდა დიდი ბრძოლა ულუ დავითის ლაშქარსა და მონღოლებს შორის (1259 წ.). იმ დროს ახალდაბა გამაგრებული ადგილი ყოფილა. ტაშისკარის ველზე დამარცხებულ ქართველებს მონღოლებმა „სდევნეს ახალდაბის ხიდამდე"[1] და ახალდაბაში ვერ შევიდნენ.იმ ისტორიული ხიდის საყრდენები ახალდაბაში დღემდეა შემორჩენილი. XVII საუკუნეში ახალდაბა იხსენიება „მცირე ქალაქად".

თეიმურაზ II შეეცადა ოსმალთაგან განადგურებული ახალდაბის განახლებას, მაგრამ მაშინ ახალდაბა სამოსახლოდ იმდენად საშიში იყო, რომ იქ დასახლების მსურველი არავინ აღმოჩნდა. XVIII საუკუნეშიც ახალდაბა „პატარა ქალაქად" არის მოხსენიებული. ახალდაბის შესახებ პროფ. შ. მესხია წერს: «Среди «маленьких городов» XVIII в., в Картли нужно отметить также Ахалгори, Ахалдаба и Цилкани»[2]. ახალდაბა რომ გამაგრებული ადგილი იყო, ამას მოწმობს დღემდე შემონახული დიდებული „ციხე მაღალსა კლდეთა ზედა დიდშენი

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 241.

[2] Месхия Ш. Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., Тб., 1959, с. 115.

და მაგარი"[1]. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბორჯომის ხეობის დიდი ნაწილის ქართლის ხელში გადასვლის შემდეგ (იგულისხმება, რომ ეს ტერიტორია ოსმალებმა დატოვეს 1613 წლის ზავის შემდეგ), ძველად გაქცეული მოსახლეობა დაბრუნებულა და, ნაწილობრივ მაინც, ცხოვრება განახლებულა. აღვნიშნეთ, რომ ახალდაბა 1595 წელს დაცარიელებულ სოფელს წარმოადგენდა. ჟ. შარდენი კი მას 1673 წელს ქალაქად იხსენიებს. ახალდაბისა და სოფელ ქიმერეთის შესახებ ჩვენ სხვა საბუთიც გაგვაჩნია, მაგ., გიორგი XI-ის მიერ 1688 წელს გაცემულ სიგელში ნათქვამია: „მეფეთ მეფემა ხელმწიფემან პატრონმან გიორგიმ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ხორეშან... სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმა ბაგრატ. ესე ამიერ უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შევიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენსა ერთგულსა და მრავალფერად ნამსახურსა ყმათა ავალიშვილ გიორგის, შვილთა თქვენთა ლუარსაბს და ნიკოლოზს, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა მას ოდეს მოგვიდექით კარსა და მამულის წყალობას დაგვეაჯენით. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შევიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენი სახასო სოფელი ქიმერეთი, მისის მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ნაშენითა, უშენითა და მისის სამართლიანის სამძღვრითა. აგრეთვე ახალდაბის, ჩვენის სახასო სოფლის მოურაობა ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია"[2].

ამ სიგელის მიხედვითაც ირკვევა, რომ ახალდაბა დასახლებული ადგილია, უკაცრიელი ადგილისათვის მოურავის დანიშვნა საკარაუდო არ არის. სოფელი ქიმერეთიც (მდებარეობდა ახალდაბის ზევით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე) დასახლებული ადგილი უნდა ყოფილიყო. XVI საუკუნეში ახალდაბა და ქიმერეთი ავალიშვილებს ეკუთვნოდა, დროებით მათ იგი დაუკარგავთ, ხოლო XVII ს. მიწურულს მეფე გიორგი XI-ეს ეს ადგილები ავალიშვილებისათვის კვლავ დაუბრუნებია. აღსანიშნავია, რომ გიორგი XI-ის ძმას, ლევანს მეორე ცოლად გიორგი ავალიშვილის ასული თინათინი ჰყავდა. ამანაც, ალბათ, გარკვეული როლი შეასრულა ავალიშვილებისათვის ყმა-მამულის დაბრუნებაში. ამ პერიოდში გიორგი ავალი-

---

1 ვახუშტი. აღწერა, გვ. 83.

2 საქ. ცენტრალური ისტ. არქივი, კოლ. 1448, საბუთი 523.

შვილი სადგერში ჩანს და მაშასადამე, სადგერის ხეობის მფლობელია, იგი იღვწის მამულის გაფართოებისათვის, რასაც მეფის დახმარებით ადვილად ახერხებს. 1675 წელს შაჰ-ნავაზის გარდაცვალების შემდეგ ირანის შაჰმა შაჰ-ნავაზის შვილის, გიორგის, ქართლის მეფედ დამტკიცება დააგვიანა. შაჰი გიორგის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლად თვლიდა, ამიტომ მას ქართლის ტახტის გადაცემა ერეკლესათვის უნდოდა. ყოველივე ეს კარგად იცოდა არჩილ შაჰ-ნავაზის ძემ, რომელიც ამ დროს სადგერში ავალიშვილებთან ცხოვრობდა. მას სადგერი დაუტოვებია, ქართლში ჩასულა და მის შემომტკიცებას შესდგომია. ამ გარემოებამ შაჰი აიძულა, გიორგი ქართლის მეფედ დაემტკიცებინა. გიორგი XI-მ ქართლში ცოტა ხანს იმეფა (1676—88), იგი ერეკლე პირველით (ნაზარალიხანი) შეცვალეს. გიორგი ქართლს გაეცალა, იმერეთში გადავიდა და არჩილს გამეფებაში დაეხმარა. ცოტა ხნის შემდეგ გიორგი სამცხეშია და სოფ. ოშორაში ცხოვრობს. ირანის შაჰმა ოსმალეთის სულთანს მოსთხოვა, რომ გიორგი მისთვის გადაეცა. მაგრამ გიორგი სამცხედან გაიპარა, ცოლშვილი სადგერის ციხეში ავალიშვილებთან დატოვა და თვითონ ქართლში გადავიდა ტახტის საძიებლად. აქედან ჩანს, რომ XVII საუკუნის ბოლოსათვის ავალიშვილები სადგერში იმყოფებიან, სადგერის ხეობას ფლობენ და, ამავე დროს, ბრეთზედაც ხელი მიუწვდებათ. როდესაც სადგერის ხეობას საშიშროება ემუქრებოდა, ისინი ბრეთს აფარებდნენ თავს. გიორგი ავალიშვილისა და გიორგი XI-ის დამოყვრებიდანაც ჩანს, რომ ქართლის სამეფო კარზე მას დიდი პატივი უნდა ჰქონოდა. არჩილისა და გიორგის შემდეგ ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზის ხშირად ყოფნა სადგერში იმაზე მიგვითითებს, რომ ამ პერიოდში ეს ხეობა უსაფრთხო და მტრისაგან ძნელად მისაწვდომი იყო.

სადგერის ხეობას, ბუნებრივ შეუვალობასთან და სტრატეგიულად მოხერხებულ მდებარეობასთან ერთად, მრავალრიცხოვანი ციხე-სიმაგრეც ჰქონდა, რაც მის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდიდა. როგორც ცნობილია, ვახტანგ VI-მ, ჯერ ჯანიშინობისა და შემდეგ მეფობის პერიოდში, მრავალმხრივ ნაყოფიერი კულტურული და ეკონომიკური ღონისძიებანი გაატარა. ვახტანგის მიერ გატარებული ღონისძიებანი სადგერის ხეობასაც შეხებია. ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „არამედ სადგერი არს მაგარი და შეუალი, ეკლესია შემუსვრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღაშენა და შეამკო ხატი მისი ჟდ (94) მეფემან ვახტანგ"[1]. როგორც ჩანს, მეფე ვახტანგ VI-ს აღუდგენია სადგერის ეკლესია და მისი ხატიც შეუმკია. დიდი ზიანი მოუტანა ბორჯომის ხეობაში ავალიშვილების სამფლობელოს XVIII ს. 30-იანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოში ყიზილბაშთა ბატონობამ. ნადირ-შაჰი ერევნის აღების შემდეგ მასთან მყოფი ქართველი დიდებულებითურთ თბილისისაკენ წამოვიდა, ქართველ დიდებულთა ერთი ნაწილი, მათ შორის გივი ამილახვარი და ქაიხოსრო ავალიშვილი შაჰ-ნადირს გაეპარნენ. შაჰმა გაპარულთა დასჯა ბრძანა და დამსჯელი ჯარი საამილახვროს, საავალიშვილოსა და საციციანოს მიუსია: ამ მარბიელმა ჯარმა „აწერის-ხევს ქვეით დაატყვევეს, დასწვეს ზემო-ქართლისა, ფახანიდან დაწყებული მუხრანამდი ააოხრეს, დაატყვეს, დასწვეს, სადგერიდამ სკრამდე დაატყვეს, დასწვეს, შეაბილწეს ეკკლესია, ყოველ-გნით გაოხრეს მღვიმე ხატითა და მორთულობითა, წაიყვანეს ქართლიდამ კომლად რვა ასი (კომლი), ვინ იცის რამდენი სული იყო: ეს ტყვე ხუთი ათასი საავალიშვილოსი და საციციანოსი, ხუთასი კომლათ და ათასი ტყვე"[2]. შექმნილმა მძიმე ვითარებამ ქართლ-კახეთში ირანელთა წინააღმდეგ აჯანყება გამოიწვია. ქართლელთა აჯანყებას სათავეში შამშე-ქსნის ერისთავი, ვახუშტი აბაშიძე, გივი ამილახვარი და ქაიხოსრო ავალიშვილი ედგნენ. კახელთა აჯანყებას თეიმურაზ II მეთაურობდა. შაჰ-ნადირმა, ბრძოლით რომ ვერაფერს გახდა, ციხის შიგნიდან გატეხვა მოინდომა. აჯანყებულთა ერთი ნაწილი, მათ შორის თეიმურაზ II, გივი ამილახვარი და ქაიხოსრო ავალიშვილი თავის მხარეზე გადაიბირა და მათ დანარჩენების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. გადაბირებული თავადები შაჰმა უხვად დააჯილდოვა. გივი ამილახვარს ქსნის საერისთავო მისცა და ერისთავყოფილ შანშეს წინააღმდეგ ბრძოლა უბრძანა. თეიმურაზი 1744 წელს ქართლში გაამეფა, ხოლო მის შვილს ერეკლეს კახეთის მეფობა „უწყალობა". როდესაც ეს ამბები ხდებოდა, სწორედ

---

1 ვახუშტი, აღწერა, გვ. 83.

2 ს. ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, II, თბილისი, 1913, გვ. 48.

ამ დროს შაჰმა ქართლ-კახეთს ხარკი დაუმძიმა. გივი ამილახვარი ისევ აჯანყდა. აჯანყებული ამილახვარი სურამის ციხეში გამაგრდა და ამავე დროს სადგერის ხეობაც გაამაგრა იმ განზრახვით, რომ ოსმალეთთან კავშირი ჰქონოდა და მათი დახმარებაც მიეღო, რაც მხოლოდ ამ ხეობის გზით იყო შესაძლებელი. ამილახვარმა რუსეთთან კავშირიც გაბა და იქ მყოფი ბაქარ ბაგრატიონი ქართლის მეფედ მოიწვია. რუსეთს მაშინ ამილახვრისათვის არ ეცალა და არც ბაქარი მოდიოდა საქართველოში. შექმნილი ვითარების გამო ამილახვარი ოსმალეთს შეევედრა და მანაც აღუთქვა დახმარება. „ერთადერთი, ვისგანაც ახლა ამილახვარს დახმარების მიღება შეეძლო, ოსმალეთი იყო და გივიც სულ უფრო ოსმალეთზე დამოკიდებული ხდებოდა. ოსმალეთი კი ქართლის დასაპყრობად და აქ „ოსმალობის“ დასამყარებლად მოდიოდა. ასე, რომ ქართლის თავისუფლებისათვის მებრძოლი გივი მისდა უნებურად ოსმალების აგენტი ხდებოდა“[1]. შაჰ-ნადირმა ამილახვრის წინააღმდეგ ბრძოლა თეიმურაზ II-ს დაავალა, ჯარი და ფულიც მოაშველა. ამილახვარს დახმარება ოსმალეთმა აღმოუჩინა. ამ ორ ბანაკს შორის გააფთრებულ ბრძოლაში ქვეყანა ოხრდებოდა და ნადგურდებოდა. მრავალი ყმა-გლეხი ბრძოლას შეეწირა, ბევრი მათგანი აიყარა და საიმედო ადგილს შეაფარა თავი. განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებდნენ ქვეყანას ის ლეკები, რომლებიც ამილახვარმა დაღესტნიდან ჩამოიყვანა ოსმალთა დახმარებით. 1745 წლისათვის შაჰ-ნადირი ამილახვრის შემორიგებას ცდილობდა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. თეიმურაზმაც სცადა შაჰის დავალებით გივის შემორიგება, მაგრამ ამაოდ. საქმე ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა. თეიმურაზმა შეძლო ზემო ქართლის თავადთა უმრავლესობა გივი ამილახვრისათვის ჩამოეშორებინა; ჯერ კიდევ 1744 წლის დეკემბერში თეიმურაზმა ახალდაბის ციხე, რომლითაც სადგერის ხეობა იყო ჩაკეტილი და აჯანყებულ ამილახვარს დიდ სტრატეგიულ უპირატესობას ანიჭებდა, წაართვა და ამით ოსმალეთიდან დახმარების მიღების საშუალება მოუსპო. „ახალციხის ფაშას — ისაყს გივი ამილახვრისათვის წიგნი მოეწერა, დახმარებას დაჰპირებოდა, გამხნევება შეთვალა. ეს წიგნი ქაიხოსრო ავალიშვილს ჩავარდნოდა და თეიმურაზისათვის მიეტანა. თეიმურაზმა ზომები მიიღო, ბარათაშვი-

---

1 ნ. ბერძენიშვილი. XVIII საუკ. საქართველოს ისტორიიდან, მასალები, ნაკ. I, 1944, გვ. 207.

ლები გაგზავნა ბორჯომის ხეობაში და ხეობა გაამაგრა"[1]. 1745 წლის ზაფხულში თეიმურაზმა სურამის ციხეზე შეტევა გაახშირა. გივი ამილახვარმა საქმე წაგებულად ჩათვალა და თეიმურაზს დანებდა. აჯანყება დამარცხდა. იმის მიუხედავად, რომ ამ აჯანყებამ დიდი მსხვერპლი შეიწირა და ქვეყანას დიდი მატერიალური ზარალიც მიაყენა, მაინც დადებითი როლი შეასრულა, ვინაიდან აჯანყებულთა მედგარმა ბრძოლამ ნადირ-შაჰს საქართველოს დამორჩილებაზე ხელი აღებინა და ქართლშიც თანდათან ყიზილბაშურის მაგიერ ძველი, ქართული მართვა-გამგეობა ინერგებოდა. ამ ბრძოლის დროს ყველაზე მეტი ზიანი სადგერის ხეობას უნდა განეცადა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი უშუალოდ ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა, და მეორეც, ეს ხეობა იყო მთავარი გზა დაღესტნელი მარბიელი ურდოებისათვის ახალციხისაკენ, რომელიც ამ დროს მათი თავმოყრის ცენტრად გადაქცეულიყო. ლეკები ახალციხის საფაშოს დაქირავებულ ჯარში ირიცხებოდნენ; მშვიდობიანობის პირობებში ახალციხის ფაშები აქეზებდნენ მათ ქართლზე თავდასხმისა და ძარცვა-რბევისათვის. ლეკთა ხშირი რბევის ობიექტი სადგერის ხეობა იყო, რომელიც ტერიტორიულად ახალციხის საფაშოს ესაზღვრებოდა. ჩვენს საისტორიო წყაროებში სადგერის ხეობაზე ლეკთა თავდასხმების მრავალი ფაქტია დასახელებული; 1729 წლის თიბათვის 10-ს „გამოვიდა ლეკის ჯარი გულხადარა, აოხრეს ზემოქართლი, საციციანო, აბუხალა, გუჯარეთი, თრიალეთი, ჯავახეთი"[2]. 1731 წელს თვესა ივლისსა „მოუხდნენ ლეკნი ჯავახეთს, აოხრეს ხეობა, ზანავი, გარდავიდეს მთასა ნუნისისა, აოხრეს ხარაგეული ნუნისის ქვეითი, გარდმოიარეს ქვიშხეთს, წაახდინეს ციხის ძირი, აოხრეს საციციანო"[3]. 1732 წელს, მკათათვის 21-ს „შემოადგა ლეკი ქვიშხეთს... შეიარეს ხეობა, მიუხდნენ დვირს, წაახდინეს ასპინძა, ოშორა, სხვა ბევრი სოფლები, გარდმოიარეს ციხისჯვარი და შემოადგნენ სადგერს, ზეით თედიაშვილის ციხესა თერთმეტი დღე ადგნენ... ამა შეჭირებასა შინა მოვიდა ოსმან-ფაშა ახალქალაქს ჯავახეთისასა, ებოძა ხვანთქარს ქართლი. შეესმა, ამბავი ლეკთა, გამოუსია ჯარი, აქედან ავალიშვილები მოადგნენ,

---

1 დ. გვრიტიშვილი. ფეოდ. საქართველოს სოც. ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 430—431.

2 ს. ჩხეიძე. დასახ. შრომა, გვ. 40—41.

3 იქვე, გვ. 41.

განთიადისასა დაესხნენ ლეკთა, ამოსწყვიტეს"[1]. ლეკებს სადგერძ-ხეობის დარბევა-აოხრება იმის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ, რაც ქართლსა და ოსმალეთს შორის მდგომარეობა ოდნავ მაინც გაუმჯობესდა. მოსახლეობის მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა თავადების ურთიერთმტრობა, მიხდომ-მოხდომა და ყმა-მამულების წართმევა, ტყვეების გაყიდვა. წყაროებში აღნიშნულია ზაალ და პეტრე ავალიშვილების ურთიერთბრძოლა, მამულების მიტაცება, ყმების წართმევა და ახალციხეში გაყიდვა. როგორც აღვნიშნეთ, საავალიშვილომ მრავალჯერ განიცადა დარბევა, შემცირდა მწარმოებელი მოსახლეობა, მებატონეთა შემოსავალიც. დანაკლისის აღსადგენად ავალიშვილები ყმების ექსპლოატაციას აძლიერებდნენ, უჩვეულო გადასახადებსა და ბეგარას აკისრებდნენ. შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ დარბევა-აკლებას ან ტყვედ გაყიდვას მიმართავდნენ. 1747 წლის პირობის წიგნში ნათქვამია: „ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ავალიშვილმა ზაალ, ძმამან ჩემმან ქაიხოსრომ, შვილმან ჩემმან ავალ, ჩვენმა აზნაურიშვილებმა ციმაკურიძემ ზურაბ, განძიელმან ერასტიმ, განძიელმან ოთარმან, სეხნია მეგრელიშვილმა, მინდიაშვილმა დათუნამ, მეხრიშვილმა ოტიამ, კვირიკაშვილმა სეხნიამ, მიხლანჯი გიორგიმ, ჯამბაზიშვილმა როსტომამ, ცარციძემ ბერიკელამ, სხირტლაძე ნასყიდამ, ხელიერთპირ ჩვენმა აზნაურმა და გლეხმან თქვენ ჩვენს ხელმწიფეს ყ/ოვლა/დ სანატრელს საქართველოს კ/ათალიკო/ზ-პატრიარქს ბატონიშვილს ბატონს ანტონს; — ასე რომ ჩვენს ოჯახში, მამულსა და ადგილში მრავალი უკეთურობა და სიბოროტე იყო; ტყვის სყიდვა, კაცის კვლა, მრუშება, კაცის ცარცვა და მრავალი სიბოროტე. აწე მობრძანდით ჩვენს ოჯახში, რომელიც თქვენგნით მართებული იყო, ასე გვასწავლეთ გვიბრძანეთ და დაგვიწესევით. ჩვენც ესე პირობა მოგახსენეთ და აღთქმა დავდევით ღვთის წინაშე... დღეს ამას იქით არც გავერიოთ ტყვის სყიდვაში, არც კაცის კვლასა და რაც ჩვენში დღეს აქომომდე უკეთურობა და სიბ/ი/ლწის ჩვეულება იყო ხელიც ავიღოთ და თუ დღეს ამას იქით შეგვიტყოთ ან თქვენს მცნებასა და პირობას გარდავხვდეთ ღმერთმან უცოდო გამყოფოსთ, რაც რომ ერთს ავს კაცსა ავაზაკსა და ძვირის-მოქმედს გარდახედოდეს, ისე ჩვენ გარდაგვახდევინეთ. სულით თქვენ დაგვსაჯეთ და ხორციელად მეფეებს ყათლავი აქნევინეთ, ჩვენი სისხლი ალალი იყოს.

---

1 ს. ჩ ხ ე ი ძ ე. დასახ. შრომა, გვ. 42—43.

ვინ იცის სახელმწიფოთ ტყვე ითხოვონ ისიც თქვენ მოგახსენოთ, შეგატყობინოთ. თუ ჩვენს საბატონოში ყმასა და მამულში გაყიდოს ვინმე, თუ შევიძლოთ, დავიჭიროთ, ის ტყვეცა და ტყვის გამყიდველი ორივე თქვენ მოგართვათ და თუ ვერ მოვერივნეთ, ისიც თქვენ მოგახსენოთ. თუ ეს პირობა არ გაგითაოთ, ჯერ ვიყვნეთ ღუთისა ჩვენისა შემცოდე და რომელმანცა პატიოსნითა სისხლითა თვისით მოგვიყიდა, იმის შეურაცხის-მყოველთა თანაზიარნი და მერმე ჩვენის ხელმწიფის /ღ/უ/თივ გვირგვინოსნის მეფეთ-მეფის თეიმურაზის შემცოდე და კეთილ მორწმუნის მეფის ერეკლეს მოღალატე"[1]. აქ მოტანილი საბუთიდან ნათლად ჩანს, რომ თავადი ავალიშვილები ყმა-გლეხთა დარბევა-აკლებასა და გაყიდვას სრულიადაც არ ერიდებოდნენ; მტრების შემოსევებით დაუძლურებულ ქვეყანას კიდევ უფრო ასუსტებდნენ. ერეკლე-თეიმურაზის პოლიტიკას, „ბატონ-ყმობის რიგის" დაცვის, არსებული ყმების შენარჩუნებისა და უცხოეთიდან დაბრუნებული ქართველი ტყვეებისათვის ადგილის გაჩენის შესახებ, ქართული ეკლესიაც აქტიურად უჭერდა მხარს. სწორედ, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ავალიშვილებმა ანტონ კათალიკოსს პირობის წიგნი მისცეს და ვალდებულება იკისრეს, რომ ამიერიდან ყმას აღარ გაყიდდნენ და მოკვლაზეც ხელს აიღებდნენ. „ლეკიანობა" XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც გრძელდებოდა. მართალია, ერეკლე II-მ ენერგიული ღონისძიებანი გაატარა მის აღსაკვეთად, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ მოსპო. სადგერის ხეობის მცხოვრებნიც ოსმალლეკების „ყურმოჭრილი მონა" არ გამხდარან, ისინიც ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ მომხდურ-მოთარეშე მტერს. ამის დასადასტურებელი ფაქტი უამრავია. მაგალითად, „1739 წელს, რუისიდან აიყარა იქ მდგარი უსუფ-ფაშა. ოსმალოსა და ლეკის ჯარებით ახალციხისაკენ მიდიოდა. ავალიშვილებმა ამ ლაშქარს შეუკრეს გზა და დღევანდელ პეტრეს ციხესთან გაჟლიტეს. დააგდებინეს სურსათი, ზარბაზნები და აიტანეს ციხეში. იმდენად დიდი იყო ოსმალთა დამარცხება, რომ ფაშა ჯავრისაგან ავად გახდა და მოკვდა"[2]. პეტრეს ციხე, როგორც აღვნიშნეთ, სადგერისა და გოგიას ციხეებთან ერთად ავალიშვილების საგვარეულო ციხე იყო.

---

1 ნ. ბ ვ რ ძ ვ ნ ი შ ვ ი ლ ი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, გვ. 332.

2 გ. ლ ე ო ნ ი ძ ე. საქართველოს კურორტების ცნობარი, 1926, გვ. 88—89.

იგი გვიანი ხანის საისტორიო წყაროებში იხსენიება, მაგრამ სპეციალისტების აზრით, პეტრეს ციხე უფრო ადრინდელი ნაგებობა უნდა იყოს. სადგერის ხეობის მიტაცების შემდეგ აქ ოსმალთა გარნიზონი იდგა. გივი ამილახვრის აჯანყების დროს პეტრეს ციხე ქაიხოსრო ავალიშვილს ეჭირა და ოსმალეთიდან მიღებული იარაღსაჭურველის საწყობად (არსენალად) ჰქონდა გამოყენებული, მაგრამ როდესაც ქაიხოსრო ავალიშვილმა ამილახვარს უღალატა და თეიმურაზს მიემხრო, ეს ციხე, ხეობის სხვა ციხეებთან ერთად, მეფის ხელში გადავიდა. თეიმურაზ მეორეს ეს ციხე ქაიხოსრო ავალიშვილისა და მისი შვილი პეტრესათვის დაუმტკიცებია 1744—45 წლებში. XVIII საუკუნის 70-იან წლებში პეტრეს ციხე ქართლის სამეფოს საზღვრებში იყო და იქ ქართველთა ჯარი იდგა. ამის შესახებ ერეკლე მეორის ერთ-ერთ განკარგულებაში შემდეგია აღნიშნული: „ჩვენი ბრძანება არის ბატონო ამილახვარო რევაზ: როგორც ამ დავთრით შეგვეწეროს ეს კაცნი ასე გამოიყვანე ერთი თვის ნუზლით, თუ რუსები გადმოვიდნენ, მაგათაც დავიბარებთ და თუ დაიგვიანეს, ამ ერთ თვეს პეტრეს ციხეში უნდა იყვნენ. თუ მოსარევი მტერი იყოს, პასუხს მისცემენ, თუ დიდი ჯარი იყოს, სოფლებს შეატყობინონ"[1]. (ეს საბუთი დათარიღებული არ არის, მაგრამ რაკი რუსის ჯარის მოსვლაზეა ლაპარაკი, იგი XVIII საუკუნის 70-იან წლებზე ადრინდელი არ უნდა იყოს). პეტრეს ციხე ისევ ოსმალებს დაუჭერიათ და მასში ლეკთა ჯარი დაუყენებიათ. 1812 წელს აქ მოკლეს ლეკებმა გზად მიმავალი ლევან ბატონიშვილი (ერეკლე მეორის შვილიშვილი). ლეკიანობის პერიოდში მტკვრის სანაპიროზე მდებარე სოფლები მოსახლეობისაგან მთლიანად დაცარიელებულია და ხეობა ლეკთა სათარეშოდ არის გადაქცეული. ამ გზით (ხეობით) გაჰყავდათ ლეკებს ქართლ-კახეთში მოტაცებული ტყვეები ახალციხეში გასაყიდად. სადგერის ხეობა ამ ხანაში ადამიანთა დასახლებისათვის მეტად საშიშ ადგილად გადაიქცა, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ თეიმურაზ II-ის განზრახვა, ახალდაბის დასახლებისა, სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი.

ბორჯომის ხეობაში დატრიალებულ ავბედობათა შესახებ დ. ბაქრაძე წერდა: „ეს ხეობა, რომელიც მტკვრის მოწოლითაა გაჭრილი, მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ის-

---

1 საქ. ცენტრ. საისტორიო არქივი, ფ. 226, საბ. 223.

ტორიულად საინტერესო ადგილია. იგი საკომუნიკაციო ადგილი იყო ზემო ქართლსა (სამცხე-საათაბაგოს) და ქვემო ქართლს შორის. ხეობა მჭიდროდ იყო დასახლებული. ხეობის მტკვრის ნაპირზე ჩვენ გვქონდა სოფლები, ხიდები და ეკლესიები, იყო დამუშავებული მინდვრები, ბაღები, ვენახები, ასე იყო ძველად. ახლა ტყუილად ეძებთ ამ ძველი კულტურის კვალს, მოსახლეობის შრომისმოყვარეობისა და ქმედითობის ნაყოფს, ყველაფერი გაპარტახდა, დიდხანს იყო ეს ხეობა ბრძოლათა ასპარეზი. ამის გარდა, იგი ხანგრძლივად იყო ორი იმპერიის საზღვარზე, რომელიც ყველაზე უფრო მეტად განიცდიდა საომარი მდგომარეობისა და მხარეთა ურთიერთშურისძიების გამანადგურებელ შედეგს, მოსახლეობა ან გაწყდა, ან სხვა მხარეში გადაიხიზნა. თავიანთი ქვეყნიდან წამოსული ლეკები ფაშის სამსახურში ჩადგებოდნენ, თავს ესხმოდნენ ამ უბედურების დროს მოსახლეობას, იტაცებდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც მათ ხვდებოდათ გზაში"[1]. მართლაცდა, ბორჯომის ხეობა ორნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მტრის შემოსევათა და ძარცვა-რბევის ობიექტი იყო, მატერიალური კულტურის ძეგლები დაინგრა, ბევრი მათგანი კი მთლიანად განადგურდა, მრავალი და-ბა-სოფელი აღიგავა პირისაგან მიწისა და მათი ადგილმდებარეობის დადგენაც კი დღეს შეუძლებელი ხდება, მოსახლეობის დიდი ნაწილი მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო მცირე ნაწილმა აყრა-გაქცევით უშველა თავს. გერმანელ მოგზაურს, გიულდენშტედს 1772 წელს უნახავს ,ბორჯომის ხეობა და თავის ცნობილ „მოგზაურობაში" ბორჯომის შესახებ ასეთი ცნობები დაუცავს: „სურამიდან ზევით (მტკვრის მარცხენა მხარეზე) არის ბორჯომი, ახალდაბა (ციხე), ქიმერეთი, ნეძვი, კორტანეთი, ზანავი, ყვიბისი, თორი, ეშმაკთუბანი, ჭალა, ნუა, ფაფა, ლიკანი, ყვერბილი, პეტრეს ციხე, ჭობისხევი, ყველა ეს სოფლები განადგურებულია და ამასთან ქმნიან საზღვარს საქართველოსა და თურქებს შორის"[2]. ამონაწერიდან ჩანს, რომ ბორჯომის ხეობის აქ ჩამოთვლილი ციხე-სოფლები იმდროისათვის განადგურებული და გაუკაცრიელებული ყოფილა. ეს ცნობა სინამდვილეს უნდა ასა-

---

[1] Бакрадзе Д. Кавказ в древних памятниках христианства, 1875, с. 110.

[2] ე. გიულდენშტედტი. მოგზაურობა საქართველოში, 1962. გვ. 217—219.

ხავდეს. დასახელებული ციხე-სოფლები მდებარეობენ მტკვრის ორივე სანაპიროზე და საუკუნეების მანძილზე ისინი ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდნენ. გიულდენშტედტი საერთოდ არ ასახელებს მტკვრის სანაპიროებიდან მოშორებულ სოფლებს: სადგერს, წალვერს, ცემს, ტიმოთესუბანს, ციხისჯვარსა და სხვას. ეს სოფლები მას, ალბათ, არ უნახავს და არც მათ შესახებ ცნობები მიუწოდებია ვინმეს, ამიტომ მის ცნობას ბორჯომის ხეობის სოფლების განადგურება-დაცარიელების შესახებ ამ სოფლებზე ვერ გავავრცელებთ. მტკვრის სანაპიროდან დაშორებულ სოფელთაგან გუილდენშტედტი მარტო თორს ასახელებს, რომელიც იმ დროს, მართლაც დანგრეული და უკაცრიელი იქნებოდა. როდესაც ესა თუ ის მკვლევარი ან მოგზაური წერს, რომ ბორჯომის ხეობა XVIII საუკუნის ბოლოსათვის მთლიანად დაცარიელებული იყოო, მათ, ალბათ, მხედველობაში აქვთ მტკვრის სანაპიროზე მდებარე სოფლების მდგომარეობა და მხედველობაში არ იღებენ სადგერ-გუჯარეთ-ბაკურიანის მიდამოებში არსებულ სოფლებს, რომლებშიც იმ დროს მოსახლეობა მცირე ოდენობით, მაგრამ მაინც იყო. ერეკლე II-ის მიერ რევაზ ამილახვრისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ პეტრეს ციხის მახლობლად ყოფილა სოფლები, სადაც ხალხი ცხოვრობდა, „თუ დიდი ჯარი იყოს სოფლებს შეატყობინეთ“, ბრძანებდა ერეკლე II. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბორჯომის ხეობის მტკვრის სანაპიროდან მოცილებული სოფლები ოსმალ-ლეკებისაგან დარბეულ-აოხრებულ სოფელთა რიცხვში არ იხსენიება, გარდა ციხისჯვარისა და ისიც მხოლოდ ერთხელ. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ უგზოობისა და ბუნებრივი სიმაგრეების არსებობის გამო მტერთათვის ხეობის ბევრი სოფელი მიუვალი იყო. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ტიმოთესუბნის მონასტერს მტერთა თავდასხმა სრულებით არ განუცდია და დღემდე იგი თითქმის დაუზიანებლადაა შემონახული. ვახუშტი წერს: „აქა, თორის წყლის აღმოსავლით არს კიმოთისმანს მონასტერი გუმბათიანი კეთილმშენი, მშვენიერს ადგილს, ზის წინამძღვარი“... და შემდეგ „კაცნი ჰაეროვანნი, ტანოვანნი“[1]. თუ ტიმოთისუბნის მონასტერში წინამძღვარი იჯდა, მაშინ მას მრევლიც ეყოლებოდა. ამ მიდამოებში არსებული სოფლებიც მტერთა თავდასხმებს უფრო იშვიათად განიცდიდნენ და როგორც ჩანს, აქ ცხოვრების მაჯის-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა, გვ. 84.

ცემაც არ შეწყვეტილა. ლეკებისა და ოსმალებისათვის მთავარი გზა მდინარე მტკვრის სანაპიროს მიჰყვებოდა და ამ გზის გასწვრივ მდებარე სოფლები მათი ძარცვა-რბევის ობიექტი იყო. ყველა ზემოთქმულიდან შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: იმ ავბედობათა შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVI—XVIII საუკუნეებში, ბორჯომის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლთა დიდი ნაწილი დანგრეულ-განადგურებულ იქნა, მოისრა სოფელთა უმრავლესობა, მოსახლეობის დიდი ნაწილი მტერს შეაკვდა უთანასწორო ბრძოლაში, ერთი ნაწილი აიყარა და ქართლსა და იმერეთში გადასახლდა, ხეობის ისეთ სოფლებში, რომლებიც მტერთაგან ძნელად მისადგომი იყო, მოსახლეობის მცირე ნაწილი გადარჩა. თავადი ავალიშვილები ქართლში გადასახლდნენ (სოფ. ბრეთში) და იქ გაიჩინეს ყმა-მამული, მაგრამ ხელი ჰქონდათ ხეობაში დარჩენილ ყმა-გლეხებსა და იქაურ მამულზეც. ასეთი ვითარება იყო ბორჯომის ხეობაში, საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801 წ.) პერიოდში.

§ 3. სოფლის მეურნეობა

ბორჯომის ხეობაში არსებულ ნასოფლარ, ნაციხარ და სავანე-მონასტერთა სიმრავლე იმას მოწმობს, რომ აქ ძველი დროიდან (შუა საუკუნეებში მაინც) ხშირი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო. აღნიშნული სახის მატერიალური კულტურის ძეგლთა სიმრავლე განსაკუთრებით შეინიშნება დაბა-წაღვერი-ცემი-საკოჭავი-ნადარბაზევი-თორი-დაბაძველი-ჭობისხევი-დვირი-კვირიკეწმიდა-ქვაბისხევის ზოლში. ძველი სოფლების სამშენებლო მასალად უმთავრესად ქვას იყენებდნენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ იმ დროს ბორჯომის ხეობა ნაკლებტყიანი უნდა ყოფილიყო, ეს კი თავისთავად გულისხმობს სახნავ-სათესი და საბალახო-საძოვარი მიწის ფართობის სიდიდეს. ამ საკითხზე აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი სრულიად მართებულად წერს: „თორის მიდამოებში იმ ძველ დროსვე ხშირი მოსახლეობა ჩანს. აქვე ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: აწინდელი თორისა თუ ხეობის სხვა სოფლებისაგან განსხვავებით ძველ სოფლებში სამშენებლო მასალად უპირატესად ქვა ჩანს გამოყენებული. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ძველ დროს, როცა ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილობრივი სამშენებლო ტრადიციები იქმნებოდა, ხეობა საერთოდ ნაკლებად ტყიანი იყო. ასეთ ბუნებრივ პირობებში სავარაუდოა უფრო ინტენსიური მიწათმოქმედება (ხორბლეული, სელი), მეფუტკრეობა, მესაქონლეობა (ცხვარი და სხვა ოთხფეხი). ამას მოწმობს ხეობის ტოპონიმიკაც, მოსახლეობის სიხშირეც, ეს ნასოფლარები რომ მოწმობენ, ამ პირობების გათვალისწინებით უფრო ადვილად ასახსნელია"[1].

ბორჯომის ხეობა კლიმატური პირობების მიხედვით ორ ზონად იყოფოდა: ზედა და ქვედა. ზედა ზონა შედარებით ცივი ჰავით ხასიათდებოდა, ქვედა კი უფრო თბილით. ეს ბუნებრივ-კლიმატური პირობები განსაზღვრავდა სოფლის მეურნეობის ხასიათს, მის დარგობრიობას. ქვედა ზონაში მოჰყავდათ სოფლის მეურნეობის შემდეგი კულტურები: ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, ცერცვი, სელი, კაკალი, ყურძენი, იონჯა და თითქმის ყველა სახის ბოსტნეული კულტურა. ზედა ზონის სოფლებში ხორბლის, ქერის, ფეტვისა და იონჯას კულტურები ყოფილა გავრცელებული. ორივე ზონაში კარგად ყოფილა განვითარებული მეფუტკრეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება. ყველა ამ კულტურული მცენარეების წარმოება და მესაქონლეობა ბორჯომის ხეობაში დასტურდება იმ დროიდან, როდესაც აქ ადამიანთა ცხოვრება დაიწყო.

ბანისხევში, გომნასა და სხვა ადგილებში აღმოჩენილი თავისებური ფორმის თიხის ჭურჭელი, რაც ერბო-კარაქისა და რძის წარმოებისათვის ყოფილა განკუთვნილი, მესაქონლეობის არსებობაზე მიუთითებს.

მოსაქცევ-ნადარბაზევსა და სხვა ადგილებში შემორჩენილი ნასახლარები, რომლებსაც ხორბლის შესანახი სათავსები აქვთ, იმაზე მიუთითებს, რომ აქ ხორბლისა და ხორბლეული კულტურების მოყვანა-წარმოებას ძველი დროიდანვე მისდევდნენ.

წაღვერში 1911 წელს წარმოებული გათხრების დროს პირველ ფენაში აღმოჩენილ იქნა ღვინის ჩასასხამი ქვევრები, ეს პირველი ფენა პროფ. გოროდცევის მიერ XII საუკუნით არის დათარიღებული. 1955 წელს სოფ. ჭობისხევში აღმოჩენილ იქნა ათი ქვევრი, რომელიც ღვინით იყო სავსე. მეცნიერთა აზრით, ეს ღვინო 500-

---

1 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 217.

ოდე წლის არის. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით ბორჯომის ხეობის ქვედა ზონის სოფლებზე შეწერილი იყო ვენახზე გამოსაღები, რასაც თურქულად „შირას“ უწოდებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის (1595 წ.) ბორჯომის ხეობის სოფლებში მოსახლეობა მნიშვნელოვნად შეთხელებული იყო, მაინც ვენახზე გამოსაღები ძალზე დიდი იყო შეწერილი. ზედა ზონაში ვენახი არ ხარობდა და ამიტომ ასეთი გადასახადი ამ სოფლებზე არ ყოფილა შეწერილი. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის დღემდე განვლილ პერიოდში ბორჯომის ხეობის ქვედა ზონაში, სხვადასხვა ადგილზე, აღმოჩენილ იქნა ღვინის ჩანასხამი ქვევრები (ახალუბანში, ბორჯომ-ბაღში, ახალდაბაში და სხვ.). ზემოთ თქმულს თუ დავუმატებთ იმას, რომ დღეს ბორჯომის ხეობის ქვედა ზონის სოფლებში და თვით ქალაქ ბორჯომ-ბაღშიც გავრცელებულია ვაზი, რომელიც კარგად ხარობს, მაშინ სადაო არ იქნება ის ღებულება, რომ ბორჯომის ხეობის ქვედა ზონაში ადრიდანვე გავრცელებული იყო ვაზის კულტურა და მის მოვლა-მოშენებაში მაშინდელი ადამიანები საკმაოდ დახელოვნებული ყოფილან. ბორჯომის ხეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელება-წარმოების შესახებ უტყუარ ცნობებს გვაწვდის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. მაგალითად, სოფ. დვირზე (ამ სოფელში 1595 წლისათვის რვა კომლი ცხოვრობდა) შემდეგი სახის გადასახადებია შეწერილი: ისფენჯი — რვა კაცზე (საკომლო გადასახადი), ხორბალი — რვაასი ქილა, ფეტვი — ათი ქილა, მუხუდო — სამი ქილა, სელის თესლი — ათი ქილა, კაკალი — ათი ქილა, შირა (ღვინოზე გამოსაღები) — სამასი მანი, გამოსაღები ხილზე (არ არის განსაზღვრული), გამოსაღები იონჯასა და თივაზე — ასი, გამოსაღები ღორზე — ასი, გამოსაღები ფუტკარზე — ასი, გამოსაღები ბოსტანზე — ასი, გამოსაღები იალაღზე, იათაღზე და სხვა მრავალი. როგორც ვხედავთ, ამ რვაკომლიან სოფელზე საკმაოდ დიდი ოდენობის გადასახადია შეწერილი, ასევეა სხვა სოფლებზედაც. სოფ. დვირში ოსმალთა მფლობელობის პერიოდში მოსახლეობა არ გამქრალა, და მაშასადამე, ისინი ასეთ დიდ გადასახადს მუდამ უხდიდნენ ოსმალებს. სოფლის მეურნეობა რომ კარგად განვითარებული არ ყოფილიყო, მაშინ ისინი ვერც გადასახადს გადაიხდიდნენ და ვერც თავს გამოიკვებავდნენ.

§ 4. საქართველოს შეერთება რუსეთთან და საავალიშვილოს სახაზინო მამულად გადაქცევა

ლეკთა თარეში საქართველოში მისი რუსეთთან შეერთების შემდეგაც არ შეწყვეტილა. ამ მხრივ ბორჯომის ხეობა XIX საუკუნის დასაწყისიდან კიდევ უფრო უარეს პირობებში ჩავარდა, ვიდრე წინა საუკუნეში იყო. ახალციხის საფაშო ოსმალეთისათვის წარმოადგენდა ისეთ სტრატეგიულ ბაზას, საიდანაც კავკასიაში ლრმად შემოჭრა შეიძლებოდა. ოსმალეთი ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებს ელოდებოდა და თავის მხრივ შესაფერისად ემზადებოდა. დაღესტნიდან ახალციხეს გადმოსული ლეკები ფაშამ თავის ჯარში ჩარიცხა და სანამ საომარი დრო არ დამდგარიყო — მათ ხშირად გაუსევდა ხოლმე ქართლს. ძარცვა-რბევის მოყვარული ლეკები ფაშას ამ დავალებას სიამოვნებით ასრულებდნენ. ლეკთა თარეშით გამოწვეულმა დიდმა საშიშროებამ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოსათვის ბორჯომის ხეობა მოსახლეობისაგან თითქმის დააცარიელა. აქა-იქ, მტერთაგან მიუვალ სოფლებშიღა შემორჩა მოსახლეობის ძლიერ მცირე ნაწილი. სანამ ახალციხის საფაშო იარსებებდა, ქართლის მოსახლეობას ლეკთაგან მოსვენება არ ექნებოდა. ამის შესახებ პ. ციციანოვი (ციციშვილი) ერთ-ერთ წერილში ვორონცოვს წერდა: „სანამ ახალციხე იზიდავს ლეკებს, რომლებმაც იციან, რომ ჩვენთვის ხელუხლებელია თურქეთის სამფლობელოები და რომლებიც იქიდან განუწყვეტლივ ეწევიან დაუსჯელად მტაცებლობას, შეუძლებელია თავს ვიდოთ საქართველოს სრული უზრუნველყოფა“[1]. რუსეთი ახალციხის საფაშოზე შეტევას აგვიანებდა, შესაფერ დროს უცდიდა. ქართლის რბევა-მტაცებლობა ლეკების მიერ კიდევ უფრო საშიშ ხასიათს იღებდა. მალე, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ოსმალ-ლეკთა რბევა-აოხრებისაგან ქართლის დაცვის მიზნით რუსთა მთავრობამ კორდონის ხაზი დააწესა სურამიდან მანგლისამდე და ტაშისკარში, ე. წ. ბორჯომის ხეობაში შესასვლელ „პირველ ჭიშკარში“, მტკვრის მარცხენა ნაპირას, ბორჯომის „ბლოკჰაუსი“ შექმნა. ამის შესახებ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „Для обеспечения Картлии от хищнических партий лезгин и пле-

---

1 Акты, собранные Кавказскою Археологическою комиссиею, том II, с. 894.

мен Ахалцихского пашалика установлена была кордонная линия, по горам от Сурама до Манглиса. Линия эта проходила через «Боржомский блокгауз», построенный против «Первых Боржомских ворот», недалеко от села Квишхети на левом берегу Куры»[1].

ბორჯომის „ბლოკჰაუსში“ იდგნენ ქართული მილიციის ცხენოსანი და ქვეითი რაზმები, რომლებიც ქართლს ბორჯომის ხეობიდან ლეკთა თავდასხმებისაგან იცავდნენ. „ბლოკჰაუსი“ ზამთრობით, როდესაც ლეკებს თავდასხმები აღარ შეეძლოთ, იხსნებოდა. „ბლოკჰაუსს“ ქართლის დაცვისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ლეკთა მოძალების გამო ქართული მილიცია 1807 წლიდან ეგერთა პოლკის ორი ასეულით გაუძლიერებიათ. ბორჯომის ხეობა „ბლოკჰაუსის“ გადაღმა (ახალციხისაკენ) დარჩა, სადაც ადამიანთა ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ამიტომ იმ მცირერიცხოვანი მოსახლეობა, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისისათვის ბორჯომის ხეობას კიდევ შემორჩა, აიყარა და მან ქართლსა და იმერეთს შეაფარა თავი. ხეობა მთლიანად გაუკაცრიელდა, ადამიანთა ნამოსახლარი ტყემ და ნადირმა დაიჭირა. ბორჯომის ხეობის გაუკაცრიელებაზე მიუთითებს აკად. ნ. ბერძენიშვილი: „ჩანს, XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ მესამედში ქართველი მოსახლეობა სულ ერთიანად გასცილდა ხეობას და შემდეგ ახალციხის შემოერთებიდან (1828 წ.) იწყება ხეობის კვლავ დასახლება“[2].

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, ბორჯომის ხეობაში ძველი მკვიდრი ქართველი მოსახლეობა რომ აღარ იყო, ამაზე მრავალი საბუთი მეტყველებს, მაგრამ აქ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: 1860 წლის აღწერით[3] ირკვევა, რომ ბორჯომის ხეობაში მოსახლეობა მხოლოდ 15 სოფელშია და ისიც მცირე რაოდენობით — სულ 104. კომლი 418 სულით. აქვე მითითებულია, რომ ისინი ახალმოსულნი არიან და ძველი მკვიდრი მოსახლეობიდან მათ შორის არავინ არის. დღეისათვის, ბორჯომის ხეობის ყველა სოფელში მცხოვრებ უფროს თაობას მამა-პაპათაგან ახსოვს, რომ ისინი მოსულნი არიან გასული საუკუნის 50—60-იან წლებში ზე-

---

[1] Томкеев М., Материалы для исторического описания Боржома и Боржомских минеральных вод с 1828 по 1872 год, Тифлис, 1899, с. 4.

[2] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 270.

[3] Томкеев М., დასახ. შრომა, ფურც. 22.

მო იმერეთიდან ან ქართლიდან და ხეობის ძველი მკვიდრი მოსახლეობის შთამომავალთ არ წარმოადგენენ. XIX საუკუნის 20-ანი წლებისათვისაც ბორჯომის ხეობაში ცხოვრება მეტად საშიში ყოფილა, სწორედ ამიტომ გენერალმა ერმოლოვმა ავალიშვილებს ნება არ დართო თავიანთი გლეხები სოფ. ბრეთიდან სოფ. სადგერში გადაესახლებინათ. ავალიშვილების თხოვნაზე ერმოლოვმა ასეთი პასუხი გასცა: «Исправляющему должность Горийского Окружного Начальника господину Майору и Кавалеру Петрову.

Видя из рапорта Вашего Высокоблагородия от 4 декабря № 739, что князья Георгий и Соломон Аваловы, просившие в 1819 году позволения переселить крестьян своих в опустошенное селение Садгери, ныне уклоняются от приведения сего в действие из опасения хищнических набегов, я не нахожу никакой надобности принуждать их сему, тем более, что и вы сами находите таковое переселение весьма затруднительным и бесполезным, так для крестьян, так и для правительства»[1]. პასუხი დათარიღებულია 1824 წლის 17 დეკემბრით.

ბორჯომის ხეობაში ცხოვრება რომ შეუძლებელი იყო, ამასის ფაქტიც ადასტურებს, რომ 1827 წელს ბორჯომის წყალზე სამკურნალოდ მოსულ რუს ოფიცერს, პოპოვს თან ახლდა გაძლიერებული დაცვა, რომელიც მას მკურნალობის მთელ პერიოდში იცავდა. 1828 წლამდე ბორჯომის ხეობა დვირ-ქვაბისხევამდე, მართალია, რუსეთის იმპერიაში შემავალი ქართლის (1801 წლიდან) შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ აქ აღარც ოსმალები იყვნენ და ვერც რუსობა დამკვიდრებულიყო. იგი წარმოადგენდა ნეიტრალურ ზონას, რომელზედაც დროდადრო ქართლს სათარეშოდ მომავალი ლეკები გამოივლიდნენ ხოლმე, ხან კი ქართული მილიციის ცხენოსანი რაზმები რუსული ჯარის ნაწილებთან ერთად, რომლებიც დაზვერვის ან ბრძოლის წარმოების მიზნით ახალციხისაკენ მიედინებოდნენ. მოსახლეობა კი ამ ხეობაში, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, აღარ იყო. 1828 წელს რუსეთის მთავრობამ, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, საჭიროდ ცნო თურქეთისათვის კავკასი-

---

1 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, ფ. 1491, 1, 94, გვ. 13.

იდანაც გაეხსნა ფრონტი. კავკასიის ფრონტის სარდლად გრაფი ი. თ. პასკევიჩი დაინიშნა. რუსეთის ჯარმა, ქართული ჯარის ნაწილებთან ერთად, კავკასიის ფრონტზე დიდი შეტევითი ოპერაციები განავითარა და 1828 წლის 30 ივნისს ყარსი აიღო, ხოლო 23 ივნისს — ახალქალაქი. ჯერი ახალციხეზე მიდგა, რომელიც 15 აგვისტოს ძლიერი იერიშით აიღეს. ოსმალთა 25-ათასიანი კორპუსი განადგურებულ იქნა. ახალციხის აღებისათვის ბრძოლებში თავი ისახელა ქართველ გრენადერთა პოლკმა, რომელმაც 15 აგვისტოს დილის 8 საათზე პირველმა დაიკავა ახალციხის ციხე, რომელზეც თავისი ნაციონალური დროშა ააფრიალა. ახალციხის აღებიდან მეორე დღეს აიღეს ბორჯომის ხეობის, ე. წ. „მეორე ჭიშკარი“ — აწყური, ოსმალთა უკანასკნელი დასაყრდენი ბორჯომის ხეობით ქართლისაკენ მომავალ გზაზე. ამიერიდან ოსმალთა ბატონობის მძლავრი დასაყრდენი სამცხე-საათაბაგოში — ახალციხე გათავისუფლდა და მისი საფაშოც მოიშალა. 1829 წლის სექტემბერში ადრეანაპოლში რუსეთ-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავით რუსეთმა შემოიერთა ძველი ქართული ქალაქები: ახალციხე, ახალქალაქი, ფოთი და ძველი სამცხე-საათაბაგოს ათი რაიონი — ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ქვაბლიანის, აბასთუმნის, ჭაჭარაქის, ფოცხოვისა და ჩილდირის. ახალციხის აღების შემდეგ ფაქტიურად რუსეთის მმართველობამ დაიკავა ბორჯომის ხეობა. ლეკ-ოსმალთა თარეშს ბოლო მოეღო. ამიერიდან ბორჯომის ხეობაში სიმშვიდე დამყარდა. ეს ვითარება მოხერხებულად გამოიყენეს თავადმა ავალიშვილებმა და მათი კუთვნილი ბორჯომის ხეობის დაპატრონება დაიწყეს. ამ მიზნით მათ 1832 წელს თავიანთი ყმა-გლეხები (რამდენიმე კომლი) სოფელ ბრეთიდან ბორჯომის ხეობაში გადმოასახლეს (სოფ. სადგერში). 1829 წლისათვის ცარიზმს უკვე საკმაოდ ჰქონდათ შესწავლილი ბორჯომის ხეობა, კარგად იცოდა მისი მთავარი სიმდიდრე — ტყე, აღმოჩენილი იყო ბორჯომის მინერალური წყალიც, და ბუნებრივია, ისინი ამ მდიდარ მხარეს ავალიშვილებს არ დაუთმობდა.

1830 წელს რუსეთის მთავრობამ ბორჯომის ხეობაში ააგო შუშის ქარხანა, რუსი სპეციალისტის ივანე ლევაშოვის ხელმძღვანელობით. ლევაშოვს ბორჯომის ხეობა შუშის წარმოებისათვის

საუკეთესო ადგილად უცვნია, ვინაიდან აქ კარგი ხარისხის ქვიშა და თიხა იყო. მინის ჭურჭელი, რომელსაც ქარხანა აწარმოებდა, საქართველოდან რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში ღვინის გასატანად იყო საჭირო. ქარხნის ამუშავებისთანავე ავალიშვილებმა ხაზინას, რომელსაც ქარხანა ეკუთვნოდა, უარი უთხრეს თავიანთი ტყეებიდან ხის მასალის უფასოდ მიცემაზე. ხაზინამ გადაწყვიტა ხელთ ეგდო ბორჯომის ხეობა, მაგრამ ავალიშვილებმა არ დათმეს. დაიწყო მათ შორის დავა, რომელიც მთელი ოცი წელი გაგრძელდა. ამ წელს ვექილმა კანდორსკიმ, სახაზინო ექსპედიციის მითითებით, საქმე აღძრა ავალიშვილების წინააღმდეგ გორის სამაზრო სასამართლოში. კანდორსკის მტკიცებით, ახალციხის საფაშოს მოშლა „რუსული იარაღის წყალობით“ მოხდა და ბორჯომის ხეობაც ხაზინისა უნდა გამხდარიყო. საქმეში ჩაერია თბილისის გუბერნიის სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი, რომელმაც გამოარკვია, რომ 100 წლის მანძილზე, ე. ი. XVIII საუკუნის პირველი მესამედიდან, ბორჯომის ხეობა არ იყო დასახლებული ავალიშვილების გლეხებით, რომ ავალიშვილებმა საქართველოში სპარსელების შემოსვლის წინ (XVIII ს. პირველი მეოთხედი) თავიანთ ყმა-გლეხთა მხოლოდ რამდენიმე ოჯახი გადმოასახლეს აქ, რათა ხეობის მითვისების საბაბი ჰქონოდათ. ზავილეისკიმ, აგრეთვე, გამოარკვია, რომ ავალიშვილები 100 წლის წინათ, მართლაც, ფლობდნენ ბორჯომის ხეობას, მაგრამ 1792 წლის გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ ისინი ამ დროს უკვე აღარ არიან მისი მფლობელნი და რაკი რუსეთის მმართველობის დამყარების დროიდან (1801 წ.) ხეობა ფაქტიურად ავალიშვილებს აღარ ეკუთვნოდა, ამიტომ იგი ხაზინას უნდა დარჩენოდა და საგუბერნიო პროკურორს მითითება მისცა, ამ მიმართებით დაეწყო საქმის ძიება. ყველა ამ მოსაზრების გასაბათილებლად ავალიშვილებმა გორის სამაზრო სასამართლოში 6 დოკუმენტი წარადგინეს და დაასახელეს 12 მოწმე სურამის, ტეზერისა და ცხრამუხის (ხაშურის რაიონის სოფლები) მცხოვრებთაგან.

ავალიშვილების მიერ წარდგენილი დოკუმენტებია:

1. სპარსეთის შაჰის (ჰუსეინის) სიგელი, გაცემული 1704 წელს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მამული, რომელიც ზაზა ბეგისათვის ლუარსაბ ბეგსა და მის მამას წაურთმევიათ, დაუბრუნდეს ზაზა ბეგს, მაგრამ ზაზა ბეგი ნებაყოფლობით ამ მამულს უბრუნებს ისევ ლუარსაბს, იმ მიზნით, რომ მან არასდროს მოითხო-

ვოს სადგერი თავისი კუთვნილი ადგილებით. სადგერი თავისი კუთვნილი ადგილებით რჩება მუდმივ მფლობელობაში ზაზა ბეგსა და ალიყული ბეგს (ბეგებად — ავალიშვილებია მოხსენიებული, ვ. ა.).

2. სპარსეთის იმავე შაჰის 1708 წელს გაცემული სიგელი ზაზა და ლუარსაბ ავალიშვილებზე. ამ სიგელის შინაარსი იგივეა, რაც პირველისა; თუ რატომ დასჭირდა შაჰს, განმეორებით გაეცა ეს სიგელი, გაურკვეველია.

3 და 4 დოკუმენტზე თარიღი არ არის აღნიშნული და ისინი ვახტანგ ბატონიშვილის მიერაა გაცემული (იგულისხმება ვახტანგ VI) გიორგი, ლუარსაბ და სხვა ავალიშვილების გაყოფაზე დავის გადაწყვეტის შესახებ. სადაო მამულებს შორის დასახელებულია სადგერი, ციხისჯვარი, გომარეთი, მიტარბი და ბორჯომის ხეობის კიდევ ზოგიერთი სოფელი.

5. მეფე ნაზარილიხანის სიგელი, გაცემული 1697 წელს ზაალ ავალიშვილზე და მის შვილებზე: ავალ, ზაზა, ქაიხოსრო და სიმონზე, რომლებსაც წარდგენილი საბუთის მიხედვით დაემტკიცათ აზნაურები, გლეხები, სასაფლაოები, სამოსახლოები, ზვრები, ხოდაბუნები, მთები, ვაკეები და სხვ. ამას გარდა მათვე უწყალობა ქავთარაძეების მამული ნეძვსა და კორტანეთში.

6. საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილება დამტკიცებული ერეკლე მეორის მიერ 1792 წლის 7 თებერვალს, ანტონ და ევსეი ავალიშვილებს შორის მამულების: ბრეთის, ტაშისკარის, ყვიბისის და სხვათა გაყოფაზე. დაკითხულ იქნენ, აგრეთვე, სურამის, ტეზერისა და ცხრამუხის მცხოვრებნი, სულ 39 კაცი, რომლებმაც დაადასტურეს: ა. ავალიშვილები ფლობდნენ ბორჯომის ხეობას, როგორც რუსების მმართველობის დროს, აგრეთვე, ქართველი მეფეების დროსაც, იღებდნენ გადასახადს მოკლულ ნადირზე, ტყის ჭრაზე და საძოვრებზე. საძოვრებიდან ყოველწლიურად ავალიშვილები 300—400 სულამდე მსხვილფეხა საქონელს ღებულობდნენ.

ბ. ავალიშვილებმა რუსების მიერ ახალციხის აღების შემდეგ სოფელ ბრეთიდან ბორჯომის ხეობაში გადმოასახლეს თავიანთი გლეხები.

გ. ავალიშვილები თურქების მმართველობის დროსაც სარგებლობდნენ ბორჯომის ხეობით და იქიდან შემოსავალს იღებდნენ.

დ. ავალიშვილებმა ბორჯომის ხეობაში ააგეს გოგიას ციხე, სალის ციხე და პეტრეს ციხე[1]. ყველა მოწმემ სხვადასხვანაირად უჩვენა ავალიშვილების სამფლობელოს საზღვრები, მაგრამ მათი ჩვენებებიდან შეიძლება დადგინდეს ამ სამფლობელოს ზუსტი საზღვრები. ეს სამფლობელო მოიცავდა თანამედროვე ბორჯომის ხეობას, სოფლების: ახალდაბის, დვირის, ქვაბისხევის და გუჯარეთის ხეობის სოფლების გამოკლებით; ამავე სამფლობელოში შედიოდა ცხრაწყაროს უღელტეხილის გადაღმა მდებარე სოფელი წითელი საყდარი (დღევანდელი ტაბაწყური) ტბით (ტაბაწყურის ტბა) და ნარიანის საძოვრები.

ყველა ზემოთ დასახელებული დოკუმენტიდან და მოწმეთა ჩვენებებიდან დასტურდება, რომ ბორჯომის ხეობა თავად ავალიშვილებს ეკუთვნოდა. მაგრამ ფაქტების წინააღმდეგ, გორის მაზრის საქმის წარმოების აღმასრულებელმა, ავალიშვილების საკუთრება ბორჯომის ხეობაზე არ ცნო და ასეთი მოტივები წამოაყენა: 1. დოკუმენტები, რომელიც სპარსეთის შაჰის მიერაა გაცემული, მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული, ვინაიდან შაჰს არ ჰქონდა უფლება ქართველი თავადებისათვის მიეცა მიწა; 2. მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება ბორჯომის ხეობის მამულით ავალიშვილების სარგებლობა და არა საკუთრება მასზე. ხაზინის მტკიცებით დადასტურებულია, რომ ავალიშვილები 100 წლის მანძილზე არ ფლობდნენ ამ მამულს და 3. რუსების საქართველოში დამკვიდრების დროიდან (1801 წ.), ბორჯომის ხეობა არ იყო ავალიშვილების მფლობელობაში.

დავა ავალიშვილებსა და ხაზინას შორის 20 წელი გაგრძელდა. ეს საქმე გორის სამაზრო სასამართლოში იყო. ამასობაში სასამართლოდან სხვა დოკუმენტებთან ერთად მოიპარეს ავალიშვილების მიერ სასამართლოში წარდგენილი ის 6 დოკუმენტი, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. 1842 წლის 10 იანვარს გორის სამაზრო სასამართლომ ამ საქმეზე განაჩენი გამოიტანა. მართალია, ავალიშვილების მიერ წარდგენილი დოკუმენტები საქმის გარჩევის დროს დაკარგული იყო, მაგრამ მათი შინაარსი ოქმებში ჩაწერილი აღ-

---

1 ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არსებობს საარქივო მასალა, რომელიც ავალიშვილებსა და ხაზინას შორის მამულზე წარმოებულ დავას ეხება. მასალები 226 ფურცელს (ხელნაწერს) შეიცავს. ბორჯომის მამულზე წარმოებული დავის შესახებ ყველა მასალა ამოღებულია ამ საარქივო დოკუმენტებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩნდა და ამიტომ სასამართლომ ამ ოქმებისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დაადგინა: ხაზინის ნამდვილი ძიება ბორჯომის ხეობაში მდებარე მამულის კუთვნილებაზე, როგორც დაუმტკიცებელი, უარყოფილ იქნეს; დარჩეს იგი თავად ავალიშვილების მემკვიდრეობით მფლობელობაში, იმ საზღვრებში, რომელშიც იმყოფებოდა ამ ძიების დაწყებამდე, რაც ჩაწერილია დასკვნის მესამე პუნქტში.

მართალია, გორის სამაზრო სასამართლომ საქმე ავალიშვილების სასარგებლოდ გადაწყვიტა, მაგრამ ხაზინამ არ დათმო ბორჯომის ხეობის თვალწარმტაცი და მეტად მდიდარი მამული. მან განაჩენზე უკმაყოფილება განაცხადა და საქმე სააპელაციოდ გადასცა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პალატას, რომელიც არ დაეთანხმა გორის სამაზრო სასამართლოს გადაწყვეტილებას შემდეგი მოსაზრებებით:

1. 1801 წელს რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ საქართველოში შექმნა სპეციალური კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენდა განეხილა საქართველოს მეფეების მიერ გაცემული ყველა დოკუმენტი და შესაფერისად დაემტკიცებინა ან უარეყო იგი და რაკი ავალიშვილების მიერ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტები ამ კომისიის მიერ არ იყო განხილული და დამტკიცებული, ამიტომ ისინი ვარგისად არ უნდა ჩათვლილიყო.

2. მოწმეთა ჩვენებები დამყარებული იყო განაგონზე და წინაპართა გადმოცემებზე, ამიტომ ეს ჩვენებანიც სასამართლოს მხედველობაში არ უნდა მიეღო.

3. ავალიშვილები 100 წლის მანძილზე არ ფლობდნენ ბორჯომის მამულს, ამიტომ მათი მემკვიდრეობის უფლება ხსენებულ მამულზე ძალადაკარგული იყო.

4. ავალიშვილების მამულის საზღვრები დღემდე არსებულ არც ერთ რუკაზე არ იყო აღნიშნული.

1844 წელს კავკასიაში მეფის ნაცვლად დაინიშნა მიხეილ ვორონცოვი და ამავე დროიდან ბორჯომი მის საზაფხულო რეზიდენციად იქცა. ამ დროისათვის ბორჯომის მინერალური წყლები, ტყეები და საუკეთესო კლიმატი უკვე ცნობილი იყო. ვორონცოვი გაეცნო რა ბორჯომის მინერალურ წყლებსა და მის მდიდარ ბუნებას, კარგად წარმოიდგინა ამ მამულის მნიშვნელობა ხაზინისათვის, დაინტერესდა და პირადად გაეცნო ავალიშვილებსა და ხაზინას შორის წარმოებულ დავას, რის შემდეგ მიიღო თავისებური

გადაწყვეტილება. მისი აზრით, ბორჯომის მამული უნდა დარჩენოდა ხაზინას. ამ გადაწყვეტილების განხორციელება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. თუ მამული ხაზინას დარჩებოდა, ამით მხოლოდ ავალიშვილები კი არ დარჩებოდნენ უკმაყოფილო, არამედ რუსეთის მთავრობის ასეთი პოლიტიკა მთელ ქართველ თავადაზნაურობაში უკმაყოფილებას გამოიწვევდა, ამიტომ ვორონცოვი ცბიერი პოლიტიკის გატარების გზას დაადგა. მან გადაწყვიტა, სადავო საქმის მოგვარება ზემდგომ ინსტანციებში გაეჭიანურებინა, რითაც აიძულებდა გაღატაკებულ ავალიშვილებს, მამული სრულიად იაფ ფასებში დაეთმო ხაზინისათვის. ჯერ კიდევ ვორონცოვის მოსვლამდე ავალიშვილების მამული შეფასებულ იქნა 29 000 მანეთად. საქმე, მართლაც, ძლიერ გაჭიანურდა. ბორჯომის ტყეები ნადგურდებოდა, რაც დიდ ზიანს აყენებდა ბორჯომს, როგორც კურორტს. ზიანის თავიდან ასაცილებლად ვორონცოვმა აუკრძალა ტყის ჭრა როგორც ავალიშვილებს, ისე სხვა პირებს იმ ადგილებში, რომლებიც საქმის დასრულებამდე ხაზინის უნდა ყოფილიყო. ავალიშვილებს საბატონო გადასახადის აღებაც აუკრძალათ. 1850 წლის მაისში ბორჯომში ჩამოვიდა მიწის მზომელი კალაშნიკოვი, რომელმაც ბორჯომის მამულის გეგმის აღება დაიწყო. ამ ფაქტმა ავალიშვილთა უკმაყოფილება გამოიწვია, მათ არ იცოდნენ, პალატაში 8 წლის მანძილზე რა ბედი ეწია მათ საქმეს, ანდა ვისი განკარგულებით ხდებოდა მამულის გეგმის აღება. 1851 წლის 12 ივნისს ავალიშვილებმა მოხსენებითი ბარათით მიმართეს ვორონცოვს. მათ აღწერეს სადავო საკითხის გაჭიანურების ფაქტი და სურვილი გამოთქვეს, მამულის იმ ნაწილის, რომელიც ხაზინას ესაჭიროებოდა, შეღავათიან ფასებში დათმობაზე. ვორონცოვს სთხოვეს, ჩარეულიყო ამ საქმეში და იგი დროულად დაემთავრებინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ თხოვნამ შედეგი არ გამოიღო. ბორჯომის მამულზე დავის საქმეში ჩაერია კავკასიის სამედიცინო ნაწილის უფროსი ექიმი ანდრეევსკი, რომელიც მხოლოდ პირადი გამდიდრებით იყო დაინტერესებული. ანდრეევსკი ძლივრ დაახლოებული იყო ვორონცოვთან და იცოდა, რომ ვორონცოვს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა იმპერატორთან. ექიმს იმედი ჰქონდა, თუკი ამ საქმეზე იგი ვორონცოვს სთხოვდა რაიმეს, მას ადვილად დაითანხმებდა და საქმესაც სურვილისამებრ გადააწყვეტინებდა. 1851 წლის ზაფხულში, როდესაც ვორონცოვი ბორჯომში ჩამოვიდა დასასვენებლად, მას თან ჩამოჰყვა პირადი ექიმი ანდრეევს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან დიმიტრი ავალოვმა წერა არ იცოდა ამის თხოვნით ხელს ვაწერ სვიმონ ავალოვი.

22 ივნისი 1851 წ. ბორჯომი[1].

ვორონცოვი ავალიშვილების თხოვნით ძლიერ ნასიამოვნები დარჩა, არ დააყოვნა და იმავე წლის 26 ივნისს, სადავო საქმის მოგვარების მიზნით, წერილით მიმართა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს. ეს წერილი გონებამახვილურად არის დაწერილი და მასში ის აზრია გატარებული, რომ ბორჯომის მამული აუცილებლად ხაზინას უნდა დარჩენოდა და ამავე დროს ავალიშვილებიც კმაყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ მთავრობისა იმ მცირედი პენსიით, რომელიც მათ უნდა დანიშვნოდათ. წერილში ჩამოთვლილია არსებული დავის წარმოშობის მიზეზები. მითითებულია, რომ ავალიშვილებს წარდგენილი საბუთების საფუძველზე ნამდვილად ეკუთვნით ბორჯომის მამული და თუ მათ ეს მამული ჩამოერთმევათ სახელმწიფოს მიერ, ეს უკმაყოფილებას გამოიწვევს, არა მარტო ავალიშვილებში, არამედ მთელ ქართველ თავადაზნაურობაში. წერილში აღნიშნულია, რომ ბორჯომის მამული მდიდარია სამშენებლო ტყით, რაც საჭიროა არა მარტო გორის მაზრისათვის, არამედ სწრაფადმზარდი თბილისისათვის, რომლის მოსახლეობამ 50 000 სულს გადააჭარბა; გარდა ტყისა, ბორჯომში მოიპოვება საუკეთესო სამკურნალო მინერალური წყალი, რაც კიდევ უფრო ადიდებს ბორჯომის მამულის მნიშვნელობას. შემდეგ წერილში დასახელებულია ის ექვსი პირობა, რომელიც ავალიშვილებმა ჩამოაყალიბეს ვორონცოვისადმი მირთმეულ თხოვნაში და სთხოვს იმპერატორს, რომ ეს მუხლები დაამტკიცოს და ავალიშვილების მიერ მოთხოვნილი სამემკვიდრეო პენსია, ყოველწლიურად 4 500 მანეთი, გაადიდოს 5000 მანეთამდე, რაც ძლიერ უმნიშვნელო თანხა იქნება ბორჯომის მდიდარი მამულის ღირებულებასთან შედარებით. ვორონცოვი დაბეჯითებით სთხოვს იმპერატორს, ძლიერ დააჩქაროს ამ საკითხის გადაჭრა, ვინაიდან საქმის გაჭიანურებით ბორჯომის მამულის ტყეები განადგურდება. ვორონცოვი ვარაუდობდა, რომ ბორჯომის მამული ორ წელიწადში აანაზღაურებდა

---

1 იხ. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული საარქივო მასალა. ფურცელი 26, 27, 28 და 29. ტექსტი ქართულადაა დაწერილი, იქვე ახლავს რუსული თარგმანიც.

მთელ იმ თანხას, რაც ავალიშვილებზე ათეული წლების მანძილზე გაიცემოდა.

1851 წლის 19 ივლისს იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ავალიშვილების მიერ წარდგენილი მუხლები ვორონცოვის შუამდგომლობის მიხედვით დაამტკიცა, რაც სასწრაფოდ ეცნობა ვორონცოვს. ამ მიმართვაში ნათქვამი იყო:

«Милостивый Государь, Князь Михаил Семенович.

Государь Император, прочитав письмо Вашего Сиятельства от 26 июня сего года о производстве Князьям Аваловым взамен прав их на находящееся в Боржомском ущелье спорное с казною имение, ежегодного потомственного пенсиона в **пять тысяч** рублей серебром, сначала из общих доходов закавказского Края до тех пор, пока переходящее в ведение казны имение принесет соразмерный доход, а также о предоставлении Вам милостивый Государь, принять скорейшия меры к устройству в сем имении правильного хозяйственного и лесного управления и об утверждении всех остальных пунктов прощения Князей Аваловых, — высочайше соизволил на сем письме собственноручно написать, «Исполнить»[1]. ამ მომართვას ხელს აწერს სტ. სეკრ. ბუტკოვი.

1851 წლის 9 აგვისტოს მთავრობის სენატმა იმპერატორის გადაწყვეტილება დაამტკიცა და იმავე წლის 17 აგვისტოს ბრძანებაც გამოქვეყნდა. ეს ბრძანება გამოუცხადეს ავალიშვილებს და ჩამოართვეს სათანადო ხელწერილი, რომლითაც ისინი ამიერიდან ხელს იღებდნენ ბორჯომის ხეობის მფლობელობაზე. ამავე დროს ავალიშვილებმა პირობა დადეს და იკისრეს იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც მათ ჩამოაყალიბეს ვორონცოვისათვის მიცემულ თხოვნაში. 1852 წლის მაისში შედგენილ იქნა ხაზინასა და ავალიშვილებს შორის მორიგების სიგელი და დამტკიცდა ბორჯომის მამულის საზღვრები გორის სამაზრო სასამართლოს 1842 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებაში აღნიშნული საზღვრების მიხედვით. 1852 წლის დეკემბერში ავალიშვილებმა სასამართლო პალატაში წარადგინეს მამულის სანაცვლოდ მათთვის დანიშნული

---

1 ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალები, ფურც. 45.

კი. ანდრეევსკი შეეცადა, ბორჯომში ყოფნა შესაფერისად გამოყენებინა თავისი მიზნების განხორციელებისათვის და ავალიშვილებთან მოლაპარაკება დაიწყო. იგი მათ დაჰპირდა სადავო საკითხის მათთვის სასურველად დამთავრებას, სამაგიეროდ მამულის ერთი მეათედი ნაწილი მოითხოვა. ავალიშვილები უყოყმანოდ დათანხმდნენ. ანდრეევსკიმ იფიქრა, შევცდი, ცოტა მოვთხოვე, თორემ ასე ადვილად როგორ დამთანხმდებოდნენო და მოსთხოვა ერთი მეხუთედი ნაწილი. ავალიშვილებმა ამაზედაც თანხმობა განაცხადეს. ახლა ანდრეევსკიმ მამულის ნახევარი მოითხოვა. „თუნდაც დაიღუპოს ყველაფერი, ნახევარს კი არ მოგცემთ“, — უპასუხეს ავალიშვილებმა.

ვორონცოვმა შეიტყო ანდრეევსკის მოქმედება და გადაწყვიტა სადავო საქმე მისი ჩარევის გარეშე მოეგვარებინა. სამოქალაქო პალატიდან საქმე გამოითხოვა და მისი განხილვა-შესწავლა დაავალა სალაშქრო კანცელარიის უფროსს ბარონ ალექსანდრე პავლეს-ძე ნიკალაის, თავის ადიუტანტს დონდუკოვ-კორსაკოვს და ერთ-ერთ სწავლულ იურისტს. მათ საქმე სასწრაფოდ შეისწავლეს და მოახსენეს ვორონცოვს, რომელმაც ამავე კომისიას დაავალა, ურჩიოს ავალიშვილებს, თხოვნით მიმართონ ვორონცოვს საქმის შეწყვეტის შესახებ, მამული დაუთმონ ხაზინას და სამაგიეროდ მოითხოვონ არა ერთდროული საზღაური, რასაც შეეძლო დაემძიმებინა ხაზინის ფინანსური მდგომარეობა, არამედ სამუდამო პენსია ყოველწლიური გაცემის წესით. 1851 წლის ივნისის შუა რიცხვებში ანდრეევსკი ცოლის ავადმყოფობის გამო კოჯორს წავიდა. კომისიამ ავალიშვილებს ურჩია, თხოვნის მიცემა დაეჩქარებინათ, რათა საქმე ანდრეევსკის ბორჯომში დაბრუნებამდე დამთავრებულიყო. ვორონცოვის პოლიტიკამ გაჭრა. ავალიშვილებმა 1851 წლის 22 ივნისს თხოვნით მიმართეს ვორონცოვს, რომელშიც ჩამოაყალიბეს თავიანთი მოსაზრებანი და სურვილები სადავო საქმის გადაჭრა-დამთავრების შესახებ. თხოვნის ტექსტში ნათქვამია: ჩვენ გვაქვს პატივი შევრდომილ ვჰყოთ კეთილ მიდრეკილებითს განხილვას ქვეშე თქვენი ბრწყინვალებისას ქვემორე წინადადებანნი ჩვენნი:

ა) მოსასპობად ყოვლის უშორესის დავისა ჩვენ ვართ თანახმანი დავუთმოთ ხაზინას ყოველი სიმართლე ჩვენ მამულებსა ზედა, რომელსაცა დაობს ჩვენგანა ხაზინა, რომელიცა არის მოხსენებული განჩინებასა შინა გორის უეზდის სუდის, უკეთუ ნაცვლად

შისს ჩვენდა ერთბაშად დანიშნულ იქნება საშვილიშვილოდ პენსია ოთხი ათას ხუთასი მანეთი თეთრი ფული წელიწადში.

ბ) ჩვენდა მოცემულ იქნება რა ვითარი პენსია ვიკვროთ წარმოუდგინოთ თქვენს ბრწყინვალებას დაწესებული აქტი, რომლითაც ჩვენ, ჩვენთვის ან მემკვიდრეთა ჩვენთათვის უარვყოფთ რომელ არავითარი დავა არღა ვიქონიოთ დავებულს აწ ხაზინას და ჩვენს შორის მამულებზედა.

გ) გადმოსახლებულთა მთავრობის გადაწყვეტილებით საკუთართა გლეხთა ჩვენთა აწ დავებულს მამულებსა შინა ჩვენ ვიკვრით უკეთუ წინადადებათ ჩვენი ღირს შეიქმნება უმაღლესად დამტკიცებისა მიმდინარეობასა წინა ერთის წლის დროითგან ჩვენდა გამოცხადების ვითარის დამტკიცების გარდავასახლოთ დაბრუნებითვე სხვა ჩვენს თავისუფალ მამულებს შინა მთავრობის შემწეობით. და უკეთუ ჩვენ დანიშნულ დროზე ეს არ შევასრულოთ, მაშინ ეს გლეხები დაშთეს ხაზინას, მოგვცეს კი ჩვენ მხოლოდ დადებული კანონით ფასი.

დ) ქონებული ჩვენდა საკუთარი სახლები და მომართულობა სადაოს მამულსა შინა არ შეიძლება დაშთეს ჩვენს სარგებლობაში თვინიერ საკუთარის პირობის შეკრულობის ხაზინასა თანა.

ე) განაწილება თხოვნილის ჩვენ მიერ ჩვენის მამულების სამაგიეროთ პენციონის შორის ყოველით მონაწილეთა ჩვენის სახლისათა უნდა იწარმოვოს მაშინვე ოდესცა დამტკიცდება ჩვენგან წინადადებული, რომლისათვის ვიკვრით წარმოვადგინოთ საბუთნი იმ ნაწილის ვისაცა ჩვენგანს რაოდენი ეკუთვნის და

ვ) დასასრულ ამის უმორჩილესად გთხოვთ რათამცა გარდაწყვეტილ იყოს თხოვილი ჩვენგან საშვილისშვილო პენსია მივიღოთ ჩვენ გორის უეზდის ხაზინიდან.

თავადი პეტრე ავალოვი
თავადი ზაზა ავალოვი
პრაპორჩიკი თავადი დავითის ძე სვიმონ ავალოვი
თავადი ესტატე ავალოვი
გარდაცვალებულის თავადის ზაალ ავალოვის კნეინა ნინო
თავადი ივანე ავალოვი
თავადი სვიმონ ნიკოლოზის ძე ავალოვი
გარდაცვალებულის თავადის ქაიხოსრო ავალოვის კნეინა ნინო

ბებს ბორჯომის ხეობა, არსებობს მრავალნაირი, ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრი. პროფ. ს. ჯიქიას აზრით: „ძველად, აგრეთვე, XVI საუკუნეში (ე. ი. „ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედგენის დროს) და არც შემდეგ დიდ ხანს, ყოველ შემთხვევაში, XIX საუკუნემდე, არც დღევანდელ ბორჯომის ხეობას ერქვა ბორჯომის სახელი და არც რომელიმე სხვა პუნქტი ამ ხეობაში ბორჯომის სახელწოდებით ცნობილი არ არის“[1]. ისტორიკოს დ. ბაქრაძის მიხედვით კი: „ბორჯომის ხეობა ამ ადგილებს მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაერქვა“[2]. პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე ს. ჯიქიას საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, „რომ მაშასადამე, თვით XVIII საუკუნეში, თუმცა უკვე გაუკაცრიელებული პუნქტის „ბორჯომის“ სახელწოდება უკვე ცნობილი ყოფილა დღევანდელ ბორჯომის ხეობაში, იქ, სადაც დღეს არსებობს ბორჯომი, თუმცა რასაკვირველია, თვით ხეობას არ უტარებია ეს სახელი, რადგან მას მარტივად „ხეობა“ ეწოდებოდა“[3]. ამ დებულების დასამტკიცებლად გ. ლეონიძეს მოაქვს კასპიის ესკადრის კაპიტნის შიუკინის 1785 წლის „რაპორტი“, რომელშიც ნათქვამია: „თუმცა სურამიდან კაპიტანმა რენენბერგმა ლეკებისაგან და თურქებისაგან შემდგარი ბრბოები დაამარცხა და გაფანტა ქვიშხეთის ტყეში, მაგრამ ბორჯომში მდგარი ქართული საყარაულო რაზმი ორმოცი კაცისაგან შემდგარი, იძულებული გახდა, ლეკებსა და თურქებს დანებებოდა“[4]. გ. ლეონიძე ფიქრობს, რომ შიუკინის „პატაკში“ ნახსენები „ბორჯომი“ მდებარეობდა თანამედროვე ბორჯომის ტერიტორიაზე. ვფიქრობთ ეს აზრი სწორი არ არის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ 1785 წლისათვის დღევანდელი ბორჯომის ტერიტორიაზე არც საგუშაგო არსებობდა და არც „ბორჯომის“ სახელწოდების რაიმე პუნქტი. დავუშვათ, დღევანდელი ბორჯომის ტერიტორიაზე არსებობდა პუნქტი „ბორჯომი“ და იქ იდგა ქართული საყარაულო რაზმი, მაშინ რამ აიძულა ეს რაზმი თურქებს ბრძოლაში დანებებოდა ქვიშხეთის მახლობლად, საიდანაც ბორჯომამდე 30 კილომეტრზე მეტია? სინამდვილეში შიუკინის „პატაკში“ მოხსენიებული პუნქტი „ბორჯომი“, ის ბორჯომია, რომელიც ტაშისკართან, სწორედ იქ, საიდანაც ბორჯომის ხეობა იწყება, არ-

1. ს. ჯიქია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. III, გვ. 473.
2 იქვე, გვ. 110.
3 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1961, 3. VI, № 16.
4 იქვე.

სებობდა. ბორჯომის ხეობის დასაწყისში — ტაშისკართან, ანუ, სადაც დღეს რკინიგზის ხიდია, მტკვრის მარცხენა ნაპირას არსებობდა საყარაულო კოშკი, რომელიც ბორჯომის სახელს ატარებდა („ბორჯომის კოშკი")[1]. სწორედ აქ იყო საგუშაგო და, ალბათ, 1785 წელს აქ მდგარი რაზმი დანებდა თურქებს. ვახუშტი ბაგრატიონს თავის „გეოგრაფიაში" და ატლასებში დღევანდელი ბორჯომის ხეობაში ბორჯომის სახელწოდებით რაიმე პუნქტი ან ხეობა, აგრეთვე ტაშისკართან არსებული ბორჯომის კოშკი აღნიშნული არა აქვს. უნდა ვივარაუდოთ, როდესაც ვახუშტიმ თავისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" დაწერა (XVIII ს. 40-იანი წლები), ტაშისკართან არსებული კოშკი იარსებებდა, მაგრამ იგი არ ატარებდა ამ სახელწოდებას, როგორც ჩანს, ეს სახელი შემდეგ შეარქვეს. 1772 წელს ე. გიულდენშტედტის აღწერაში ნაჩვენებია: „სურამიდან ზევით (მტკვრის მარცხენა მხარეზე) მდებარეობს ბორჯომი, ახალდაბა (ციხე), ქიმერეთი, ნეძვი, კორტანეთი, ზანავი, ყვიბისი, თორი, ეშმაკთუბანი, ჭალა, ნუა, ფაფა, ლიკანი, ყვერბილი, პეტრეს ციხე, ჭობისხევი. ყველა ეს სოფლები[2] განადგურებულია და ამასთან ქმნიან საზღვარს საქართველოსა და თურქებს შორის"[3]. ამრიგად, ე. გიულდენშტედტი ხეობის შესავალში პირველ პუნქტად ასახელებს ბორჯომს, შემდეგ ახალდაბასა და ქიმერეთს. აქ პუნქტები ზუსტი თანამიმდევრობით არის დასახელებული — ქვემოდან ზევით და ამ დასახელებით პუნქტი „ბორჯომის" არსებობა სწორედ ტაშისკართან არსებულ „ბორჯომის კოშკს" ემთხვევა. სავარაუდოა, რომ ტაშისკართან არსებულ საყარაულო კოშკს და მის მიდამოებს ბორჯომი დაერქვა XVIII საუკუნის 40—70-იან წლებში, ე. ი. ვახუშტის მიერ „გეოგრაფიის" დაწერიდან ა. გიულდენშტედტის მოგზაურობამდე (1745—1772 წწ.). ტაშისკართან არსებული კოშკისა და მისი მიდამოების სახელწოდება „ბორჯომი" აქ, უთუოდ, სამცხიდანაა მოტანილი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" ახალციხის ლივაში, ჭაჭარაქის ნაჰიერში — სოფ. ანდრიაწმინდასთან დასახელებულია

---

[1] ეს კოშკი გზის გასაფართოებლად წარმოებული სამუშაოების დროს დაინგრა 1949 წელს. ვ. ა.

[2] ტექსტში წერია: „Alle diese oerter sind Wüste" ყველა ეს პუნქტები განადგურებულია და არა „ეს სოფლები", როგორც გ. გელაშვილის მიერ არის თარგმნილი. ვ. ა.

[3] ე. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 217—219.

სამემკვიდრეო პენსიის, 5000 მანეთის, განაწილების აქტი, სადაც აღნიშნული იყო, თუ ვის რამდენი უნდა მიეღო ამ 5000 მანეთიდან. გორის სამაზრო ხაზინას ავალიშვილებზე პენსიის გაცემის დროს ამ აქტით უნდა ეხელმძღვანელა. ამრიგად, დავა, რომელიც დაიწყო ავალიშვილებსა და ხაზინას შორის ბორჯომის მამულის თაობაზე, 1852 წელს დამთავრდა. ბორჯომის მამული ხაზინას დარჩა, ავალიშვილებს კი მემკვიდრეობითი პენსია დაენიშნათ — წელიწადში 5000 მანეთი. ნაკისრი ვალდებულების თანახმად ავალიშვილებმა 1853 წელს თავიანთი გლეხები სადგერიდან, ნუადან და გოგიას ციხიდან ქართლში (ბრეთში) თავიან მამულებში გადაასახლეს. XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან ბორჯომის ხეობაში ავალიშვილთა სათავადო მოიშალა, ხეობას ხაზინა დაეპატრონა. არსებულ ისტორიულ პირობებში ბორჯომის ხეობაში სათავადოს გაუქმება და ბორჯომის მამულის ხაზინის ხელში გადასვლა, პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იმ დროს, როდესაც საქართველოში კაპიტალიზმის განვითარება უკვე შესამჩნევი იყო, თავად ავალიშვილებს ბორჯომის მამულის მოწყობა ბურჟუაზიული ტიპის მამულად არ შეეძლოთ. ბორჯომის მამულს განსაკუთრებული თავისებურება გააჩნდა, აქ არსებობდა ძვირფასი სამკურნალო-მინერალური წყალი, რომლის კეთილმოწყობისა და რაციონალური ექსპლოატაციისათვის წინასწარ საკმაო ოდენობის თანხის დაბანდება იყო საჭირო, რაც ავალიშვილებს არ გააჩნდათ. მათ იმის ფულიც ვერ გამონახეს, რათა ყველა ერთად, თბილისში ჩასულიყვნენ, რაც მორიგების სიგელისათვის იყო საჭირო, და მინდობილობით ექიმი ანდრეევსკი გაგზავნეს. 1852 წლისათვის ავალიშვილებს 12000 მანეთი ხაზინის ვალი ჰქონდათ და როგორღა შეეძლოთ მათ ბორჯომის მამულისა და პირველ რიგში მინერალური წყლების კეთილმოწყობისათვის თანხის გაღება? ავალიშვილებს შეეძლოთ, ბორჯომის ხეობის მდიდარი ტყეების გაჩეხვა ეწარმოებინათ, „საბალახო“ აეღოთ და ნადირის მოკვლისათვის გადასახადი გადაეხდევინებინათ. ბორჯომის მამულის მოწყობა კაპიტალისტურ საწყისებზე, რაც გარკვეული ოდენობის თანხის დაბანდებას მოითხოვდა, შეეძლო მხოლოდ ხაზინას და ამიტომ მისთვის მამულის გადაცემა პროგრესული აქტი იყო.

1854 წლიდან ახალი დავა დაიწყო ბორჯომის მამულზე, ამ შემთხვევაში დავა ხაზინასა და დიმიტრი ყიფიანს შორის გაიმართა. დავა შემდეგი მიზეზით მოხდა: 1848 წელს, როდესაც ხაზინასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავალიშვილებს შორის წარმოებულ დავას ჯერ კიდევ დასასრული არ უჩანდა, დავის მონაწილე ზურაბ ავალიშვილს უფიქრია, რომ დავა ხაზინის სასარგებლოდ გადაწყდებოდა და ამიტომ თავისი ნაწილი ($\frac{1}{10}$) ბორჯომის მამულისა, ქაიხოსრო ყიფიანისათვის (დიმიტრი ყიფიანის ძმა) მიუყიდია. 1852 წელს, როდესაც დავა დამთავრდა და ავალიშვილებს პენსია დაენიშნათ, მათ პენსიის განაწილების აქტში ზურაბ ავალიშვილი არ შეიყვანეს, ვინაიდან ამ უკანასკნელმა უარი თქვა სოფ. ბრეთში თავისი მამულის განაწილებაზე. ქაიხოსრო ყიფიანმა ზურაბ ავალიშვილიდან შესყიდული ბორჯომის მამულის ერთი მეათედი ნაწილის ძიებაზე მინდობილობა თავის ძმას — დიმიტრი ყიფიანს მისცა. დიმიტრი ყიფიანმა საჩივარი სათანადო ორგანოებში აღძრა და მოითხოვა ავალიშვილებზე გასაცემი პენსია 5000 მანეთის ერთი მეათედი ნაწილი (500 მანეთი) ან შესაფერისი ოდენობის ტყე აჯამეთის მამულში, ან სურამის უღელტეხილზე. ყიფიანის საჩივარი 17 წელი გაგრძელდა და დამთავრდა იმით, რომ მას სურამის უღელტეხილზე 3750 დესეტინა საშეშე ტყე მისცეს. 1853 წელს თავადმა თაქთაქიშვილებმა საჩივარი აღძრეს, თითქოს მათი კუთვნილი რველის ხეობა ხაზინაზე გადაცემული ბორჯომის მამულის საზღვრებში მოჰყვა. მათ მოითხოვეს აღნიშნული ადგილის უკან დაბრუნება ან 2500 მანეთი მემკვიდრეობითი პენსიის დანიშვნა. მთავრობამ თაქთაქიშვილების საჩივარი უყურადღებოდ დატოვა.

§ 5. ბორჯომის ხეობა და მისი მინერალური წყლები

როგორც აღვნიშნეთ, დღევანდელი ბორჯომის ხეობა XV—XVI საუკუნეებში სამი ხეობისაგან შედგებოდა და სადგერის ხეობად იწოდებოდა[1]. სახელწოდება „ბორჯომის ხეობა“ მაშინ ჯერ კიდევ ხმარებაში არ იყო. სადგერის ხეობის ერთი ნაწილი ეს იყო მტკვრის ხეობა — ტაშისკარიდან სლესის ციხემდე, მდინარე მტკვრის ორივე სანაპირო. სწორედ ამ ხეობას ეწოდა შემდგომში ბორჯომის ხეობა და ეს სახელწოდება თანდათან გავრცელდა სადგერ-გუჯარეთის ხეობებზედაც და საბოლოოდ მივიღეთ სახელი „ბორჯომის ხეობა“. იმის შესახებ, თუ როდის ან რატომ ეწოდა ჯერ მტკვრისა და შემდეგ სადგერ-გუჯარეთის ხეო-

---

[1] ვახუშტი. აღწერა, გვ. 84.

სოფ. ბორჯომი (ხუთკომლიანი სოფელი)[1]. ვახუშტიც ბორჯომს ამ ადგილზე ასახელებს. იგი წერს: „ამ ხევს ზეით, ახალციხეს ერთვის ურიებთან ბორჯომისხევი“[2]. ამრიგად, სოფ. ბორჯომის არსებობა XVI საუკუნისათვის სამცხეში უდავოა (დღეს იქ ნასოფლარიღა შემორჩა ბორჯომის სახელწოდებით, ვ. ა.). როგორც ცნობილია, სამცხის ოსმალთაგან მიტაცების შემდეგ, აქაური მოსახლეობის საკმაო ნაწილი აიყარა და ქართლ-იმერეთს შეაფარა თავი. ახალმოშენენი, იმ მიზნით, რომ არ დაევიწყებინათ თავიანთი მამაპაპეული სოფლის, ციხისა თუ სხვა ადგილის სახელწოდება, იმ ადგილს, სადაც ახლად სახლდებოდნენ, თავიანთი ძველი საცხოვრებელი ადგილის სახელს არქმევდნენ. ასე უნდა მომხდარიყო ტაშისკართან არსებული კოშკისათვის „ბორჯომის“ დარქმევა. აქ, ტაშისკართან „ბორჯომი“ მარტო კოშკს კი არ უნდა რქმეოდა, არამედ დასახელებულ პუნქტსაც, ვინაიდან გიულდენშტედტი ტერმინ „ბორჯომის“ ქვეშ განადგურებულ კოშკს კი არ გულისხმობდა, არამედ განადგურებულ პუნქტს და მხედველობაში აქვს განადგურებული სოფელი. რაც შეეხება კოშკს, იგი იმ დროს განადგურებული არ იყო. სამცხიდან მოტანილი სახელწოდება უნდა იყოს, აგრეთვე: დიდი ჭაჭარაქი, პატარა ჭაჭარაქი (ორივე სოფელი XIX საუკუნის II ნახევრიდან არსებობს სოფ. ახალდაბის აღმოსავლეთით, მდინარე ნეძვურას ხეობაში. 1945 წელს აქაური მცხოვრებნი ახალდაბაში გადმოსახლდნენ და დღეისათვის ეს სოფლები აღარ არსებობს) და ვაშლოვანი (მდებარეობს ქალაქ ბორჯომიდან 3 კილომეტრზე). დოკუმენტების საფუძველზე მტკიცდება, რომ ტაშისკართან არსებულ კოშკს „ბორჯომი“ შეარქვეს ახალციხის ლივადან — სოფ. ბორჯომიდან გადმოსახლებულმა ქართველებმა XVIII საუკუნის 40—70-იან წლებში. ამიტომ არ შეიძლება დავეთანხმოთ მკვლევარ ა. ბრეგვაძეს, რომელიც წერს: „XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან, რუსეთის სამხედრო მოხელეებმა ტაშისკარს უწოდეს ბორჯომი, „ბორჯომის ბლოკჰაუსი“ და შეიტანეს სამხედრო-ტოპოგრაფიულ აღწერილობაში“[3].

---

1 ს. ჯ ი ქ ი ა. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. III, გვ. 221—222.

2 ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა, გვ. 124.

3 ა. ბ რ ე გ ვ ა ძ ე. ბორჯომის სახელწოდების წარმოშობისა და მისი ისტორიის საკითხისათვის, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველი სამეცნიერო სესიის მასალები, 1963, გვ. 4.

ამ მოსაზრების გასამართლებლად ბრეგვაძე ასახელებს 1817 წელს რუსეთში გამოცემულ ორ რუკას, რომლებშიც ბორჯომი ტაშისკართანაა აღნიშნული, ეს სრულებითაც არაა გასაკვირი, იმ ადგილზე „ბორჯომი“ უკვე 1770-იანი წლებიდან იყო ცნობილი, მაგრამ იმის აღიარება, რომ ამ ადგილს რუსებმა შეარქვეს ბორჯომი, სწორი არ არის. რუსებისათვის XVIII საუკუნის 70-იან წლებში ახალციხის სამხრეთით მდებარე სოფ. ბორჯომი და ბორჯომის ხევი სრულიად უცნობი იყო და ტაშისკარისათვის სახელწოდება ბორჯომის შერქმევა მათ იმ პერიოდში, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (არა უგვიანეს 1807 წლისა), ქართლის დაცვის მიზნით, რუსეთის მთავრობამ ტაშისკართან „ბლოკჰაუსი“ შექმნა, რომელსაც „ბორჯომის ბლოკჰაუსი“ უწოდა, სადაც 1807 წლამდე მხოლოდ ქართული მილიციის ქვეითი და ცხენოსანი რაზმები იდგნენ და მათ 1807 წელს სურამში მდგარი მე-9 ეგერთა პოლკის 2 ასეული დაემატა. „ბლოკჰაუსი“ სწორედ იმ ადგილზე გაიმართა, სადაც ბორჯომის საგუშაგო კოშკი არსებობდა და სწორედ, ამიტომ „ბლოკჰაუსს“ ამ კოშკის სახელი უწოდეს ქართული მილიციის იმ რაზმებმა, რომლებიც პირველად აქ დაბანაკდნენ. ბორჯომის „ბლოკჰაუსში“ მდგარი ქართული მილიციისა და რუსული ეგერთა პოლკის ნაწილები ხშირად დადიოდნენ მტკვრის ხეობაში, ახალციხის მიმართულებით, სადაზვერვო თუ საბრძოლო ოპერაციებზე, აგრეთვე, შეშის დასამზადებლად და სწორედ მათ მიაკვლიეს პირველად ბორჯომის მინერალურ წყალს. ამ დროისათვის ეხლანდელ ბორჯომის ხეობას „მტკვრის ხეობა“ ერქვა, ანდა მარტივად — „ხეობა“. რუსი ჯარის კაცებისა და ოფიცრებისათვის სახელწოდება „მტკვრის ხეობის“ გამოთქმა ყოველდღიურ საჭიროებას წარმოადგენდა, რაც მათთვის, გამოთქმის თვალსაზრისით, ძნელი და ნაკლებ მოსახერხებელი იყო, სამაგიეროდ, მათ პრაქტიკულ მეტყველებაში (ლექსიკაში) უკვე დამკვიდრებული იყო მათთვის მეტად ადვილად გამოსათქმელი სიტყვა — „ბორჯომი“ («Боржоми»), «Боржомский блокгауз» (სიტყვა «Боржом»-ის მსგავსი სიტყვები რუსულ ენაში მრავლად არსებობდა, მაგ. «уржум» და სხვ.) და სწორედ ამიტომ, ე. ი. რომ გამოთქმა გაადვილებოდათ, „მტკვრის ხეობის“ მაგიერ მეტყველებაში „ბორჯომის ხეობა“ — «Боржомское ущелье» შემოიტანეს, რაც შემდგომში დამწერლობაშიც (მოხსე-

ნებითი ბარათებისა და რუკების შედგენის დროს) დაკანონდა. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად დავასახელებთ რამდენიმე დოკუმენტს. მ. ტომკეევი წერს: «Боржомское ущелье в глубокой древности называлось «хеоба», т. е. горный проход или большое ущелье. Название «Боржомское ущелье» вошло в употребление при русском владычестве, грузины же называли это ущелье «Мтквpис хеоба», т. е. «Ущелье Куры», а теперь «Боржомис хеоба»[1].

გაზეთ «Кавказ»-ის ერთ-ერთ კორესპონდენციაში ამ საკითხზე შემდეგია ნათქვამი: «В 9-ти верстах от Сурами вы уже услышите шумный, неумолчный говор Куры, которая пробиваясь сквозь горы, быстро несется к вам навстречу. Тут начинается Боржомское ущелье, или правильнее, ущелье Куры — мтквpис хеоба, — Боржомским же оно названо недавно, едва ли не русскими, не захотевшими вероятно ломать себе языка... Несколько старожилов уверяют, что при входе в ущелье от стороны Сурами, находилась сторожевая башня называемая Боржомскою, действительно до сего времени заметны при входе в ущелье остатки не только башни, но и бывшего некогда каменного моста и большого замка, расположенного на самой вершине высокой, конической горы»[2].

დოკუმენტიდან ჩანს, რომ ახლანდელ ბორჯომის ხეობას, ეს სახელი რუსებმა მიაკუთვნეს, საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, თუ რომელ წელს, ამის განსაზღვრა მხოლოდ დაახლოებით შეიძლება. სახელწოდება „ბორჯომის ხეობა“ წერილობით წყაროებში 1819 წლიდან ჩანს, მაგ., „მის აღმატებულებას უფალს ღენერალ ლეიტენანტს საქართველოს (განმგებელს) თანამდებობის აღმსრულებელს და კავალერს ივან ალექსანდრიჩს... გორის უეზდისა შინა მცხოვრებელთა თავად ავალოვთა თხოვნა.

ყამთა ვითარებისაგან ჩვენი საკუთარი მამული — ბორჯომის ხეობა, მტერთაგან აოხრებული იყო და ამა მიზეზით ჩვენი ყმებით ვცხოვრობთ აქამდის ბრეთსა, რომელიც ფრიად ნაკლულევან არს მამულით ჩვენ და ყმათა ჩვენთათვის. ამისათვის აწ გვნებავს მუ-

---

1 Томкеев М. დასახ. შრომა, ფურ. 1.

2 «Кавказ», 1852, 2.VI, № 33.

ნით აყრა და გარდასახლება ხსენებულსა ხეობას ბორჯომსა შინა და უმდაბლესთ გთხოვთ თქვენის აღმატებულესობისაგან, რომელ ახალ დასახლებულთა ყმათა ჩვენთა, რომელნიც ბრეთიდან უნდა გარდვიყვანოთ ბორ/ჯ/ომის ხეობასა ნასოფლარს სადგერსა და მიეცეს რაოდენისამე წლით ბეგარისაგან შეუწუხლობა და რადგანაც გახლდებიან ახალ მოშენენი კაცნი და უბრძანოს სადაც ჯერ არს მათ ზედა ესე ჩემი თხოვნილი და მოვიღო შასაბამი კმაყოფილება მამობრივისა თქვენისაგან. ნოემბრის ლ დღესა ჩყით წელს[1] თავადი გიორგი ავალოვი, თავადი სოლომონ ავალოვი"[2].

ეს არის პირველი წერილობითი წყარო, სადაც აღნიშნულია მტკვრის ხეობის სახელწოდებად „ბორჯომის ხეობა". ვფიქრობთ, რომ 1807 (როდესაც ბორჯომის „ბლოკჰაუსში" რუსული ჯარის ნაწილი დაბანაკდა) — 1819 წლებში მტკვრის ხეობას სახელი გამოეცვალა და დაერქვა „ბორჯომის ხეობა".

სიტყვა „ბორჯომის" ეტიმოლოგიას ბევრი მკვლევარი შეეხო, განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში, მაგრამ დღეისათვის ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. ხალხური გადმოცემების მიხედვით, სიტყვა „ბორჯომი" ორი ნაწილისაგან შედგება: „ბურჯი" და „ომი" და ნიშნავს ომის ბურჯს (საყრდენს). ზოგიერთის აზრით, „ბორჯომი", „ბორჯი"-სა და „ომი"-საგან შედგება და ომის ვალს (ბორჯი—ვალი, თურქულია) ნიშნავს. ასეთნაირად „ბორჯომის" ახსნა, ვფიქრობთ, სწორი არ არის. სინამდვილეში „ბორჯომი", მართლაც, ორი ნაწილისაგან შედგება: „ბორჯი" და „ომი". მეორე ნაწილი მთელი რიგი ქართული გეოგრაფიული სახელებისათვის დამახასიათებელ დაბოლოებას წარმოადგენს, დიღომი, წრომი, გომი, თორთომი, ბათომი და სხვა მრავალი, ე. ი. „ომი" სიტყვა „ბორჯომის" დაბოლოებაა. დარჩა გასარკვევი, თუ რას ნიშნავს „ბორჯი". ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ სიტყვის ორნაირი განმარტებაა მოცემული: 1. „ბორჯი" — ფესვი, ბორჯს გაიდგამს, ფესვს გაიდგამს, გადატანით — ერთ ადგილზე დიდხანს დარჩენა", 2. „ბორჯი", კუთხური (გურულ-იმერული), მორიგეობის დრო, ჯერი, რიგი, ვადა"[3]. მეორე განმარტებიდან ვგებულობთ, რომ „ბორჯი" ნიშნავს მორიგეობის დროს, და „ბორ-

---

1 1819 წლის 30 ნოემბერი.

2 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, ფ. 1491, ს. 94, გვ. 1 და IV.

3 „განმარტებითი ლექსიკონი", ტ. I, გვ. 1108—1109.

ჯომი“ იმ ადგილის სახელწოდებად, სადაც მორიგეობა სრულდებოდა, უთუოდ, მიზანშეწონილი და შინაარსობრივად გამართლებულია. აღვნიშნეთ, რომ XVIII საუკუნის 40—70-იან წლებში „ბორჯომი“ დაერქვა ტაშისკართან არსებულ საგუშაგო კოშკს. როგორც ცნობილია, თურქეთის მიერ სამცხის მიტაცების შემდეგ თურქეთ-ქართლს შორის საზღვარი ტაშისკარში დაწესდა. ამ დროიდან აქ ქართლის დაცვის მიზნით საგუშაგო იყო და, ალბათ, კოშკიცა და ციხეც ამ დროს ააგეს. შემდეგში, როცა ქართლის საზღვარმა სოფ. დვირში გადაინაცვლა, საგუშაგო მაინც ტაშისკარში დარჩა. მოსალოდნელი იყო, რომ ტაშისკარში არსებული საყარაულო კოშკისათვის სახელწოდება „ბორჯომი“ იმერლობას უნდა შეერქმია, ვინაიდან ამ სახელწოდების აქ გაჩენის პერიოდში ტაშისკარი და საყარაულო კოშკი თავად აბაშიძეებს ეკუთვნოდათ, იმერეთიდან გადმოსახლებული ყმა-გლეხებიც მრავლად სახლობდნენ აქ და კუთხური (იმერული) მეტყველებაც გავრცელებული იქნებოდა, მაგრამ ეს ვარაუდი არ დასტურდება. XVIII საუკუნის შუა წლებში ტაშისკარის კოშკი არა მარტო საყარაულოს ფუნქციას ასრულებდა, არამედ აქ აბაშიძეებს საბაჟოც ჰქონდათ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის № 1265 ფონდში დაცულია ორი საბუთი. ერთი მათგანი დათარიღებულია 1753 წლით, ხოლო მეორე — 1754 წლით. საბუთების სახელწოდებაა, „ტაშისკარის ბაჟის ნუსხა“[1]. ამრიგად, 1753—54 წლებში, როდესაც ქვიშხეთ-ტაშისკარში აბაშიძეები და მათ მიერ იმერეთიდან მოყვანილი ყმა-გლეხები კარგა ხნის დამკვიდრებული იყვნენ, ტაშისკარის კოშკს „ბორჯომი“ არ ეწოდებოდა. ამრიგად, მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ 1754 წლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 1772 წლისა (გიულდენშტედტის მოგზაურობამდე) ოსმალთაგან შევიწროებული სამცხის ბორჯომის მოსახლეობა აიყარა და ქვიშხეთ-ტაშისკარის მიდამოებში დასახლდა. მათ თან მოიტანეს თავისი მამაპაპური სოფლის სახელწოდება „ბორჯომი“ და ტაშისკარის საყარაულო-საბაჟო კოშკს დაარქვეს. ზემოთქმულიდან შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: სიტყვა „ბორჯომი“ ქართული სიტყვაა, როგორც დაბოლოებით, ისე ძირეული ნაწილით და მისი შინაარსი

---

1 ო. სოსელია. ტაშისკარის ბაჟის ნუსხა, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, 1951.

დაკავშირებულია ფესვის გადგმასთან და ერთ ადგილზე ფიქსირებულ დარჩენასთან[1].

ვახუშტის თავის „გეოგრაფიაში“ საქართველოს მრავალ კუთხეში დადასტურებული აქვს სხვადასხვა მინერალური წყლების არსებობა, მაგრამ მას სრულებით არაფერი აქვს ნათქვამი საქვეყნოდ ცნობილ ბორჯომის სამკურნალო წყლებზე. უეჭველია, ვახუშტი არ იცნობდა ბორჯომის მინერალურ წყლებს, თორემ მისი აღნიშვნა მხედველობიდან არ გამორჩებოდა. ბორჯომის მინერალურ წყლებს არ იცნობენ არც მ. ბროსე და დიუ-ბუა დე მომპერე, რომლებმაც ბორჯომის ხეობაში XIX საუკუნის 30-იან წლებში იმოგზაურეს. 1851 წელს, მაშინდელი ბორჯომის მამულის გამგეს — ექიმ ანდრეევსკის[2], აქაურმა მოხუცმა გლეხებმა უამბეს, რომ ბორჯომის სამკურნალო წყლები 300 წლის წინათაც იყო ცნობილი, მაგრამ მაშინ ეს ნაამბობი არაფრად ჩააგდეს, რადგან ბორჯომის სამკურნალო წყლები წერილობით წყაროებში არსად არ იყო მოხსენიებული. 1913 წელს, როდესაც „ეკატერინეს“ წყაროს (ბორჯომი) საკაპტაჟო სამუშაოები წარმოებდა, მიწაში, შვიდიოდე მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს ნაშთი თლილი ქვისაგან ნაგები 6 პირველყოფილი აბაზანისა. ამ აბაზანებიდან უკანასკნელ დრომდე იატაკი და კედლის ნაწილები შემორჩა. მეცნიერების[3] აზრით, აბაზანები პირველ საუკუნეშია აგებული. მაშასადამე, საქართველოში დღეისათვის ცნობილ ყველა მინერალურ წყლებს შორის, ბორჯომის მინერალური წყლები უძველესია და მათ სამკურნალოდ იყენებდნენ. პირველი საუკუნიდან XVI საუკუნემდე, ბორჯომის ხეობაში მცხოვრებმა ადამიანებმა, მართალია, მტერთაგან უამრავი თავდასხმა განიცადეს, მაგრამ ეს მხარე, საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით უვნებელი დარჩა და ცხოვრების მაჯისცემა აქ არ შეწყვეტილა. ამიტომ ისტორიის მთელ ამ ხანგრძლივ პერიოდში ბორჯომის მინერალურ წყლებს, ალბათ, სამკურნალოდ იყენებდნენ. თურქეთის მიერ სამცხის (და მაშასადამე,

---

1 „ბორჯომის“ ეტიმოლოგიაზე იხ. ი. მაისურაძის წერილი „ბორჯომის“ ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „კომუნიზმის დროშით“ (ბორჯომი), 17. II, 1961.

2 Темкеев М. დასახ. შრომა, ფურც. 26.

3 Виноградов-Никитин П. ბორჯომის მინწყლების შესახებ (ხელნაწერი დაცულია ბორჯომის მუზეუმში).

ბორჯომის ხეობისაც) მიტაცების (XVI ს.) შემდეგ, როდესაც მთელი ბორჯომის ხეობა აოხრდა და გაუკაცრიელდა, ბორჯომის მინერალური წყლებიც დავიწყებას მიეცა, სწორედ ამ ფაქტს ადასტურებს 1851 წელს ბორჯომის ხეობის მცხოვრებ მოხუც გლეხთა ნაამბობი ექიმ ანდრეევსკისადმი. ალბათ ამ გლეხებს მამა-პაპათაგან გადმონაცემი ახსოვდათ, რომ ბორჯომის მინერალური წყლები 300 წლის წინათაც იყო ცნობილი. ეს 300 წელი სწორედ XVI საუკუნეს ემთხვევა. ბორჯომის ხეობაში დატრიალებული ავბედობის წყალობით, ბორჯომის სამკურნალო წყლები ულრანმა ტყეებმა დაფარა, დავიწყებას მიეცა და ხელმეორედ აღმოსაჩენი გახდა. 1810 წელს რუსის ჯარი გენერალ ტორმასოვის სარდლობით ბორჯომის ხეობაზე გავლით ახალციხისაკენ დაიძრა. 10 დღის განმავლობაში ტორმასოვის ჯარმა ალყაში მოიქცია ახალციხე, შემდეგ მან ალყა მოხსნა და იმავე გზით უკანვე გამობრუნდა. ტორმასოვის ჯარმა დღევანდელი ბორჯომის ტერიტორიაზე (იქ, სადაც დღეს ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ბაღია) ერთი დღით დაისვენა, შესაძლებელია, ამ დროს ნახეს მათ ბორჯომის მინერალური წყლები. ბორჯომის მინერალური წყლები, ალბათ, ბევრჯერ ნახეს იმ სადაზვერვო რაზმებმა, რომლებიც ბორჯომის „ბლოკჰაუსიდან“ ხშირად იგზავნებოდნენ ბორჯომის ხეობაში. ამ რაზმებისა და ჯარის ნაწილების მეშვეობით ოფიციალურ ორგანოებამდე მიაღწია ცნობებმა ბორჯომის ხეობაში არსებულ მინერალურ წყლებზე, რაც წერილობით საბუთებში აისახა. პირველი ოფიციალური ცნობა ბორჯომის მინერალურ წყლებზე ჩვენ გვხვდება 1825 წელს შედგენილ „საქართველოს მედიკო-ტოპოგრაფიულ აღწერაში“, სადაც ნათქვამია: «Минеральные воды находятся во многих местах Грузии, но пользоваться ими не всем можно с равною безопасностью, угрожаясь нападениями хищников и другими важными неудобствами. Кислосерные Боржомские воды, в Боржомском ущелье Горийского уезда граница с Ахалцихским пашалыком, не иначе могут посещаться больными, как под военным прикрытием. Впрочем, имевшие случай видеть и пользоваться ими, с немалою похвалой относятся об их действительности в многих болезненных случаях» — და შემდეგ «Вообще вся местность в окрестностях вод, была пустынна

и необитаема: только по близости их, в д. Нуа, стоял небольшой дом — князей Аваловых, в котором жило одно крестьянское семейство для собрания пошлины с посетителей, которые переправлялись на пароме к целебным источникам, и для присмотра за пашнями владельцев, так как князья Аваловы считали эти земли своими»[1].

ჩანს, რომ 1825 წლისათვის არამცთუ ცოდნიათ ბორჯომის მინერალური წყლების არსებობა ბორჯომის ხეობაში, არამედ ცნობილი ყოფილა მისი სამკურნალო თვისებებიც. უეჭველია, რომ ბორჯომის მინერალური წყლები ადრე (1825 წლამდე) იქნებოდა აღმოჩენილი, მაგრამ როდის? ამის დამადასტურებელი საბუთი ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. 1816 წლიდან გორში იდგა ხერსონის გრენადერთა პოლკი, რომლის მეთაური იყო პოლკოვნიკი პოპოვი. 1825 წელს პოპოვს შეუტყვია ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები (იგი დაავადებული ყოფილა რაღაც ქრონიკული ავადმყოფობით) და ძლიერი დამცველი რაზმის თანხლებით სამკურნალოდ ბორჯომში ჩასულა. მოკლე ხანში პოპოვი განკურნებულა და შემდეგ იგი თავის პოლკის ავადმყოფ ჯარისკაცებს ხშირად გზავნიდა სამკურნალოდ ბორჯომის მინერალურ წყლებზე. ამ დროისათვის ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილ მინერალურ წყლებს „ბორჯომის მინერალური წყლები“ ეწოდებოდა იმიტომ, რომ ოფიციალური ცნობების თანახმად, მტკვრის ხეობა 1819 წლიდან „ბორჯომის ხეობად“ იწოდებოდა და რაკი მინერალური წყალი ამ ხეობაში აღმოჩნდა, მასაც ხეობის სახელი „ბორჯომი“ უწოდეს. დღევანდელი ბორჯომის ტერიტორიაზე „ვილაიეთის დიდი დავთრისა“ და ვახუშტის „გეოგრაფიის“ მიხედვით დადასტურებულია სამი დასახლებული პუნქტის არსებობა. ესენია: ნუა, ჭალა და ფაფა. ნუა მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, დღევანდელი სასტუმრო „ბორჯომის“ მიდამოებში, ხოლო ჭალა—მტკვრის მარცხენა სანაპიროზე — ახლანდელი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიმდებარე ადგილებში. ს. ფაფა, დღევანდელი ბორჯომის გარე უბანს (ახალუბანს) ერქვა. 1830-იან წლებში თავადი ავალიშვილები დღევანდელი ბორჯომის

---

1 Томкеев М. დასახ. შრომა, ფურცელი 5.

ტერიტორიაზე ასახელებენ სოფელ გოგიას ციხეს. ცალკე ასეთი სოფლის არსებობა წყაროებით არ დასტურდება. 1832 წელს ავალიშვილებმა ბრეთიდან ბორჯომის ხეობაში გადმოსახლებული გლეხები დაასახლეს სადგერში, ნუასა და ჭალაში. ჭალა ამ დროს უკვე ნასოფლარს წარმოადგენდა და შესაძლებელია მისი სახელწოდებაც აღარავის ახსოვდა, მაგრამ აქვე ცნობილი იყო გოგიას ციხე. მისი სახელი, როგორც ჩანს, ამ ახლადდასახლებულ პუნქტს უწოდეს.

1825 წლისათვის ნუაში იდგა ავალიშვილების მხოლოდ ერთი სახლი, რომელშიც მათივე ერთი კომლი ყმა-გლეხი ცხოვრობდა. მის მოვალეობას ბორანზე ბაჟის აღება და სამკურნალოდ მოსული ავადმყოფებისათვის მინერალური წყლების ჩვენება შეადგენდა. XIX საუკუნის 20-იან წლებში მდინარე შავიწყლის ორივე სანაპირო ულრანი ტყით იყო დაფარული, ხოლო იქ სადაც დღეს მინერალური წყლის ორი წყაროა, არსებობდა დიდი ჭა, საიდანაც მინერალური წყალი ამოქუხდა. პოლკოვნიკ პოპოვის განკარგულებით 1825 წელს დღევანდელი № 1 წყარო ქვებით შემოუღობავთ და აბაზანისათვის დაუმსგავსებიათ, აქვე ორი ოროთახიანი სახლი აუშენებიათ, რომელთაგან ერთი სააბაზანოდ იყო განკუთვნილი, მეორე კი პოპოვის საცხოვრებელ ბინად. ეს იყო პირველი სახლი დღევანდელი მინწყლების ბაღის ტერიტორიაზე, რითაც საფუძველი ჩაეყარა ახლანდელ ქ. ბორჯომს. იმავე წელს, პოპოვის მითითებით, ავალიშვილებს თავიანთი სახლი სოფ. ნუადან მინერალურ წყალთან გადაუტანიათ. 1827 წელს უნდა მოეხდინათ ბორჯომის მინერალური წყლის ქიმიური ანალიზი, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. 1828—29 წლებში თურქეთთან ომმა ხელი შეუშალა ბორჯომის მინწყლების კეთილმოწყობას და 1825 წლიდან საფუძველჩაყრილი დასახლებული პუნქტის — ბორჯომის შემდგომ მშენებლობას. 1825 წლიდანვე, როდესაც დღევანდელი ბორჯომის მინერალური წყლების ბაღში პირველი აბაზანა მოეწყო და იქვე ხის სახლები აშენდა და ავალიშვილებმაც აქვე გადაიტანეს სოფ. ნუადან თავიანთი სახლი, ამ ადგილს ბორჯომი ეწოდა, რაკი ეს სახელი აქ არსებულ მინერალურ წყალს უკვე შერქმეული ჰქონდა. ტომკეევი როცა ასახელებს 1828—29 წლის თურქეთ-რუსეთის ომს, შენიშნავს: «Вот те причины, которые задержали в дальней-

шее устройство и развитие Боржома и изучение его минеральных источников»[1].

ასევე გაზეთ «Кавказ»-ის 1846 წლის 28 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენციაში «Боржомское ущелье», ბორჯომის მინწყლებთან არსებული დასახლებული პუნქტი მოხსენიებულია „ბორჯომად“. კორესპონდენციაში ვკითხულობთ: «Благодаря этой признательности, Боржоми по-немногу начинает обстраиваться».

1825—1830 წლების საარქივო მასალებში, ბორჯომის მინერალური წყლების მიდამოები მოხსენიებულია «урочище Боржом»-ად[2], ე. ი. ეს პატარა დასახლებული ადგილი — მინერალური წყლების ტერიტორია, სოფ. ნუასაგან განსხვავებით, 1825 წლიდანვე „ბორჯომად“ იწოდებოდა და ეს სახელწოდება შემდგომში გავრცელდა ნასოფლარების — ნუასა და ჭალას ტერიტორიაზედაც. ბორჯომის ხეობაში, მის გაუკაცრიელებამდე, გადიოდა გზა, რომლითაც ქართლი საათაბაგოს უკავშირდებოდა. ხეობის აოხრება-გაუკაცრიელების შედეგად ეს გზა მოიშალა, მისი ნაწილი წყალმა წალეკა, ნაწილზე კი ულრანი ტყეები აღიმართა. რუსეთ-თურქეთის ომმა რუსეთის მთავრობა აიძულა, ბორჯომის ხეობაზე გამავალი გზა აღედგინა, რისთვისაც 1828 წლის აპრილში სურამში ფორმირებულ იქნა სპეციალური საგზაო რაზმი პოპოვის მეთაურობით. ამ რაზმმა მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო გზის აღდგენა. გზა „ბორჯომის ბლოკჰაუსიდან“ (ტაშისკარიდან) მტკვრის მარცხენა სანაპიროს მიჰყვებოდა სოფ. ზანავამდე, სადაც პატარა ხიდით მტკვრის მარჯვენა მხარეზე გადადიოდა. 1828 წლის აგვისტოში ამ ხიდთან საგუშაგო დაწესდა, სადაც მუდმივად 50 შეიარაღებული ჯარისკაცი იდგა. ამის შემდეგ გზა მტკვრის მარჯვენა სანაპიროთი სოფ. ნუამდე (დღევანდელი ბორჯომ-ბაღი) მიდიოდა, რის შემდეგ სადგერ-ციხისჯვარ-საკირეზე გავლით აწყურს უერთდებოდა. უვარგისობისა და სიშორის გამო ამ გზით მიმოსვლა ძნელი იყო. 1829 წელს ბორჯომის ხეობაში, ახალციხისაკენ უმოკლესი გზის აღმოჩენის მიზნით, გაიგზავნა ქართველთა რაზმი პოლკოვნიკ

---

1 Томкеев М. დასახ. შრომა ფურც. 6.

2 «Урочище — участок, отличный от окружающей местности», см. «Словарь русского языка», С. И. Ожегов, М., 1953, с. 775.

ბურცევის მეთაურობით. ეს გზა მტკვრის სანაპიროს მიჰყვებოდა და სოფელ ნუადან აწყურამდე ორგან გადადიოდა მტკვარზე — ერთი სოფ. ლიკანთან და მეორე სოფ. დვირთან, სადაც სიმაგრეები აიგო და საგუშაგო დაწესდა, რომელიც «Страшный окоп»-ად იწოდებოდა. 1829 წლიდან, პასკევიჩის ბრძანებით, გაიხსნა სურამ-ახალციხის გზა (75 ვერსი), ეს იყო „ახალციხის სამხედრო გზა". ამ გზის ნაკლს ის წარმოადგენდა, რომ მტკვარზე ხიდები არ იყო და წყალდიდობის დროს წყალზე გადასვლა ძნელდებოდა. იმ მიზეზით, რომ მტკვარზე ქვის ხიდების აგება დიდ თანხას მოითხოვდა, კავკასიის ცალკე კორპუსის ყოფილმა მთავარსარდალმა ბარონ როზენ-პირველმა გამოსცა ბრძანება — სურამიდან ახალციხემდე (მტკვრის მარცხენა სანაპიროზე) გზა გაეყვანათ. ამ გზის მშენებლობა 1832 წელს დაიწყო და მიმოსვლისათვის 1835 წელს გაიხსნა, ხოლო საბოლოოდ 1842 წელს დამთავრდა. ახალი გზის გახსნამ საშუალება მისცა მოსახლეობას, უფრო ახლოს გასცნობოდა თვალწარმტაც ბორჯომის ხეობას და ბორჯომის „სასწაულმოქმედი" მინერალური წყლებით ესარგებლა. ბარონ როზენ-პირველის ბრძანებით, თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის აფთიაქარმა ვილემსმა 1835 წელს მოახდინა ციხისჯვრის მინერალური წყლის ქიმიური ანალიზი და მოგვცა მისი დეტალური აღწერა. ამავე ვილემსმა 1836 წელს ბორჯომის მინერალური წყლის (პირველი წყაროს) ქიმიური ანალიზიც მოახდინა, რასაც მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან ანალიზი სრულყოფილი არ იყო. 1834 წლიდან გორში დაბანაკდა გრენადერთა ქართული პოლკი. ამ პოლკის შტაბის ექიმმა ამიროვმა პირველმა მიაქცია სერიოზული ყურადღება ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალო თვისების გამოკვლევასა და შესწავლას, რაშიც მას უაღრესად დიდი დამსახურება მიუძღვის. 1837 წლიდან ბორჯომის მინერალური წყლები გრენადერთა ქართულ პოლკს გადაეცა და მინწყლების კეთილმოწყობისა და ბორჯომის მშენებლობის საქმეს სერიოზული ყურადღება მიექცა. მდინარე შავიწყლის სანაპიროზე გაჩეხეს ტყე და გზა წყარომდე გაიყვანეს. მტკვარზე გაკეთდა ახალი ბორანი. პოლკის კომანდირის, ოპერმანის ბრძანებით სამკურნალო წყალთან აიგო ორი ხის სახლი; მანვე იშუამდგომლა ხელმძღვანელობის წინაშე, რათა ნება დაერთოთ მისთვის ყოველწლიურად თავისი პოლკიდან ავადმყოფები სამკურნალოდ ბორჯომში გაეგ-

ზავნა. 1841 წელს მთავარმმართებელმა ევგენი გოლოვინმა თავის ქალიშვილი ეკატერინე, რომელიც ქალური სნეულებით იყო დაავადებული, ექიმი ამიროვის რჩევით, სამკურნალოდ ბორჯომს ჩაიყვანა. იგი მალე განიკურნა. ამის შემდეგ გოლოვინს მინწყლების კეთილმოწყობისა და ბორჯომის აღმშენებლობისათვის მეტი ყურადღება მიუქცევია. გოლოვინის განკარგულებით აიგო ორი აბაზანა და ერთი ორსართულიანი სახლი, რომელიც აბაზანებთან გადახურული გალერეით იყო შეერთებული. გოლოვინისავე ბრძანებით გრენადერთა ქართული პოლკი მინწყლების კეთილმოწყობისა და ბორჯომის მშენებლობას შეუდგა. 1842 წელს კეთილმოწყობილ იქნა № 1 წყარო, რომელსაც გოლოვინის ქალიშვილის — ეკატერინეს — სახელი უწოდეს. მალე მეორე წყაროც მოეწყო, მას გოლოვინის სახელის მიხედვით „ევგენის წყარო“ დაერქვა[1]. წყაროებთან ახლოს 1842 წელს, დღევანდელი ორჯონიკიძის ქუჩაზე, აიგო ორი ორსართულიანი ხის სახლი. ასე თანდათანობით იწყება ბორჯომის აღმშენებლობა. იმატა სამკურნალოდ ჩამოსულმა ხალხმა. 1846 წლისათვის ბორჯომში უმთავრესად სამხედრო ნაწილები ცხოვრობდნენ და მხოლოდ ორი კერძო სახლი იდგა. სამკურნალოდ ჩამოსულთა უმრავლესობა სახელდახელოდ აგებულ კარვებში ცხოვრობდა. ბორჯომის მშენებლობისა და მისი წყლების კეთილმოწყობის საქმეს დიდი ყურადღება მიაქცია მეფისნაცვალმა ვორონცოვმა. 1848 წელს ნიკოლოზ პირველისადმი ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში ვორონცოვი წერდა: «В разных местах в Дагестане и в самой Грузии беспрестанно открываются новые целительные воды, которые будут полезны в будущем. Теперь я поручаю Андреевскому заняться предположениями о лучшем устройстве в Боржомском ущелье и близ Абастумани. Эти воды давно были известны, но только в Боржоме были некоторые весьма недостаточные постройки для помещения больных, без всякого устройства по медицинской части. В последние два года постройки увеличились, а в будущем году (1849) я надеюсь, что все будет там устроено в удовлетворительном виде»[2].

---

1 Томкеев М. დასახ. შრომა, ფურც. 9, 10.
2 იქვე, ფურ. 11.

1849 წლის მარტში ვორონცოვმა კავკასიის სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის მმართველს ანდრეევსკის ბორჯომის მინერალური წყლების მოწყობის პროექტის შედგენა დაავალა და წყლები სამხედროდან სამოქალაქო უწყებას გადასცა. ანდრეევსკიმ ბორჯომის მინწყლების მდგომარეობა შეისწავლა და მისი კეთილმოწყობისათვის ვორონცოვს 3450 მანეთი სთხოვა. 1849 წლიდან ბორჯომი კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენცია და კურორტი გახდა. ვორონცოვი დაინტერესებული იყო მისი მოწყობით და ამიტომ ანდრეევსკის მიერ ბორჯომის მინწყლების მოწყობისათვის ნათხოვნი 3450 მანეთი 5000 მანეთამდე გაადიდა და მინწყლების მმართველობა თვით ანდრეევსკის დაავალა. მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს. 1850 წელს შავიწყლის ნაპირზე ააგეს სასტუმრო და რამდენიმე სახლი. ამავე წელს აშენდა ხის ხიდი მტკვარზე. დაიწყო ეკლესიის მშენებლობა. 1850 წლიდან გაიხსნა საფოსტო მიმოსვლა ბორჯომსა და თბილისს შორის. თბილისის სამხედრო გუბერნატორის ანდრონიკაშვილის წინადადებითა და პროექტით გაიყვანეს მოკლე გზა ბორჯომიდან ახალქალაქამდე (ბორჯომი—სადგერი—ციხისჯვარი—ცხრაწყაროს უღელტეხილი—ახალქალაქი). ბორჯომში გაიმართა დუქნები და გაცხოველდა ვაჭრობა. დუქნები გამართა ავალიშვილების მიერ 1832 წელს სოფ. ბრეთიდან სოფ. ნუაში გადმოსახლებულმა რამდენიმე ყაბალეხმა. 1854 წელს გაიტანეს ბორჯომის წყლის პირველი ექსპორტი (1300 ბოთლი) თბილისში. მაშინ თითო ბოთლი ბორჯომის მინერალური წყალი თბილისში 25 კაპიკი ღირდა. ვინაიდან ბორჯომის წყალმა სახელი გაითქვა და ბორჯომიც კეთილმოწყობილი გახდა, ამავე დროს იგი მეფის ნაცვლის საგარაკო ადგილი იყო, ბორჯომში სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. გ. ჯანშიევის თქმით: „ბორჯომი არის ცენტრალური საგარაკო პუნქტი, სადაც მოდიან დამსვენებლები და „წყლისმსმელები“, არა მარტო თბილისიდან, არამედ ქუთაისიდან, ერევნიდან, ალექსანდროპოლიდან და ბაქოდან. უკანასკნელ დროს რუსეთის შიდა გუბერნიებიდანაც“[1]. 1852 წლიდან ბორჯომის მამული ხაზინას გადაეცა, რომლის ფართობი მაშინ 71 789 დესეტინას უდრიდა, აქე-

---

[1] Джаншиев Гр. Перл Кавказа, М., 1900, с. 80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან 53 235 დესეტინა ტყე იყო, დანარჩენი კი სახნავ-სათეს-სათო-ბებსა და საძოვრებს ეჭირა. 1853 წელს ავალიშვილებმა თავიანთი ყმა-გლეხები 1832 წლიდან სოფ. ნუადან სოფ. ბრეთში გადაასახლეს, რის გამოც სოფ. ნუამ არსებობა შეწყვიტა, მანამდე კი ნუა და ბორჯომი ერთიმეორის ახლოს მდებარეობდნენ. ანდრეევსკის გეგმით, მამულის საერთო ფართობიდან ბორჯომისა და მისი მინერალური წყლებისათვის 1529 დესეტინა მიწის ფართობი გამოიყო. ეს ფართობი მოიცავდა დღევანდელ ბორჯომ-ბაღს, ბორჯომს, ლიკანსა და ვაშლოვანს. 1529 დესეტინადან ანდრეევსკიმ 21 დესეტინა საკუთრივ მინერალური წყლების მოწყობისათვის. გაითვალისწინა, 200 დესეტინა კი სამოსახლოდ. 1853 წლის აღწერით ბორჯომში იყო: ხის ორი გალერეა, ერთი ეკლესია, ხაზინის 9 შენობა, მათ შორის ორი ქვის, 24 დუქანი და „სალდათთა“ 10 სახლი. ბორჯომის მამულის ხაზინის ხელში გადასვლის შემდეგ ვორონცოვმა ბორჯომი თავის საზაფხულო რეზიდენციად აქცია და მისივე შუამდგომლობით, 1853 წლის 17 აპრილის ბრძანებით, ბორჯომი დაბად (местечко) გადაკეთდა. ბორჯომის სწრაფად დასახლების მიზნით ვორონცოვმა ბორჯომში დასახლების მსურველებზე სამოსახლო და სახუტორო (საგარაკო) მიწების გაცემა დაიწყო. სამოსახლო მიწის მიმღებს, მიწის მიღებისთანავე, თითოეულ კვადრატულ საჟენზე ორი კაპიკი უნდა გადაეხადა, ხოლო შემდეგში ყოველწლიურად თითო კაპიკი. სახუტორე მიწის თითოეულ დესეტინაზე ერთდროულს 2 მან. და 50 კაპ. იხდიდნენ, შემდეგ, ყოველ წელს 50 კაპ. უნდა გადაეხადათ. სამოსახლო მიწა მხოლოდ მტკვრის მარჯვენა ნაპირას, პირველ რიგში მინწყლების ახლოს — შავიწყლის ხეობაში გაიცემოდა. სახუტორედ (საგარაკოდ) მიწები უნდა გაცემულიყო მტკვრის მარცხენა ნაპიროზე. ამ პირობებში მიწების გაცემის ვადა 20 წელი იყო (1871 წლამდე). მიწის მიმღები მოვალე იყო მიღებულ მიწის ნაკვეთზე ერთ წელიწადში სახლი აეშენებინა. ვორონცოვმა 1853 წელს ბორჯომის ხეობაში პოლტავისა და ჩერნიგოვის გუბერნიებიდან კაზაკთა 200 ოჯახი (1375 სული) ჩამოასახლა, რომლებიც სოფ. სადგერში, დაბაში, წალვერში, ბაკურიანში, თორსა და ციხისჯვარში დასახლდნენ. ჩამოსახლებულთა ერთი ნაწილი (132 ოჯახი) ვერ შეეგუა ადგილობრივ პირობებს და 1854 წლის ზაფხულს ჩრდილო კავკასიაში გადასახლდა. 1856 წლისათვის გადმოსახლებულთაგან ბორჯომის მამულში დარჩა: სადგერში 6, დაბაში

9, წალვერში 9, ბაკურიანში 14 და ციხისჯვარში 28 ოჯახი სულ 66 ოჯახი. ბორჯომის მინერალური წყლებისა და დაბა ბორჯომის შემდგომ კეთილმოწყობას ძლიერ შეუშალა ხელი 1853—56 წწ. ყირიმის ომმა, ვინაიდან ამ ომის დროს საქართველო ომის ასპარეზი გახდა. ომის დროს ბორჯომში სამხედრო ჰოსპიტალი გაიხსნა და აქვე დაბანაკდა ფეხოსანთა რამდენიმე ასეული, რომლებმაც აქ არსებული ყველა სახაზინო და ნაწილობრივ კერძო მფლობელობაში მყოფი შენობები დაიკავეს. ამ პერიოდში არსებული შენობები და აბაზანები ძლიერ დაზიანდა და ხელახლა შეკეთებელი გახდა, მაგრამ ამისათვის არავის ეცალა. ბორჯომის მინწყლების მოწყობა-წარმოებისათვის მუშახელი იყო საჭირო, ამიტომ ახალმა მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ და შემდეგ მიხეილ რომანოვმა ნება დართეს ქართველ გლეხობას, დასახლებულიყვნენ ბორჯომის ხეობის დაცარიელებულ სოფლებში. ბორჯომის ხეობაში ქართველი გლეხების დასახლების შესახებ დასტურდება შემდეგი[1]: 1858—59 წლებში სოფ. ტიმოთესუბანში სურამიდან გადმოსახლდა 5 კომლი: სიმონა სულხანიშვილი, გიორგი ციცქიშვილი, კიკო არბოლიშვილი, თედო ინასარიძე და თედო მინდორაშვილი. იმავე წლებში სოფ. ცემში დასახლდნენ სოფ. ვაყიდან (ხაშურის რაიონი) გადმოსახლებული გლეხები: სოსია გიგიტიშვილი, ნინია პაპიაშვილი და ივანე ნასაძე, ხოლო გიორგი კეხვაძე და სოსია ნასაძე გადმოსახლდნენ სოფ. ალიდან (ხაშურის რაიონი). 1860 წელს სოფ. ციხისჯვარში დასახლდა ბერძნების 26 ოჯახი, რომლებმაც ყირიმის ომის პერიოდში ოსმალეთი დატოვეს. იმავე წელს სოფ. ვაშლოვანში დასახლდნენ სახაზინო გლეხები სიმონა, პავლე და ბენო გელაშვილები (გადმოსახლდნენ სურამიდან). 1861 წელს სოფ. წაბლოვანიდან (ქარელის რაიონი) სოფ. სადგერში გადმოსახლდნენ პავლე გელაშვილი, სიმონა კაპანაძე და როსტომა ხაჩიძე. 1863 წელს სოფ. დვირში დასახლდა სოფ. სამწერისის[2] მცხოვრები სახაზინო გლეხი გაბრიელ გოგიჩაიშვილი და ამავე წელს სოფ. ლიკანში დასახლდნენ სოფ. ნადაბურისა და წაქვას (ხარაგოულის რაიონი) მცხოვრებნი გიგოლა და პავლე გელაშვილები. 1863 წელს სოფ. ქვაბისხევში დასახლებულა ანდრია ნოზაძე

---

1 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, ფონდი 352, საქმე № 3, 6, 28, 50, 68, 72, 82, 87, 99, 100, 122, 151.

2 ქარელის რაიონშია.

(გადმოსახლდა სოფ. ალიდან). 1860 წელს ბორჯომის სახაზინო მამულის 15 სოფელში ცხოვრობდა 104 კომლი 418 სულით. 1862 წლისათვის დაბა ბორჯომში მუდმივი მცხოვრები იყო მხოლოდ 12 კომლი 45 სულით (ამ რიცხვში არ შედიან მამულის სამმართველოს თანამშრომლები, პოლიცია და სამხედრო მოსამსახურენი). 1865 წელს მეფის ნაცვალს კავკასიაში, მიხეილ რომანოვს, ავალიშვილების გლეხებმა, რომლებიც ბორჯომის მამულიდან 1853 წელს გადაასახლეს სოფ. ბრეთში, მიმართეს თხოვნით, ნება დაერთო მათთვის, გადასახლებულიყვნენ ბორჯომის ხეობის თავიანთ მამაპაპეულ სოფლებში.

მეფის ნაცვალმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა, აღნიშნული 26 კომლი გლეხი ბორჯომის ხეობის სხვადასხვა სოფელში გადასახლდა. ბორჯომის ხეობის დაცარიელებული სოფლები თანდათანობით დასახლებულ იქნა უმთავრესად ქართველი გლეხებით, რომლებიც ქართლის, იმერეთისა და ძველი სამცხის სოფლებიდან მოვიდნენ. 1869 წლის აღწერით[1] ბორჯომის ხეობის 24 სოფელსა და დაბა ბორჯომში 205 კომლია (1124 სული) აღრიცხული. ამ რიცხვში არ შედის ბორჯომის სახაზინო მამულისა და მინწყლების სამმართველოებში მომუშავე და სახაზინო სოფლებში მცხოვრები პირები, აგრეთვე ადგილობრივი პოლიცია და სამხედრო ნაწილები. დასახლებული პუნქტების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

1. დაბა ბორჯომი 38 კომლი (126 სული);
2. სოფ. ახალდაბა 11 კომლი (45 სული);
3. სოფ. ბაკურიანი 4 კომლი (16 სული);
4. სოფ. ვაშლოვანი 3 კომლი (15 სული);
5. სოფ. ვარდგინეთი 3 კომლი (15 სული);
6. სოფ. გომნა 2 კომლი (10 სული);
7. სოფ. დაბა 4 კომლი (16 სული);
8. სოფ. კორტანეთი 6 კომლი (23 სული);
9. სოფ. ყვიბისი 8 კომლი (31 სული);
10. სოფ. ქვაბისხევი 2 კომლი (11 სული);
11. სოფ. ლიკანი 2 კომლი (12 სული);
12. სოფ. მიტარბი 7 კომლი (27 სული);

---

[1] Сборник материалов для описания Тифлисской губернии, том X, Тифлис, 1870 г.

13. სოფ. სადგერი 4 კომლი (16 სული);
14. სოფ. ტიმოთესუბანი 4 კომლი (16 სული);
15. სოფ. წითელი საყდარი 10 კომლი (39 სული);
16. სოფ. წალვერი 10 კომლი (35 სული);
17. სოფ. თორი 7 კომლი (37 სული);
18. სოფ. ციხისჯვარი 13 კომლი (49 სული);
19. სოფ. ცემი 2 კომლი (11 სული);
20. სოფ. ჭობისხევი 16 კომლი (61 სული);
21. სოფ. მოლითი 4 კომლი (18 სული);
22. სოფ. ზანავი 6 კომლი (27 სული);
23. სოფ. დვირი 11 კომლი (117 სული);
24. სოფ. ტაძრისი 16 კომლი (195 სული);
25. სოფ. საკირე 12 კომლი (156 სული).

ს უ ლ 205 კომლი, 1124 სული.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბორჯომის ხეობის დასახლება შედარებით გვიან დაიწყო (1852 წლიდან), უნდა ვთქვათ, რომ იმ დროის პირობებთან შეფარდებით აქ დასახლების საკმაოდ მაღალი ტემპი გვაქვს. საქმე ისაა, რომ ხაზინამ ბორჯომის მამული „ჩალის ფასად" იგდო ხელთ და ამ ფეოდალურ-სახაზინო მამულის მოწყობა-ექსპლოატაციისათვის მუშახელი იყო საჭირო, რისთვისაც მთავრობა აქ დასახლებულ გლეხებს, შედარებით შეღავათიან პირობებში აძლევდა მიწის ნაკვეთსა და სამუშაოს. სწორედ ამით იყო გამოწვეული საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ღარიბ, უმიწაწყლო გლეხთა ბორჯომის ხეობისაკენ ლტოლვა, ზოგი მუდმივად დასახლების მიზნით, ზოგი კი საშოვარზე (დროებით სამუშაოდ) მოდიოდა. 1858 წელს ბორჯომის მამულის მთავარმმართველობის სათავეში მეფის ნაცვალმა ბარიატინსკიმ გენერალი ზინოვიევი დააყენა. მთავარმმართველობაში 3 სამმართველო შეიქმნა: 1. მამულისა და დაბა ბორჯომის, 2. სატყეო და 3. მინერალური წყლების. თითოეულ მათგანს თავისი მმართველი ჰყავდა და მხოლოდ მთავარმართებელს ემორჩილებოდნენ, ხოლო ეს უკანასკნელი მეფისნაცვალს. 1858—1863 წლებში ძლიერ ცოტა რამ გაკეთდა ბორჯომში, აღსანიშნავია: სატელეგრაფო სადგურის დაარსება, ბორჯომ-სურამის საფოსტო გზის შეკეთება და გუჯარეთის ხეობაში გზის გაყვანა.

1863 წელს კავკასიაში მეფის ნაცვლად დაინიშნა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, რომელმაც მისი წინამორბედების მსგავსად ბორჯომი საზაფხულო რეზიდენციად აირჩია. იმპერატორ ალექსანდრე მეორის განკარგულებით, 1865 წელს ბორჯომში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დღევანდელი რკინიგზის სადგურის პირდაპირ, დაიწყო დიდი მთავრისათვის სასახლის მშენებლობა, რომელიც 1871 წელს დამთავრდა[1]. ეს იყო პირველი საუკეთესო შენობა ბორჯომში. 1865 წელს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ბორჯომში მდგარი სამხედრო ნაწილისათვის ყაზარმა[2] და ბამულის მმართველობისათვის ქვის ძვირფასი ორსართულიანი სახლი ააგეს[3]. 1886 წელს ბორჯომის ცენტრში მტკვარზე აიგო რკინის ხიდი, რომელიც 1968 წელს წყალდიდობის დროს დაინგრა. 1869 წელს დაარსდა თბილისის გუბერნიის მინერალური წყლების სამმართველო. სამმართველოს ადგილსამყოფელი ბორჯომი გახდა. მინერალური წყლების მმართველად დაინიშნა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი რემერტი, რომლის თხოვნით ალექსანდრე II-მ ბორჯომის მინერალური წყლებისა და დაბა ბორჯომის მოწყობილობისათვის 24 000 მანეთი გამოყო. ეს თანხა ბორჯომის აღმშენებლობაზე ერთი წლის (1870 წ.) განმავლობაში მთლიანად დაიხარჯა, რის შედეგადაც ბორჯომი რუსეთის იმპერიაში პირველი ხარისხის სამკურნალო სადგური გახდა და ევროპის სამკურნალო ცენტრებს არ ჩამოუვარდებოდა. გამშვენიერდა მინწყლების პარკი, გაშენდა ახალი ე. წ. რემერტის ბაღი[4], გაიმართა ხეივნები, მდინარე შავწყალზე ააგეს ხიდები, გაიყვანეს გზები, გაამაგრეს შავიწყლის ნაპირები, ქუჩები მოფინეს ქვიშით. ამ დროისათვის უკვე რამდენჯერმე ჩატარდა ბორჯომის მინერალური წყლების ქიმიური ანალიზი, რითაც ზუსტად დადგინდა მისი სამკურნალო თვისებები, რამაც აქ სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულთა რიცხვი ძლიერ გაზარდა. საგრძნობლად გაიზარდა ბორჯომში მუდმივად მცხოვრებთა რიცხვი. 1870 წელს ბორჯომში გაიხსნა სამრევლო (Приходская) სკოლა[5].

---

1 ეს შენობა 1968 წ. ხანძარმა გაანადგურა.

2 დღევანდელი სამხედრო სანატორიუმი.

3 დღევანდელი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა.

4 დღევანდელი ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ბაღი, რკინიგზის სადგურთან.

5 Томкеев М. დასახ. შრომა, გვ. 36.

1871 წლის სექტემბერში იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ბორჯომი ინახულა და სახაზინო მამული მინერალური წყლებით სამემკვიდრეოდ დიდ მთავარს, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვს უწყალობა, რაც 1872 წელს სენატის მიერ დამტკიცდა. ამიერიდან ბორჯომის სახაზინო მამული მიხეილ რომანოვის სამაიორატო (ნაკრძალ) მამულად იქცა. სენატის ბრძანებით დაწესდა:

1. ბორჯომის ხეობის 9 სოფელსა და დ. ბორჯომის ფარგლებში დასახლებულ სახაზინო გლეხებს, რომლებსაც ხაზინამ 1871 წლის დებულების შესაბამისად მისცა მიწის ნაკვეთები (სულ 368 დესეტინა) რჩებოდა მათ საკუთრებაში, ხაზინისათვის მიწაზე დაწესებული გადასახადი უნდა ეძლიათ და შეესრულებინათ სხვა მოვალეობანიც.

2. კერძო პირებს, მიწა რომელიც ჯერ კიდევ ვორონცოვის დროს მიეცათ, შეუნარჩუნდებოდათ იმ შემთხვევაში, თუკი მათ შესრულებული ჰქონდათ ის ვალდებულებანი, რომლებიც იმ პერიოდში იყო დაწესებული; მაგრამ ის იჯარა, რომელსაც ისინი ხაზინას უხდიდნენ, ამიერიდან მამულის ახალი მფლობელის, რომანოვისათვის უნდა გადაეხადათ.

3. ბორჯომის მამულის ყველა დანარჩენი მიწა, ნაგებობანი, მინერალური წყლები და სხვა სავარგულები გადადიოდა ახალი მფლობელის (რომანოვის) სარგებლობაში და მთელი ეს ქონება სახელმწიფო ქონების უწყებიდან ამოირიცხა.

4. ყოველწლიური პენსია — 5000 მანეთი თავად ავალიშვილებზე მომავალში სახელმწიფო ხაზინას უნდა გაეცა.

ასე რომ, სახელმწიფო მამული მიხეილ რომანოვის ხელში გადავიდა. ბორჯომი რომანოვთა საგარაკო ადგილად იქცა.

თავი III

ბორჯომის ხეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამდე (1864 წ.) ბორჯომის ხეობა ნაკლებად იყო დასახლებული. თუ 1869 წლის აღწერით ბორჯომის ხეობის 21 სოფელში მხოლოდ 205 კომლი გლეხი ცხოვრობდა, რეფორმის წინ 13 სოფელში 111 კომლი თუ მოითვლებოდა. ყველა ისინი სახაზინო გლეხებად იყვნენ ჩარიცხულ-

ნი და გარკვეულ ვალდებულებას ასრულებდნენ. ბორჯომის ხაზინო მამულში ყმების დასახლებისათვის ასე თუ ისე „შეღავათიანი პირობები“ შეიქმნა. ასეთი პირობების შექმნა იმანაც გამოიწვია, რომ ხაზინისათვის ხეობის დასახლება გარდუვალი გახდა. თბილისი, რაკი კავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი იყო, ამიტომ სწრაფად იზრდებოდა; ქალაქის მშენებლობა უამრავ სამშენებლო მასალას მოითხოვდა, მათ შორის ხის მასალას, რომლის მიწოდება, ძირითადად, ბორჯომის მამულს შეეძლო; ამას თან დაერთო ბორჯომის მინერალური წყლების წარმოების გაფართოებაც. ყველა ამისათვის მუშახელი იყო საჭირო და ამ საკითხის სწრაფად გადასაჭრელად ხაზინამ ხეობაში დასახლებისათვის ერთგვარი „შეღავათი“ დააწესა. ერთ-ერთ ხელშეკრულებაში, რომელიც ბორჯომის მამულის მმართველმა დაცარიელებულ სოფელ კიმოთესუბანში დასახლების მსურველ 5 გლეხთან დადო (სვიმონ სულხანიშვილთან, ქიტო არბოლიშვილთან, თედო ინასარიძესთან, თედო მინდორაშვილთან და გიორგი ციცქიშვილთან), შემდეგი პირობებია გათვალისწინებული:

1. თითოეულ გლეხს უფასოდ ეძლეოდა 5 დესეტინა ტყე 3 წლის ვადით. ამ ხნის განმავლობაში მათ ეს ადგილი უნდა გაეწმინდათ ტყისაგან და გამოეყენებინათ ხორბლის დასათესად; 3 წლის გასვლის შემდეგ, თუკი ეს პირობა ვერ შესრულდებოდა, თითოეული გლეხი 5 მანეთს გადაიხდიდა.

2. სათივეებით სარგებლობისათვის მათ უნდა გადაეხადათ ბაჟი — იმ რაოდენობით, რაც ბორჯომის მამულში იყო დაწესებული.

3. შეშით სარგებლობისათვის თითოეული კომლი წელიწადში 4 მანეთს იხდიდა.

4. სახლებისა და სხვა ნაგებობების ასაშენებლად საჭირო ხის მასალა მათ მიერ გაჩეხილი ტყეებიდან უფასოდ ეძლეოდათ.

5. ყველა ბაჟი და საიჯარო ქირა მამულის ხაზინაში თავის დროზე უნდა შეეტანათ.

6. ტყის გაჩეხვის დროს, მსხვილი ხეები ხაზინისათვის უნდა ჩაებარებინათ[1].

ეს ხელშეკრულება დადებულია 1857 წელს და დოკუმენტებით დასტურდება, რომ ეს პირობები არ შეცვლილა მანამ, სანამ

---

[1] საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, ფ. 352, საქმე № 6.

მამული ხაზინ ს ხელში იყო. როგორც ჩანს, ასეთი პირობები ახალმოშენეთა ვის ასატანი იყო და ამიტომ ხეობის დასახლებაც სწრაფად მიმდინარეობდა. ბორჯომის სახაზინო მამულში დასახლებული გლეხობა, სოფლის მეურნეობის იმ დარგს ავითარებდა, რომელიც ადგილობრივ კლიმატურ პირობებში კარგ შედეგს იძლეოდა. ბორჯომის ხეობის ქვედა ზონის სოფლებში ხორბალი მოჰყავდათ და მეხილეობა-მებოსტნეობას ეწეოდნენ. ზედა ზონაში უმთავრესად მეცხოველეობას მისდევდნენ და კარტოფილს თესავდნენ. მეცხოველეობას დიდი ადგილი ეჭირა აგრეთვე ქვედა ზონაშიც. ხეობის სოფლებში მცხოვრები ყველა გლეხი ხე-ტყის წარმოებაში იყო ჩაბმული. განვითარებული იყო მეტივეობა. გორისა და თბილისის ბაზარზე ბორჯომიდან ჩატანილი ტივი მაღალ ფასებში იყიდებოდა. ხის მასალაზე მოთხოვნილება იზრდებოდა, ამიტომ ხე, საქონლად იქცა. იგი გაყიდვის საგანი გახდა და ხაზინამაც მასზე ფასი მოუმატა — ასე მაგალითად, 80-იან წლებში 20 დიდი ხისაგან შემდგარი ტივი თბილისში 150—200 მანეთად იყიდებოდა, გლეხები კი ბორჯომის მამულში მას 75—100 მანეთად ყიდულობდნენ[1]. ადრე კი ტივის ფასი ბორჯომში 5-ჯერ ნაკლები იყო.

იმის მიუხედავად, რომ ბორჯომის სახაზინო მამულში, ცალკეულ შემთხვევაში, გამოყენებული იყო დაქირავებული შრომა (ხე-ტყის დამზადებასა და მინერალური წყლის წარმოებაზე), იგი ჯერ კიდევ ბურჟუაზიული ტიპის მამულს არ წარმოადგენდა. აქ ჯერ კიდევ უპირატესად ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები ბატონობდა, ეს იყო მიწის საიჯარო ქირა, რაც კაპიტალიზმისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ იგი არსებობს ფეოდალიზმის დროსაც — ნატურალური გადასახადი სათივით სარგებლობაზე (დამზადებული თივის 1/3 ხაზინისათვის უნდა მიეცათ), საბალახო გამოსაღები ნატურით (გარკვეული რაოდენობით ცხვარი ან მსხვილფეხა საქონელი ხაზინისათვის) და სხვ. ასე იყო საგლეხო რეფორმამდე. საქართველოში 1864 წლიდან გატარებულმა საგლეხო რეფორმამ გლეხთა მდგომარეობა გააუარესა, მათ იმაზე ნაკლები მიწა დაუტოვეს, ვიდრე რეფორმამდე ჰქონდათ, დანარჩენი ჩამოაჭრეს და მემამულეებს გადასცეს. გლეხებს ტყითა და საძოვრებით სარგებლობის უფლება წაერთვათ. იმ გლეხებს, რომლებსაც რეფორმამდე მიწა არ ჰქონდათ, იგი არ მიუღიათ. უმიწოდ

---

[1] „ივერია“, 1887 წელი, № 4, კორესპონდენცია „დაბა და სოფელი“.

დარჩნენ ხიზნები და შინაყმები. რეფორმის შედეგად გლეხობამ პირადი თავისუფლება მიიღო, ამიერიდან მას შეეძლო, სადაც უნდოდა იქ წასულიყო. ქართლისა და ზემო იმერეთის უმიწო და თავისუფალმა გლეხობამ ბორჯომის ხეობას მიაშურა, სადაც მიწისა და სამუშაოს შოვნა შეიძლებოდა.

ბორჯომის ხეობის დასახლება უმთავრესად რეფორმის შემდეგ მოხდა. აღვნიშნეთ, რომ 1869 წლის აღწერით ბორჯომის ხეობაში 24 სოფელი იყო, ხოლო 80-იანი წლებისათვის ეს რიცხვი 32-მდე გაიზარდა. უმეტეს შემთხვევაში ძველი ნასოფლარები აღდგა, ნაწილობრივ კი ახალი სოფლებიც შეიქმნა. მართალია, ამ პერიოდისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები, თუ რამდენი გლეხი ცხოვრობდა ამ სოფლებში, მაგრამ სოფელთა რიცხვის ზრდა თავისთავად მოსახლეობის რიცხვის ზრდასაც გულისხმობს. რეფორმის შემდეგ, ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიც კაპიტალიზმის განვითარებამ გლეხობის დიფერენციაცია და მათი უმრავლესობის გაღატაკება გამოიწვია. გაძლიერდა მშრომელი გლეხების ექსპლოატაცია. ეს საერთო მოვლენა ბორჯომის მამულში მცხოვრებ გლეხებსაც შეეხო. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, ე. ი. როდესაც ბორჯომის სახაზინო მამული მიხეილ რომანოვის[1] საკუთრება გახდა, მამულში მცხოვრებ გლეხთა მდგომარეობა ძალზე გაუარესდა მათი ტვირთი ძლიერ დამძიმდა და აუტანელი გახდა.

ბორჯომის მამულის 25 სოფლის გლეხობამ გადაწყვიტა, თავიანთი დუხჭირი მდგომარეობა მიხეილ რომანოვისათვის ეცნობებია და ეთხოვა ცხოვრების პირობების ოდნავი გაუმჯობესება, რაც გაზრდილი გადასახადების შემცირებით უნდა მომხდარიყო, მაგრამ გლეხთა საჩივრის წარდგენა მ. რომანოვთან შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ მათ დახმარებისათვის დ. ყიფიანისათვის მიუმართავთ და თხოვნაც მის სახელზე შეუდგენიათ. ყიფიანს გლეხებმა სთხოვეს, მათი სახელით მიემართა მ. რომანოვისათვის. ბორჯომის ხეობის გლეხთა საჩივარი, მემამულეთა და გლეხთა ურთიერთბრძოლის მნიშვნელოვანი დოკუმენტია, ამიტომ შემოკლებული სახით მისი აქ მოტანა აუცილებლად მიგვაჩნია.

„თქვენო აღმატებულებავ დიმიტრი ივანეს ძევ — წერდნენ გლეხები დ. ყიფიანს — სანამ გამოცხადდებოდა უმაღლესი რეს-

---

1 მ. ნ. რომანოვი კავკასიაში მეფის ნაცვლად იყო 1863—1882 წლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიპტი ბორჯომის სახაზინო მამულების მისი იმპერატორობით უმაღლესობის ხელმწიფე დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისათვის სამუდამო და საშვილიშვილოდ გადაცემის შესახებ, მთავრობის განკარგულებით ჩვენ ვიყავით ჩასახლებული იმ მამულებში სამუდამოდ საცხოვრებლად და ჩაწერილნი ვიყავით კამერალურ აღწერებში შემდეგი სოფლებისა: ახალდაბისა, ნეძვისა, კორტანეთისა, ბეშეთისა, ვარდგინეთისა, ყვიბისისა, ბერი-საყდრისა, დაბისა, წაღვერისა, ტიმოთესუბნისა, მზეთამზისა, ბაკურიანისა, დიდი და პატარა მიტარბისა, მაჭარწყლისა, თელოვანისა, ტყემლოვანისა, ცემისა, სადგერისა, გომნისა, ჭობისხევისა, ქვაბისხევისა, ლიკნისა, ვაშლოვანისა და ბანისხევისა. როცა მისი იმპერატორობით უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზისძის ხელში გადავიდა ბორჯომის მამულები, მან პირადად ინება გამოცხადება, რომ ჩვენ მისი გამგებლობის ქვეშ ბედნიერნი ვიქნებოდით და არავინ არაფერში არ შეგვაწუხებს და არ დაგვარბევს; იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება რაიმე შევიწროებას, ნება დაგვრთო, მივმართოთ თხოვნით მის იმპერატორობით უმაღლესობას. ბორჯომის მამულების მმართველის კისლის შეცვლის შემდეგ, ბორჯომის მამულების მმართველად ახლად დანიშნულმა ბარონ ვრანგელმა მეტისმეტად ასწია ფასები ყველა ვალდებულებებზე, რომელსაც ჩვენ ვასრულებდით ბორჯომის მამულების უავგუსტესი მფლობელის სასარგებლოდ. შემდეგ ბორჯომის მამულების მმართველად დაინიშნა ვასილიევი, იმანაც, აგრეთვე, გაადიდა ბაჟი ყველაფერზე და ეხლა ყოველი ჩვენგანი ერთ დღიურ სახნავ-სათეს მიწაზე იხდის 1 მან. და 50 კაპ. თითოეულ თივის ზვინზე, რაც მოეპრიანება მამულების მმართველს, იმას გვახდევინებს. სათბობი შეშისათვის წელიწადში ვიხდით 3 მანეთს კომლზე. საფარეხეების გასაკეთებელი ხეებისათვის თვითეულ ხისათვის ვერშოკზე 20 კაპ., ზამთარში საფარეხეების სათბობისათვის 3 მანეთს, შინაური ოთხფეხა ცხოველებისათვის დიდზე და პატარაზე სულ 25 კაპიკს, და თუ საქონელს გავგზავნით მთებში საიალაღოდ, მაშინ კიდევ ზედმეტად უნდა გადავიხადოთ თვითეულ სულ საქონელზე 25 კაპიკი. ღორების საძოვრისათვის, დიდსა და პატარაზე სულ 10 კაპ., ცხვრისათვის 10 კაპ. ჩვენს ერთადერთ სარეწაო საგანს და ცხოვრების წყაროს შეადგენს საამშენებლო ხეტყის დამზადება. ბორჯომის მამულების გამგეობას არ გვაძლევს, მტკვრის ნაპირებზე მიტანილი აღნიშნული ხეტყე მივყიდოთ კერძო პირს, არამედ მიაქვს ის მამულების სასარ-

გებლოდ და შემდეგ თვით ჰყიდის, ჩვენ კი ჩვენ მიერ მოჭრილ და გამოტანილ ხეტყისათვის ჩვენი თანხმობის გარეშე გვაძლევს იმ ფასს, რაც მას მოეხალისება თუ ხეტყე ღირს 100—200 მანეთი, ის გვაძლევს 15—60 მანეთამდე, ძალდატანებით გვაიძულებს ბორჯომში ჩავიტანოთ შეშა ადგილობრივი აგარაკებიდან, ბაკურიანიდან და ციხისჯვრიდან თივა, ამ შრომისათვის, აგრეთვე, გვაძლევს ისეთ ხელფასს, როგორც მას მოეხასიათება და არა ნამდვილ ღირებულებას. სახნავ-სათესად მიწების გაკაფვის ნებას როცა ვიღებთ, გვიბრძანებს, გამოვცხადდეთ უფროს ტყისმცველ მირონოვთან და მის ორ შვილთან, რომლებიც მოწმობებს ხევენ და ჩვენ გვთხოვენ ქრთამად ფულსა და სხვადასხვა სანოვაგეს; ვინც მათ მოთხოვნას არ ასრულებს და ამის შესახებ განაცხადებს მმართველთან ან მის თანაშემწესთან, ისინი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, თითქოს, არ ჯეროდეთ განცხადება და ისევ გვიბრძანებენ ვთხოვოთ ტყისმცველს, ეს უკანასკნელი კი ამის შემდეგ პირადი შეურაცხყოფის გარდა თხოულობს ქრთამად მეტ ფულსა და სანოვაგეს. სასტიკად გვცემენ ყველას და ჭრილობებსაც გვაყენებენ ცივი იარაღით. მრავალი წლების მუშაობით გაკაფულ და ნაპატიებ სახნავ-სათესს და სათიბის მიწებს გვართმევენ ჩვენ ძირითად მცხოვრებლებს და აძლევენ ახალ ჩამოსახლებულ პირებს, რომელნიც არ ეკუთვნიან ჩვენს საზოგადოებას. ვინაიდან ბორჯომის მამულების მმართველისა და ხელქვეითი მოსამსახურეების დესპოტური მოქმედების შესახებ, ჩვენ ჩვენი სიღარიბის გამო არ შეგვიძლია ვაცნობოთ ბორჯომის მამულის უავგუსტოეს მფლობელს ან სხვა ვინმეს, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ თავის თავზე შრომა, რათა მიმართოთ თხოვნით, სადაც ჯერ იქნება, რომ გვიხსნან ბორჯომის მამულების მმართველის თვითნებურ, გამანადგურებელი გადასახადებისაგან და მისი ხელქვეითი მოსამსახურეების მიერ შეურაცყოფისა, ცემატყეპისა და დაჭრა-დასახიჩრებისაგან, რომ განსაზღვრული იქნეს ერთხელ და სამუდამოდ მფლობელის სასარგებლოდ გადასახადის ნიხრი: გასატან ხეტყეზე, სათბობ შეშაზე, საქონლის საძოვრებზედ და სხვა. აგრეთვე, ვთხოულობთ, რომ იმ ბეგარის გარდა, რომელსაც ჩვენ ვიხდით, არ გვაიძულებდნენ, ძალდატანებით მამულის სამმართველოსათვის საალმშენებლო ხეტყისა, შეშისა და თივის ზიდვას და არ გვადებდნენ სხვა ნატურალურ ბეგარას, რომ მამულების მმართველი არ გვიკრძალავდეს ჩვენ მიერ მოჭრილ და

მტკვარზე ჩატანილ საალმშენებლო ხეტყის კერძო პირისათვის მი-ყიდვას და არ გვართმევდეს დამზადებულ ხეტყეს. რასაც თქვენი აღმატებულება ამის თაობაზე კანონიერად გაარიგებს მასში ჩვენ თქვენს აღმატებულებას ვენდობით და მოდავე და მოწინააღმდეგე არ ვიქნებით"[1]. საჩივარზე ხელს აწერს ბორჯომის ხეობის 25 სოფლის 186 გლეხი და 1881 წლით არის დათარიღებული. დ. ყიფიანმა ამ საქმის მოგვარება-გამოსწორებისათვის ბორჯომის მამულის მმართველს — მურავიოვს მიმართა თხოვნით (წერილი მისწერა), მაგრამ ამით არაფერი გამოვიდა. დ. ყიფიანისადმი მურავიოვის საპასუხო წერილიდან ირკვევა, რომ საჩივრის მოთავე ყოფილა 4 გლეხი: შაქრო ჩადუნელი, ივანე ხრიკაძე, ივანე ჯანგობეჩაშვილი და სოლო პატარიძე. მურავიოვთან მიმოწერით რომ არაფერი გამოვიდა, ყიფიანმა დიდ მთავარს, მიხეილ რომანოვს მიმართა, რომელსაც გლეხთა კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სთხოვა, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, მან გლეხთა ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა.

გლეხების საჩივრიდან ჩანს, თუ რამდენად დამძიმებულია საგადასახადო ვალდებულებანი. გლეხი 17-მდე სხვადასხვა სახის გადასახადს იხდიდა და, რაც მთავარია, გადასახადის ბევრი სახე წინასწარ განსაზღვრული არ იყო. გადასახადებს თან ერთვოდა მამულის მმართველისა და სხვა მოხელეების თვითნებობა, გლეხთა ცემა-ტყეპა, მათგან ქრთამების მოთხოვნა და სხვ. 1857 წლის ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ გლეხი მხოლოდ 3 სახის გადასახადს იხდიდა, ახლა კი, 80-იანი წლების დასაწყისში, გადასახადთა სახეები 17-მდე გადიდდა და თითოეული მათგანი 2—3-ჯერ მეტი ოდენობის იყო 50-იანი წლების გადასახადის ოდენობასთან შედარებით.

ბორჯომის ხეობის გლეხთა ცხოვრებაში ტყეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, იგი არა მარტო პირადი საჭიროებისათვის გამოიყენებოდა, არამედ გასაყიდი საგანიც იყო, 60—70-იან წლებში აქაური გლეხობა ტყეს თითქმის „ჩალის ფასად" იგდებდა ხელში, მაგრამ „საქალაქო ცხოვრებისა და მრეწველობის განვითარებამ, რკინიგზების გაყვანამ და სხვ. გამოიწვია ხე-ტყის საქონლად გადაქცევა და ზოგიერთი ხის ჯიში არამცთუ შინაგანი

---

1 ს. ხუნდაძე. დიმიტრი ყიფიანი, 1936, გვ. 215—217.

ვაჭრობის, არამედ საექსპორტო საგანიც გახდა. ყოველივე ამის გამო, გასაგებია, სულ უფრო და უფრო უნდა გაძვირებულიყო ხე-ტყე. გლეხს არამცთუ სახლისა და სხვა ნაგებობათათვის... არაშედ, არაიშვიათად თვით გუთნისა და კავისათვის საჭირო ხის ნაწილების შოვნაც კი უძნელდებოდა"[1]. რაც უფრო ვითარდებოდა ტყეების ექსპლოატაცია, რასაც ხე-ტყის საქონლად გადაქცევა იწვევდა, მით უფრო რთულდებოდა გლეხების მიერ ტყით სარგებლობა. ბორჯომის მამულის მმართველობა არამცთუ „ბაჟს" ადიდებდა ტყით სარგებლობაზე, არამედ სრულიად უფასოდ ართმევდა გლეხებს ტყიდან გამოზიდულ სამასალე ხესა და შეშას, რაც მათ მდგომარეობას აუარესებდა და მამულის პატრონის მიმართ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. თუ წინათ გლეხობა თავისუფლად სარგებლობდა საჭირო ხე-ტყით, 70-იან წლებში მას ტყიდან „უბაჟოდ" ფიჩხის გამოტანაც არ შეეძლო. მკვეთრად იზრდებოდა „საბალახო" გამოსაღებიც. ბორჯომის ხეობაში გლეხთა მასობრივად დასახლების გამო სახნავი მიწის ფართობი თანდათან დიდდებოდა. მიუხედავად ამისა, სახნავ მიწაზე საიჯარო ქირა მკვეთრად იზრდებოდა. მამულის მმართველობა საიჯარო ქირისა და სხვა ვალდებულებათა გადიდებას ხელშეკრულების განახლების დროს ახდენდა. ვორონცოვის მიერ 1851 წელს დამტკიცებული დებულების თანახმად, ახალმოშენე გლეხებთან ხელშეკრულება 20 წლის ვადით იდებოდა. 1872 წლიდან მიხეილ რომანოვს ხელშეკრულების ვადათ 6 წელი დაუწესებია და საიჯარო ქირაც გაუზრდია. წყაროებიდან ჩანს, რომ ყოველთვის, როდესაც ხელშეკრულების განახლება ხდებოდა, საიჯარო ქირა და სხვა ვალდებულებანი დიდდებოდა. 1889 წელს ხელშეკრულების განახლების დროს მამულის მაშინდელ მმართველს მარკ გრაფს გადასახადები ძლიერ გაუზრდია, რისთვისაც გლეხებს უარი განუცხადებიათ ხელშეკრულების განახლებაზე და ამავე დროს თხოვნით მიუმართავთ როგორც მთავარმმართველისათვის, ისე გუბერნატორისათვის, ისინი მოითხოვდნენ ძველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დატოვებას. ეს საქმე 2 წელს გაჭიანურდა და ამასობაში, 1891 წელს, ხიზანთა შესახებ კანონიც გამოიცა[2]. ამ კანონის

---

[1] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ა/კავკასიის ეკ. განვითარება XIX—XX სს., 1956, გვ. 712.

[2] ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია XIX—XX სს., II, 1959, გვ. 199.

ძალით ხიზნებს მათ სარგებლობაში აქამდე მყოფი მიწები შეუნარჩუნდათ სამემკვიდრეოდ და ძველი ვალდებულებანიც ძალაში დარჩა. ამიერიდან ხიზანის აყრა-გადასახლება და მისთვის ვალდებულებების გაზრდა მემამულეს აღარ შეეძლო. შეიტყვეს რა ამ კანონის შესახებ, ბორჯომის მამულის გლეხებმა, ახალი საჩივარი აღძრეს და განაცხადეს, რომ ისინი ხიზნები არიან და კანონის ძალით მათი არც გასახლება შეიძლება მამულიდან და არც საიჯარო ქირის გაზრდა. აი, როგორ არის აღწერილი ეს საქმე 1893 წლის № 258 „ივერიაში“: „საქმე გაირჩა ჯერ მომრიგებელ შუაკაცთან, რომელმაც უარი უთხრა გლეხებს, თქვენ ხიზნები კი არა, იჯარადრები ხართ და თქვენი საქმე ექვემდებარება საგლეხო დაწესებულებას კი არა, არამედ სასამართლო დაწესებულებასო. ამ განაჩენზე გლეხებმა საჩივარი მიართვეს საგლეხო საკრებულოს, რომელიც თითქმის 3 დღე მოუნდა მათი საჩივრის განხილვას და შემდეგ დიდის ბაასისა და სჯისა, დაადგინა ხმის უმრავლესობით: უარი ეთქვას ბორჯომის ხეობაში დამკვიდრებულ 203 კომლ კაცს ხიზნობაზე, რადგან უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის კომიტეტის განჩინებაში ისინი მოხსენებულნი არიან, როგორც დროებით მოსულნი ტყის სამუშაოდ და, აგრეთვე, იმ საფუძვლის მიხედვით, რომ 1888 წელს დიდის მთავრის მამულში დაწესდა მაიორატი. ამგვარ მამულებში კი არავითარი შეზღუდვა მამულის მესაკუთრისა კანონით არ შეიძლება. ხიზნობის მაძიებელნი ამბობდნენ, რომ როცა ხიზანთა დებულება დამტკიცდა, ჩვენ წერილობითი ხელშეკრულება არა გვქონდა მამულის გამგეობასთან. მაგ კანონის პირველი მუხლის ძალით ჩვენ ხიზნებათ უნდა ვიქნეთ ცნობილნი. სჯაბაასის დროს საგლეხო საკრებულოში გამოირკვა, რომ პირველი მუხლი ახალის კანონისა შეეხება მათ, ვინც მაგ კანონამდე იჯარადარი იყო, ამ აზრს არ ეთანხმებოდა უმცირესობა და ამტკიცებდა, რომ რადგან 3 თიბათვის 1891 წელს მაგათ ხელწერილები არა ჰქონდათ, ხიზნებათ უნდა იქნენ ცნობილნი. საქმე, როგორც მოხსენებული იყო, გადაწყდა ხმის უმრავლესობით. ხიზნობის მაძიებელნი უკმაყოფილონი დარჩნენ საგლეხო საკრებულოს გადაწყვეტილებით და აპირებენ საჩივარი მიართვან უმართებულესს სენატს“[1]. ეს საჩივარი იმით დამთავრდა, რომ ბორჯომის ხეობის 23 სოფელში მცხოვრები 700 კომლი გლეხი ბორჯომის მამულის

---

[1] „ივერია“, 1893, № 258, გვ. 3, „ბორჯომის ხეობის გლეხების საქმე“.

ტერიტორიაზე „დროებით მცხოვრებ“ გლეხებად ჩაითვალა „რომლებიც, ამგვარად მამულის მმართველის თვითნებობაზე იყვნენ მთლიანად დამოკიდებულნი. უკანასკნელს შეეძლო, სურვილისამებრ აეყარა ისინი“[1]. ბორჯომის ხეობის გლეხობის ერთი ნაწილი, რომელთა რაოდენობა 1872 წლისათვის 84 კომლს უდრიდა, კავკასიის კომიტეტის გადაწყვეტილებით (1872 წ.) სახაზინო გლეხებად (სახელმწიფო გლეხებად) დარჩნენ, მიეცათ „ნადელი“ (საკომლო) და ბორჯომის მამულის მმართველობასთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ, მათი უფლება-მოვალეობანი ისეთივე იყო როგორიც სხვა სახელმწიფო გლეხებისა. ყველაზე ცუდ მდგომარეობაში იყვნენ „დროებით მცხოვრები“ გლეხები, მათი „ბედი“ მთლიანად მამულის მმართველის თვითნებობაზე იყო დამოკიდებული და მათ საქმეში სახელმწიფო კანონებით ჩარევაც არ შეიძლებოდა. 1872 წლიდან სახელმწიფო (სახაზინო) გლეხთა დასახლება ბორჯომის ხეობაში შეწყდა. ამ დროიდან, ყველა გლეხი, რა კატეგორიისაც არ უნდა ყოფილიყო, თუ ბორჯომის ხეობაში დასახლდებოდა, მოიჯარედ, ანუ „დროებით მცხოვრებ“ გლეხად ხდებოდა. ძველად დასახლებული გლეხები (84 კომლი), რომლებიც სახაზინო გლეხებად დარჩნენ, მოიჯარე გლეხებთან შედარებით უკეთეს პირობებში იყვნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ბუნებრივი გამრავლების შედეგად (90-იანი წლებისათვის მათმა რიცხვმა 300-ს კომლს მიაღწია, რის გამოც უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის ბორჯომის ხეობის გლეხთა ოდენობა 1000 კომლს აღემატებოდა) მათ ადრე მიცემული მიწა აღარ ჰყოფნიდათ. მიწა მამულის მმართველობისგან უნდა მიეღოთ ისეთსავე პირობებში, როგორც „დროებით მცხოვრებნი“ ღებულობდნენ, ასე, რომ სახაზინო გლეხებიც „დროებით მცხოვრებ“ გლეხთა მდგომარეობაში ვარდებოდნენ. ბორჯომის ხეობის გლეხთა მდგომარეობის გაუარესების მაუწყებელია ის ფაქტი, რომ ისინი ხშირად უარს ამბობდნენ ხელშეკრულების განახლებაზე, რომელიც მათ ახალ გაზრდილ ვალდებულებებს აკისრებდა. ერთ-ერთ ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა 1898 წელს. ამ წელს ვაშლოვანის, ლიკანის, კიმოთესუბნის, წალვერისა და სხვა სოფლების გლეხობამ კატეგორიული უარი განუცხადა მამულის მმართველობას ხელშეკრულების განახლებაზე და არსებული ხელშეკრულების ძალაში დატოვება მოითხოვა. მა-

---

[1] პ. გუგუშვილი. დასახელებული შრომა, გვ. 714.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულის მმართველის გლეხებთან მოლაპარაკებამ ახალი ხელშეკრულების დადებაზე შედეგი ვერ გამოიღო, მაშინ მამულის პატრონმა მიხეილ რომანოვმა საქმე საგუბერნიო სასამართლოში აღძრა. 1899 წლის დამდეგს თბილისის გუბერნიის საგუბერნიო სასამართლომ საქმე რომანოვის სასარგებლოდ გადაწყვიტა. სასამართლოს დადგენილებით, ხელშეკრულების განახლების მოწინააღმდეგე მოთავე გლეხები ადმინისტრაციული წესით მამულის ფარგლებიდან უნდა გაესახლებინათ. საგუბერნიო სასამართლოს დადგენილების სისრულეში მოსაყვანად სოფ. ვაშლოვანში 1899 წლის 25 აპრილს მივიდნენ ბორჯომის მამულის მმართველობის რწმუნებული აბაზაძე, გორის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი დრაჩოვი, ბორჯომის უბნის ბოქაული ბალაბანსკი, სურამის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი შევჩენკო და მრავალი პოლიციელი. მათ ვაშლოვანიდან უნდა გაესახლებინათ 3 გლეხი (ბალდავანიძეების ორი ოჯახი და ერთი გურაბანიძის ოჯახი). ამ დღეს ვაშლოვანის მცხოვრებთა უმრავლესობა სამუშაოდ ყოფილა წასული. გასასახლებელთა ერთერთ ოჯახში აღმოჩნდა მხოლოდ დიასახლისი, რომელსაც გადასახლების ამბავი გამოუცხადეს. ქალმა მათ უპასუხა: „ჩვენ დიდი ხანია ვაშლოვანში ვცხოვრობთ, ეს მამულები ჩვენ ძველებს ეკუთვნოდათ, ამიტომ არა ვართ ვალდებულნი, ჩვენი მამულები იჯარით ავიღოთ და საიჯარო პირობები შევასრულოთ. თუ ძალით გინდათ გაგვასახლოთ, მაშინ დაგვისახელეთ, სად გადავსახლდეთ, ანდა მოგვეცით საზღვარგარეთული პასპორტები და მთლიანად დავტოვებთ რუსეთის იმპერიას“[1]. გლეხი ქალის პასუხი რისხვასავით დაატყდა თავს მეფის მოხელეებს და სოფელს გაეცალნენ. მეორე დღეს ვაშლოვანსა და ლიკანში პოლიციელები და ჯარის ნაწილები ჩააყენეს. ბოქაულს დაავალეს, 4 მაისისათვის ურმები გაემზადებინა, რაც გლეხთა გადასახლებისათვის იყო საჭირო. ხეობის გლეხობამ უარი განაცხადა ურმების მიცემაზე. ბოლოს ურმები სოფ. ქვიშხეთში იშოვეს, დაიქირავეს 25 მუშა, რომელთა მეშვეობით უნდა დაენგრიათ გასასახლებელ გლეხთა სახლები და გადაეყარათ მტკვარში, იმ შემთხვევაში, თუ ისინი გასახლებაზე უარს იტყოდნენ. ამ დროს მოვიდა დეპეშა, სადაც ეწერა: შეეჩერებინათ გასახლება მანამ, სანამ მათ არ გამოუნახავდნენ გადასასახლებელ ადგილს. საინტე-

---

1 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, ფონდი 7, საქმე 260.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესოა ის, რომ დეპეშას ხელს არავინ აწერდა. საფიქრებელია, რომ მისი გამოგზავნა გლეხთა ერთგულმა მოსარჩლეებმა მოაწყეს. ამ ხერხმა გაჭრა, გადასახლების საქმე ჩაიშალა. ამის შემდეგ ლიკანისა და ვაშლოვანის გლეხობას თვით მიხეილ რომანოვმა მისცა წინადადება, მოეწერათ ხელი 6-წლიან ხელშეკრულებაზე, მაგრამ გლეხებმა მასაც მტკიცე უარი უთხრეს. რომანოვი მათ მამულიდან გასახლებით დაემუქრა, მაგრამ ამ მუქარამაც არ გაჭრა.

ბორჯომის მამულის მმართველობასა და გლეხობას შორის წინააღმდეგობამ მწვავე ხასიათი მიიღო. წაღვერსა და ტიმოთესუბანში. აქაურმა გლეხებმა რამდენჯერმე მიმართეს მამულის მმართველს და სთხოვეს საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, მაგრამ მათი თხოვნა ოდნავადაც არ დაკმაყოფილდა. ბოლოს გლეხებმა ხელშეკრულების განახლებაზე ლიკანელი და ვაშლოვანელი გლეხების მსგავსად უარი თქვეს. საგუბერნიო სასამართლომ მოწინავე მებრძოლი გლეხების ადმინისტრაციული წესით გასახლება დაადგინა. გასასახლებელთა სიაში პირველ რიგში წაღვერელი გლეხები პეტრე თევდორეს ძე გელაშვილი და ტიმოთესუბნელი ივანე ხრიკაძე მოხვდნენ. როდესაც პ. გელაშვილის გასახლების ამბავი ცნობილი გახდა, მაშინ 9 სოფლის (წაღვერის, კიმოთესუბნის, მზეთამზეს, ცემის, სადგერის, დაბის, ლიკანის, ვაშლოვანის და ტბის) გლეხობამ გადაწყვიტა მტკიცედ ემოქმედა და არ დაეშვა გელაშვილის გასახლება წაღვერიდან. მათ ერთსულოვნად განაცხადეს: „დღეს მაგას აჰყრიან... ხვალ ჯერი ჩვენზე დადგება"[1]. 1899 წლის მაისში ბორჯომის ბოქაული პოლიციელებით წაღვერში მივიდა და პ. გელაშვილს წინადადება მისცა თავისი ოჯახით დაეტოვებინა წაღვერი და შორაპნის მაზრაში გადასახლებულიყო. გლეხობის მხარდაჭერამ გელაშვილს მხნეობა და გამბედაობა შემატა, მას ბოქაულისათვის განუცხადებია: „მე წაღვერში დავიბადე, აქ დავხარჯე ჩემი შრომა და ენერგია, დავამუშავე მიწა, ჩემი სურვილით აქედან არსად არ წავალ"[2]. მოთმინებიდან გამოსულმა გლეხებმა იქვე ამხილეს დიდი მთავრისა და მისი მამულის სამმართველოს მუშაკთა მძარცველობა და ყაჩაღური საქციელი. ერთ-ერთმა გლეხმა, სოსიკო გელაშვილმა,- პოლიციელებს განუცხადა: „სულ-

---

1 გ. ხაჭაპურიძე. გლეხთა მოძრაობა საქართველოში, 1932, გვ. 174.
2 საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, ფონდი 7, საქმე 260.

ერთია, ჩვენ ყველას აქედან გადაგვასახლებთ, მაშინ სჯობია ახლავე მოვიყვანო ჩემი ოთხი შვილი და აქვე თქვენ თვალწინ დავხოცო ისინი"[1]. როდესაც ბოქაული და პოლიციანები ვერაფერს გახდნენ, მაშინ გადაწყვიტეს, გაეტეხათ გელაშვილის სახლის კარები და ქონება გარეთ გამოეტანათ, მაგრამ მათ ქალები გადაეღობნენ წინ, პოლიციელებს ცემით დაემუქრნენ და სახლის გატეხის ნება არ მისცეს. პოლიცია იძულებული გახდა, წაღვერს გასცლოდა, იგრძნო, რომ გელაშვილის გასახლება გლეხთა მღელვარეებას კიდევ უფრო გააძლიერებდა. მალე წაღვერში პოლიციელთა ბატალიონი და ჯარისკაცთა ორი ასეული მოიყვანეს, მოვიდა თბილისის გუბერნიის ვიცეგუბერნატორიც. მათ გადაწყვიტეს, დაეწყოთ სოფლების დარბევა. გლეხებმა იგრძნეს, რომ ჯარის რეგულარულ ნაწილებთან და პოლიციასთან ვერაფერს გახდებოდნენ, რის გამოც მათი სიმტკიცე შესუსტდა. მღელვარება სწრაფად ჩაქრეს, დააპატიმრეს 9 გლეხი: პეტრე და მიტო გელაშვილები წაღვერიდან, ივანე ხრიკაძე ტიმოთესუბნიდან, ბაღდავანიძეები ვაშლოვანიდან. დაპატიმრებულთა შორის 2 ქალი იყო. პატიმრები გორის საპყრობილეში მოათავსეს. გლეხების აყრა-გადასახლებაზე ამჯერად მთავრობამ ხელი აიღო. ეს იყო ხეობის გლეხთა მტკიცე საპროტესტო გამოსვლის შედეგი. გლეხები იძულებული გახდნენ, ახალი ხელშეკრულებისათვის ხელი მოეწერათ და გადიდებული გადასახადები ეხადათ.

ბორჯომის ხეობის 9 სოფლის გლეხთა გამოსვლა 1899 წელს საკმაოდ ორგანიზებული იყო. იგი მიზნად ისახავდა ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ისინი დამარცხდნენ, ვინაიდან მათ ჯერ არ ჰყავდათ ხელმძღვანელი, ბორჯომში არ არსებობდა მუშათა სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლო, სწორად ,ხელმძღვანელა გლეხებისათვის და მათი ბრძოლა მუშათა მოძრაობისათვის დაეკავშირებინა.

§ 1. კაპიტალისტური საწარმოები ბორჯომში

საგლეხო რეფორმამ, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში გატარდა, მიუხედავად მისი ბატონყმური ხა-

---

1 გ. ხაჭაპურიძე. დასახ. შრომა, გვ. 174—175.

სიათისა, დიდად შეუწყო ხელი კაპიტალიზმის განვითარებას. გლეხებმა რეფორმით პირადი თავისუფლება მოიპოვეს, ამიერიდან მათ თავისუფლად შეეძლოთ ქალაქად წასვლა და წარმოებაში ჩაბმა. თავისუფალი მუშახელის არსებობის გარეშე კაპიტალიზმის განვითარება შეუძლებელია და სწორედ ამ თავისუფალი მუშახელის შექმნას შეუწყო ხელი საგლეხო რეფორმამ. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ყოველნაირად აბრკოლებდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას, მაგრამ ამ პოლიტიკას ისტორიული განვითარების შეჩერება მაინც არ ძალუძდა. მას მხოლოდ მისი დროებითი შეფერხება შეეძლო. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურული პერიოდი, ახალი, უფრო მაღალი, საფაბრიკო-საქარხნო (მანქანური ინდუსტრიის) პერიოდით იცვლება. „საქართველოში მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლა ძირითადად 70—90-იან წლებში განხორციელდა. სწორედ ამ დროს მოხდა დაქირავებული მუშათა მასების პროლეტართა კლასად ჩამოყალიბება“[1]. კაპიტალიზმის განვითარების ამ საერთო ფერხულში ებმება ბორჯომიც. სწორედ XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩნდება ბორჯომში კაპიტალისტური საწარმოები და დაქირავებული მუშები.

XIX საუკუნის 60—70-იან წლებამდე ბორჯომის მინერალური წყლები სამკურნალოდ აბაზანების მიღების წესით გამოიყენებოდა. 70—80-იან წლებში, მინწყლების ანალიზისა და პრაქტიკული დაკვირვების შედეგად, ზუსტად გაირკვა მისი სამკურნალო თვისებები. დადგინდა, რომ ბორჯომის მინერალური წყლებით იკურნება: კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, ნაღვლის, თირკმლებისა და შარდსადენი გზების, ნივთიერებათა ცვლის, გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის, სასუნთქი ორგანოებისა და ნერვულ სისტემათა დაავადებანი. გამოირკვა, მკურნალობისათვის უმჯობესია ბორჯომის წყლის დალევა, ვიდრე აბაზანების მიღება. 80-იანი წლებისათვის დამტკიცდა, რომ ტრანსპორტირებით ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალო თვისება ოდნავადაც არ იცვლება. ყველა ამ გამოკვლევა-აღმოჩენამ ბორჯომის მინერალურ წყლებს ფართოდ გაუთქვა სახელი და დაისვა საკითხი მისი გატანის შესახებ. საჭირო გახდა წყლის ჩამოსხმა, რაც ჩამომსხმელი ქარხნის აგებას

---

1 ავტორთა კოლექტივი. საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 566.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვდა. ქარხნის აგება მით უფრო აუცილებელი ხდებოდა, რამდენადაც ბორჯომის მინერალურ წყალს იმპერიაში მეტი და მეტი მომხმარებელი უჩნდებოდა. დოკუმენტებით არ დასტურდება, მაგრამ სავარაუდოა, რომ XIX საუკუნის 50-იან წლებში ბორჯომში არსებობდა პრიმიტიული სახის მინწყლების ჩამომსხმელი ქარხანა, ვინაიდან 1857 წლიდან ბორჯომის მინერალური წყლები სისტემატურად გაჰქონდათ არა მარტო კავკასიის, არამედ რუსეთის ქალაქებშიც. პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, თუ როდის აიგო ბორჯომის მინწყლების ჩამომსხმელი ქარხანა, არ გაგვაჩნია, მაგრამ არაპირდაპირი ცნობებით შეგვიძლია, დავადგინოთ მისი აშენების თარიღი. მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის ქიმიკოსის ფ. მოლდენჰაუერის ცნობით, 1890 წელს სარეალიზაციოდ ბორჯომიდან გაუტანიათ 5130 ბოთლი წყალი. შემდგომ წლებში წყლის გატანა თანდათან მატულობდა. ეს ფაქტი მოწმობს, რომ 1890 წელს ქარხნის აშენებაც დამთავრებულა და მას პროდუქციაც მოუცია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მინწყლების ჩამომსხმელი ქარხნის აშენება 1889 წელს დამთავრებულა და 1890 წლის დასაწყისიდან იგი წარმოებაში გაუშვიათ. იმავე ფ. მოლდენჰაუერის ცნობით, ბორჯომის მინწყლების ქარხანას 1890 წელს 5130 ბოთლი წყალი გამოუშვია, ხოლო 1891 წელს — 6566.

1891—92 წლებში მ. ა. კორშინს, დებეტის გადიდების მიზნის № 1 (ეკატერინეს) წყაროს საკაპტაჟო სამუშაოები ჩაუტარებია, რასაც დადებითი შედეგი გამოუღია. სწორედ დებეტის გადიდებით უნდა ავხსნათ 1893 წელს ბორჯომის მინწყლების ჩამოსხმის მკვეთრად გადიდება. ამ წელს 1890 წელთან შედარებით თითქმის 27-ჯერ მეტი წყალია ჩამოსხმული. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცულია დიაგრამები, რომლებიც ნათელ სურათს იძლევიან წლების მიხედვით მინერალური წყლების ჩამოსხმის ოდენობის შესახებ:

1892	წელს	110000	ბოთლი წყალი იქნა ჩამოსხმული[1]
1893	„	189000	„
1894	„	240000	„

---

1 მოლდენჰაუერს 1890—91—92—93 წლებში ნაჩვენები აქვს მინწყლების ის რაოდენობა, რაც გატანილ იქნა ბორჯომიდან და არა ჩამოსხმული წყალი მთლიანად, ვ. ა.

1895	„	360000	„
1896	„	600000	„
1897	„	780000	„
1898	„	960000	„
1899	„	1080000	„
1900	„	1320000	„

როგორც ციფრობრივი მონაცემებიდან ჩანს, ბორჯომის მინერალური წყლების ჩამოსხმა ყოველწლიურად მატულობდა. მას ფართო ბაზარიც მოუპოვებია და წარმოებაც რენტაბელური გამხდარა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოშვებული პროდუქციის ასე სწრაფად გადიდება არ შეიძლებოდა.

ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა ბორჯომის მამულის მფლობელს მიხეილ რომანოვს ეკუთვნოდა და იგი აგებული იყო იქ, სადაც დღეს მინწყლების № 2 წყაროა (ევგენის სახელობის წყარო), ხოლო 1892 წელს ქარხნისათვის, იქვე ახლოს, ახალი შენობა აიგო[1]. მინწყლების ჩამომსხმელი ქარხნის ძველი მუშების იორდანე გელაშვილისა და სევასტი წიქარიშვილის გამოკითხვით დადგინდა[2]: ქარხნის შინაგანი მოწყობილობის მდგომარეობა, მუშათა ხელფასის ოდენობა, მუშათა რაოდენობა ქარხანაში და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტები. ქარხანაში დადგმული ყოფილა მინერალური წყლის ჩამოსასხმელი 12 მანქანა, თითოეულ მანქანასთან მილით იყო მიყვანილი წყალი და ონკანის გახსნით ბოთლის ავსება შეიძლებოდა, შემდეგ ხელითვე უმატებდნენ გაზს (ნახშირორჟანგს), თავს დაუცობდნენ და მინერალური წყალი მზად იყო გასაგზავნად. იყო ბოთლის გამრეცხი მანქანებიც, რომლებსაც (თითოეულს) ოთხი კაცი ემსახურებოდა. 90-იანი წლების ბოლოს ქვედა ბორჯომში (ჩარხისწყალი)[3] გაიხსნა ამავე ქარხნის საამქრო, სადაც წარმოებდა ბოთლებში ჩამოსხმული წყლის შეფუთვა, ჩაწყობა და დანიშნულებისამებრ გაგზავნა. მუშები დღეში 10—12

---

1 ახლანდელი საკურორტო დარბაზი მინწყლების ბაღში. 1954 წლიდან ქარხანა ქვედა ბორჯომში ახალ შენობაში გადაიტანეს.

2 ი. გელაშვილისა და ს. წიქარაშვილის მოგონებანი ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

3 რაკი ქვედა ბორჯომში წყალსაქაჩი დაზგები იდგა, რასაც ჩარხებს უწოდებდნენ, ამიტომ ამ ადგილს „ჩარხისწყალი“ დაერქვა.

საათს მუშაობდნენ. ამ დროის განმავლობაში ყველაზე კვალიფიციურ მუშას (ამ შემთხვევაში წყლის ჩამომსხმელს) შეეძლო, 40 კაპიკი გამოემუშავებინა. მძიმე იყო სამუშაო პირობები, უსუფთაობა და სინესტე მეფობდა ქარხანაში. 1900 წლისათვის, როგორც ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული საარქივო მასალებიდან ჩანს, ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანაში (ჩამომსხმელ და ჩამწყობ საამქროებში) 227 მუშა მუშაობდა. მართალია, ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა დიდი საწარმო არ იყო, მაგრამ იგი პირველი კაპიტალისტური ტიპის საწარმო იყო ბორჯომის ხეობაში და მისი დაარსება მეტად მნიშვნელოვან და პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

აღვნიშნეთ, რომ ჯერ კიდევ 1830 წელს ბორჯომში აიგო მინის ქარხანა და მან პროდუქციაც გამოუშვა. ეს პროდუქცია შავი შუშეული ყოფილა, რომელიც განკუთვნილი იყო ქართული ღვინის სათავსო ჭურჭლად. ღვინო კი რუსეთში იგზავნებოდა. ჯერ თანაშემწისა და შემდეგ კი ლევაშოვის სიკვდილმა (ქარხანაში სპეციალისტი აღარავინ იყო), ქარხნის დახურვა გამოიწვია (ქარხანამ მხოლოდ ერთი წელი იარსება). ცოტა ხნის შემდეგ მინის ქარხანა აწყურში გახსნილა. მაგრამ, ვინაიდან სათანადო პირობები არ იყო, ქარხანა მალე დაიხურა. 1890 წელს ბორჯომის მამულის მმართველად ვინმე მარკ გრაფი დაინიშნა. მან კარგად შეისწავლა ბორჯომი, მისი მინერალური წყლები და მშენებლობის ფართო გეგმა შეიმუშავა. გეგმაში, სხვა მშენებლობებთან ერთად, გათვალისწინებული იყო ბორჯომის რკინიგზის ხაზით ხაშურთან (მიხაილოვო) დაკავშირება და მინის ქარხნის აგება. მიხეილ რომანოვმა უარი თქვა ამ გეგმის განხორციელებაზე (ფულადი სახსრების უქონლობა მოიმიზეზა). 1894 წელს კვლავ დაისვა საკითხი ბორჯომში მინის ქარხნის აგების შესახებ. მიხეილ რომანოვმა გაითვალისწინა რა ის დიდი შემოსავალი, რასაც მინის ქარხნის აგება მისცემდა, გადაწყვიტა ქარხნის აგება, რაც საიჯარო წესით უნდა მომხდარიყო. გამოცხადდა საიჯარო პირობები, რომელიც ითვალისწინებდა: მოიჯარე ბორჯომის მამულში უფასოდ მიიღებდა 10 დესეტინა მიწას 24 წლის ვადით, ქარხნისათვის საამშენებლო მასალას უფასოდ მიიღებდა მამულის კანტორისაგან, იგივე კანტორა უფასოდ მისცემდა ქარხნისათვის საჭირო სათბობს (შეშას) და ნედლეულს (იმას, რაც ბორჯომის მამულში მოიპოვებოდა). მო-

იჯარე ვალდებული იყო მოემარაგებინა მინწყლების ჩამომსხმელი ქარხანა ლიტრიანი და ნახევარლიტრიანი ბოთლების იმ რაოდენობით, რაც ქარხანას დასჭირდებოდა, სამაგიეროდ მინწყლების ქარხანა მას გადაუხდიდა ერთ ლიტრიან ბოთლში 5 კაპიკს, ხოლო ნახევარლიტრიანში — 4 კაპიკს. საიჯარო ვადის (24 წლის) გასვლის შემდეგ ქარხანა გადადიოდა მიხეილ რომანოვის საკუთრებაში და მასვე დაუბრუნდებოდა 10 დესეტინა მიწა, რომელიც მოიჯარეზე 24 წლით იყო გაცემული. მრავალი მსურველი აღმოჩნდა. მათ შორის ერთთან (პალილოვთან) 1894 წელს ხელშეკრულებაც კი გაფორმდა. მას ქარხანა წალვერში უნდა აეშენებინა, მაგრამ როგორც ცნობილია, წალვერში ქარხანა არ აშენებულა. თუ რატომ, ან რისთვის იქნა პალილოვთან დადებული ხელშეკრულება დარღვეული, ამის შესახებ ჯერჯერობით ცნობები არ ჩანს. შემდეგში ბორჯომის შუშის ქარხნის აშენების იჯარით აღება უცდია ეკატერინოდარელ ვინდალკოვსკის, მაგრამ ყველა კონკურენტს თავადმა ივანე ქაიხოსროს ძე აბაშიძემ აჯობა, რომელმაც 1894 წლის 2 დეკემბერს პეტერბურგში მიხეილ რომანოვთან გააფორმა ხელშეკრულება მინის ქარხნის აშენების შესახებ, იმ პირობების შესაბამისად, რომლებიც მიხეილ რომანოვმა ადრე გამოაცხადა. აბაშიძეს ქარხანა ერთი წლის განმავლობაში უნდა აეშენებინა, რაშიც მამულის მმართველობა ყოველნაირად შეუწყობდა ხელს. ქარხნის მშენებლობა სწრაფი ტემპით წარმოებდა და 1895 წლის ბოლოს დამთავრდა, ხოლო 1896 წლის დამდეგიდან პროდუქციის გამოშვება დაიწყო.

1895 წელს გაზეთი „ივერია" იტყობინებოდა: „ბორჯომში შუშეულობის ქარხანა, რომელიც თავად ივანე ქაიხოსროს ძე აბაშიძისა და ინგლისის კაპიტალისტებისაგან შენდება დიდი მთავრის მამულში, მალე დამთავრდება. თვით ბორჯომის წყლისათვის შეკვეთილი აქვს ქარხანას ახლავე ერთი მილიონი ბოთლი"[1]. როგორც ჩანს, აბაშიძეს ქარხნის მშენებლობაში ინგლისელი კაპიტალისტებიც ჩაუბამს. ბორჯომის მინის ქარხნის მშენებლობა 1895 წლის ბოლოს დამთავრდა. ბორჯომის შუშის ქარხნის ძველმა მუშამ, ილია ალექსის ძე სარალიძემ, რომელიც 1880 წელსაა დაბადებული, 1958 წელს გვითხრა: იგი ქარხანაში რომ მოვიდა მუშად, 15

---

[1] გაზეთი „ივერია", 1895 წელი, № 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლისა იყო და, მართლაც, ეს წლოვანება ზუსტად ემთხვევა 1896 წლის დასაწყისს, როდესაც ქარხანამ მუშაობა დაიწყო[1]. 14—15 წლის მოზარდი ადამიანის გამოყენება მუშად კაპიტალისტურ საწარმოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ამიტომ სარალიძის აღიარება, რომ იგი 15 წლის იყო, როდესაც მუშაობა დაიწყო ბორჯომის შუშის ქარხანაში, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ქარხნის წლიური წარმადობა 2 000 000 ბოთლს უდრიდა. თავდაპირველად ქარხანაში დაიდგა მინის სახარშავი ერთი დიდი ქვაბი და მის ირგვლივ ბოთლის ჩამოსასხმელი 10 დაზგა. ქარხნის ძველი მუშების ი. სარალიძის, ა. ლურსმანაშვილის, ვ. ბითაძისა და სხვების თქმით, ერთ ცვლაში (10—12 საათის განმავლობაში) თითოეულ დაზგაზე შეიძლებოდა 300—400 ცალი ბოთლის დამზადება, ე. ი. 10 დაზგაზე შეიძლებოდა 3—4 ათასი ბოთლის ჩამოსხმა, მაგრამ ქარხანა დღეღამის განმავლობაში განუწყვეტლივ (ორ ცვლად) მუშაობდა და ამრიგად დღეღამეში შეიძლებოდა 6—8 ათასი ბოთლის დამზადება. თუ ამ ნორმებით ვიანგარიშებთ, მაშინ ქარხანას წელიწადში ორი-ორნახევარი მილიონი ბოთლის გამოშვება შეეძლო. ასე რომ, იგი თითქმის აკმაყოფილებდა მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის მოთხოვნილებას ბოთლებზე. ქარხანაში მუშაობდნენ გერმანელი, უნგრელი და რუსი მუშები. ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრებნი უმთავრესად დამხმარე მუშებად მუშაობდნენ. ასე იყო 900-იანი წლების დასაწყისამდე. ამის შემდეგ ვითარება შეიცვალა და ქარხნის კვალიფიციური მუშები ძირითადად, ბორჯომის მკვიდრი მოსახლეობა გახდა. 900-იან წლებამდე ქარხნის ხელმძღვანელიც უცხოელი (გერმანელი) ბერკმანი იყო. მართალია, ქარხანაში მანქანები და დაზგები იდგა, მაგრამ ბევრი სამუშაო ხელით სრულდებოდა. განსაკუთრებით ძნელი იყო ბოთლის დასამზადებელი გახურებული სითხის გაბერვა, რაც მუშის მიერ დიდი ენერგიის დახარჯვას მოითხოვდა. ასეთი წესით ბოთლების დამზადება ბორჯომის მინის ქარხანაში XX საუკუნის 30-იან წლებამდეც კი შემორჩა. ქარხანაში მუშების სამუშაო დრო 12 საათს უდრიდა. მუშას ოსტატი ქირაობდა და ხელფასსაც ის აძლევდა თავისი შეხედულებისამებრ. კვალიფიციური მუშის ხელფასი თვეში 15 მანეთს აღწევდა, ხოლო დამხმარე მუშისა — 5—6 მანეთს. მუშებს საცხოვრებელი ბინები არ ეძლეოდათ და უმრავლესობა ღამეს ქარ-

[1] Виноградов-Никитин П. История Боржомского стекольного завода.

ხანაში ათევდა. მათი სიცოცხლის დაზღვევასა და ჯანმრთელობის დაცვაზე არავინ ფიქრობდა. ბორჯომის მინის ქარხნის ამუშავების პირველ წლებში სულ 143 მუშა მუშაობდა. ეს რიცხვი, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს, ვინაიდან ქარხანაში არსებულ 10 დაზგას 90 კაცი ემსახურებოდა, მინის სახარშავ ქვაბს კი — 15 კაცამდე. ქარხანაში სხვა უამრავი შრომითი პროცესებიც სრულდებოდა, რისთვისაც თითქმის 100-მდე მუშა იქნებოდა საჭირო. არსებული შეთანხმების თანახმად, მინის ქარხანას თვითონ უნდა ჩაებარებინა ბოთლები ჩამომსხმელი ქარხნისათვის, რისთვისაც გარკვეული რაოდენობის მუშა იქნებოდა საჭირო, მითუმეტეს, მინის ქარხანა ქვედა ბორჯომში მდებარეობდა (იქ, სადაც დღეს არსებობს), ჩამომსხმელი ქარხანა კი ბორჯომ-ბაღში.

ბორჯომის მინის ქარხნის მშენებლობამ უამრავი ხე-ტყის მასალა მოითხოვა. ბორჯომის მამულში ფართოდ გაიშალა ხე-ტყის მოჭრა-დამზადების სამუშაოები, რასაც ხეობის მოსახლეობა ასრულებდა. ხის მასალის დასამზადებლად გამოიყენეს ის ტყეები, რომელიც 1890 წლის აგვისტოში მომხდარმა დიდმა ხანძარმა დააზიანა[1]. ხის მასალაზე მოთხოვნილებამ ხის სახერხი ქარხნების დაარსება გამოიწვია. 1894—95 წლებში ბორჯომის ხეობაში 3 ასეთ ქარხანას დაუწყია მუშაობა, რომელთაგან ერთი ახალდაბაში, მეორე ბორჯომში (ჩარხისწყალზე) და მესამე — წაღვერში იყო. 1900 წლისათვის ამ ქარხნებში 101 მუშა მუშაობდა. დასახელებული ხის სახერხი ქარხნებიდან, ყველაზე დიდი წარმადობის ბორჯომის (ჩარხისწყლის) ქარხანა იყო, რომლის შესახებ ერთ-ერთ დოკუმენტში შემდეგი ცნობაა მოცემული: «Из всех заводов, существующих в уезде обращают внимание своею производительностью пять лесопильных заводов, из коих три находятся в Атенском ущелье, один недалеко от станции Гоми и один в Боржомском имении»[2].

ჯერ კიდევ 1890 წელს, ბორჯომის მამულის მმართველი მარკ გრაფი მის მიერ შედგენილ ბორჯომის აღმშენებლობის გეგმაში ითვალისწინებდა ხაშურისა (მიხაილოვი) და ბორჯომის

---

1 ხანძარი გაჩნდა 1890 წლის 19 აგვისტოს და 7 სექტემბრამდე გაგრძელდა. იგი დაიწყო მთა გვირგვინაზე და მალე მთელი ახლომახლო მიდამოები მოიცვა. დაზიანდა 10000 დესეტინამდე ტყე. ეს ხანძარი ბორჯომის ტყეებში გაჩენილ ხანძართა შორის ყველაზე დიდი იყო.

2 ЦТИА, ГССР, ф. 17, 3621 л., 133 об.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინიგზის ხაზით შეერთებას, მაგრამ მაშინ ეს საკითხი მომწიფებული არ იყო და ვერ განხორციელდა. რაკი ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა აშენდა და ბორჯომის მინერალური წყლების დიდი რაოდენობით გაზიდვა აუცილებელი გახდა (ამავე დროს ბორჯომის ხე-ტყეზე თბილისსა და სხვა ქალაქებში მოთხოვნილება გაიზარდა), დადგა სატრანსპორტო საშუალებათა გაუმჯობესების საკითხი. 1893 წლის გაზაფხულისათვის დამტკიცდა ხაშურ-ბორჯომის რკინიგზის ხაზის მშენებლობის ინჟინერ პუშჩინკოვის მიერ შედგენილი პროექტი. ამავე წლის მაისიდან მშენებლობაც დაიწყო. ხაშურ-ბორჯომის რკინიგზის ხაზის გაყვანას მეტად დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რისთვისაც მისი მშენებლობა მეტად ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა. გაზეთ „ივერიაში" ხაშურ-ბორჯომის რკინიგზის მშენებლობის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „წელს აქ საგარაკოდ ხალხი ცოტა იყო და ბევრს გაუცრუვდა დიდი იმედები ქონების შეძენისა, ეჭვი არ უნდა, მომავალ წლისათვის დიდძალ ხალხს უნდა მოველოდეთ ბორჯომში, რადგან იმ დროისათვის ახალი რკინიგზა უეჭველად მზად იქნება. ამჟამად ბორჯომიდან დაწყებული, თითქმის ხაშურამდე ჭიანჭველებივით დახვევია მუშა ხალხი ამ გზის მუშაობას. მიწის მუშაობა თითქმის მოთავებულია და რაც დარჩა იმასაც ორი სამი კვირა ეყოფა"[1]. ე. ი. 28 კილომეტრის მანძილზე 6 თვის განმავლობაში რკინიგზის მშენებლობისათვის საჭირო მიწის სამუშაოები მთლიანად დამთავრებული იყო. 1894 წლის ზაფხულის ბოლო რიცხვებში რკინიგზის მშენებლობა დამთავრებულა, რის შესახებაც გაზეთ „ივერიაში" შემდეგი ცნობაა მოთავსებული: „რკინიგზის ბორჯომის შტოს, როგორც შევიტყვეთ დაასრულებენ აგვისტოს 20-ში (1894 წ., ვ. ა.) და იმავე თვის უკანასკნელ რიცხვებში აკურთხებენ და მატარებლები დაიწყებენ ბორჯომსა და ხაშურს შორის მისვლა-მოსვლას"[2]. ხოლო იმავე წლის 10 სექტემბერს „ივერია" იუწყებოდა: „8 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ბორჯომიდან მიმავალი მატარებლიდგან გადმოვარდა გორის მაზრის სოფ. ახალქალაქის მცხოვრები იაკობ ხოჯაბეგოვი, 25 წლისა და ძლიერ დაშავდა"[3]. როგორც ჩანს, ბორჯომ-ხაშურის რკინიგზის ხაზის გახსნა დანიშნულ დროს, ე. ი. 1894 წლის 30 აგვისტოს მომხდარა

1 „ივერია", 1893, № 231.
2 „ივერია", 1894, № 161.
3 „ივერია", 1894, № 193.

და მატარებლებს რეგულარული მიმოსვლა დაუწყიათ. ბაკურიანი-დან ხე-ტყის გაზიდვის საჭიროებამ ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის გაყვანაც აუცილებელი გახადა. ამ ხაზის მშენებლობა 1898 წელს დაიწყო და 1902 წლის იანვარში დამთავრდა. ბუნებრივი პირობების (მთაგორიანი ადგილის) სირთულის გამო აქ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანეს. რკინიგზის ხაზების გაყვანამ ბორჯომის სამრეწველო განვითარება კიდევ უფრო დააჩქარა; გაადვილდა და გაიაფდა ბორჯომიდან მინერალური წყლებისა და სამასალე ხე-ტყის გაზიდვა; აგრეთვე, ნედლეულისა (მინის ქარხნისათვის) და სამრეწველო მოწყობილობათა შემოზიდვა.

1898 წელს ბორჯომში (მინწყლების ბაღში) მდინარე შავწყალზე აიგო 300 ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგური. იგი პირველი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური იყო რუსეთის იმპერიაში. ელექტროენერგია, ძირითადად, ბორჯომის განათებისათვის გამოიყენებოდა. 1900 წელს დაიწყო ქვედა ბორჯომში საორთქლმავლო დეპოს მშენებლობა. ეს საწარმო მწყობრში ჩადგა 1901 წლის დამდეგს. ამრიგად, XIX საუკუნის 90-იან წლებში ბორჯომში მრავალი კაპიტალისტური საწარმოო გაჩნდა. ესენია: მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა, მინის ქარხანა, ბორჯომ-ხაშურისა და ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის ხაზები, საორთქლმავლო დეპო, ბორჯომის, ახალდაბისა და წაღვერის ხის სახერხი ქარხნები და ბორჯომის ჰიდროელსადგური. ოფიციალური ცნობებით ამ კაპიტალისტურ საწარმოებში 1900 წელს 589 მუშა (მუდმივი მომუშავე) მუშაობდა, ხოლო დროებით მომუშავეთა ჩათვლით, ყოველდღიურად 600-ზე მეტი მუშა იყო დასაქმებული. გასული საუკუნის 90-იან წლებში ბორჯომში მსხვილი სავაჭროები გაუხსნია რობერტ გონცენბერგს, მელიქ აკოფოვს, კოსტა დავიდოვსა და სხვებს. მკვეთრად გაზრდილა ბორჯომში სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობა. 1900 წლისათვის მოსახლეობამ 3500 სულს მიაღწია. ასე, რომ ბორჯომი XIX საუკუნის 90-იან წლებში მტკიცედ დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. აქ გაჩნდა 10-მდე სამრეწველო საწარმო, მატულობდა გამოშვებული პროდუქციის ოდენობა და იზრდებოდა სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობა. ლენინის თქმით: „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კაპიტალიზმი ისე, თუ სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობა არ მატულობს“[1].

[1] ვ. ი. ლენინი. ტ. III, გვ. 26

ბორჯომის საწარმოებში მომუშავე მუშების შრომისა და ცხოვრების პირობები მეტად მძიმე იყო. ისინი დღეში 12—14 საათს მუშაობდნენ, შრომის საზღაურს კი მცირეს ღებულობდნენ. მაგალითად, მინის ქარხანაში ბოთლების მკეთებელი მთავარი ოსტატის თანაშემწე თვეში 15 მანეთს ღებულობდა, ხოლო რიგითი მუშა 5—6 მანეთს. უფრო დაბალი იყო ხელფასი მინწყლების ჩამომსხმელ ქარხანაში. აქ მუშა თვეში 4—5 მანეთს ღებულობდა. არავინ ზრუნავდა შრომის ტექნიკურ უშიშროებაზე. საამქროებში ანტისანიტარია სუფევდა. განსაკუთრებით ცუდი შრომის პირობები იყო მინის ქარხანაში, სადაც ძლიერ მაღალი ტემპერატურა და სულშემხუთავი ჰაერი გროვდებოდა, რის გამოც მუშათა დაავადება მასიურ მოვლენას წარმოადგენდა. ცუდი იყო მუშათა საბინაო პირობებიც, საცხოვრებელი ბარაკები საკმაო არ იყო. მუშათა ერთი ნაწილი საამქროებსა და ქუჩებში ათევდა ღამეს. მიუხედავად ბორჯომის საწარმოებში მომუშავე მუშების დაბალი ხელფასისა და ცუდი სამუშაო პირობებისა, XX საუკუნის დამდეგამდე მათი რევოლუციური ბრძოლის ფაქტები ჯერჯერობით დადასტურებული არ არის. ამ დროისათვის ბორჯომში არ არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა მუშებში სოციალისტური შეგნების შეტანას და მათ ორგანიზებას.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ბორჯომში შექმნილი კაპიტალისტური საწარმოებისათვის საჭირო იყო კვალიფიციური მუშების მომზადება. ამ ამოცანის შესრულებას ემსახურებოდა 1895 წელს აქ გახსნილი სახელოსნო-სასწავლებელი. ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელი კვალიფიციური მუშებით ამარაგებდა არა მარტო ბორჯომის, არამედ ხაშურის, გორისა და თბილისის საწარმოებსაც. ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელდამთავრებული მუშები: ივანე ბეჟიტაძე, ვასილ თვარაძე, ნიკოლოზ გრიგოლაშვილი, ილია ჭიპაშვილი და სხვები თბილისის რკინიგზელ მუშათა 1898 წლის სახელოვანი გამოსვლის აქტიური მონაწილენი იყვნენ.

მთელ ბორჯომის ხეობაში, რომელშიც 32 სოფელი და ერთი დაბა (ბორჯომი) იყო, არც ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი არ არსებობდა. ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელიც 1870 წელს გაიხსნა, 1895 წელს სახელოსნო სასწავლებლად გადაკეთდა, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო საქმეს კი არ ემსახურებოდა, არამედ კაპიტალისტური საწარმოებისათვის კვალიფიციური მუშების მომზადების ამოცანას ჭრიდა. ბორჯომის ხეობის

მოსახლეობას წერა-კითხვის შესწავლის საშუალებაც არ ჰქონდა. ამის შესახებ სინანულითა და გულის წყრომით წერდა 1895 წელს გაზეთი „ივერია“: „სოფ. ცემი (ბორჯომის ხეობა): აქაურს ნიადაგს, ჰავას და საზოგადოდ ბუნებას არ შეიძლება დავემდუროთ, ხოლო რაც შეეხება გონებით წინმსვლელობას, ამაზე კი უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი სოფელი იმ წრეზე დგას, როგორც 20—30 წლის წინათ იყო. რამე ქაღალდი რომ მოვიდეს სოფელში, საწყალმა გლეხმა ორი დღე უნდა იაროს, ვიდრე წამკითხველს იშოვის“[1]. ბორჯომის ხეობის მშრომელებს — მუშებსა და გლეხებს წერა-კითხვის შესწავლის საშუალება არ ჰქონდათ, ვინაიდან ერთი სკოლაც კი არ არსებობდა აქ, ეს იმ დროს, როდესაც ბორჯომის მამულის მფლობელებს მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვსა და მის შვილებს ნიკოლოზ მიხეილის ძესა და სერგეი მიხეილის ძეს ათასეული მანეთი სუფთა მოგება ჰქონდათ მამულში ახლადაგებული საწარმოებიდან და ბორჯომის ხეობის მდიდარი ტყეებიდან; ამას ემატებოდა ის უამრავი გადასახადები, რომელსაც ხეობის გლეხობა იხდიდა. მამა და შვილები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ სასახლეების აგებასა და მათი მდიდრულად მორთვა-მოწყობაში, განცხრომასა და დროს ტარებაში. 1892 წელს ნიკოლოზ მიხეილის ძემ ლიკანში აიგო ახალი, მეტად ძვირფასი სასახლე, ხოლო სამი წლის შემდეგ მსგავსი სასახლე აიგო ბორჯომში სერგეი მიხეილის ძემაც. ბორჯომი გაიზარდა, გამშვენიერდა და გამდიდრდა, მაგრამ ეს სიმდიდრე ძირითადად რომანოვთა გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იხარჯებოდა.

თავი IV

ბორჯომი 1901—1921 წლებში

ბორჯომში, რსდმპ (ბ) ორგანიზაციის შექმნამდე, ხეობის მოსახლეობაში მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ მოწინავე რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატი მუშები: მიხეილ კანდაუროვი (დადიანი), მიხეილ კიკნაძე, ანტონ მჟავანაძე, სიმონ ბლიაძე, სერგო გრიგალაშვილი, მიხეილ ჩაჩანიძე, სი-

---

[1] გაზეთი „ივერია“, 1895, № 261, გვ. 3.

მონ ბეთიაშვილი, პავლე ლაბაძე, ნიკოლოზ ტალახაძე, კალისტრატე რამიშვილი, იუსტინე ჩაჩუა, ვიქტორ მინდაძე და სხვები.

საარქივო მასალებით დადასტურდა, რომ 1905 წლის ბოლოსათვის ბორჯომში არსებობდა რსდმპ (ბ) ბორჯომის ორგანიზაცია. 1906 წლის დამდეგისათვის რსდმპ (ბ) ბორჯომის პარტიულ ორგანიზაციას თავისი საკუთარი ბეჭედი ჰქონდა წარწერით: „რსდმპ ქართლის ორგანიზაციის ბორჯომის ბიურო". ერთ საარქივო დოკუმენტში ნათქვამია: „1905 და 1906 წლებში არსებითად გაძლიერდა რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის მოქმედება, ამასთან ერთად ქალაქ გორში არსებობს ე. წ. რსდმპ გორის კომიტეტი, რომლის მოღვაწეობამაც მოიცვა მთელი გორის მაზრა, მაგრამ მაზრის სიდიდის გამო იგი ცხრა რაიონად არის დაყოფილი, სახელდობრ: მეჯვრისხევის, ატოცის, ცხინვალის, ქარელის, გომის, ახალქალაქის, ატენის, ბორჯომისა და მიხაილოვოსი (ხაშურის). თითოეულ რაიონში არის რსდმპ-ის ბიურო, რომლებსაც აქვთ თავიანთი ბეჭედი. რაიონული ბეჭდის ტექსტი ყველა რაიონისათვის ერთნაირია, რაიონის სახელწოდების გამოკლებით. მაგალითად ცხინვალის ორგანიზაციის ბეჭედს აქვს ასეთი წარწერა — „რუს. სოც. დემ. მუშათა პარტიის ქართლის ორგანიზაციის ცხინვალის ბიურო"[1]. რსდმპ ბორჯომის ორგანიზაციის ორგანიზატორი და მთავარი ხელმძღვანელი იყო მიხეილ ზაქარიას ძე კანდაუროვი (დადიანი).

ამ საკითხზე საარქივო მასალებში მითითებულია: «Кандауров Михаил Захаревич (Дадиани) житель м. Боржом, 31 г. председатель и главный руководитель Боржомской революционной организации. По инициативе и под председательством его, накануне 1 мая 1907 года было тайное совещание в лесу, окружающем местечко Боржом, на коем было поставлено ознаменовать 1-ое мая политической забастовкой... Кандауров М. З. арестован, заключен в Горийскую тюрьму и выслан в Вятскую губернию на три года по постановлению Вр. Тифлисского генерал-губернатора»[2].

იმპერიალისტური ეპოქის პირველი დიდი სახალხო რევოლუ-

---

[1] ЦГИА ГССР, ф. 94, С, ОП. 1, Д. 643, Л. 4.

[2] Фонд. управл. Тифл. Губернатора, по секр. столу. д. ок. № 2895, 1907 г.

ცია, რუსეთის 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იყო. ამ რევოლუციამ დიდი გამოძახილი პოვა რუსეთის იმპერიის განაპირა-ეროვნულ რაიონებში. დიდი აღმავლობით ჩატარდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლები საქართველოში. რსდმპ ორგანიზაცია ბორჯომში 1905—1907 წწ. რევოლუციის მძაფრი აღმავლობის პერიოდში შეიქმნა, რომელმაც მასებში შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად ფართო საგიტაციო მუშაობა გააჩაღა. საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადებას ხელმძღვანელობდა რსდმპ-ს კავკასიის კავშირის კომიტეტი. 1905 წლის ნოემბერში კავკასიის კავშირის კონფერენციამ მიიღო დადგენილება მუშებისა და გლეხების შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. კონფერენციამ აჯანყების ხელმძღვანელობისათვის აირჩია „კავკასიის ბიურო“ და შექმნა სამხედრო ტექნიკური კომისია, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა შეიარაღებული რაზმების შექმნას. სამხედრო-ტექნიკური კომისიის მითითებით, რსდმპ ბორჯომის ორგანიზაციის ბიურომ შექმნა შეიარაღებული რაზმები, რომლებსაც „წითელი რაზმები“ ეწოდებოდათ. ბორჯომში მუშა-მოსამსახურეთაგან წითელი რაზმების შექმნასა და მათ შეიარაღებას ხელმძღვანელობდნენ: მ. კანდაურავი, ა. მჟავანაძე, კ. რამიშვილი, ი. ბეჟიტაძე და სხვ. რევოლუციონერი გლეხებისაგან ბორჯომის ხეობის სოფლებში: ახალდაბაში, წაღვერში, ბაკურიანსა და საკირეში შეიქმნა გლეხთა წითელი რაზმები, მათ ორგანიზატორებად და ხელმძღვანელებად ითვლებიან: ვ. ნემსაძე, ნ. ტალახაძე, კორძაია, ს. ჩადუნელი, ცაგურიშვილი, მ. და ს. გოგოლაძეები, ვ. და ნ. ხახიშვილები. რევოლუციის პერიოდში წითელი რაზმების შექმნა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, თვითმპყრობელობით განაწამები მუშები და გლეხები ხალისით შედიოდნენ რაზმებში; მათ თვითმპყრობელობის დამხობა სურდათ.

შედარებით ძნელი იყო რაზმების შეიარაღება, ამ მიზნით იყენებდნენ ბრძოლის სხვადასხვა საშუალებას.

იარაღისა და ფულადი სახსრების შოვნის მიზნით წითელრაზმელებმა რსდმპ ბორჯომის ორგანიზაციის მითითებითა და ხელმძღვანელობით 1905, 1906 და 1907 წლებში მოაწყვეს თავდასხმები ბორჯომიდან ახალციხეში მიმავალ ფოსტაზე. 1905 წლის ბოლოს თავდასხმა მოეწყო აგრეთვე ბაკურიანიდან ბორჯომში მიმავალ რომანოვების მამულის მოლარე ლებედევზე. ხსენებული თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხმების დროს რაზმელებმა დახოცეს ჟანდარმები, გაიტაცეს ფული და იარაღი (დატაცებული ფული ხმარდებოდა საზღვარგარეთ იარაღის შესყიდვას, რასაც ს. ორჯონიკიძე, ს. ქავთარაძე და კამო ხელმძღვანელობდნენ).

1905—1907 წლების რევოლუციის კულმინაციური წერტილი იყო 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში, რომელიც 7 დეკემბერს მუშათა საყოველთაო გაფიცვით დაიწყო. ეს გაფიცვა 10 დეკემბერს შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. მოსკოვის მუშათა გმირულ ბრძოლას თბილისის მუშებმა დაუჭირეს მხარი, მათ 12 დეკემბერს საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, რომელიც შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზის სამმართველო, რკინიგზის სადგური, ნაძალადევი და დიდუბე. აჯანყების ცენტრი ნაძალადევი იყო. 18 დეკემბერს მთავრობის ჯარებმა აჯანყებული მუშები სასტიკად დაამარცხეს. ამ ბრძოლაში დაიღუპა ბორჯომელი ვასილ თვარაძე (სოფ. ჭობისხევიდან). რსდმპ-ს თბილისის კომიტეტის წევრებმა ვ. თვარაძის ნეშტი ფარულად ჩამოასვენეს ბორჯომში და ჭობისხევის ეკლესიის სასაფლაოზე დაკრძალეს. ვ. თვარაძის დაკრძალვის ცერემონიალი თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო დემონსტრაციად გადაიქცა.

1905 წელს, რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, ბორჯომელმა რევოლუციონერებმა სადგერსა და ციხისჯვარში დიდი მთავრის მონადირეთა ჯგუფი, კაზაკები და პოლიციელები განაიარაღეს, იარაღი წითელრაზმელთა შესაიარაღებლად გამოიყენეს. ქვაბისხეველმა და საკირელმა გლეხებმა: გორა და კიმოთე გოგიჩაიშვილებმა, გიგო და ნიკალა სარალიძეებმა, ს. ნოზაძემ, ნ. სამსონიძემ და სხვებმა ბორჯომის მამულის მონადირეთა ჯგუფის იარაღის საწყობი გატეხეს, იარაღი გაიტაცეს და წითელრაზმელებს გადასცეს. ასე თანდათანობით, ფაქტიურად ბრძოლით, ხდებოდა წითელი რაზმების შეიარაღება. 1905 წლის სრულიად რუსეთის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვას ბორჯომის საწარმოებისა და რკინიგზის მუშებიც შეუერთდნენ, მათ 1905 წლის 21 ოქტომბერს გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცულებმა 26 ოქტომბერს გამართეს დიდი მიტინგი, რომელიც მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. დემონსტრანტებს მიჰქონდათ წითელი დროშები და ლოზუნგები — „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“

1905 წლის ოქტომბერში სოფლების — დვირის, ქვაბისხევის, მოქცევისა და ჭობისხევის გლეხთა გამოსვლა მოხდა. მათ საყოველთაო არჩევნების გზით რევოლუციური ადგილობრივი თვითმმართველობა აირჩიეს, რომელიც 1906 წლის თებერვალში კაზაკთა ასეულმა გარეკა. თვითმმართველობა, როგორც ხელისუფლების ორგანო სამი თვის განმავლობაში მოქმედებდა. 1905 წლის 18 დეკემბერს ბორჯომში (ჩარხისწყალზე) წითელრაზმელებსა და კაზაკებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. მომხდარი შეტაკების შესახებ ბორჯომის გარნიზონის უფროსმა, გენერალმა აფანასიევმა კავკასიის გარნიზონის შტაბს შეატყობინა და დამატებით აცნობა, რომ ბორჯომში არსებობს შეიარაღებული რევოლუციური რაზმები და მათი თავდასხმისაგან დაცვის მიზნით ახალციხიდან გამოწვეულია ფეხოსანი და საარტილერიო ნაწილები.

1905 წლის 21 დეკემბერს ბორჯომში კაზაკებსა და პოლიციასთან მუშათა წითელი რაზმების შეიარაღებული შეტაკება დაიწყო, რაც რაზმელთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ ხელთ იგდეს ადგილობრივი ხელისუფლების დაწესებულებები და ადმინისტრაციის პარალიზება მოახდინეს. ადმინისტრაციამ დროებით შეწყვიტა მუშაობა. 1906 წლის დამდეგს ბორჯომის რკინიგზელთა საგაფიცვო კომიტეტი ჯაშუშებმა გასცეს, რასაც რევოლუციონერთა დაპატიმრება მოჰყვა. სულ დააპატიმრეს 20 კაცი, მათ შორის: ა. მჟავანაძე, ი. ბეჟიტაძე, რამიშვილი, ბარბაქაძე და სხვები. ამავე დროს იანვრიდან ბორჯომში სამხედრო წესები გამოცხადდა, სასტიკად აიკრძალა მშრომელთა პოლიტიკური გამოსვლები (მიტინგები, კრებები).

მიუხედავად იმისა, რომ 1907 წლის დამდეგიდან მკვეთრად შემცირდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლები, რევოლუცია დალმავალი გზით მიდიოდა და რეპრესიები რევოლუციონერთა წინააღმდეგ გაძლიერდა, ბორჯომელი რევოლუციონერები უკან დახევას არ აპირებდნენ, ისინი კვლავ წარმატებით იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ცნობილია, 1907 წლის 1 მაისის წინადღეს ბორჯომის ახლოს ტყეში (შესაძლებელია პლატოზე — ვ. ა.) ჩატარდა ბორჯომელ რევოლუციონერთა საიდუმლო თათბირი მ. კანდაუროვის თავჯდომარეობით. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება: აღენიშნათ პირველი მაისი ბორჯომის მუშათა პოლიტიკური გაფიცვით.

1907 წლის პირველ მაისს ბორჯომში მოეწყო გრანდიოზული

გაფიცვა, მასში მონაწილეობა მიიღო ბორჯომის ყველა საწარმოსა და დაწესებულების მშრომელმა. გაფიცვის ორგანიზატორი და მთავარი ხელმძღვანელი იყო მიხეილ ზაქარიას ძე კანდაუროვი, ხოლო მისი უახლოესი თანაშემწენი: ო. ხაბელოვი, ყ. ს. ხუციშვილი, ი. ი. კორძაია, მ. ა. ჩაჩანიძე, პ. მ. პეტრიაშვილი, მ. ა. ხმალაძე და მ. დ. ლეგაშვილი. გაფიცვის ხელმძღვანელები პოლიციამ დააპატიმრა. 1907 წლის 4 მაისს პატიმრები მატარებლით გორის ციხეში გაამგზავრეს, ბორჯომის მშრომელმა მოსახლეობამ „ვაშას“ შეძახილებითა და „მარსელიოზას“ სიმღერით გააცილეს ისინი. დაპატიმრებულებს სასამართლომ სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა, ხოლო მ. კანდაუროვი 3 წლით ვიატკის გუბერნიაში გადასახლა. ბორჯომელი მშრომელი მოსახლეობა პოლიტპატიმრების თანაგრძნობისათვის 5000 მანეთით დააჯარიმეს.

რსდმპ-ს ბორჯომის ორგანიზაციას 1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში ჰქონდა არალეგალური სტამბა, რომელიც მოთავსებული იყო ალექსეევის ქუჩაზე (ახლანდელი ჯაფარიძის ქუჩა № 15) მიხეილ კანდაუროვის სახლის სარდაფში. სტამბაში იბეჭდებოდა პროკლამაციები და რევოლუციონური მოწოდებანი. 1907 წელს ბორჯომში პოლიციამ აღმოაჩინა ბორჯომის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი 243 გვერდიანი ბროშურა, რომელშიც ლენინური „ისკრის“ სტატიები და კორესპონდენციები იყო დაბეჭდილი. 1907 წლის ოქტომბერში ბორჯომის არალეგალურ სტამბაში დაუბეჭდავთ მიხაილოვოს (ხაშურის) რკინიგზის დეპოს მუშების რევოლუციონური ხასიათის მოწოდება სათაურით: „მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა“, მოწოდებას ბოლოში წარწერა აქვს: „სტამბა მიხაილოვოს და ბორჯომის ორგანიზაციებისა“. ირკვევა, რომ ბორჯომის არალეგალური სტამბა მომსახურეობას უწევდა მიხაილოვოსა (ხაშურის) და ბორჯომის პარტიულ ორგანიზაციებს.

რევოლუციის პერიოდში ბორჯომის წითელრაზმელებმა რამდენჯერმე დაარბიეს ზოვრეთელი მემამულისა და ხე-ტყის ქარხნების მეპატრონის ვასილ ყორღანოვის მეურნეობა, ბოლოს იგი აიძულეს გასცლოდა ბორჯომის ხეობას.

1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხება და რეაქციის გამარჯვება 1907 წლის 3 ივნისის გადატრიალებით აღინიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ რეაქციამ დიდი ზიანი მიაყენა ბორ-

ჯომის რევოლუციურ მოძრაობას (ბევრი რევოლუციონერი ციხეებში გამოამწყვდიეს, ბევრი კატორღაში გაგზავნეს), ბორჯომელი რევოლუციონერები უკანდახევას მაინც არ აპირებდნენ. რევოლუციონერთა წინააღმდეგ დიდი სისასტიკით მოქმედებდა ბორჯომის მამულის მმართველი თ. გეცი.

რსდმპ-ს ბორჯომის ბიურომ ანონიმური წერილით რამდენჯერმე გააფრთხილა გეცი, რათა ხელი აეღო რევოლუციონერთა დევნაზე, მაგრამ მან ეს გაფრთხილება არ მიიღო. 1908 წლის 28 აგვისტოს ბორჯომელმა რევოლუციონერებმა გეცი მოკლეს. ბორჯომის ქარხნების ადმინისტრაცია განსაკუთრებით ავიწროვებდა და დევნიდა რევოლუციური მოძრაობის მონაწილე მუშებს. სწორედ ამ მიზეზით ბორჯომის შუშის ქარხნის პატრონმა მალიშევმა 1910 წელს 10 მუშა დაითხოვა სამუშაოდან. ამ ფაქტმა მუშების მღელვარება გამოიწვია, მათ დათხოვნილი მუშების სამუშაოზე დაბრუნება მოითხოვეს, მაგრამ ეს სამართლიანი მოთხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩა.

1910 წელს ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის 10 მუშა, როგორც რევოლუციური მოძრაობის მონაწილე და სოციალურ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრები, სამართალში მისცეს და საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაასახლეს. რევოლუციონერი მუშების გასამართლების დროს ბორჯომის საწარმოების მუშებს საპროტესტო დემონსტრაცია მოუწყვიათ. ბორჯომის ხეობის რევოლუციონერი გლეხებისაგან შემდგარი წითელი რაზმები რეაქციის პერიოდშიც აქტიურად მოქმედებდნენ მემამულეების, მეფის მოხელეებისა და სოფლებში ჩაყენებული კაზაკთა სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ. გლეხთა წითელრაზმებს მეთაურობდნენ: ნ. ტალახაძე, ქ. ცაგურიშვილი, ლაბაძე და სხვ. განსაკუთრებით თავი ისახელა რევოლუციურ ბრძოლებში ნ. ტალახაძემ, რომელიც თვითმპყრობელურ მთავრობას მეტად საშიშ პიროვნებად ჩაუთვლია და მისი დაჭერისათვის 4 000 მანეთი ჯილდო დაუწესებია.

ვორონცოვ-დაშკოვის განკარგულებით, ბორჯომის ხეობის სოფლებში წითელი რაზმების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით კაზაკთა სამხედრო ნაწილები ჩააყენეს. მათი შესანახი ხარჯები გლეხობას დააკისრეს. ამ ფაქტმა გლეხთა მღელვარება გამოიწვია. გლეხობა რაზმელების დახმარებით აქტიურად ებრძოდა კაზაკთა ნაწილებსა და პოლიციელებს. წითელრაზმელებსა და პოლიციე-

ლებს შორის შეტაკება მომხდარა სოფ. თონეთში (გუჯარეთის ხეობა), ნეძვში, დაბაძველისა და საკოჭავ-თორის ტყეებში. წითელრაზმელთა მოქმედება კიდევ უფრო გაძლიერდა რევოლუციური აღმავლობის წლებში (1910—1914 წწ.).

ბორჯომის ბოლშევიკური ორგანიზაცია რევოლუციური აღმავლობის წლებში აქტიურ რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდა. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ხშირად იმართებოდა არალეგალური კრებები ბორჯომის „პლატოზე" (ტყეში), წაღვერში, ყვიბისში, ბაკურიანსა და ნეძვში. ბოლშევიკი ორატორები კრებებზე მგზნებარე რევოლუციური ხასიათის სიტყვებს წარმოთქვამდნენ, ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ.

ბორჯომის ხეობაში, ისე, როგორც რუსეთის მთელს იმპერიაში, რევოლუციური აღმავლობა 1914 წლის ზაფხულში იმპერიალისტური ომის დაწყებამ შეაჩერა. იმპერიალისტურმა ომმა რუსეთის იმპერიის სახალხო მეურნეობა ძლიერ დააქვეითა, სამეურნეო ნგრევამ კი მშრომელთა მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია. მართალია, ომის დაწყების პირველ წელს რევოლუციური მოძრაობა შენელდა, მაგრამ ფრონტზე არმიის დამარცხებამ, სამეურნეო ნგრევამ და ხალხის მატერიალური პირობების გაუარესებამ, 1915 წლიდან რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლება გამოიწვია.

ბორჯომის ხეობის სახალხო მეურნეობაც ვერ აცდა დანგრევა-დაქვეითებას. მაგალითად, 1913 წელს ჩამოსხმულ იქნა 11.000.000 ბოთლი წყალი, 1914 წელს წყლის ჩამოსხმა 7.200.000 ბოთლამდე შემცირდა, ხოლო 1917 წელს — 6.120.000 ბოთლამდე. ბორჯომის საწარმოების მუშებს ხელფასს კატასტროფულად უმცირებდნენ, სწორედ ხელფასის შემცირებამ გამოიწვია 1916 წლის 29 ივნისის ბორჯომის შუშის ქარხნის მუშების გაფიცვა. გაფიცვაში 300 მუშა მონაწილეობდა. 18 ივლისიდან მუშებს ხელფასი გაუდიდეს.

სამეურნეო ნგრევამ და ფრონტზე არმიის დამარცხებამ ხელი შეუწყო მასების პოლიტიკურ გამოფხიზლებას. 1917 წლის 9 იანვარს პეტროგრადში ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოეწყო, ხოლო თებერვლიდან მუშათა გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო და 25 თებერვალს შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა.

1917 წლის 27 თებერვალს (ახალი სტილით 12 მარტს) რომა-

ნოვთა თვითმპყრობელობა დაემხო. რუსეთში ორხელისუფლებიანობა დამყარდა: დროებითი მთავრობა — ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული მემამულეების ხელისუფლების დიქტატურა; მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები — მუშათა და გლეხთა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა. საბჭოები მენშევიკურ-ესერული იყო, რომლებიც ცდილობდნენ, რევოლუცია არ გასცილებოდა ბურჟუაზიულ ჩარჩოებს.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიც ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ერთი იყო მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც ბოლშევიკების ინიციატივით შეიქმნენ, მაგრამ მალე მენშევიკებმა გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს, ისინი ბურჟუაზიასთან შემთანხმებლურად მოქმედებდნენ და ყოველნაირად ხელს უშლიდნენ რევოლუციის შემდგომ განვითარებას. მეორე ხელისუფლება იყო ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც რუსეთის დროებითმა მთავრობამ შექმნა და ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს იცავდა. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ბორჯომის ხეობის მოსახლეობაში. რომანოვების ბატონობის დამხობისთანავე ბორჯომიდან გაიქცა ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვი. ბორჯომის ხეობის გლეხობა შეეცადა სახნავ-სათესი მიწები და ტყეები ურთიერთშორის გაენაწილებინა, ხოლო მუშები წინაღუდგნენ წინანდელ მოიჯარეებს დაპატრონებოდნენ ბორჯომში არსებულ საწარმოებს, მაგრამ კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიულმა ძალებმა მუშებსა და გლეხებს ამ განზრახვებზე ხელი ააღებინეს. ბორჯომის ხეობის ბოლშევიკები აქტიურ საგიტაციო მუშაობას ატარებდნენ მშრომელ მოსახლეობაში სოციალისტური რევოლუციისათვის მათი მომზადების მიზნით. სწორედ ბოლშევიკური აგიტაციის შედეგი იყო, რომ 1917 წლის 30 აგვისტოს ბორჯომის გარნიზონის ჯარისკაცთა კრებამ რეზოლუცია მიიღო კორნილოვშჩინის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ბორჯომელი ბოლშევიკები: ნ. მურჯიკნელი, გ. შერგელაშვილი, ა. შავიძე, ჯ. გელაშვილი, გ. გელაშვილი, ნ. დათუნაშვილი, ნ. ბლიაძე, გ. სტეფნაძე, გ. ტარიელაშვილი და სხვები აქტიურ საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ ფრონტზე სო-

ციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ჯარისკაცთა დარაზმვის მიზნით.

ფრონტზე მყოფი ბორჯომელი ბოლშევიკები: გ. გელაშვილი, ვ. გელაშვილი, ა. შავიძე და ნ. მურჯიკნელი ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს.

1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს ახ. სტილით) რუსეთის მუშათა კლასმა და ღარიბმა გლეხობამ, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დაამხო ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა და პროლეტარიატის დიქტატურა დაამყარა. 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს ახ. სტილით) სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობამ მიიღო ისტორიული დეკრეტები ხელისუფლების, ზავისა და მიწის შესახებ და აირჩია პირველი მუშურ-გლეხური მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო, ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა — კაპიტალიზმის ნგრევისა და სოციალიზმის გამარჯვებისა. ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია ეროვნული ჩაგვრის ბორკილები და რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ერებს თავისუფლება მოუტანა.

საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები და კრებები რომლებზედაც გამოჰქონდათ რეზოლუციები, რომლითაც მიესალმებოდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას და მის ბელადს ვ. ი. ლენინს.

პეტროგრადში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ბორჯომის ხეობის მშრომელებში დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია. სიხარულისა და აღფრთოვანების აღსანიშნავად ხალხმრავალი მიტინგები ჩატარდა მინერალური წყლებისა და შუშის ქარხნებში, წაღვერში, ბაკურიანში, ახალდაბასა და სხვა სოფლებში.

ქართველმა მენშევიკებმა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გადაწყვიტეს დაეცვათ მემამულეები და კაპიტალისტები, რომელთა დაღუპვაც მოახლოვებული იყო ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით. ამ მიზნით მათ 1917 წლის 14 ნოემბერს ყველა ანტისაბჭოთა პარტიებისაგან შეადგინეს მთავრობა, რომელსაც ამიერკავკასიის კომისარიატი ეწოდა. ამიერკავკასიის კომისა-

რიატმა (ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა ბლოკმა), თავისი მთავრობისათვის რომ არჩევითი ორგანოს სახე მიეცა, გადაწყვიტა 1918 წლის 23 თებერვალს მოეწვია ამიერკავკასიის სეიმი (უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო — პარლამენტი). ამიერიდან ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციის ძალებმა გაიმარჯვეს. ხელისუფლება ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში და თავისი დიქტატურა დამყარა. 1918 წლის 22 აპრილს სეიმმა, თურქი და გერმანელი იმპერიალისტების წაქეზებით, საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის „დამოუკიდებლობა“ გამოაცხადა. ამ ე. წ. „ამიერკავკასიის რესპუბლიკას“ მასში შემავალ ნაციონალისტურ პარტიებს შორის არსებული წინააღმდეგობა ღრღნიდა და მალე დაიშალა სამ „დამოუკიდებელ“ ეროვნულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკად — ეს მოხდა 1919 წლის 26 მაისს. სწორედ ამ დღეს ე. წ. „საქართველოს ეროვნულმა საბჭომ“ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა.

მენშევიკების ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად 1918 წლის მარტში საქართველო თურქეთთან საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თურქებმა მიიტაცეს ყარსი, არდაგანი, ბათუმი. თურქთა ჯარები შემოიჭრნენ ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებში, რის გამოც მოსახლეობამ დატოვა მშობლიური ადგილები და ბორჯომის ხეობას შეაფარა თავი. ახალქალაქიდან ლტოლვილმა ხალხმა ბაკურიანის ტყეებში პოვა თავშესაფარი, ხოლო ყარსი — არდაგანიდან გამოხიზნულმა 100 000-მა სულმა ბორჯომს მოაშურა. ბინებისა და სურსათის უქონლობამ გადმოხვეწილნი უმწეო მდგომარეობანი ჩააყენა. როდესაც 1918 წლის ივნისში ახალციხეს თურქეთის ჯარისაგან ოკუპაციის საფრთხე დაემუქრა, მაშინ მენშევიკური გვარდიის შტაბმა ბორჯომის ხეობის სოფლებიდან (ახალდაბა, ნეძვი, ჭაჭარაქი, რველი, სადგერი, დვირი და დგვარი) 67 ურემი, 134 ხარ-კამეჩი და 67 მეხრე გარეკა ახალციხიდან სახაზინო ქონების ევაკუაციისათვის. 1918 წლის 23 ივნისს ახალციხიდან გამობრუნებულ მეურმეებს თურქი მდევრები აწყურში დაეწივნენ, სასტიკად აწამეს და ყველაფერი წაართვეს (ურმები, ხარ-კამეჩი, სახაზინო ქონება). გლეხთა ზარალი 383 150 მანეთს უდრიდა, რაც გლეხებისათვის საქართველოს მენშევიკურ მთავრობას უნდა აენაზღაურებინა.

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ თურქთა ჯარების შემოტევის შესაჩერებლად ჯარებს მოუყარა თავი, რამაც საკმაო

ზიანი მიაყენა ბორჯომს (მარტო ერთ დღეს ჯარისკაცებს ნაკრძალში 700 სული ირემი მოუკლავთ). როგორც ცნობილია, მაშინ თურქთა შემოტევის შეჩერება ვერ მოხერხდა. მენშევიკებმა თურქეთთან ხელშეკრულება დადეს, თურქეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა.

1918 წლის 7 მარტს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა სეიმმა მიიღო კანონი, რომლის ძალითაც რომანოვების სამეფოვიდრეო მამულს ბორჯომის სახელმწიფო მამული ეწოდა და მენშევიკური მთავრობის მიწათმოქმედების კომისარიატს დაუქვემდებარდა. მამულის გადასაბარებლად მიწათმოქმედების კომისარიატისათვის შეიქმნა კომისია, რომელმაც მუშაობა 1918 წლის აპრილიდან დაიწყო. ბორჯომის მამულის ყოფილმა მმართველმა ვინოგრადოვ-ნიკიტინმა, კომისიას აცნობა, რომ 7 მარტის კანონის გამოქვეყნებამდე ნ. მ. რომანოვმა თავისი მამული გერმანელ პრინცს მიჰყიდა და ახლა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას უფლება არ აქვს იგი სახელმწიფო ქონებად გამოაცხადოს. ვინოგრადოვ-ნიკიტინი მამულის გერმანელ პრინცზე მიყიდვის დასადასტურებლად თბილისში მყოფ გერმანიის სამხედრო მისიას შეუთანხმდა, მაგრამ მისიამ აღნიშნული ფაქტი არ დაადასტურა. კომისიამ მამულის მთელი ქონება აღწერა და მიწათმოქმედების კომისარიატს გადააბარა. ბორჯომის ხეობა სახელმწიფო მამული გახდა და მის მმართველად 1918 წლის 20 სექტემბერს გ. ხუნდაძე დაინიშნა. 1918 წლის მეორე ნახევარში დაბა ბორჯომს ქალაქი ეწოდა და ქალაქის მმართველობა შეიქმნა. პარალელურად არსებობდა ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველო, რომელიც ცარიზმისაგან მენშევიკებმა მემკვიდრეობით მიიღეს და ბურჟუაზიის, მემამულეებისა და კულაკთა ინტერესების დასაცავად შეინარჩუნეს.

ბორჯომის ქალაქის თვითმმართველობამ 1920 წლის 29 მარტს მიიღო დადგენილება — მამულის სამმართველოდან მიწის, ქარხნების, საქალაქო მეურნეობისა და მამულის მთელი ქონების ქალაქის მმართველობაზე გადაცემის შესახებ. მენშევიკურმა მთავრობამ ქალაქის მმართველობის ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მამულის სამმართველოსა და ქალაქის თვითმმართველობას შორის დავა დიდხანს გაგრძელდა. მამულის მმართველობამ იჯარით გასცა კერძო პირებზე ქარხნები, სასტუმროები და საქალაქო მეურნეობის სხვა ობიექტები. მენშევიკურმა მთავრობამ მიწის რეფორმა არ

გაატარა, ბორჯომის ხეობის გლეხობა კვლავ უმიწოდ დარჩა. ივი-
იძულებული გახდა მაღალი საიჯარო გადასახადი გადაეხადა. შეს-
შევიკების ბატონობის პერიოდში ბორჯომში არსებული სამრეწვე-
ლო ობიექტების მიერ სამრეწველო პროდუქციის გამოშვება მკვეთ-
რად შემცირდა — ერთხანს მთლიანად შეწყდა მინერალური წყლის
ჩამოსხმა, შეფერხდა ტრანსპორტის მუშაობა, მოიშალა სოფლის მე-
ურნეობა, უსაზღვროდ გაიზარდა სამრეწველო და სოფლის მეურ-
ნეობის პროდუქციის ფასები, დაეცა ფულის კურსი. მენშევიკების
მმართველობამ ხალხს სიღარიბე და შიმშილობა მოუტანა.

ბორჯომის კომუნისტური ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა რა
საქ. კპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებით, აქტიურ
პროპაგანდისტულ და სააგიტაციო მუშაობას ატარებდა მშრომელ
მასებში, ამზადებდა მათ მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ
საბრძოლველად. 1920 წლის ივნისში ბორჯომში შედგა მოწინავე
კომუნისტების კრება (დაესწრო 60 წევრი). კრებამ თავისი თავი
რაიონულ კონფერენციად გამოაცხადა და აირჩია დროებითი კო-
მიტეტი, რომელშიც შევიდნენ: გ. მაისურაძე, გ. გელაშვილი,
გ. მოწონელიძე, ნ. მურჯიკნელი, ს. ბეთიაშვილი და სხვ. დროე-
ბითმა კომიტეტმა მუშაობა გააძლიერა ადგილობრივი მენშევიკური
მმართველობის დამხობისათვის, რისთვისაც სპეციალური რევო-
ლუციური საბრძოლო რაზმები შექმნა. რკპ (ბ) კავკასიის ბიუ-
რომ, გაითვალისწინა რა საქართველოში შექმნილი რევოლუციური
სიტუაცია, 1921 წლის იანვარში დაუშვა დირექტივა საქ. კპ (ბ)
ცენტრალური კომიტეტისადმი შეიარაღებული აჯანყების მოწყო-
ბის შესახებ. საქ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგე-
ნილება შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად, რომელიც დაიწ-
ყო 1921 წლის 11 თებერვალს ბორჩალოს მაზრაში და საქართვე-
ლოს სხვა ადგილებშიც სწრაფად გავრცელდა. შეიარაღებული
აჯანყების ხელმძღვანელობისათვის 1921 წლის 16 თებერვალს შე-
იქმნა რევოლუციური კომიტეტი (რევკომი), რომელშიც შევიდ-
ნენ: ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორი,
ბ. კვირკველია, ა. ნაზარეტიანი და სხვები. შეიარაღებული აჯან-
ყება წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ მათ უთანასწორო ბრძო-
ლა უხდებოდათ არა მარტო მენშევიკურ ჯარებთან, არამედ უც-
ხოელ ინტერვენტებთანაც. საქართველოს რევკომმა დახმარებისა-
თვის მიმართა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომა-
რეს ვ. ი. ლენინს, რომელმაც XI არმიას დაავალა დახმარება აღ-

მოეჩინა საქართველოს აჯანყებული მუშებისა და გლეხებისათვის. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს აჯანყებულ მშრომელთა შეიარაღებულმა რაზმებმა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილებთან ერთად სძლიეს მენშევიკური ჯარების წინააღმდეგობა და თბილისში შევიდნენ. სოციალისტური რევოლუციის წითელი დროშა აფრიალდა საქართველოში, იმავე დღეს გ. კ. ორჯონიკიძემ ლენინსა და სტალინს მოსკოვში ასეთი დეპეშა გაუგზავნა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“. აჯანყებული მშრომელები, წითელი არმიის ნაწილებთან ერთად, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს მენშევიკების ნაძირალებისაგან ათავისუფლებდნენ. პირველ მარტს გორი გაათავისუფლეს, ხოლო 5 მარტს ხაშური და სურამი. ბორჯომის კომუნისტური ორგანიზაციის დროებითმა კომიტეტმა, გაიგო თუ არა თბილისში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ამბავი, რევოლუციური რაზმების საშუალებით შეტევა დაიწყო ადგილობრივი მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. ბორჯომში წითელი არმიის ნაწილების შემოსვლამდე (რამდენიმე დღით ადრე) დაამხეს ადგილობრივი მენშევიკური ხელისუფლება და შექმნეს რევოლუციური კომიტეტი მიხეილ მაისურაძის თავმჯდომარეობით.

1921 წლის 6 მარტის გაზეთ კომუნისტში გამოქვეყნებულია ასეთი ცნობა: „წითელი არმიის მოახლოვებით აღფრთოვანებულმა ქ. ბორჯომის რევოლუციურმა პროლეტარიატმა — საბჭერხაოს, მინისა და საგზაო სახელოსნოების მუშებმა დაამხეს ბურჟუაზიულ-მენშევიკური ხელისუფლება, შეადგინეს რევოლუციური კომიტეტი და სადგურ სუმბათოვოში (ახალდაბა) გაგზავნეს დელეგაცია წითელი არმიის მისასალმებლად“.

1921 წლის 6 მარტს ბორჯომის რევკომმა დელეგაცია გაგზავნა სუმბათოვოში აჯანყებულ მშრომელთა შეიარაღებულ რაზმებთან და XI წითელი არმიის ნაწილებთან შესახვედრად. 1921 წლის 7 მარტს, დილით, წითელი არმიის ნაწილები და მშრომელთა შეიარაღებული რაზმები ბორჯომში შევიდნენ. დღის 10—11 საათზე ქალაქის ცენტრში (დღევანდელი ლენინის მოედანი) ხალხმრავალ მიტინგზე საზეიმოდ გამოცხადდა ბორჯომის ხეობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი V

ბორჯომის ხეობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში

§ 1. სახალხო მეურნეობა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის წინაშე პირველი რიგის ამოცანად დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მეურნეობის სოციალისტური სისტემის ორგანიზაციის საკითხი დადგა. ამ მიზნით საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ თვეებში მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გატარდა. 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტით საქართველოში მიწის ნაციონალიზაცია მოხდა, ე. ი. მოისპო მიწაზე კერძო საკუთრება და იგი მთელი ერის საკუთრებად გამოცხადდა. მემამულეებს ჩამოერთვათ მიწები და მშრომელ გლეხობას უფასო სარგებლობაში გადაეცა. ნაციონალიზაცია შეეხო ბორჯომის მამულის მიწებსაც. რევკომმა ბორჯომის ხეობის სახნავ-სათესი მიწები ხეობის გლეხობას გაუნაწილა, ხოლო ტყე სახელმწიფო (სახალხო) ფონდში ჩარიცხა. საქართველოს რევკომის 1921 წლის 15 ივნისის დეკრეტით ნაციონალიზირებულ იქნა საქართველოში არსებული ყველა საამრეწველო საწარმო. ნაციონალიზაცია შეეხო ბორჯომის სამრეწველო ობიექტებსაც (შუშისა და მინწყლების ჩამომსხმელი ქარხნები, ელექტროსადგური და სხვ.).

ბორჯომის რევკომმა, საქართველოს რევკომის დახმარებით, ადგილობრივი სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მოშლილი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე მოხდა მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანაში მოძველებული დანადგარების შეცვლა. რამაც პროდუქციის გამოშვება მნიშვნელოვნად გაადიდა. თუ აღნიშნულმა ქარხანამ 1921 წელს მხოლოდ 285 000 ბოთლი წყალი ჩამოასხა, 1927 წლისათვის წყლის ჩამოსხმა 5 520 000 ბოთლამდე გაიზარდა. ამავე წლებში შუშის ქარხანამ პროდუქციის გამოშვება 20-ჯერ გაადიდა.

1927 წლის 25 თებერვალს ბორჯომის ხეობის მრეწველობას ერთი ახალი ობიექტი მიემატა — საკასრე-სატკეჩე ქარხანა (ჩარ-

ხისწყალზე). 1931 წელს დამთავრდა ბორჯომის ხეობის სამრეწველო ობიექტების ტექნიკური რეკონსტრუქცია, რითაც მათი საწარმოო სიმძლავრე მნიშვნელოვნად გაიზარდა. საწარმოებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, გაუმჯობესდა საწარმოო თათბირების მუშაობა, ჯეროვანი ყურადღება მიექცა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას, გამომგონებლობასა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვას, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რაიონის საწარმოო ობიექტების მიერ პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე — ოთხ წელიწადში შესრულების საქმეში. 1931 წელს დაიწყო ბაკურიანის ანდეზიტის წარმოება. იმის გამო, რომ ანდეზიტზე მოთხოვნილება იზრდებოდა 1936 წელს მოხდა საწარმოს გაფართოება. 1932 წელს ბაკურიანის ანდეზიტის საწარმომ 579 კვ. მეტრი მაღალხარისხოვანი სამშენებლო ქვა დაამზადა, ხოლო 1940 წელს — 2150 კვ. მეტრი. 1926 წელს კაპიტალურად შეკეთდა ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური, რამაც შესაძლებელი გახადა ელექტროენერგიის გამომუშავების მნიშვნელოვნად გადიდება. 1920 წელს ელსადგურმა 80000 კილოვატსაათი ენერგია გამოიმუშავა, 1932 წელს — 0,5 მილიონი, ხოლო 1940 წელს ელექტროენერგიის გამომუშავებამ 5 მილიონ კილოვატსაათს მიაღწია. ბორჯომში (ჩარხისწყალზე) 1939 წელს საკასრე-სატკეჩე ქარხნის ბაზაზე გაიხსნა საავეჯო ფაბრიკა, რომელმაც მაღალხარისხოვანი ავეჯის დამზადება დაიწყო.

ბორჯომის ხეობის (ბორჯომის რაიონის) ფართობი 120 768 ჰექტარია. აქედან სოფლის მეურნეობისათვის (სახნავ-სათესი ფართობი, საძოვრები, სათიბები, ბაღები) 42276 ჰექტარია გამოყენებული, დანარჩენი კი ტყეებსა და ბუჩქნარებს უჭირავს. კლიმატური პირობების მიხედვით ბორჯომის ხეობა ორ ზონად იყოფა: ზედა და ქვედა. ზედა ზონა ცივი ჰავით ხასიათდება, ქვედა კი თბილით. სწორედ ეს კლიმატური პირობები განსაზღვრავენ სოფლის მეურნეობის ხასიათს. ზედა ზონაში საკვებ-საძოვრების სიუხვის გამო წამყვანი დარგი მეცხოველეობაა, ხოლო ქვედა ზონაში მებაღეობა-მებოსტნეობა.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ლენინის კოოპერაციული გეგმით ხელმძღვანელობდა, მშრომელ გლეხობას კოლმეურნეობებში ნებაყოფლობითი გაერთიანების ერთადერთი სწორი გზა უჩვენა. ლენინის კოოპერაციულ გეგმაზე დაყრდნობით, სკპ (ბ) XV

ყრილობამ (1927 წ. დეკემბერი) თავის გადაწყვეტილებაში ჩაწერა: „წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტივებად გაერთიანებისა და გარდაქმნის ამოცანა დღევანდელ პერიოდში პარტიის ძირითად ამოცანად უნდა იქნეს დასახული სოფლად“[1]. ბორჯომის რაიონის მშრომელმა გლეხობამ მხარი დაუჭირა პარტიის პოლიტიკას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაში. დაიწყო კოლექტივიზაცია. 1927 წელს შექმნილ სასოფლო-სამეურნეო კომუნის ბაზაზე, სიფ. ტაძრისის გლეხობამ 1929 წელს სასოფლო-სამეურნეო არტელი ჩამოაყალიბა. 1928 წელს სოფელ ციხისჯვარში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. 1929 წელს კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა სოფ. დიდ მიტარბში, ხოლო 1930 წელს სოფ. ტაბაწყურში. სოფლების: ბალანთის, ქვაბისხევის, დვირის, სადგერის, მოლითისა და ჭიხარულის გლეხებმა 1931 წელს სასოფლო-სამეურნეო არტელები შექმნეს. მომდევნო წლებში რაიონის ყველა სოფელში შეიქმნა კოლმეურნეობა. 1937 წლისათვის ბორჯომის რაიონში კოლექტივიზაცია დამთავრებული იყო. ამ წელს ხეობის გლეხობის 93% კოლმეურნეობაში იყო გაერთიანებული. კოლმეურნეობები სათესი ფართობის 99,1%-ს ფლობდნენ. საკოლმეურნეო მშენებლობის ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ მოწინავე გლეხები: ა. ხაჭაპურიძე, ვ. მიქაბერიძე, გ. ავალიშვილი, ო. სევასტოვი, მ. გოგოლაძე, გ. ბარათაშვილი, ვ. კურტანიძე, მ. ლურსმანაშვილი, ს. ნიკოლაევი, მ. თვაური, ა. ქოზაშვილი, ი. გოგოლაძე, ზ. ჯაფიაშვილი, გ. ჩადუნელი, ნ. შაყულაშვილი და სხვები. ბორჯომის საწარმოების მუშებმა მშრომელ გლეხობას დიდი დახმარება აღმოუჩინეს საკოლმეურნეო მშენებლობაში. მეცხოველეობაში პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. ჯიშთა გამოცდის საქმეში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მიღწეულ იქნა სასურველი შედეგი. ბორჯომის ხეობის კლიმატური პირობებისათვის შეირჩა მაღალპროდუქტიული პირუტყვი „კავკასიური წაბლა“, რომელმაც რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივი გავრცელება პოვა. ზედა ზონის კოლმეურნეობებში გან-

---

1 „სკკპ (ბ) რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 613.

საკუთრებით წარმატებით განვითარდა მეცხოველეობა. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში ბორჯომის რაიონი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო რესპუბლიკაში. სწორედ ამ ფაქტის დამადასტურებელია ის, რომ 1936 წელს რაიონის მოწინავე მეცხოველეები, სოფ. ციხისჯვრის კოლმეურნეობის მწველავი ე. ლ. ბარძიმაძე და სოფ. ბალანთის მეცხოველეობის ფერმის გამგე ტ. ი. მელიქიძე, სსრკ-ის ორდენებით დაჯილდოვდნენ. 1933 წელს რაიონის სოფლის მეურნეობას ერთი ახალი, მეტად რენტაბელური, დარგი მიემატა. ბაკურიანში დაარსდა ნადირთმომშენებელი საბჭოთა მეურნეობა, რომელიც შეუდგა შავვერცხლოვანი (კანადური) და პოლარული მელიებისა და წაულების მოშენებას.

ქვედა ზონის კოლმეურნეობებში მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, ქერი და ზოგიერთი სხვა მარცვლეული კულტურა, მაგრამ კოლმეურნეობათა ეკონომიკაში წამყვანი როლი მებაღეობა-მებოსტნეობას ეკუთვნის (ვაშლი, მსხალი, პომიდორი, კომბოსტო და სხვა). რაიონში რენტაბელური დარგია აგრეთვე კარტოფილი, რომელიც კარგად ხარობს, როგორც ზედა, ისე ქვედა ზონაში. 30-იანი წლების ბოლოსათვის რაიონის კოლმეურნეობები საკმაოდ განმტკიცდნენ, ყოველწლიურად მატულობდა შრომადღის ღირებულება. საკოლმეურნეო წყობამ დაამტკიცა თავისი უპირატესობა ინდივიდუალურ მეურნეობასთან. 1939 წელს რაიონის 11 კოლმეურნეობა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გახდა, ხოლო 1940 წელს გამოფენაში 17-მა კოლმეურნეობამ მიიღო მონაწილეობა. გამოფენის მთავარმა კომიტეტმა მოლითის, დგვარისა და ტაბაწყურის კოლმეურნეობები დიპლომებითა და ფულით დააჯილდოვა. 1941 წლის თებერვალში საკოლმეურნეო მშენებლობაში კარგი მუშაობისათვის მთავრობამ ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ქვაბისხევის, ჭობისხევის, ყვიბისისა და ბაკურიანის კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეები: ა. გ. ხაჭაპურიძე, ს. მ. სარალიძე, ს. დ. გელაშვილი და ა. მ. თვალური.

§ 2. ბორჯომი — კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი

ბორჯომმა, როგორც კლიმატურ-ბალნეოლოგიურმა კურორტმა, ყურადღება ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში მიიქცია. ბორჯომის ხეობის თვალწარმტაც ბუნებას, მის მინერა-

ლურ წყალსა და შემოგარენს აღტაცებაში მოუყვანია ბევრი მნახველი, დამსვენებელი და აქ სამკურნალოდ ჩამოსული ადამიანი. მრავალმა გამოჩენილმა ადამიანმა ინახულა ბორჯომი, დაისვენა და იმკურნალა. მათ დაგვიტოვეს საუკეთესო შთაბეჭდილებანი.



ბორჯომის ხედი

ბორჯომის ხეობის სილამაზით მოხიბლული იყო გრ. ორბელიანი, აკაკი წერეთელი და ბევრი სხვა გამოჩენილი ადამიანი. 1887 წლის ივნისში ბორჯომს ესტუმრა დიდი რუსი კომპოზიტორი პ. ი. ჩაიკოვსკი. მან ერთი თვე დაჰყო ბორჯომში, კმაყოფილი დარჩა მკურნალობით და აღფრთოვანებული მისი ბუნების მშვენიერებით. 1887 წლის 27 ივნისით დათარიღებულ წერილში პ. ი. ჩაიკოვსკი თავის მეგობარს ი. პ. შპაჟინსკაიას წერდა: „უკვე ორი კვირაა, რაც ბორჯომში ვარ. უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რომელიც კი ოდესმე მინახავს... იცით, ზოგჯერ, ღმერთს გეფიცებით, აღტაცების ცრემლებიც კი მდის იმ სილამაზის ხილვით, რომელ-

საც აქ ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით. გარდა ამ სილამაზისა, ბორჯომს კიდევ ერთი მიმზიდველი ძალა აქვს, აქ მოიპოვება შემადგენლობით საუკეთესო მინერალური წყლები, ერთ-ერთი ძლიერ წაადგავს ვიწის წყალს. ბორჯომი, ჩემი აზრით, ეს ყველაზე ღვთაებრივი და საუცხოო ადგილია მთელს მსოფლიოში"[1].

პ. ი. ჩაიკოვსკი ხშირად მოგზაურობდა ევროპასა და ამერიკაში, კარგად იცნობდა იქაურ კურორტებს და ამიტომ მისი აზრი ბორჯომზე, როგორც კურორტზე, საგულისხმო და ობიექტურია.

ბორჯომის როგორც კურორტის კეთილმოწყობას ყურადღება ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მიექცა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კურორტები მშრომელი ხალხის კუთვნილებად იქცა და მის სამსახურში ჩადგა. 1919 წლის 20 მარტს ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოქვეყნებული დეკრეტით დიდი მთავრების, მემამულეებისა და კაპიტალისტების აგარაკები და სასახლეები მშრომელთა დასასვენებელ კერებად გარდაიქმნა. სწორედ ეს ლენინური დეკრეტი გახდა საფუძველი ბორჯომის, როგორც კურორტის, მშენებლობა-კეთილმოწყობისა. 1922 წელს მიხეილ რომანოვის ყოფილ სასახლეში გაიხსნა სანატორიუმი (100 საწოლზე), ხოლო ნ. რომანოვის ლიკანის სასახლე დასასვენებელ სახლად გადაკეთდა. სერიოზული ზიანი მიაყენა კურორტის მშენებლობას 1922 წლის ივლისის წყალდიდობამ. მდინარე ბორჯომულამ წალეკა მინწყლების პარკი — არქეოლოგიური მოედანი, დაზიანა № 2 წყარო, ჰიდროელექტროსადგური, სასტუმრო და სხვ. მდ. მტკვარმა აგრეთვე საგრძნობი ზიანი მიაყენა ბორჯომის ორივე მხარეს. წყალდიდობისაგან დაზიანებულ ნაგებობათა აღდგენა მალე მოხერხდა. ბორჯომი კვლავ გამშვენიერდა.

1922 წელს ვ. ი. ლენინს სპეციალისტების რჩევით გადაუწყვეტია სამკურნალოდ და დასასვენებლად ბორჯომში ჩამოსვლა და სერგო ორჯონიკიძისათვის წერილი გამოუგზავნია. აი ეს წერილი: „ამხანაგო სერგო! გიგზავნით კიდევ რამდენიმე ცნობას. ეს ცნობები მომაწოდა ექიმმა, რომელიც თვითონ იყო ადგილობრივ და სრული ნდობის ღირსია. აბასთუმანი სრუ-

---

1 ნ. ა. ყიფშიძე. ბორჯომი და მისი ხეობა, 1954, გვ. 25—26.

ლიად შეუფერებელია, ნერვიანებისათვის ეს გამოდგება. ბორჯომი ფრიად გამოსადეგია, რადგან იქ არის ვაკე ადგილი სასიარულოდ. გარდა ამისა ბორჯომი სიმაღლის მხრივ შესაფერია"[1]. ვ. ი. ლენინის წერილი 1922 წლის აპრილითაა დათარიღებული. ლენინის ღირსეულად მიღების მოწყობისათვის შექმნილა სათანადო კომისია — ორჯონიკიძის, სემაშკოს, კუჭაიძის, ფრანგულიანისა და სიამაშვილის შემადგენლობით. კომისიის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა კამო (ტერ-პეტროსიანი). კომისიას ვ. ი. ლენინის მისაღებად მოუმზადებია ლიკანის აგარაკი № 2 (მეოთხე მთავარი სამმართველოს სანატორიუმი „ლიკანი-ბორჯომი"), მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვ. ი. ლენინმა ბორჯომში ჩამოსვლა ვერ შეძლო.

1925 წელს ბორჯომში გაიხსნა ფიზიოსამკურნალო, 26 კომისრის სახელობის პლატოზე მწყობრში ჩადგა დასასვენებელი სახლი (140 საწოლზე). 1927 წელს თორის პლატოზე (ამჟამად გურამიშვილის ქუჩა) მდებარე სერგეი რომანოვის ყოფილი სასახლე დასასვენებელ სახლად გადაკეთდა, ასევე დასასვენებელ სახლად გადაკეთდა დიდვაჭარ კონდუროვის აგარაკი მდებარე ბორჯომულას მარცხენა სანაპიროზე და ირანის კონსულის აგარაკი „ფირუზა" — მინწყლების ბაღის შესასვლელთან.

მეორე ხუთწლედში კურორტის გაფართოება-კეთილმოწყობისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. 1935 წელს დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს ლიკანის სანატორიუმის ერთი კორპუსი (250 საწოლზე), ხოლო 1938 წელს მეორე კორპუსი (300 საწოლზე). ბორჯომის ჯგუფის კურორტებზე 30-იან წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა ავადმყოფთა მკურნალობის დონე. გეოლოგიური საძიებო სამუშაოების ჩატარების შედეგად, ბორჯომში მინერალური წყლის სამი ახალი წყარო იქნა აღმოჩენილი, რითაც მინწყლების დებიტი დღე-ღამეში 90 000 ლიტრიდან 400 000 ლიტრამდე გაიზარდა. ამ ფაქტს საკურორტო მეურნეობის შემდგომი გაფართოება-აღმავლობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბორჯომს, როგორც კურორტს, ჯეროვანი ყურადღება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიექცა. მთავრობამ კუ-

---

[1] ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი", 1956, № 2, გვ. 35—36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რორტის განვითარება-კეთილმოწყობისათვის დიდძალი თანხა გამოყო. 1940 წელს კურორტის მშენებლობა-კეთილმოწყობისა-



ლიკანი — სასახლე

თვის დაიხარჯა 2 257 600 მანეთი, ნაცვლად 1924 წელს დახარჯული 16 300 მანეთისა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ავადმყოფ-დამსვენებელთა გამტარიანობა. ჯეროვანი ყურადღება მიექცა ქალაქის კეთილმოწყობას, გამშვენიერდა ქუჩები და მოედნები. 1934 წელს ექსპლოატაციაში შევიდა სასტუმრო „ბორჯომი“.

აშენდა საცხოვრებელი სახლები, რაიონის სოფლებამდე გაყვანილ იქნა საავტომობილო გზები. გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. გაფართოვდა ბორჯომში არსებული საავადმყოფო, ხოლო 1928 წელს გაიხსნა პოლიკლინიკა. 1932 წელს მუშათა უბანში პოლიკლინიკამ და ტუბდისპანსერმა დაიწყო მუშაობა. 1940 წლისათვის ბორჯომის რაიონის თითქმის ყველა სასოფლო საბჭოში საექიმო უბნები არსებობდა, ხოლო ახალდაბაში, ბაკურიანსა და წაღვერში საავადმყოფოები. სამედიცინო მომსახურების ხარჯებმა 1940 წელს 1,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა. 1940 წელს ბორჯომის რაიონის მოსახლეობას 71 ექიმი და 134 ექთანი უწევდა მომსახურებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახალხო განათლების დარგში რადიკალური ცვლილებები მოხდა. 1921 წელს ბორჯომის რაიონში არსებობდა 7 პირველი საფეხურის (ოთხწლიანი) სკოლა 302 მოსწავლით. 1933 წლისათვის სკოლების რიცხვი 60-მდე გაიზარდა, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობამ 6609 შეადგინა. ამავე დროს ბორჯომის რაიონში 45 წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლა არსებობდა. ბორჯომის რაიონის ყველა ტიპის სკოლაში 1933 წელს 213 მასწავლებელი იყო, მათგან 21-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა.

წარმატებით წარიმართა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა. ქალაქ ბორჯომსა და რაიონის სოფლებში გაიხსნა კლუბები, წითელი კუთხეები, ქოხსამკითხველოები, ბიბლიოთეკები და სხვა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი. 1933 წელს ბორჯომის რაიონში იყო: 9 კლუბი, 2 ბიბლიოთეკა, 3 წიგნსაცავ-სამკითხველო, 11 ქოხსამკითხველო, 9 თვითმოქმედი დრამატული წრე, 5 კინოდანადგარი, 3 მოძრავი კინო, 1 სტამბა და 1 მუზეუმი.

§ 3. ბორჯომის რაიონის მშრომელები დიდი სამამულო ომის პერიოდში

ბორჯომის რაიონიდან სამამულო ომში მონაწილეობდა 8000-ზე მეტი მებრძოლი, მათგან 2000-მა სიცოცხლე სამშობლოს დაცვას შესწირა, 4 000 კი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა. ომის დაწყებისთანავე რაიონის სახალხო მეურნეობა სამ-

ხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. შუშის ქარხანამ მკვეთრად შეამცირა მისთვის დაწესებული პროფილით პროდუქციის გამოშვება და სამხედრო საჭიროებისათვის მასალების დამზადება დაიწყო. ქარხანა ამზადებდა ტანკსაწინააღმდეგო ამპულებსა და სამხედრო მნიშვნელობის შუშის იზოლიატორებს. ბორჯომის № 7 სახელოსნო სკოლაში (ამჟამად საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი) სამამულო ომის პერიოდში მზადდებოდა ტანკის ნაწილები და ხელყუმბარების კორპუსები. მინწყლების ჩამომსხმელი ქარხნის პროდუქცია ჰოსპიტლებისა და ფრონტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხმარდებოდა. ბორჯომის საავეჯო ფაბრიკა ფრონტის საჭიროებისათვის ყუთებს ამზადებდა საბრძოლო მასალის მოსათავსებლად და ფრონტზე მისატანად, ხოლო ახალდაბისა და ბორჯომის სატყეო მეურნეობის სახერხი ქარხნები რეგულარულად აწვდიდნენ ფრონტს დახერხილ მასალას, რაც სამხედრო სიმაგრეების მშენებლობისათვის იყო საჭირო. ომის დაწყებისთანავე ბორჯომის ხეობაში არსებული ყველა სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი ჰოსპიტლებად (ევაკოჰოსპიტალი) გადაკეთდა (საკავშირო პროფსაბჭოს ლიკანის სანატორიუმი, „ფირუზა“, I და II, ცემისა და ლიბანის სანატორიუმები, კეჩხობის დასასვენებელი სახლი წაღვერში, სასტუმრო ბორჯომი). ევაკოჰოსპიტლების ორგანიზაციასა და მომზადებაში დიდი მუშაობა გასწიეს გ. არჯევანიძემ (მაშინდელი რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე) და გ. გომარელმა (ჯანმრთელობის დაცვის რაიგანყოფილების გამგე). ჰოსპიტლებში წამყვან ქირურგებად მუშაობდნენ ალექსანდრე გრიდნევი, ნიკოლოზ ჩორგოლიანი, ნიკოლოზ მუჯირი და სხვები. ბორჯომის რაიონის ჰოსპიტლებში 50000 დაჭრილი განიკურნა და ფრონტს დაუბრუნდა.

ბორჯომის რაიონის კოლმეურნე გლეხობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდილ გეგმებს ომის პერიოდში ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებდა. 1942—1944 წლებში რაიონის კოლმეურნეობებმა 504 ჰექტარით გაზარდეს მარცვლეული კულტურების სათესი ფართობი და სახელმწიფოს მხოლოდ 1943 წელს გეგმის გადამეტებით 3188 ცენტნერი მარცვლეული, 5668 ცენტნერი კარტოფილი და ბოსტნეული ჩააბარეს. ამავე დროს მოსავლიანობა ჰექტარზე 4—5 ცენტნერით გაადიდეს. სამამულო ომის წლებში მეცხოველეობის დარგში სახელმწიფოს გეგმები გადაჭარბებით სრულდებოდა. რაიონის მეცხოველეები გეგმის ზევით ყოველწლიურად 240 ცენტნერ ხორცს აბარებდნენ სახელმწი-

ფოს. რაიონის კოლმეურნეობები შეუფერხებლად ამარაგებდნენ ახალი და საღი საკვები პროდუქტებით (ხორცი, რძე, ბოსტნეული, ხილი) ევაკოჰოსპიტლებს.

ბორჯომის რაიონის მშრომელებმა თავდაცვის სახელმწიფო ფონდში 1942 წლის ივნისამდე 1. 156 978 მანეთი შეიტანეს, ხოლო 1942—1944 წლებში — 23 500 000. კოლმეურნეებმა გ. ხაჭაპურიძემ თავდაცვის ფონდში 50000 მანეთი, ხოლო ვ. აკოფოვმა 4 7000 მანეთი შეიტანა.

მარადბრწყინავი შარავანდედით შეიმოსა ბევრი ბორჯომელი ვაჟკაცის სახელი სამამულო ომში. ასეთებს მიეკუთვნებიან: კ. დათუნიშვილი, ნ. აბრამაშვილი, მ. ტაბატაძე, ე. ინაური და სხვ.

ბორჯომის რაიონის მკვიდრი, სოფელ მზეთამზედან, კონსტანტინე დათუნიშვილი სამამულო ომის წლებში რისხვად ევლინებოდა ჰიტლერელ დამპყრობლებს — მოსპო მტრის 40 ჯარისკაცი და შეიპყრო 12 მოენე. საბრძოლო ოპერაციების მამაცურად ჩატარებისათვის კონსტანტინე დათუნიშვილი დიდების სამივე ხარისხის ორდენების კავალერი გახდა და საბჭოთა კავშირის გმირების გვერდით დადგა. ლატვიაში გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში გმირის სიკვდილით დაეცა ქედუხრელი ვაჟკაცი კონსტანტინე დათუნიშვილი, იგი განისვენებს ლატვიაში, ძმათა სასაფლაოზე.

ქართველმა მფრინავმა, კაპიტანმა ნიკოლოზ აბრამაშვილმა სამამულო ომში, ნიკოლოზ გასტელოს გმირული საბრძოლო მოქმედება გაიმეორა და ამიტომ მას „ქართველ გასტელოს“ ეძახდნენ. ნ. აბრამაშვილი 1918 წლის 28 დეკემბერს დაიბადა სოფ. ახალდაბაში (ბორჯომის რაიონი). 1940 წელს მან კაჩინსკის საავიაციო სასწავლებელი დაამთავრა და უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო. დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ნ. აბრამაშვილი ფრონტზეა და მამაცურად იბრძვის. თავდაპირველად იგი ჩრდილოდასავლეთისა და ცენტრალურ ფრონტზე იბრძოდა, სადაც მტრის 4 თვითმფრინავი ჩამოაგდო. როდესაც სტალინგრადისათვის გადამწყვეტი საჰაერო ბრძოლები დაიწყო, ნ. აბრამაშვილი, როგორც გამოცდილი მფრინავი, სტალინგრადის ფრონტზე გადაიყვანეს, სადაც თავი ისახელა მამაცობითა და გაბედულებით, ნიჭითა და უნარით, პარტიის საქმისა და სამშობლოს უსაზღვრო ერთგულებით. გვარდიის კაპიტანი ნიკოლოზ გიორგის ძე აბრამაშვილი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

სმოლენსკის მიმართულებით მტერს ებრძოდა საავიაციო გა-
მანადგურებელი პოლკი, რომელშიც უმცროსი ლეიტენანტი მოსე
ერემიას ძე ტაბატაძე მსახურობდა. მოსე ტაბატაძე დაიბადა 1921
წელს ბორჯომის რაიონის სოფ. დიდ ცემში. მან სამამულო ომის
დაწყების წინ სტალინგრადის საფრენოსნო სასწავლებელი დაამ-
თავრა და უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო. ომის დაწყების
პირველი დღეებიდანვე მოსე ერემიას ძე ფრონტზეა, მამაცურად
იბრძვის და დაუნდობლად ჟლეტს ფაშისტებს. მას სიკვდილის უკა-
ნასკნელ წუთსაც არ გაუშვია ხელი საჭისათვის, არ დაუხრია თვით-
მფრინავის ფრთები და ალბათ, ამ ფრთებზე წარმოშობილი ხან-
ძრის ალი იყო მოსე ტაბატაძის სიცოცხლის უკანასკნელი ბრწყინ-
ვალე გამონათება, რომელმაც გაასხივოსნა მისი თავგანწირული
გმირობის სიდიადე.

საშუალო სკოლის მერხიდან პირდაპირ ფრონტზე წავიდა ბორ-
ჯომელი ჭაბუკი ერონის ინაური. მას სამშობლოს დაცვის კეთილ-
შობილური პატრიოტული გრძნობა ამოძრავებდა, მთელი მოწდო-
მებით, მამაცურად, საკუთარი სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდა
ფრონტზე, რისთვისაც თანამებრძოლებისა და ნაწილის სარდლო-
ბის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ერონისი ერთ-ერთი
პირველი იყო, რომელმაც ალექსანდრე მატროსოვის გმირული
მოქმედება გაიმეორა. თანამებრძოლებმა ერონისის საფლავზე ასე-
თი წარწერა გააკეთეს: „თუ სიკვდილი გვიწერია, მოვკვდეთ ისე,
როგორც ერონისი“. ერონის ინაური ოცი წლისაც არ იყო, რომ
თავისი მჩქეფარე ახალგაზრდა სიცოცხლე საყვარელი სამშობლოს
თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შესწირა,
სამაგიეროდ მისი სახელი მისივე სამხედრო ნაწილის გამარჯვების
დროშად იქცა.

ანტონ მუმლაძე ბორჯომის მკვიდრია, ამჟამად თადარიგის
პოლკოვნიკი. იგი ბორჯომის რაისამხედრო კომისარიატში მუ-
შაობს. ანტონმა 21 წელი საბჭოთა არმიის რიგებში იმსახურა
(1936—1957 წწ.), ხოლო სამამულო ომის დაწყებიდან მის დამთავ-
რებამდე მომქმედ არმიაში იყო და გმირულად იბრძოდა ფაშისტე-
ბის წინააღმდეგ. სამამულო ომის ფრონტებზე ა. ი. მუმლაძე მესან-
გრეთა ბატალიონს მეთაურობდა და პირნათლად ასრულებდა სარდ-
ლობის საბრძოლო დავალებებს. 130-ე მსროლელთა დივიზიის
192-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონმა აქტიური მონაწილეობა მი-
იღო მოსკოვის მისადგომებთან ფაშისტი ურდოების განადგურება-

ში. ამ ბატალიონს უნარიანად ხელმძღვანელობდა ანტონ მუმლაძე. 364-ე მსროლელი დივიზიის 654 ცალკე მესანგრეთა ბატალიონმა, რომელსაც მუმლაძე მეთაურობდა, ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის დროს, სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, სანიმუშო საბრძოლო ოპერაციები ჩაატარა. ანტონ შუბლაძის სახელთანაა დაკავშირებული ვოლხოვის ფრონტზე ერთი მეტად მნიშვნელოვანი საბრძოლო აქტის ჩატარება.

ვიქტორ კიკნაძე ბორჯომის მკვიდრია. იგი ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ფრონტზეა და გმირულად იბრძვის ვერაგი მტრის წინააღმდეგ. კაპიტანმა კიკნაძემ სახელი გაითქვა ყირიმის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში, სადაც იგი 136-ე პოლკის მე-6 მსროლელ ასეულს მეთაურობდა. პოლკოვნიკ ვ. ჯანჯღავას ნაშრომში, „ქერჩის პლაცდარმი", ვიქტორ კიკნაძის მრავალი საბრძოლო მაგალითია დასახელებული. ვ. კიკნაძე სამამულო ომის ფრონტებზე ყოფნის დროს შავ ნაბადს ატარებდა, ამიტომ მისთვის „შავნაბდიანი კაპიტანი" შეურქმევიათ; ამ სახელით იცნობდნენ მას ფრონტზე. ვიქტორ კიკნაძის საბრძოლო დამსახურება აღნიშნულია 10 საბრძოლო ორდენითა და მედლით. თადარიგის კაპიტანი ვ. ნ. კიკნაძე ამჟამად ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება.

პეტრე ემელიანოვი თითქმის ოთხი ათეული წელია რაც ბორჯომში ცხოვრობს. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პიესა ბორჯომის შესახებ და მრავალი სტატია სამამულო ომის თემაზე. ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე პ. ემელიანოვი ფრონტზეა, ასეულს მეთაურობს და გმირულად იბრძვის ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ. ყუბანის განთავისუფლების დროს ემელიანოვის ასეულმა ხელში ჩაიგდო და აღმოაჩინა მტრის საიდუმლო მიწისქვეშა იარაღის საწყობი. საწყობში აღმოჩნდა ქიმიური დაბდასხმის იარაღი მომწამლავი ნივთიერებებით. წითელი არმიის მიერ გატარებულმა შესაფერისმა კონტროლონისძიებებმა მტერს საშუალება არ მისცა გამოეყენებინა ფრონტზე მომწამლავი ნივთიერებები. მაიორი პეტრე ემელიანოვი 12 საბრძოლო ჯილდოს მფლობელია.

ვალერიან აბულაძე პარტიის ბორჯომის რაიკომში მუშაობდა პარტიული განათლების კაბინეტის გამგედ. როგორც თადარიგის ოფიცერი, იგი ომის დაწყების მეორე დღესვე ფრონტზე წავიდა, იბრძოდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. 1942 წლის ზამთარში ვ. აბულაძის სამხედრო ნაწილი ალყაში მოხვდა. მას და მის რამდე-

ნიმე მებრძოლს ფეხები მოეყინათ, რის გამოც მეთაური ფაშისტებმა ტყვედ ჩაიგდეს, მალე ტყვეობას თავი დააღწია და მტრის ზურგში პარტიზანული მოქმედება დაიწყო. 1942 წლის შემოდგომასა და ზამთარში ვ. აბულაძის პარტიზანულმა ჯგუფმა ფაშისტების სამხედრო მატარებელი რელსებიდან გადააგდო და ბენზინის ერთი საწყობი ააფეთქა. 1943 წლის მარტში, მისი ჯგუფი აზოვის ზღვის ყინულზე გავლით, წითელ არმიასთან შესაერთებლად გამოემართა, მაგრამ მტერმა შეუიარაღებელი 5 ქართველი ადვილად ჩაიგდო ხელთ. დახვრეტა გარდუვალი იყო, მაგრამ აბულაძის გონივრული მოქმედებით პარტიზანები გადარჩნენ და ისინი გერმანულ სამხედრო ნაწილში ჩარიცხეს. გერმანულ სამხედრო ნაწილში (ე. წ. კავკასიელთა ასეული) ვალერიან აბულაძემ შექმნა არალეგალური პატრიოტული ჯგუფი, 1943 წლის სექტემბერში გატეხა ასეულის იარაღის საწყობი, გაიტაცა იარაღი (15 ავტომატი, 2 შაშხანა, 2 ხელის ტყვიამფრქვევი, ხელყუმბარები და სხვ.), თან წაიყვანა არალეგალური ჯგუფის წევრები და შექმნა პატარა პარტიზანული რაზმი, რომელიც მალე შეუერთდა წითელი არმიის გენერალური შტაბის სადაზვერვო განყოფილების განსაკუთრებული დანიშნულების № 14 პარტიზანულ რაზმს. რაზმი მოქმედებდა მტრის ღრმა ზურგში — პოლონეთში, გერმანიაში (ზემო სილეზია, ბერლინის რაიონი), ჩეხოსლოვაკიაში და ასრულებდა გენერალური შტაბის სადაზვერვო განყოფილების საგანგებო დავალებებს. ვ. აბულაძე ხსენებულ პარტიზანულ რაზმში დიდხანს მუშაობდა ოპერატიული ჯგუფის მეთაურად, ბოლოს კი რაზმის მეთაურად. ყველა საბრძოლო, სადაზვერვო და სადივერსიო დავალებები ოპერატიული ჯგუფის მიერ მხოლოდ და მხოლოდ აბულაძის ხელმძღვანელობითა და პირადი მონაწილეობით სრულდებოდა. აბულაძის პარტიზანულმა ჯგუფმა სლოვაკიის ეროვნულ აჯანყებაში 1944 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო. ვალერიან აბულაძეს 10 საბრძოლო ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის: დიდების ორდენი, პარტიზანული მედალი, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ჯილდო და სხვ.

სამამულო ომის ფრონტებზე უმოწყალოდ ქლეტდა ფაშისტ ინტერვენტებს ბორჯომელი მფრინავი პოდპოლკოვნიკი გიორგი ინასარიძე. სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა გ. ინასარიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა. გიორგი დიდებამოსილი დაუბრუნდა მშობლიურ ბორჯომს.

მტერთან ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაეცნენ: ბაკურიანე-

ლი ვანო შუბითიძე, წალვერელი ვ. ნინოშვილი, ბორჯომელები: კაპიტანი ვლადიმერ იაშვილი, ძმები ზუმბაძეები, ივანე ადამიანცი, ალექსი წვერიანაშვილი და სხვები.

ომის ვეტერანთა ჯგუფი

ბორჯომის რაიონში არ არის არც ერთი დაბა ან სოფელი, რომელსაც მეომარი არ გაეგზავნოს ფრონტზე. ბევრია ისეთი ოჯახიც საიდანაც 5—6 მებრძოლი წავიდა ომში. სოფელ დვირიდან კოლმეურნე სანდრო კევლიშვილმა 6 ვაჟკაცი — ილია, ნიკოლოზი, ისაკი, ექვთიმე, პავლე და ლენტო გაგზავნა სამშობლოს დასაცავად. ექვსივე ძმამ თავიანთი სიცოცხლე სოციალისტური სამშობლოს დაცვას შესწირეს. გუჯარეთელმა ილია ფილიევმაც 6 ვაჟი გაისტუმრა, ომში, საიდანაც მხოლოდ ერთი დაუბრუნდა ოჯახს, ხუთმა კი თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანა.

1941 წლის ბოლოს ფაშისტებმა კავკასიელი ტყვეებისაგან ძალდატანებით შექმნეს ბატალიონი „ბერგმანი“ (მთისკაცი), რომლის მეთაურად კაპიტანი სიმონ წიკლაური დაინიშნა. ბატალიონში მყოფმა ქართველებმა პატრიოტული ორგანიზაცია „კომინტერნი“ შექმნეს და მიზნად დაისახეს წითელი არმიის მხარეზე გადასვლა და საძულველი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა. პატრიოტებმა თავი-

ანთი მიზნის განხორციელება ვერ მოასწრეს. „კომინტერნი“ ჯაშუშმა გასცა. 12 ქართველ პატრიოტს ფაშისტურმა სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. 12-მა ქართველმა პატრიოტმა, გმირულად, სამშობლოს სიყვარულის ღრმა შეგნებით შესწირა თავი სამშობლოს. დახვრეტის დროს, პატრიოტთა ჯგუფის მეთაურმა კაპიტანმა სიმონ წიკლაურმა ამაყად შესძახა: „მესროლეთ, მე თქვენი ტყვიისაც არ მეშინია!“ ამ სიტყვებით წიკლაურმა აკაკი ბარბაქაძის აზრიც გამოხატა. ბორჯომის რაიონის სოფ. ახალდაბის მკვიდრი, საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი, აკაკი ბარბაქაძე პატრიოტული ორგანიზაციის „კომინტერნის“ ყველაზე ახალგაზრდა წევრი იყო. მან თავისი მჩქეფარე სიცოცხლე სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა.

ფაშისტებმა სამამულო ომის პერიოდში ქართველი ტყვეებისაგან ქართული ბატალიონი შექმნეს. 1945 წლის აპრილში, კუნძულ ტექსელზე (ჰოლანდია) ქართული ბატალიონი აჯანყდა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. აჯანყებულებმა რამდენიმე ათასი ფაშისტი მოსპეს, მაგრამ თვითონაც დიდი დანაკლისი განიცადეს (დაიღუპა 500-ზე მეტი ქართველი). ქართული ბატალიონის აჯანყებას ხელმძღვანელობდა შალვა ლოლაძე, ხოლო მისი დაღუპვის შემდეგ ბორჯომელი ნოე გონგლაძე. ნ. გონგლაძესთან ერთად ტექსელის აჯანყებაში კიდევ 10 ბორჯომელი მონაწილეობდა, მათგან 7 ბრძოლაში დაეცა, დანარჩენნი მშობლიურ ბორჯომს დაუბრუნდნენ.

საბერძნეთის პარტიზანული მოძრაობის აქტიური მონაწილეა ბორჯომელი ს. გაბრიელოვი. ბელორუსიის პარტიზანთა რიგებში იბრძოდა ბორჯომელი გ. ფილიევი, რომელმაც პარტიზანთა შორის კარგი ავტორიტეტი მოიპოვა და მთავრობის მადალი — პარტიზანული ჯილდო დაიმსახურა.

1941 წლის შემოდგომაზე ბორჯომში შეიქმნა მე-15 საგზაო-საექსპლოატაციო პოლკი, რომელშიც ბორჯომელებიც ჩარიცხეს. ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომმა აღნიშნულ პოლკს ფრონტზე გამგზავრების წინ საბრძოლო წითელი დროშა გადასცა და უსურვა, რომ გამარჯვებულებს ეს დროშა ბერლინში ჩაეტანათ. საგზაო-საექსპლოატაციო პოლკმა, რომელიც შემდეგში მე-15 საგზაო-საექსპლოატაციო ბატალიონად გადაკეთდა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ფაშისტური ბუნაგის — ბერლინის აღებაში. გამარჯვებულმა

ბატალიონმა, ბორჯომის მშრომელთა მიერ გადაცემული, საბრძოლო წითელი დროშა ბერლინში ჩაიტანა.

1947 წლის 4 ივნისს სსრკ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ არმიის გენერალმა ხრულიოვმა გამარჯვების საბრძოლო წითელი დროშა ბორჯომის მშრომელებს დაუბრუნა. ეს დროშა, როგორც ძვირფასი რელიკვია, ამჟამად ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

§ 4. ბორჯომის რაიონი ომის შემდგომ წლებში

ომის შემდგომ წლებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ბორჯომის რაიონში მკვეთრი აღმავლობით ვითარდებოდა. სამამულო ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო (1944 წ.), რომ ბორჯომის რაიონში მდინარე მტკვარზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო. 1949 წლის ბოლოს მწყობრში ჩადგა ჩითახევის ჰიდროელექტროსადგური (ჩითახევჰესი). ჩითახევჰესის (წარმადობა 115 მილიონი კილოვატსაათი) აშენება (მშენებლობის უფროსი შ. ცაგარელი) ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დიდი გამარჯვება იყო. მეოთხე ხუთწლედში სხვა ახალი საწარმო რაიონში არ აშენებულა, მხოლოდ მოხდა ძველი საწარმოების გაფართოება, ძველი დანადგარების ახლით შეცვლა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება.

მეხუთე ხუთწლედში დაიგეგმა ჩარხისწყალზე ახალი ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა 100 000 000 ბოთლი წყლის წარმადობით. ქარხნის მშენებლობა 1952 წელს დაიწყო და 1955 წელს დამთავრდა. იგი ახალი მანქანადანადგარებით აღიჭურვა. ახალი ჩამომსხმელი ქარხანა შუშის ქარხნის ახლოს აშენდა, რამაც გაადვილა მათ შორის საჰაერო კიდური კონვეიერის მოწყობა და შუშის ქარხნიდან ჩამომსხმელ ქარხანაში ბოთლების მიწოდება. საჰაერო კონვეიერის მოწყობა 1958 წელს განხორციელდა, რითაც დაიზოგა დიდძალი სატრანსპორტო ხარჯი და ტარის მსხვრევა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღებული წარმატებებისათვის და გეგმიური დავალებების გადაჭარბებით შესრულებისათვის 1969 წელს ბორჯომის შუშის ქარხანას კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელი მიენიჭა. 1969 წელს შუშის ქარხანამ

72 000 000 ბოთლი გამოუშვა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 69 მილიონისა, ხოლო 1975 წელს — 75 000 000 გეგმით გათვალისწინებული 73 000 000 ბოთლისა. შუშის ქარხანაში სასახელოდ შრომობს და მოღვაწეობს სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. შუბითიძე. ბორჯომის მინერალური წყალი საერთაშორისო გამოფენებზე მრავალჯერ დაჯილდოვდა. 1907 წელს ბელგიაში მას საპატიო დიპლომი მიენიჭა, ხოლო 1909 წელს ყაზანში ოქროს დიდი მედლით დაჯილდოვდა. 1911 წელს გერმანიაში (დრეზდენი) ბორჯომის წყალმა საპატიო დიპლომი მოიპოვა, 1912 წელს ტალინში მას მეორე ოქროს მედალი მიანიჭეს. 1960 წელს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის გამოფენაზე ბორჯომის მინერალური წყალი საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა. იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნილება ბორჯომის მინერალურ წყალზე ყოველწლიურად იზრდება, იზრდება მისი წარმოებაც. 1946 წელს ბორჯომის მინწყლების ჩამომსხმელმა ქარხანამ 9 894 000 ბოთლი წყალი ჩამოასხა, ხოლო 1958 წელს—75 890 900. 1965 წელს წყლის ჩამოსხმა 112 960 000 ბოთლამდე გადიდდა. მინერალური წყლის ჩამოსხმის გადიდების მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა მასზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამიტომ გადაწყდა მეორე ჩამომსხმელი ქარხნის აშენება, რის საშუალებასაც მინერალური წყლის დებიტიც იძლეოდა. 1970 წლის ბოლოს სოფელ ყვიბისში (4 კმ ბორჯომიდან) დამთავრდა № 2 ქარხნის მშენებლობა, რომელმაც პროდუქციის გამოშვება 1971 წლის იანვრიდან დაიწყო. ქარხანა აღჭურვილია ახალი მანქანა-დანადგარებით და მისი წლიური წარმადობა 200 მილიონ ბოთლს უდრის. საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი" აერთიანებს № 1 და № 2 ჩამომსხმელ ქარხნებს, რომლებმაც 1974 წელს 380 მილიონი ბოთლი წყალი ჩამოასხეს, ხოლო IX ხუთწლედის ბოლოს — 400 მილიონი. ბორჯომის მინერალურ წყალზე ძალზე დიდი მოთხოვნილებაა, მისი ექსპორტი მსოფლიოს 16 ქვეყანაში ხდება: პოლონეთში, გდრ-ში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, ავსტრიაში, ავღანეთში, მონღოლეთში, ფინეთში და სხვ.

ახალდაბის საავეჯო ფაბრიკა ბორჯომის რაიონის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა, რომელმაც სახელი გაითქვა მაღალხარისხოვანი საძინებელი გარნიტურის წარმოებით. ფაბრიკის მაღალკვალიფიციური შრომითი კოლექტივი ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის გეგ-

შებს. საავეჯო ფაბრიკამ ახალდაბაში არსებობის დროს (1952 წლიდან) პროდუქციის გამოშვება ოთხჯერ გაადიდა. IX ხუთწლედის უკანასკნელ წელს ფაბრიკას 4 მილიონ 430 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გამოეშვა, ფაქტიურად 4,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, რომელიც წლის ბოლომდე იქნა რეალიზებული.

IX ხუთწლედის გეგმიური დავალებები პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის დარგში დიდი გადაჭარბებით შეასრულეს: ჩითახევჰესმა, ბაკურიანის ანდეზიტის წარმოებამ, ყველისა და კარაქის ქარხანამ, ავტოსატრანსპორტო კანტორამ, ხორცკომბინატმა, პურ-პროდუქტების ბაზამ, პურის ქარხნებმა და სხვ.

ბორჯომის რაიონის კოლმეურნე გლეხობამ ომის შემდგომ წლებში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის ენერგიული მუშაობა გააჩაღა. თანდათან სპეციალიზებულ იქნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. რაიონის სოფლის მეურნეობაში ძირითადი წამყვანი დარგი მეცხოველეობა იყო. ქვედა ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მეცხოველეობასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მებოსტნეობასა და მეხილეობას მიექცა. რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი კარტოფილის კულტურას უჭირავს. ომის შემდგომ პერიოდში რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით აღიჭურვენ; გაუმჯობესდა მიწის დამუშავების კულტურა და შრომის ორგანიზაცია, ყოველივე ამან ხელი შეუწყო მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდას. მაგალითად, სოფ. ზანავის კოლმეურნეობაში ხილის საჰექტარო მოსავალი 1969 წელს 73 ცენტნერამდე გაიზარდა. 1958 წელს ციხისჯვრის სანაშენე-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში 225 ძროხა ჰყავდათ და თითოეული ძროხიდან საშუალოდ 1300 ლიტრი რძე მიიღეს. 1969 წელს ძროხების რიცხვმა 419 მიაღწია და წველადობამ 2520 ლიტრი შეადგინა. მკვეთრად გაზარდეს კარტოფილის მოსავლიანობა ვარდგინეთის, ბაკურიანისა და გუჯარეთის კოლმეურნეობებმა.

მებოსტნეობაში მოსავლიანობის გადიდებას ხელი შეუწყო ბორჯომელი მიჩურინელ-სელექციონერის გ. თაქთაქიშვილის მიერ ახალი, მაღალმოსავლიანი ჯიშების გამოყენებამ. მან გამოიყვანა ბოსტნეულისა და ბახჩეული კულტურების შემდეგი ახალი ჯიშები: კომბოსტო „ბორჯომული იდეალი“, ხახვი „რეკორდი“, პომიდორი

„მუზარადი“. ეს ჯიშები ფართოდ გავრცელდა ქვედა ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რითაც განპირობებულ იქნა უხვი მოსავლის მიღება და სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვის გეგმების ყოველწლიურად გადაჭარბებით შესრულება.

ბორჯომის რაიონში 9 კოლმეურნეობა და 5 საბჭოთა მეურნეობა არსებობს, რომელნიც სპეციალიზირებულია მეცხოველეობა-მერძევეობისა და მებოსტნეობის დარგში, გამონაკლისს წარმოადგენს ბაკურიანის ნადირთმომშენებელი საბჭოთა მეურნეობა, რომელიც მაღალხარისხოვან ბეწვეულს აწარმოებს და მეტად რენტაბელურია.

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი წარმოების მზარდი აღმავლობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის ისტორიული დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებამ. ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობების ყოველწლიური ფულადი შემოსავალი, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, სახელმწიფოზე მიყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან 300 000 მანეთით გაიზარდა, რამაც კოლმეურნეთა მატერიალური ცხოვრების პირობები მკვეთრად გააუმჯობესა და ხელი შეუწყო საზოგადოებრივი წარმოების სტიმულირებას. ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს IX ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გეგმით უნდა ჰყოლოდათ 9715 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის 3237 სული ძროხა. ფაქტიურად ჰყავდათ 10 100 სული, აქედან ძროხა — 3226. ცხვარი უნდა ჰყოლოდათ 12913 სული, ფაქტიურად ჰყავდათ — 13738. რაიონის მოსახლეობას 1975 წლის ბოლოს 6310 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავდა (აქედან 2947 სული ძროხა) და 9460 სული ცხვარი. ბორჯომის რაიონი ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს ხორცის, რძის მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებსა და ვალდებულებებს, რისთვისაც მას მრავალჯერ მიენიჭა რესპუბლიკის გარდამავალი დროშა. ბორჯომის რაიონის წარმატებებზე მეცხოველეობის განვითარების დარგში 1975 წელს ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის ციფრობრივი მაჩვენებლები მეტყველებს. 1975 წელს ბორჯომის რაიონს სახელმწიფოსათვის 13840 ცენტნერი ხორცი და 42300 ცენტნერი რძე

უნდა მიეყიდა, ფაქტიურად სახელმწიფოს მიეყიდა 16280 ცენტნერი ხორცი (გეგმა შესრულდა 117.6%-ით) და 45846 ცენტნერი რძე (გეგმა 108,4%-ით შესრულდა). რაიონი ასევე გადაჭარბებით ასრულებს ბოსტნეულ-ბახჩეული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმებს.

ტყეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბორჯომისათვის როგორც ბალნეოკლიმატური კურორტისათვის. ბორჯომის ხეობის ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყეს უჭირავს (67752 ჰა). ტყის მასივის 62% წიწვიანი ჯიშებია (ფიჭვი, ნაძვი, სოჭი), ხოლო 38% ფოთლოვანი (წიფელი, რცხილა, უხრავი, მუხა, ნეკერჩხალი და სხვ.). ტყის დაცვა-გაშენებას ბორჯომისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას ემსახურება ორი სატყეო მეურნეობა და ერთი სახელმწიფო ნაკრძალი. ბორჯომის სატყეო მეურნეობების შრომითი კოლექტივები წარმატებით ასრულებენ ტყის დაცვა-გაშენების საპატიო მოვალეობას. ბორჯომში ნაკრძალი მეურნეობა გასული საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა. მენშევიკების ბატონობის პერიოდში ნაკრძალი გაუქმდა და თითქმის განადგურდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ —1924 წლიდან ნაკრძალი აღდგენილ იქნა და დღეს არსებობს ბორჯომის „სახელმწიფო ნაკრძალის“ სახელწოდებით, რომელსაც ბორჯომის ხეობაში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე 18048 ჰექტარი ტყის ფართობი უჭირავს. „ნაკრძალის“ მთავარი ამოცანაა, კავკასიის კეთილშობილი ირმის დაცვა და მისი გამრავლებისათვის ხელის შეწყობა, საერთოდ კი მის მოვალეობას ბორჯომის ხეობის ფლორა-ფაუნის დაცვა შეადგენს. ნაკრძალის შრომისმოყვარე კოლექტივი წარმატებით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, ყოველწლიურად მატულობს კავკასიის კეთილშობილი ირმების რიცხვი, რამაც 1975 წელს 1400-ს მიაღწია. „ნაკრძალი“ სისტემატურად ასრულებს ტყე-კულტურების გაშენების გეგმასაც. „ნაკრძალის“ სპეციალისტი მუშაკები სერიოზულ მეცნიერულ მუშაობას ატარებენ მეტყევეობაში, ენტომოლოგიასა და ზოოლოგიაში. 1947—1949 წლებში ჩითახევჰესის მშენებლობის საჭიროებისათვის რუსეთიდან შემოზიდულ იქნა დაუხერხავი, ქერქგაუცლელი ნაძვის სამასალე ხე, რასაც თან შემოჰყვა ტყის მავნე მწერი ე. წ. ლაფნიჭამია. ბორჯომის ხეობის ტყეებს ლაფნიჭამიამ დიდი ზიანი მიაყენა (უმთავრესად ნაძვს). ლაფნიჭამიის წინააღმდეგ ბრძოლა

საერთორესპუბლიკური მნიშვნელობის საქმედ გადაიქცა. ამ მიმართულებით მრავალი ღონისძიება გატარდა, რამაც მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა. მთლიანად შეიზღუდა ლაფნიჭამიას გამრავლება-გავრცელება და მინიმუმამდე იქნა დაყვანილი მისი ნაძვისათვის საზიანო მოქმედება. ბორჯომის სატყეო მეურნეობები აქტიურად მოქმედებენ ლაფნიჭამიას საბოლოოდ ლიკვიდაციისათვის. ლაფნიჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად უნდა ჩაითვალოს ჩეხოსლოვაკიიდან შემოყვანილი მწერის — რიზოფაგუსის ტყეებში გავრცელება.

მეტყევე სპეციალისტების მოსამზადებლად ბორჯომში არსებობს სატყეო ტექნიკუმი (დაარსდა 1929 წ.), რომელსაც მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივი ჰყავს და რომელიც საუკეთესო მეტყევე-სპეციალისტებს ამზადებს, სახელდობრ: სატყეო მეურნეობის, საავეჯო წარმოების, სატყეო ქიმიური წარმოების, ხე-ტყის მექანიკური დამუშავების, ხე-ტყის დამზადებისა და სატყეო-საქონელმცოდნეობის. 1936 წლიდან 1974 წლამდე ბორჯომის სატყეო ტექნიკუმმა სამშობლოს 1320 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოუმზადა.

ომის შემდგომ წლებში კურორტ ბორჯომის სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები გაფართოვდა, შეივსო ახალი სამკურნალო ინვენტარით და უფრო კეთილმოწყობილი გახდა. 1947 წელს სასტუმრო „ბორჯომის“ შენობაში მოეწყო კურორტის პოლიკლინიკა, ხოლო 1957 წელს ამავე შენობაში პანსიონატი გაიხსნა (200 საწოლზე). 1958 წელს ჩითახევში ძვლის ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ გაიხსნა სანატორიუმი „მტკვარი“ (125 საწოლზე). 1969 წელს ბორჯომში კიროვის ქუჩაზე პანსიონატმა „ბახტრიონმა“ (205 საწოლზე) დაიწყო მუშაობა. 1974 წელს კურორტის სამკურნალო დაწესებულებებს კიდევ ერთი ჯანმრთელობის კერა შეემატა — რკინიგზელთა სანატორიუმი ახალუბანში (100 საწოლზე). IX ხუთწლედში მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა კურორტზე სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობის დარგში. 1975 წელს დამთავრდა და ექსპლოატაციაში შევიდა 360 ადგილიანი პანსიონატი პლატოზე, მასვე შეუერთდა პლატოს დასასვენებელი სახლი (110 საწოლზე) და დღეისათვის ეს სამკურნალო დაწესებულება „პანსიონატ პლატოდ“ იწოდება. (470 ადგილიანი). 1975 წელს ლიკანის საბაზო სანატორიუმთან

დამთავრდა ახალი შვიდსართულიანი კორპუსის მშენებლობა (450 საწოლზე). 1979 წლის ბოლოს შევიდა ექსპლოატაციაში 500 ადგილიანი 14 სართულიანი სანატორიუმი „მთის ხეობა“. IX ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ბორჯომის ჯგუფის კურორტებზე სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულ მშრომელებს მომსახურეობას უწევდა 14 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი. ერთდროული გამტარუნარიანობა აღნიშნულ 14 სამკურნალო დაწესებულებაში შეადგენდა 4176 კაცს, ე. ი. 1975 წელს ბორჯომის ჯგუფის კურორტებზე დაისვენა და იმკურნალა 51 112 კაცმა. X ხუთწლედის ბოლოს ეს რიცხვი 80000-მდე გაიზარდა. ამავე დროს ბორჯომში ზაფხულობით ყოველწლიურად უამრავი დამსვენებელი ჩამოდის უსაგზუროდ (40—50 ათასი) და სარგებლობს კურორტის უხვი სამკურნალო რესურსებით. ყოველ წლიურად ზაფხულის პერიოდში ბორჯომის ხეობის ცალკეულ ადგილებში იხსნება პიონერთა ბანაკები, რომლებშიც ათასობით პიონერი გართობა-დასვენებით ატარებს ზაფხულს. ავადმყოფი ბავშვებისათვის სოფ. პატარა ცემში არსებობს სატყეო სკოლა-სანატორიუმი (რვა კლასის ფარგლებში) და სანატორიული სკოლა-ინტერნატი ახალდაბაში (8 კლასის ფარგლებში). კურორტ ბორჯომში სხვადასხვა დროს დაისვენეს და იმკურნალეს გამოჩენილმა ადამიანებმა: ი. ბ. სტალინმა (1927 წ. და 1951 წ.), გ. კ.ორჯონიკიძემ, გ. დიმიტროვმა, ა. წულუკიძემ, ს. მ. კიროვმა, მ. ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ, ა. გეგეჭკორმა, ა. ლუნაჩარსკიმ, კ. ვოროშილოვმა, მ. ფრუნზემ, ვ. კუიბიშევმა, ს. ბუდიონმა, კომპოზიტორმა პ. ი. ჩაიკოვსკიმ, მხატვარმა ვ. სურიკოვმა, გრ. ორბელიანმა, აკაკი წერეთელმა, გ. ტაბიძემ, გ. ლეონიძემ, ი. გრიშაშვილმა, გ. ქუჩიშვილმა, ა. ალადაშვილმა, ნ. ყიფშიძემ, დ. არაყიშვილმა, შ. დადიანმა, კ. მარჯანიშვილმა, დ. კლდიაშვილმა და სხვ. ანატოლ ვასილის ძე ლუნაჩარსკის, რომელიც 1922 წელს ისვენებდა ლიკანში, შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაუწერია: „თუკი არსებობს სამოთხე, იგი ლიკანს უნდა ჰგავდესო“.

ომის შემდგომ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა სამედიცინო მომსახურება. 1975 წელს მწყობრში ჩადგა ჯანმრთელობის ახალი კერა — რაისაავადმყოფო (445 ადგილიანი). 1975 წელს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურებოდა: 2 საავადმყოფო, სოფლის 6 საექიმო ამბულატორია,

2 საექიმო და 2 საფერშლო ჯანპუნქტი, 4 პოლიკლინიკა, 14 საფერშლო საბებიო პუნქტი, 1 ვენდისპანსერი, 3 კბილის საპროტეზო ლაბორატორია. დასახელებულ სამკურნალო დაწესებულებებში 850 მედმუშაკი მუშაობდა, რომელთა შორის 70 ექიმი იყო.

პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული მზრუნველობითაა გარემოსილი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილური საქმე. ომის შემდგომ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასკოლო მშენებლობას, 12 საშუალო და რვაწლიანი სკოლისათვის აშენდა ტიპური სასკოლო შენობა, გაიზარდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა რიცხვი. 1960 წლისათვის რაიონის სკოლები ერთცვლიან მეცადინეობაზე გადავიდნენ, რითაც მკვეთრად გაუმჯობესდა სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა. 1975 წლისათვის ბორჯომის რაიონში 13 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, 8 რვაწლიანი და 18 დაწყებითი სკოლა არსებობდა, სადაც 7130 მოსწავლე სწავლობდა, რომელთა სწავლა-აღზრდას 625 მასწავლებელი ემსახურებოდა.

1895 წელს გახსნილ სახელოსნო სკოლის ბაზაზე, ამჟამად ბორჯომში არსებობს საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი — საალმშენებლო პროფილით. იგი საუკეთესო აღმშენებელ სპეციალისტებს უმზადებს საქართველოს სსრ საალმშენებლო ორგანიზაციებს. ერთდროულად სკოლაში 520 ახალგაზრდა ეუფლება სხვადასხვა სპეციალობას. ომის შემდგომ წლებში ბორჯომის საშუალო პროფტექნიკურმა სასწავლებელმა 4 000-ზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი მოუმზადა სამშობლოს.

ბორჯომის რაიონის ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელსაც მუსიკაში გარკვეული ნიჭი და მიდრეკილება აქვს საშუალო მუსიკალურ განათლებას ბორჯომისა და ბაკურიანის მუსიკალურ სკოლებსა და თბილისის მუსიკალური სასწავლებლის ბორჯომის ფილიალში იღებს.

უკანასკნელ 30 წელიწადში ძლიერ გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი, საგრძნობლად გაუმჯობესდა მათი მუშაობა. ამჟამად რაიონში მოქმედებს 3 კულტურის სახლი, 25 კლუბი (საქალაქო და სასოფლო), 27 მასობრივი ბიბლიოთეკა, 17 საკლუბო ბიბლიოთეკა, 6 კინოთეატრი, 20 კინო-

დანადგარი, 3 მოძრავი კინოდანადგარი, 1 სახალხო თეატრი და 1 მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ქალაქი-კურორტის (დიდიხანია ასე იწოდება ბორჯომი) მშენებლობა-გამშვენიერების საქმეს ყურადღება მუდამ ექცეოდა, მაგრამ ამ მიმართებით იგი საკმაოდ ჩამორჩებოდა სსრკ-ის მოწინავე კურორტებს.

ბორჯომის საქალაქო მეურნეობას დიდი ზიანი მიაყენა 1968 წლის წყალდიდობამ. 1968 წლის 18 აპრილს მტკვარი უჩვეულოდ ადიდდა, მისმა დონემ ჩვეულებრივ დონესთან შედარებით ხუთი მეტრით მოიმატა. აბობოქრებულმა მდინარემ ბორჯომში ორივე სანაპირო წალეკა, დაანგრია და წაიღო მრავალი ხიდი. წყალდიდობით მიყენებული ზიანი საკავშირო მთავრობის დახმარებითა და ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელობის ენერგიული ორგანიზატორული მუშაობით, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით ლიკვიდირებულ იქნა. ბორჯომ-ბაღში მტკვრის ორივე სანაპირო რკინა-ბეტონის კედლებით გამაგრდა, ამიერიდან ქალაქი ყოველგვარი წყალდიდობისაგან უვნებელი იქნება. 1968 წლიდან ბორჯომში ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა. 1970 წლის ბოლოს კიროვის ქუჩაზე დამთავრდა 5 შვიდსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რითაც 210 ოჯახი დაკმაყოფილდა. 1966—1974 წლებში ბორჯომში 13 საცხოვრებელი (520 ბინით) სახლი აიგო. 1975 წელს დამთავრდა ქალაქ-კურორტის ცენტრში, მტკვარზე დიდი საყრდენებიანი მაღლივი ხიდის მშენებლობა, ხოლო 1968 წლის ნოემბერში აიგო დაკიდებული რკინის ხიდი. 1972 წელს დამთავრდა ცხრასართულიანი ადმინისტრაციული სახლის, ხოლო 1976 წელს შვიდსართულიანი სასტუმრო „თბილისის“ მშენებლობა. 1972—1976 წლებში ბორჯომ-ბაღის ცენტრში ბევრი შენობა ეკლარის ქვით მოპირკეთდა; ხოლო ორჯონიკიძის სახელობის მინწყლების ბაღში შენობებისა და საყრდენი კედლების ფასადები ძვირფასმა მარმარილომ დაამშვენა.

დღეს ბორჯომს სსრ კავშირის მოწინავე კურორტებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. თ ა ვ ი I. ბორჯომის ხეობა პალეოლითის ხანიდან XXI საუკუნემდე (ზოგადი მიმოხილვა) 3
2. თ ა ვ ი II. ბორჯომის ხეობა XVI საუკუნიდან XX საუკუნის 50-იან წლებამდე 49
§ 1. საავალიშვილოს წარმოქმნის საკითხისათვის 49
§ 2. ბორჯომის ხეობა ქართველი ხალხის ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში (XVI—XVIII სს.) 67
§ 3. სოფლის მეურნეობა 89
§ 4. საქართველოს შეერთება რუსეთთან და საავალიშვილოს სახაზინო მამულად გადაქცევა 92
§ 5. ბორჯომის ხეობა და მისი მინერალური წყლები . . . 106
3. თ ა ვ ი III. ბორჯომის ხეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში . 127
§ 1. კაპიტალისტური საწარმოები ბორჯომში 139
4. თ ა ვ ი IV. ბორჯომი 1901—1921 წლებში 150
5. თ ა ვ ი V. ბორჯომის ხეობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში . . 164
§ 1. სახალხო მეურნეობა 164
§ 2. ბორჯომი — კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი . . . 167
§ 3. ბორჯომის რაიონის მშრომელები დიდი სამამულო ომის პერიოდში 172
§ 4. ბორჯომის რაიონი ომის შემდგომ წლებში 180

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ც. თოფურიძე
მხატვარი კ. ტუხაშვილი
მხატვრული რედაქტორი რ. მაჭარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი ნ. მჭედლიშვილი
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. № 2591

გადაეცა წარმოებას 3.I.83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.V.83 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 3. 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,93.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 9,87. პირ. საღ. გატ. 11,05.
უე 00377. ტირაჟი 2000. შეკვ. № 1.
ფასი 30 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა